

# უილიამ შექსპირი

*სონეტები*

# უილიამ ბლექი

*ლექსები*

# ემილი დიკინსონი

*ლექსები*

თარგმნა ლთარ ცისკაძემ



გამომცემლობა ა მ რ ი  
თბილისი  
2022

უილიამ შექსპირი, *სონეტები*  
უილიამ ბლექი, *ლექსები*  
ემილი დიკინსონი, *ლექსები*

მთარგმნელი: ოთარ ცისკაძე

პირველი გამოცემა, თბილისი, 2022 წელი  
გამომცემლობა აზრი

William Shakespeare, *Sonnets*  
William Blake, *Poems*  
Emily Dickinson, *Poems*

Translated into Georgian by Otar Tsiskadze

First edition, Tbilisi, 2022  
Azri publishers



წიგნი გამოიცა საქართველოს  
კულტურის, სპორტისა და  
ახალგაზრდობის სამინისტროს  
მხარდაჭერით

The book was published with the support of  
the Ministry of Culture, Sport and Youth of  
Georgia

ISBN 978 9941 9780 2 9

„ოთარ ცისკაძემ მრავალწლიანი მთარგმნელობითი მუშაობითა და დასახული მიზნისადმი ერთგულებით არა მხოლოდ გაამდიდრა ქართული ლიტერატურულ-კულტურული სივრცე ძირითადად ინგლისურენოვანი და ნაწილობრივ რუსულენოვანი პოეზიის საუკეთესო ნიმუშების მისეული ახლებური თარგმანებით, რითაც ხელი შეუწყო მსოფლიო პოეზიის კონტექსტში ქართველი მკითხველის მეტად ორიენტირებას, არამედ მოგვცა დღეს ასერიგად საჭირო ნიმუში საქმისადმი ერთგულებისა. მისმა მაგალითმა შეაგულიანა სხვადასხვა თაობის, მეტადრე კი ახალგაზრდა შემოქმედთა მთელი წყება, თავადაც ჩართულიყვნენ მთარგმნელობით საქმიანობაში. დღეგრძელობასა და მრავალ ახალ შემოქმედებით წარმატებას ვუსურვებ მთარგმნელობით საქმიანობაში“.

ამერიკის პოეტთა აკადემიის წევრი,  
დოქტორი ნინო დარბაისელი-სტრონი

07.06.2022

სარჩევი

შესავალი

Introduction 5-13 გვ.

უილიამ შექსპირი - სონეტები

William Shakespeare - Sonnets

15-171 გვ.

უილიამ ბლეიკი - ლექსები

William Blake - Poems

173-234 გვ.

ემილი დიკინსონი - ლექსები

Emily Dickinson - Poems

235-420 გვ.

**უილიამ შექსპირი, უილიამ ბლეიკი და  
ემილი დიკინსონი ახალ ქართულ თარგმანებში**

როცა აზრის გამოსატყმელად უილიამ შექსპირის, უილიამ ბლეიკისა და ემილი დიკინსონის ლექსების თარგმანებს მოგაწვდიან, თავიდანვე გასაგები ხდება, თუ რომელი სულიერი სამყაროს შვილია ამ ლექსთა მთარგმნელი, – მას სულიერი სიმაღლეები და მშვენიერება იზიდავს; თუ რამ საშიშროება მოელის ჩვენს დროში კაცობრიობას, ეს მის ცხოვრებაში სულიერების დაკნინების საფრთხეა და ყველა, ვინც ერთგულად ემსახურება ჭეშმარიტ ფასეულობებს, იქნებ ზოგჯერ გაუცნობიერებლად, მაგრამ უდავოდ ღვთის საქმეს აკეთებს და ღვთის ხატად შექმნილ ადამიანს ადამიანური სახის შენარჩუნებასა და სულიერ ამაღლებაში ეხმარება. კლასიკის თარგმნა, ჩვენს ცხოვრებაში კლასიკოსთა ისევ და ისევ შემოყვანა, აუცილებელია, რათა არც მაღალ ფასეულობებს დავცილდეთ და გაგრძელდეს ქართული მთარგმნელობითი სკოლის ტრადიციები, რომლისთვისაც კლასიკისადმი განსაკუთრებული ინტერესი ყოველთვის იყო დამახასიათებელი; მკითხველს კარგად მოეხსენება, თუ რა სიმაღლეებს მისწვდნენ ქართველი მთარგმნელები და როცა მათ მიერ შესრულებული თარგმანების ფონზე ისევ ვაქართულებთ ასეთი დონის პოეზიას, როცა ვიცნობთ, ვთქვათ, შექსპირის სონეტთა უკვე არსებულ ბრწყინვალე ქართულ თარგმანებს და თანამემამულეთათვის ამ სონეტთა ავტორის ახლიდან ამეტყველებას მაინც ვცდილობთ, ცხადია, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ კიდევ უფრო მეტის მიღწევის, ახალ სიმაღლეთა დაპყრობის სურვილი არსებობს ჩვენში, რაც ქართული კულტუ-

რის წინსვლის იმედს იძლევა.

ოთარ ცისკამის თარგმანები ისეთი ნიჭით არის შესრულებული, ხშირ შემთხვევაში ისე ბუნებრივად აჟღერდება ხოლმე მისი ქართული, ავტორს რომ არ იცნობდეს, ალბათ ორიგინალი ეგონება ესა თუ ის ლექსი არაერთ მკითხველს.

შექსპირის სონეტები ტრადიციული თოთხმეტ-მარცვლიანი ტაქტებით არის გადმოქართულებული. რითმიანი ლექსის წერის დროს კარგმა პოეტმა და მისმა მთარგმნელმა უნდა მოახერხონ და ისე შეუწყონ ერთი სიტყვა მეორეს, რომ ხელოვნური სახე არ მიეცეს ლექსს, ბუნებრივად, შინაგანი არსებიდან, ისე ლაღად უნდა წამოვიდნენ სიტყვები, თითქოს თავად ბუნებას აღმოუცენებიაო შეწყობილი რითმები; ხელოვნურად მორგებულის, სტროფში ნაძალადევად ჩასმულის შთაბეჭდილებას არ უნდა ტოვებდეს სიტყვა; ამისათვის საჭიროა, რომ მთარგმნელი შინაგანად პოეტიკ იყოს, ოღონდ, ცხადია, უნდა შეეძლოს, რომ იმ პოეტის ენით ამეტყველდეს, ვის ლექსსაც თარგმნის და თავისი სტილი არ დაატყოს თარგმანს; ოთარ ცისკამეს ძალუმს ამის გაკეთება, იგი ჩინებულად ახერხებს ამ ყოველივეს, მაგალითად, მაშინ, როცა შექსპირის მერვე სონეტს თარგმნის:

შეხედე საკრავს სამსიმიანს, ყველა ნაწილი  
დაკვრისას ერთურთს ჟღერადობით ესაზამება,  
ორი მათგანი მშობელია, ერთი –ყმაწვილი,  
და ერთად მღერის მერე ტკბილ ჰანგს მათი სამება.

სამის სიმღერა გულს გიკოდავს აღიარებით:  
„რომ არარა ხარ, სანამ მარტო დაიარები“.

როცა შექსპირისეული სონეტური რიტმიდან უილიამ ბლეიკის ლექსებზე გადავდივართ, რადგან რიტმი და განწყობილება ერთბაშად იცვლება, მრავალფეროვნება ემატება წიგნს; ორიგინალისეულ ფრაზათა სისხარტე საკმაოდ კარგად იგრძნობა, ვთქვათ, ამ თარგმანში:

ჰანგი სალამურის  
მიწყდა საამური,  
ჭიკჭიკი გაისმის  
დილით თუ დაისში;  
ხმატკბილი ჟღურტულით  
მღერალი ბუღბული  
და ცაში აჭრილი ტოროლა ძახილით,  
ხალისით, ხალისით ხვდებიან გაზაფხულს.

ემილი დიკინსონის ერთი ლექსიდან კარგად ვხედავთ, რომ შინაგანი რწმენით სავსე ადამიანის სულში მთელი სამყარო ღვთის მიმართ სალოცავ ტაძრად აღიქმება, ამ ლექსის ქართულ თარგმანში მსუბუქად და ლაღად, მძიმე სიტყვებით გადატვირთვის გარეშე მოედინებიან ფრაზები, სულიდან მსუბუქად გადმოდვრილ სიტყვათა საშუალებით ბუნების მშვენიერი სურათი წარმოდგება ჩვენ თვალწინ:

ზოგი შაბათს ტაძრად მიდის,  
შაბათობით – მე შინ ვარ,  
მგალობლად მყავს ბალის მკვიდრი,  
ჩემს საყდრად ვთვლი ხეხილნარს.

ზოგს სტიქარი მოსავს მრევლში,

მე კი ფრთებით ვირთვები,  
ნაცვლად საყდრის ზარის რეკვის,  
მნათე გალობს ჩირგვებში.

გვიქადაგებს ღმერთი ბაღში  
მოკლედ, – მღვდელი ცხებული,  
ვუცქერ, ნაცვლად ტაძრის თაღის,  
ზეცას აღტაცებული.

„მნათე“, ცხადია, რომელიღაც მაგლობელი ფრინველია, ტაძრის ზარების რეკვის ნაცვლად ეს „მნათეა“ ამ წუთებში პოეტის მახლობლად, იგი მღერის და მის გალობას ისმენს ლექსის ავტორი... „ჩვენი პატარა მნათეო“, – ასე ამბობს ამ მაგლობელზე (And instead of tolling the Bell, for Church, / Our little Sexton – sings), მთელი სამყაროს მიმართ სითბოთი და სიყვარულითაა განმსჭვალული; ტაძარს კი არ უარყოფდა, – საზოგადოებისგან ოდნავ განრიდებული იყო და ღვთის მიერ შექმნილი ქვეყნიერება ქცეულიყო ემილი დიკინსონისთვის წმიდა სალოცავად...

ოთარ ცისკაძეს თარგმანებთან ერთად ორიგინალებიც აქვს წიგნში წარმოდგენილი. როცა წიგნისა თუ პრესის ფორმატი საამისო საშუალებას იძლევა, როცა ორიგინალის ენა მეტ-ნაკლებად ესმის მკითხველთა უმეტესობას, ამ წესის დაცვა, ვფიქრობ, ძალიან კარგია, – პოეზიის სათარგმნელად, ცხადია, საკმარისი არ არის ის, რომ ორიგინალის აზრი გადმოსცე და ლექსის რიტმი, შეძლებისდაგვარად, შეინარჩუნო, – საჭიროა, ის მუსიკაც გააგონო მკითხველს, ორიგინალიდან რომ მოისმის; თარგმანთან ერთად ორიგინალის გამოქვეყნება იმაზე მეტყველებს, რომ პოეზია მართლა უყვარს



და მკითხველზე ზრუნავს მთარგმნელი, უნდა, რომ იმ განუმეორებელი ინტონაციის გარეშეც არ დატოვოს იგი, რომელიც ზოგჯერ, რომელსამე სტრიქონში, შესაძლოა, ვერც ითარგმნებოდეს; ავტორის პასუხისმგებლობასა და შინაგან პატიოსნებაზე მიანიშნებს გამოქვეყნების ასეთი წესი; ამას გარდა, მთარგმნელის გაბედულებასაც ცხადყოფს ამგვარი ფორმით ბეჭდვა, – სხვა წიგნში აღარ დასჭირდება ლექსის მოძიება, სულ რომ არ უნდოდეს შედარება, ორიგინალისკენ მაინც გაექცევა თვალი და ადვილად შეძლებს მკითხველი, შეაფასოს, რამდენად სწორად გააცნო თანამემამულეებს ესა თუ ის პოეტი მთარგმნელმა.

ოთარ ცისკამის თარგმანები უთუოდ იმსახურებს ყურადღებას და, ეჭვი არაა, პოეზიის ქართველი მოყვარული სათანადო შემფასებელიც იქნება მათი და თავისი მკითხველიც ეყოლება ამ ლექსთა მთარგმნელს.

გოჩა კუჭუხიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის

ინსტიტუტი

## **William Shakespeare, William Blake and Emily Dickinson in new Georgian translations**

When you are presented with translations of poems by William Shakespeare, William Blake and Emily Dickinson to express your opinion, the spiritual condition of the author is obvious from the very first minutes - he is attracted by spiritual heights and beauty.

If any danger awaits humanity in our time, it is the threat of the decline of spirituality in our life, and everyone, who faithfully serves the true values, maybe sometimes unknowingly, but without a suspicion, is doing God's job and helping the humans created in the image of God to maintain their shape and spiritual heights.

Translating classics and introducing them into our lives continuously, is necessary not to deviate from top values and to proceed with the traditions of the Georgian translation school, which has always expressed particular interest in classics.

The readers are well aware of deeds of Georgian translators, and when we once again make efforts to translate existing pieces, for instance, on the background of brilliant Georgian translations of Shakespeare's sonnets, in a bid to achieve even more, to conquer new heights, it gives hope for the further advancement of Georgian culture.

Otar Tsiskadze's translations are done with such talent and skill, in most cases his Georgian sounds are so natural, that one may think they are original writings.

Shakespeare's sonnets are rendered in the traditional metrical line of 14 syllables. When writing a rhyming poem, a good poet and his translator should manage and connect one word to another.

er in such a way that the poem does not look artificial, the words should come out naturally, from the inner essence, so freely as if the rhymes were born by nature itself. A word should not leave the impression of being artificially adjusted or forced into a verse.

To achieve the ultimate goal, it is necessary for the translator to be a poet inwardly, and to also maintain the original soul of the author, never impose his own style on the translation.

Otar Tsiskadze is capable to do this, he does it perfectly all the time, for example, when he translates Shakespeare's eighth sonnet:

Mark how one string, sweet husband to another,  
Strikes each in each by mutual ordering,  
Resembling sire and child and happy mother  
Who all in one, one pleasing note do sing:

Whose speechless song, being many, seeming one,  
Sings this to thee: 'thou single wilt prove none'.  
As we move from the Shakespearean sonnet rhythm to the poems of William Blake, as the rhythm and mood change instantly, variety is added to the book. The agility of the original phrases can be felt quite well, say, in this translation:

Sound the flute!  
Now it's mute.  
Birds delight  
Day and night;  
Nightingale  
In the dale,  
Lark in sky,  
Merrily,  
Merrily, merrily, to welcome in the year.

From a poem by Emily Dickinson, we can clearly see that in the soul of a person full of inner faith, the whole world is perceived as a temple of worship to God.

In the Georgian translation of this poem, the phrases flow easily and pleasantly, without overloading with heaviness, a beautiful picture of nature is presented before our eyes through the words lightly poured out from the soul:

Some keep the Sabbath going to Church –  
I keep it, staying at Home –  
With a Bobolink for a Chorister –  
And an Orchard, for a Dome –

Some keep the Sabbath in Surplice –  
I, just wear my Wings –  
And instead of tolling the Bell, for Church,  
Our little Sexton – sings.

God preaches, a noted Clergyman –  
And the sermon is never long,  
So instead of getting to Heaven, at last –  
I'm going, all along.

“Sexton”, obviously, is some songbird, instead of ringing the church bells, this “Sexton” is near the poet at this moment. It is singing and the author of the poem hears its melody... “Our little Sexton”, - this is what she says about this singer (And instead of tolling the Bell, for Church, / Our little Sexton – sings), and is imbued with warmth and love for the whole world. She did not reject the temple, she was a little distanced from society and the world created by God became a holy shrine for Emily Dickinson...

Along with his translations, Otar Tsiskadze also presented the

originals in the book. When the format of the book or the printed media allows this, when the language of the original is more or less understandable by the majority of readers, I think it is welcome to follow this rule.

It is not sufficient to convey the meaning of the original and to preserve the rhythm of the poem as much as possible in the translation, it is also necessary to allow the reader to hear the music, which is heard from the original text.

The publication of an original poem along with its translation shows that the translator really loves poetry and cares about readers, does not leave them without that unique intonation, which sometimes, in some lines, may not be translated at all.

The way of publishing the translation points at the translator's responsibility and inner honesty, as well as his courage.

In such a case, there is no need to look for a poem in another book. Even if a reader does not want to make a comparison at all, he may still look at the original version and will easily be able to assess how correctly the translator introduced this or that poet to his compatriots.

Otar Tsiskadze's translations undoubtedly deserve attention and, there is no doubt, the Georgian lovers of poetry will be a proper appreciator of them, and the translator of these poems will have his readers.

Gocha Kuchukhidze  
Doctor of Philological Sciences,  
SHOTA RUSTAVELI INSTITUTE OF  
GEORGIAN LITERATURE



უილიამ შექსპირი

(1564-1616)

*სონეტები*

William Shakespeare

(1564-1616)

*Sonnets*





1.

მშვენიერ არსთა გამრავლება ყველას გვწადაია,  
რათა არ დაჰკნეს უტურფესი ვარდი მალალი,  
ყოველი, რაც მწიფს ნადგურდება, რადგან ხრწნადაია,  
შემოგვინახავს სილამაზეს შთამომავალი.

შენ კი ერთობი საკუთარი თვალთა ბრდღვიალით,  
შენივე არსი საწვავია შენი ალმურის,  
შიშშილს იქ შეიქმ, სამკალია სადაც დიდძალი,  
მტერი ხარ თავის ულმობელი და უამური.

მიედარები ქვეყნის ცინცხალ, ნატიფ ზარნიშებს,  
ათასფერადი გაზაფხულის მარტო მცნევიარი,  
შენივე კვირტში შენი არსი თუკი ჩაიხშვე,  
ქვაწვიავ, შენ ხარ შენი ძარცვის შემაწევიარი.

გვედრი, ამოსდე შენს სიხარბეს დროზე ლაგამი,  
წუთისოფელი გაამდიდრე შენი ნაგრამით!

From fairest creatures we desire increase,  
That thereby beauty's rose might never die,  
But as the ripener should by time decease,  
His tender heir might bear his memory:

But thou contracted to thine own bright eyes,  
Feed'st thy light's flame with self-substantial fuel,  
Making a famine where abundance lies,  
Thyself thy foe, to thy sweet self too cruel:

Thou that art now the world's fresh ornament,  
And only herald to the gaudy spring,  
Within thine own bud buriest thy content,  
And, tender churl, mak'st waste in niggarding:

Pity the world, or else this glutton be,  
To eat the world's due, by the grave and thee.

2.

როცა ორმოცი ზამთრის ალყა ლაზათს გაგაცლის,  
გადაგატარებს სილამაზის ველზე ერქვანებს,  
შენ, თავმომწონეს სიჭაბუკის ამაყ ტანსაცმლით,  
ჟამი დაგიფლეთს სამოსელს და გაგივერანებს.

თუ ვინმემ გკითხა: „საბოძვარი აურაცხელი -  
ბედნიერ დღეთა სად გაეცი ავლადიდება?“  
ვერას მიუგებ, თავს ჩაქინდრავ მაშინ დარცხვენით,  
შენს ღრმად ჩაცვენილ თვალთა ღმობის ასარიდებლად.

წელგამართული, სილამაზით იამაყებდი,  
თუ თქმას შეძლებდი: „ეს ყმაწვილი პირმშვენიერი,  
შვილია ჩემი, დასაყრდენი სიჭარმაგეში,  
გამმართლებელი ცხოვრების და დამდგარ სიბერის“.

თუმცა სიცივე გექნებოდა რბილში გამჯდარი,  
იჩუხჩუხებდა შენი სისხლი შვილში გამთბარი.

When forty winters shall besiege thy brow,  
And dig deep trenches in thy beauty's field,  
Thy youth's proud livery so gazed on now,  
Will be a totter'd weed of small worth held:

Then being asked, where all thy beauty lies,  
Where all the treasure of thy lusty days;  
To say, within thine own deep sunken eyes,  
Were an all-eating shame, and thriftless praise.

How much more praise deserv'd thy beauty's use,  
If thou couldst answer 'This fair child of mine  
Shall sum my count, and make my old excuse,'  
Proving his beauty by succession thine!

This were to be new made when thou art old,  
And see thy blood warm when thou feel'st it cold.

3.

მეხედე სარკეს და უთხარი არეკლილ სახეს,  
დამდგარა ჟამი - ასლი შექმნას სხვა კაცთა მსგავსად  
და თუ ახლავე მის სინედლეს არ განაახლებს,  
დედობას ართმევს მავან ასულს, სამყაროს ნავსავს.

ყველა ქალწული ისურვებდა შენგვარ ანდამატს,  
შენ აგირჩევდა უეჭველად თანამეცხედრედ,  
ალბათ გწადია თვითსიყვარულს ექვე აკლდამად,  
დოჯახებას ამიტომაც გადაემტერე.

როცა მშობელი შემოგცქერის, უყურებს სარკეს,  
მის სიაპრილეს დაინახავს შენში აღბეჭდილს,  
შენც ნაშიერი წარსულისკენ გაგიჭრის სარკმელს,  
გაგახსენდება სიყმაწვილე სახედაღმეჭილს.

თუკი ცხოვრებას გაასრულებ ქვეყნად უცალოდ,  
გადაშენდება ეგ მშვენება, ვაგლახ, უკვალოდ!

Look in thy glass and tell the face thou viewest  
Now is the time that face should form another;  
Whose fresh repair if now thou not renewest,  
Thou dost beguile the world, unless some mother.

For where is she so fair whose unear'd womb  
Disdains the tillage of thy husbandry?  
Or who is he so fond will be the tomb  
Of his self-love, to stop posterity?

Thou art thy mother's glass and she in thee  
Calls back the lovely April of her prime;  
So thou through windows of thine age shalt see,  
Despite of wrinkles this thy golden time.

But if thou live, remember'd not to be,  
Die single and thine image dies with thee.

4.

კობტა მფლანგველო, შეგონებას მიაყურადე -  
ნუ ემგვანები საკუთარი თავის მარბეველს!  
ბუნება ემხით აჯილდოებს მხოლოდ პურადებს,  
თავნსაც ითხოვს და გამოელის სართად სარგებელს.

ლამაზო ძუნწო, მემკვიდრისთვის რატომ დაახშვე  
ზეგარდმო ნიჭი, ბომეპული გარდადინებით?  
დიდმალ საუნჯეს რანაირად ხარჯავ სავახშედ,  
ცხოვრების სახსარს თუ არ გმატებს აღნადგინები?

საკუთარ თავთან გაგიმართავს აღებ-მიცემა,  
ტყუილ-უბრალოდ გამოელი ამით სარფასაც,  
შენი სიკვდილის ბრძანება რომ გამოიცემა,  
ბუნების ვალთა თამასუქებს რითი დაფარავ?

შთახდება შენი სილამაზე შენთან საფლავად,  
უშვილ-უძეოდ უსარგებლოდ თუკი გაფლანგავ.

Unthrifty loveliness, why dost thou spend  
Upon thyself thy beauty's legacy?  
Nature's bequest gives nothing but doth lend,  
And being frank she lends to those are free.

Then, beauteous niggard, why dost thou abuse  
The bounteous largess given thee to give?  
Profitless usurer, why dost thou use  
So great a sum of sums, yet canst not live?

For having traffic with thyself alone,  
Thou of thyself thy sweet self dost deceive.  
Then how, when nature calls thee to be gone,  
What acceptable audit canst thou leave?

Thy unused beauty must be tomb'd with thee,  
Which, used, lives th' executor to be.

5.

ჟამის რუდუნით ჩამოქნილი, ნაფოფინები,  
სიტურფე ჯერარნახული და იმქვეყნიერი,  
შეიმუსრება ულმოზელი დროის დინებით  
და უგზო-უკვლოდ განქარდება დიდმშვენიერი.

რადგან მიდენის დრო უმცხრალი, შემამფოთები  
ზაფხულს იქ, სადაც იავარყოფს მკაცრი ზამთარი,  
სადაც მზრალ ხეებს გასცვივდებათ მჭკნარი ფოთლები  
და სილამაზე იჩქმალება თოვლის საფარით.

თუ არ შემორჩა ყვავილების ინანთეული  
ბროლის ჭურჭელში გამოკეტილ თხიერ პატიმრად,  
მათი მშვენება გვეგონება სიზმარეული  
და ვერ მივიჩნევთ ცხელ ზაფხულის ამონატვიფრად.

ტურფა ყვავილი ზამთრის სუსხსაც არ ეპუება,  
თუ გარეგნობაგამოცვლილი ხალხს ეპკურება.

Those hours, that with gentle work did frame  
The lovely gaze where every eye doth dwell,  
Will play the tyrants to the very same  
And that unfair which fairly doth excel:

For never-resting time leads summer on  
To hideous winter and confounds him there;  
Sap check'd with frost and lousy leaves quite gone,  
Beauty o'ersnow'd and bareness every where:

Then, were not summer's distillation left,  
A liquid prisoner pent in walls of glass,  
Beauty's effect with beauty were bereft,  
Nor it nor no remembrance what it was:

But flowers distill'd though they with winter meet,  
Leese but their show; their substance still lives sweet.

6.

ნებას ნუ დართავ ზამთარს გახდეს იავარმქმნელი  
შენი ზაფხულის, შეინახავ ვიდრე დანაწურს:  
მანამ აავსე აზარფეშა ტკბილი სასმელით,  
სანამ მპარავი დრო წარგტაცებს ეშხის საგანძურს.

ნუ გერიდება სასურველი ვახშის გაცემის,  
დაგიბრუნდება სესხი, ოჯახს თუ მოეკიდე,  
შვილშემძენილი, ზამთრით ველარ გაიმარცხები,  
ათმაგ სიხარულს მოგანიჭებს ათი მემკვიდრე.

გაგიმეორა თუკი ათგზის შენმა ნამატმა,  
გათკეცდება კიდევ ათჯერ შენი არსება,  
სიკვდილს ამაყად დაუხვდები, რადგან ნატამალს  
დატოვებ ქვეყნად - უამრავი მსგავსი დაგრჩება.

ამოსხარტულო, ნუ იქნები კერპი, თავკერპი  
და ნუ არგუნებ სილამაზეს მატლებს ანდერძით!

Then let not winter's ragged hand deface,  
In thee thy summer, ere thou be distilled:  
Make sweet some vial; treasure thou some place  
With beauty's treasure ere it be self-killed.

That use is not forbidden usury,  
Which happies those that pay the willing loan;  
That's for thy self to breed another thee,  
Or ten times happier, be it ten for one;

Ten times thy self were happier than thou art,  
If ten of thine ten times refigured thee:  
Then what could death do if thou shouldst depart,  
Leaving thee living in posterity?

Be not self-willed, for thou art much too fair  
To be death's conquest and make worms thine heir.

7.

აღმოსავლეთით გაიხედე - ბრწყინავს ცისკარი,  
ამოდის მნათი ბაკმიანი, შუქმოციაგე,  
ყველა არსება შეჰფოფინებს თვალმოცინარი,  
მის უზენაეს ხელმწიფებას პატივს მიაგებს.

როცა მიაღწევს წვეროკინას ცაში აღმასვლის,  
მოჰგავს ბრგე ვაჟკაცს, ვიდრე ქვევით დაედირება,  
ყველა მოკვდავის კვლავ შეხარის მზერა ფრთამალი  
და თვალს ადევნებს ოქრომზიურ გასეირნებას.

მაგრამ როდესაც ძირს ეშვება ღვაწლშემოსილი,  
მოხუცს წააგავს, ბარბაცით რომ ჩაესვენება  
და ყველა თვალი ცეცხლოვანი მნათის მორჩილი,  
მიაჩერდება ახლა უკვე სხვათა მშვენებას.

თუ უშვილობით სიჭაბუკის გასცდი ზეობას,  
ჩაესვენება იმ მზესავით შენი მზეობაც.

Lo! in the orient when the gracious light  
Lifts up his burning head, each under eye  
Doth homage to his new-appearing sight,  
Serving with looks his sacred majesty;

And having climb'd the steep-up heavenly hill,  
Resembling strong youth in his middle age,  
Yet mortal looks adore his beauty still,  
Attending on his golden pilgrimage;

But when from highmost pitch, with weary car,  
Like feeble age, he reeleth from the day,  
The eyes, 'fore duteous, now converted are  
From his low tract and look another way:

So thou, thyself out-going in thy noon,  
Unlook'd on diest, unless thou get a son.

8.

თავად მუსიკას, გხედავ ჰანგით სახედაღვრემილს,  
თუმც ამო არ მტრობს ამოს, მისით არ ხარვეზდება,  
ის რატომ გიყვარს, რასაც ხვდები უნდოდ, აღრენით  
და სიხარულით რატომ იღებ თავგაბეზრებას?

თუკი ჰანგების ჰარმონია გეხამუშება,  
ყურს გჭრის თანჟღერა საქორწინო მტკიცე საკვრელის  
- დაყვედრებული მარტოობა გესმა უშვერად,  
დაკისრებული მუსიკის რომ ვერ ხარ დამკვრელი.

შეხედე საკრავს სამსიმიანს, ყველა ნაწილი  
დაკვრისას ერთურთს ჟღერადობით ესაბამება,  
ორი მათგანი მშობელია, ერთი ყმაწვილი  
და ერთხმად მღერის მერე ტკბილ ჰანგს მათი სამება.

სამის სიმღერა გულს გიკოდავს აღიარებით:  
„რომ არარა ხარ, სანამ მარტო დაიარები“.

Music to hear, why hear'st thou music sadly?  
Sweets with sweets war not, joy delights in joy.  
Why lovest thou that which thou receivest not gladly,  
Or else receivest with pleasure thine annoy?

If the true concord of well-tuned sounds,  
By unions married, do offend thine ear,  
They do but sweetly chide thee, who confounds  
In singleness the parts that thou shouldst bear.

Mark how one string, sweet husband to another,  
Strikes each in each by mutual ordering,  
Resembling sire and child and happy mother  
Who all in one, one pleasing note do sing:

Whose speechless song, being many, seeming one,  
Sings this to thee: 'thou single wilt prove none'.



9.

ალბათ წინდაწინ გეშინია ქვრივის ცრემლების,  
მარტოხელობა რადგან გიჯობს მეუღლის ყოლას,  
ვინიცობაა, უშვილძიროდ მოიცელები,  
ქვეყანა გიგლოვს, დარჩენილი უწყვილო ცოლად;

სამყარო შენით დაქვრივდება, გახსენებს გვრინვით,  
გულამოსკვნილი გააგრძელებს მოთქმა-გოდებას,  
მაშინ, როდესაც შვილს შეხედავს რიგითი ქვრივი  
და ქმრის იერი ნაშიერთ მოაგონდება.

უყარათო თუ ქონებას გაანიავენს,  
სხვას გაამდიდრებს - ეს იქნება გამოსავალი,  
მაგრამ მშვენებას თუ უპირებს ვინმე იმავეს,  
წახდენს, რადგან არ დარჩება შთამომავალი.

ვერ შეიყვარებს, ვერ გახდება სხვათა საყრდენი,  
საკუთარ თავის მიმართ ამგვარ ცოდვის ჩამდენი!

Is it for fear to wet a widow's eye,  
That thou consum'st thy self in single life?  
Ah! if thou issueless shalt hap to die,  
The world will wail thee like a makeless wife;

The world will be thy widow and still weep  
That thou no form of thee hast left behind,  
When every private widow well may keep  
By children's eyes, her husband's shape in mind:

Look what an unthrift in the world doth spend  
Shifts but his place, for still the world enjoys it;  
But beauty's waste hath in the world an end,  
And kept unused the user so destroys it.

No love toward others in that bosom sits  
That on himself such murd'rous shame commits.

10.

თქვი: არვინ გიყვარს! ვერ იქნება სხვათა შემყვარე,  
ვინც საკუთარ თავს მოეპყრობა ასე აგდებით,  
ქვეყნად მრავალი ლამაზმანი გეტრფის მგზნებარედ,  
თუმცა ცხადია საპასუხო გულისნადები;

შენ სასიკვდილო სიძულვილმა მოგისათხეველა  
და შენი თავის წინააღმდეგ სამტროდ აღრენილს,  
გწადია ტაძრის დანგრევა და სისხლის დანთხევა,  
თუმც უნდა იყო მესვეური მისი აღდგენის.

ფერი იცვალე, გაუმკლავდი სახმილს დამდაგველს  
და სიყვარულით ამოშანთე ზიზღი მმუსვრელი,  
შენს სილამაზეს საქციელიც მიუსადაგე  
და თავის მიმართ გახდი მეტად კეთილმსურველი:

რათა არ შეწყდეს სიკობტავე ქვეყნის სამშენი,  
გაიხანგრძლივე სილამაზე - შენი ნაშენით.

For shame! deny that thou bear'st love to any,  
Who for thyself art so unprovident.  
Grant, if thou wilt, thou art beloved of many,  
But that thou none lovest is most evident;

For thou art so possess'd with murderous hate  
That 'gainst thyself thou stick'st not to conspire.  
Seeking that beauteous roof to ruinate  
Which to repair should be thy chief desire.

O, change thy thought, that I may change my mind!  
Shall hate be fairer lodged than gentle love?  
Be, as thy presence is, gracious and kind,  
Or to thyself at least kind-hearted prove:

Make thee another self, for love of me,  
That beauty still may live in thine or thee.

11.

ვით დაიმცრობი, ისე მსწრაფლად გაყმაწვილდები,  
ჭაბუკურ სისხლს თუ მიანიჭებ დროზე ნაშიერს,  
თუმც გასრულდება შენი ჟამი აყვავილების,  
შვილს შეხედავ და სიჭარმაგე ვერ შეგაშინებს.

აქ არის სიბრძნე, განახლება, მშვენიერება:  
ამის გარეშე - სიბრყვეა, ჭკნობა, ასაკი,  
თუ ყველა შენებრ იფიქრებდა, ქვეყნიერებას  
არ შერჩებოდა სამოც წელში კაცთა ნასახიც.

დაე, ბუნებას ვინც არა სურს თავის მარაგად -  
გადააშენოს უნაყოფოდ - ხეპრე, პირნასი;  
შენ კი, ყველაზე მეტი გიძღვნა ვისაც ბარაქა,  
უნდა იზრუნო განამრავლო განძი ძვირფასი.

შენ გამოგკვეთა მის ბეჭედად, ასე ნატიფი,  
დროს შეუნახე ეგ ხატება ამონატვიფრით.

As fast as thou shalt wane, so fast thou growest  
In one of thine, from that which thou departest;  
And that fresh blood which youngly thou bestowest  
Thou mayst call thine when thou from youth convertest.

Herein lives wisdom, beauty and increase:  
Without this, folly, age and cold decay:  
If all were minded so, the times should cease  
And threescore year would make the world away.

Let those whom Nature hath not made for store,  
Harsh featureless and rude, barrenly perish:  
Look, whom she best endow'd she gave the more;  
Which bounteous gift thou shouldst in bounty cherish:

She carved thee for her seal, and meant thereby  
Thou shouldst print more, not let that copy die.

12.

როცა საათი დღის დასასრულს მამცნობს ისრებით  
და ვხედავ, დღე ვით ჩაინთქმება სკნელის დაღმართში,  
ვით გახუნდება ტურფა ია გადაფითრებით,  
ხოლო გიშრის თმა იფარება რარიგ ჭადართ

და უშიშვლდებათ ფოთოლნარი მუხებს რტომრავალთ,  
მათ თალარებში რომ ფარავდნენ ხვატში ხვასტაგებს,  
როდესაც ვხედავ ძნად შეკონილ ყანის მონამკალს  
დროგზე დაგდებულს, ეკალ-ნარად განაპარტახებს,

შენს სილამაზეს ეჭვის თვალით დავაკვირდები,  
გაგივერანებს იერსახეს ჟამის მდინარე,  
მშვენიერება შემხედვარე ახალკვირტების,  
იგრძნობს კოკორი მის სიტურფეს გადაიბარებს.

ვერას დაგაკლებს სასტიკ ჟამის ცელი მსახვრალი,  
თუკი დაგრჩება ქვეყნად შენი შთამომავალი.

When I do count the clock that tells the time,  
And see the brave day sunk in hideous night;  
When I behold the violet past prime,  
And sable curls, all silvered o'er with white;

When lofty trees I see barren of leaves,  
Which erst from heat did canopy the herd,  
And summer's green all girded up in sheaves,  
Borne on the bier with white and bristly beard,

Then of thy beauty do I question make,  
That thou among the wastes of time must go,  
Since sweets and beauties do themselves forsake  
And die as fast as they see others grow;

And nothing 'gainst Time's scythe can make defence  
Save breed, to brave him when he takes thee hence.

13.

მშვენიერების ვერ იქნები მარად მფლობელი!  
შენი არსებაც წარმავლობით დასამარდება:  
ვიდრე გეწვევა აღსასრული უცილობელი,  
უნდა მოასწრო სილამაზის გადაბარება,

რათა ბუნების ბომბეული სესხი - სიტურფე,  
არ გაჩანადეს უგნურებით, უთაბაუთოდ,  
წუთისოფელი საიქიოს თუ გაგისტუმრებს,  
შენმა სისხლხორცმა დაამშვენოს უნდა საწუთრო.

ჭკუათმყოფელი განა იმ სახლს გააცამტვერებს,  
რომელსაც უფრო აღამაზებს ზრუნვა სათუთი,  
ქედმოუხრელი დაუხვდება ზამთრის ნამქერებს  
და ვერ მოაშთობს ვერც სიკვდილის ამონასუნთქი?

მხოლოდ მფლანგველი! დააბრუნე ვალის ნაწილი -  
შენ მამა გყავდა და შენც გახდი მამა ყმაწვილის.

O, that you were yourself! but, love, you are  
No longer yours than you yourself here live:  
Against this coming end you should prepare,  
And your sweet semblance to some other give.

So should that beauty which you hold in lease  
Find no determination: then you were  
Yourself again after yourself's decease,  
When your sweet issue your sweet form should bear.

Who lets so fair a house fall to decay,  
Which husbandry in honour might uphold  
Against the stormy gusts of winter's day  
And barren rage of death's eternal cold?

O, none but unthrifths! Dear my love, you know  
You had a father: let your son say so.

14.

ვარსკვლავთა წყობით ვერას გეტყვი ზუსტად, გაბედვით, თავი მგონია თუმცა მოგვი - ვარსკვლავთმისანი, ოღონდ ვერ გამცნობ: ვერც კეთილ სვეს და ვერც - ავბედითს, ჭირს, შიმშილს, ავდარს - რანაირი უსწრებს ნიშანი.

არც ხვალინდელის ჭვრეტა ძალმიძს სულით უქმნადის - ვერ გამოვიცნობ ვერც ამინდებს ამა დროების, მორჭმულ ხელმწიფეს მომავალი რა ბედს უქადის - არ გამენდობა ვარსკვლავური კაზადონებით.

ორი უძრავი მნათის შუქი, ვარსკვლავთვალეზავ, თუმც უცხადესად მოასწავებს შენს ბედს მერმინდელს, ჭემარიტებას და მშვენებას გარდაცვალება არ უწერია, თუ დატოვებ ქვეყნად მემკვიდრეს.

ასე თუ არ იქმ - აი, ჩემი წინასწარხედვა:  
ემხიც, სიმართლევ შენთან ერთად ჟამით წარხედვა.

Not from the stars do I my judgment pluck;  
And yet methinks I have astronomy,  
But not to tell of good or evil luck,  
Of plagues, of dearths, or seasons' quality;

Nor can I fortune to brief minutes tell,  
Pointing to each his thunder, rain and wind,  
Or say with princes if it shall go well,  
By oft predict that I in heaven find:

But from thine eyes my knowledge I derive,  
And, constant stars, in them I read such art  
As truth and beauty shall together thrive,  
If from thyself to store thou wouldst convert;

Or else of thee this I prognosticate:  
Thy end is truth's and beauty's doom and date.

15.

როდესაც განვსჯი - ყველაფერი რაც აღმოცენდა,  
მცირე ხანია საწუთროში მხოლოდ მედეგი,  
მალე ბეზრდება ერთი ფონი სამყაროს სცენას  
და შეიცვლება ვარსკვლავების ზემოქმედებით.

როდესაც ვხვდები, ემსგავსება კაციც ნარგავებს -  
ცა აჭაბუკებს, ანებივრებს, სწყალობს საოცრად,  
სიამაყის წლებს ცარგვალივე უპატარავებს,  
მისი ზეობის ნაკვალევს და ხსოვნას წარხოცავს;

შემეშინდება - წუთისოფლის ჟამთა ცვლილობა  
შენშიც ეცდება სილამაზის კოკრის დაზრობას,  
რადგან დრო ჭკნობას გაუმართავს შენზე ცილობას -  
შავბნელი ღამით შეგიცვალოს ახალგაზრდობა.

ნუ გეშინია! შენში ჟამი რასაც შელახავს,  
რადგან მიყვარხარ, ჩემი ლექსით გამყნობ ხელახლა!

When I consider every thing that grows  
Holds in perfection but a little moment,  
That this huge stage presenteth nought but shows  
Whereon the stars in secret influence comment;

When I perceive that men as plants increase,  
Cheered and check'd even by the self-same sky,  
Vaunt in their youthful sap, at height decrease,  
And wear their brave state out of memory;

Then the conceit of this inconstant stay  
Sets you most rich in youth before my sight,  
Where wasteful Time debateth with Decay,  
To change your day of youth to sullied night;

And all in war with Time for love of you,  
As he takes from you, I engraft you new.

16.

უფროთხილდი დრო-ჟამს მოსისხარს და სასტიკ მწვალებელს,  
შეიარადდი - არ დაგიჰყროს ჭკნობის კირთებით,  
ზღუდედ აღმართე უფრო მძლავრი ციხე მალევე,  
ვიდრე მე შევძლებ შენთვის ლექსის ლიტონ რითმებით.

ბედნიერების მწვერვალზე ხარ ცადაყვანილი  
და ქალწულები დაუთესავ ვენახ-ბაღებით,  
მოისურვებდნენ გახარებას შენი ყვავილის,  
გემგვანებოდნენ შენს ნახატზე მეტად ბაღლები,

სანამდე დრო გაქვს, დაიჭირე შენი სარისტა -  
არ დაიკარგოს სილამაზე ღვთივკურთხეული,  
რამეთუ ჟამის საჭრეთელს და მგონის კალმისტარს  
არ შეუძლიათ დიდხანს დაცვა შენი სხეულის.

გადაბარე სილამაზე ნანინანატრი -  
მარად იცოცხლე შენი მსგავსის სხვაში ჩახატვით.

But wherefore do not you a mightier way  
Make war upon this bloody tyrant, Time?  
And fortify yourself in your decay  
With means more blessed than my barren rhyme?

Now stand you on the top of happy hours,  
And many maiden gardens yet unset  
With virtuous wish would bear your living flowers,  
Much liker than your painted counterfeit:

So should the lines of life that life repair,  
Which this, Time's pencil, or my pupil pen,  
Neither in inward worth nor outward fair,  
Can make you live yourself in eyes of men.

To give away yourself keeps yourself still,  
And you must live, drawn by your own sweet skill.



17.

ვინ ერწმუნება მომავალში სიტყვის ანდამატს,  
შენი სიქველის გადმოცემა თუ ვანდე კალამს?  
ზეცამ ხომ უწყის, ჩემი ლექსი მოჰგავს აკლამას,  
რომელიც შენი ღირსებების ნახევარს ჩქმალავს.

რომ შემძლებოდა ზედმიწევნით ქება ციერის -  
შენი მშვენიერების საკადრისი ხოტბა მგზნებარე,  
ჩემზე იტყოდნენ მომავალში: „ცრუობს ცბიერი -  
მიემადლებათ მსგავსი სახე მხოლოდ ზენარებს“.

როცა დრო-ჟამით გაყვითლდება დასტა ქალღდის,  
მაშინ ლექსები ნაყბედივით გატრიზავდება,  
გამონაგონად შერაცხავენ მგონის ღაღადისს,  
ანტიკურ ხანის სტროფთა თანმდევ გაზვიადებად;

თუკი იცოცხლებს იმ დროს შენი ერთი სისხლ-ხორციც,  
გაგაუკვდავებს ის და ლექსი ორმაგ სიცოცხლით.

Who will believe my verse in time to come,  
If it were fill'd with your most high deserts?  
Though yet, heaven knows, it is but as a tomb  
Which hides your life and shows not half your parts.

If I could write the beauty of your eyes  
And in fresh numbers number all your graces,  
The age to come would say 'This poet lies:  
Such heavenly touches ne'er touch'd earthly faces.'

So should my papers yellow'd with their age  
Be scorn'd like old men of less truth than tongue,  
And your true rights be term'd a poet's rage  
And stretched metre of an antique song;

But were some child of yours alive that time,  
You should live twice; in it and in my rhyme.

18.

ზაფხულის დილა შეგედრება თვალსაამური,  
მაგრამ ხარ მასზე ზომიერი და დახატული,  
მაისის კოკობს კოხშინშხალი ავნებს არმურის  
და მეტისმეტად ხანმოკლეა ხანი ზაფხულის.

ზოგჯერ ცის თვალი ზედმეტად სწავს ქვეყნიერებას,  
ან იფარება ღრუბლის ჯარით - ოქროცურვილი,  
ზოგჯერ დაცხრება მშვენებისგან მშვენიერება  
შემთხვევით, ანდა სტიქიონის ძალის სურვილით.

შენი მუდმივი ზაფხულია წარუხოცელი  
და შემორჩება ამ სამყაროს უხრწნად ნაყოფად,  
ველარც სიკვდილი დაიკვებნის შენი მოცეღვით,  
ყოველს ვიღონებ მაგ მშვენების უკვდავსაყოფად:

და ვიდრე ქვეყნად არ შეწყდება კაცთ ჟრიამული,  
მანამ გაცოცხლებს ჩემი ლექსი დითირამბული.

Shall I compare thee to a summer's day?  
Thou art more lovely and more temperate:  
Rough winds do shake the darling buds of May,  
And summer's lease hath all too short a date:

Sometime too hot the eye of heaven shines,  
And often is his gold complexion dimm'd;  
And every fair from fair sometime declines,  
By chance or nature's changing course untrimm'd;

But thy eternal summer shall not fade  
Nor lose possession of that fair thou owest;  
Nor shall Death brag thou wander'st in his shade,  
When in eternal lines to time thou growest:

So long as men can breathe or eyes can see,  
So long lives this and this gives life to thee.

19.

ჟამო მშთანთქმელო, დააბლაგვე ლომის ჭანგები,  
მიწის ნაშობი მიაბარე მიწის სამარხებს,  
ემვი დაამრე ვეფხვს და მოსპე გაჩანაგებით,  
ხოლო ფენიქსი მის საკუთარ სისხლში დახანძრე.

გაანებივრე ამინდებით, ტანჯე ავდრებით,  
ფეხმალს სრბოლით ვრცელ ქვეყანას როცა დაუვლი,  
რაც გასურს ის ქენი უკითხავად, შემაზარები  
მე აგიკრძალე მხოლოდ ერთი დანაშაული:

ხნულს ნუ გაუვლებ ძველი კალმით საყვარელ სახეს,  
გთხოვ, საათების მდინარეა იქ არ მიუშვა,  
წაუხდენელი და უცვლელი გადაუნახე  
შთამომავლობას – სილამაზის უჭკნობ ნიმუშად.

თუ მაინც გინდა, ჩაიძინე არამზადობა,  
შევუნარჩუნებ ლექსით მარად ახალგაზრდობას!

Devouring Time, blunt thou the lion's paws,  
And make the earth devour her own sweet brood;  
Pluck the keen teeth from the fierce tiger's jaws,  
And burn the long-lived phoenix in her blood;

Make glad and sorry seasons as thou fleets,  
And do whate'er thou wilt, swift-footed Time,  
To the wide world and all her fading sweets;  
But I forbid thee one most heinous crime:

O, carve not with thy hours my love's fair brow,  
Nor draw no lines there with thine antique pen;  
Him in thy course untainted do allow  
For beauty's pattern to succeeding men.

Yet, do thy worst, old Time: despite thy wrong,  
My love shall in my verse ever live young.

20.

ბუნებამ შეგქმნა დიაცივით ლამაზ ჭმნილებად,  
ბატონ-ქალბატონს ჩემი გზნების ამაღ შეგხარი,  
სათუთგულიანს, ხასიათის ხშირი ცვლილება  
დედაკაცივით არ გჩვევია - ერთგულს, ჭეშმარიტს.

ყალბი თვალებით არ მოჰგავხარ მერყევ დიაცებს,  
რასაც შესცქერი - აოქროვებ ოქროცურვილით,  
ვაჟკაცურ სახით მამაკაცთა მზერას იტაცებ  
და დედაკაცებს უფანცქალებ გულებს სურვილით.

რადგან ბუნება ქალად გქმნიდა ჯერეთ სათუთად,  
თავდავიწყებით შეუყვარდი გამომერწვისას,  
სქესი გიცვალა, შენი თავი დაისაკუთრა,  
შეუძლებლობა სიტრფიალის რათა მეწვნია.

თუმც არა უშავს, შევიყვარებ შენს გვამოვნებას,  
ხოლო დიაცებს მიანიჭე - სიამოვნება.

A woman's face with Nature's own hand painted  
Hast thou, the master-mistress of my passion;  
A woman's gentle heart, but not acquainted  
With shifting change, as is false women's fashion;

An eye more bright than theirs, less false in rolling,  
Gilding the object whereupon it gazeth;  
A man in hue, all 'hues' in his controlling,  
Much steals men's eyes and women's souls amazeth.

And for a woman wert thou first created;  
Till Nature, as she wrought thee, fell a-doting,  
And by addition me of thee defeated,  
By adding one thing to my purpose nothing.

But since she prick'd thee out for women's pleasure,  
Mine be thy love and thy love's use their treasure.

21.

მისებურ მუზას არასოდეს ვუხმობ საშველად,  
ვინც სილამაზეს აფერადებს შეთხზულ სიჩქურით,  
ზეცას იყენებს მურდახილად, ლექსის სამშვენად,  
დითირამბებით ცაში აჰყავს მისი მიჯნური,

ვინც მისი სატრფოს შედარების ღირსად იგულებს:  
მზესა და მთვარეს, იშვიათ განძს, ობოლ მარგალიტს  
და გაზაფხულის მახარობელ სათუთ პრიმულესს,  
საუნჯეს, რასაც შემოქობავს ზეცის ცარგვალი.

ტრფობაში სანდო, ლექსშიც ვლამობ პატიოსნებას,  
თუმცა ლაზათი დაჰყოლია ამათრთოლები,  
ჩემი მიჯნური ვერასოდეს გასხივოსნდება  
მსგავსად ღამეულ ცის ოქროვან მანათობლების.

დე, სხვებმა აქონ მეტისმეტად სხვათა თვისება,  
სატრფოს არ ვაქებ - რადგან არ მსურს გასასხვისებლად!

So is it not with me as with that Muse  
Stirr'd by a painted beauty to his verse,  
Who heaven itself for ornament doth use  
And every fair with his fair doth rehearse

Making a couplement of proud compare,  
With sun and moon, with earth and sea's rich gems,  
With April's first-born flowers, and all things rare  
That heaven's air in this huge rondure hems.

O' let me, true in love, but truly write,  
And then believe me, my love is as fair  
As any mother's child, though not so bright  
As those gold candles fix'd in heaven's air:

Let them say more than like of hearsay well;  
I will not praise that purpose not to sell.

22.

არ დაფუჯერებ ჩემს სიბერეს სარკის ანარეკლს,  
შენ და სინორჩე სანამდე ხართ ერთი ასაკის,  
ჟამის ორნატი თუ დაღარავს სახეს სანატრელს,  
სიკვდილს მოვუხმობ, ამოძირკვოს ჩემი ნასახი.

შენ ჩაითვლები ჩემი გულის ძვირფას ბინადრად,  
შენს მშვენებაზე უმტკიცესი არ სურს აღმაგი,  
შენში ბინადრობს ჩემი გული, ზუსტად იმგვარად,  
ვით შენი - ჩემში, მამ როგორ ვარ შენზე ჭარმაგი?

თავს მოუარე, საყვარელო, უფრო გაფრთხილდი,  
მეც შევეცდები თავის მიმართ მეტად გავმკაცრდე -  
შემოსახლებულ გულს სჭირდება მზერა მახვილი,  
რათა ვარიდო მორუდუნე ძიძამ განსაცდელს.

მაგრამ იცოდე, თუ ქვესკნელი ჩემს გულს ჩაჩუმქრავს,  
მას არ ვაბრუნებ, რაც მომეცი ერთხელ საჩუქრად!

My glass shall not persuade me I am old,  
So long as youth and thou are of one date;  
But when in thee time's furrows I behold,  
Then look I death my days should expiate.

For all that beauty that doth cover thee  
Is but the seemly raiment of my heart,  
Which in thy breast doth live, as thine in me:  
How can I then be elder than thou art?

O, therefore, love, be of thyself so wary  
As I, not for myself, but for thee will;  
Bearing thy heart, which I will keep so chary  
As tender nurse her babe from faring ill.

Presume not on thy heart when mine is slain;  
Thou gavest me thine, not to give back again.

23.

ვით უხეირო მსახიობი აკანკალებით  
როლს ივიწყებს და მიაშურებს ბორგვით კულისებს,  
ან ეკარგება მეტისმეტი ღელვით ძალები  
არჯალს, როდესაც მრისხანება გააგულისებს.

მეც, რწმენანაკლულს, მიძნელდება მთელი სიცხადით  
გაგინდო ჩემი ხვაშიადი, თავთან ვმარცხდები,  
თითქოს ჩემშია სიყვარულის ცეცხლი მიმცხრალი,  
საკუთარ ტრფობის სიძლიერის მძაფრი განცდებით.

ამიტომ ვუხმობ შუამავლად ლექსის საუფლოს,  
თხზულებას ვაქცევ ჩემი გრძნობის მდუმარ შათირად,  
რომ შეგავედროს საპასუხო გრძნობა სანუქვოდ -  
მეტყველ ენაზე უკეთ გამცნოს ტრფობა შაირმა.

ნაწერით მიხვდი, რა სურს ტრფიალს მოსაწონებლად,  
თვალეებით სმენა - მოწმობს ტრფობის ნატივ გონებას.

As an unperfect actor on the stage  
Who with his fear is put besides his part,  
Or some fierce thing replete with too much rage,  
Whose strength's abundance weakens his own heart.

So I, for fear of trust, forget to say  
The perfect ceremony of love's rite,  
And in mine own love's strength seem to decay,  
O'ercharged with burden of mine own love's might.

O, let my books be then the eloquence  
And dumb presagers of my speaking breast,  
Who plead for love and look for recompense  
More than that tongue that more hath more express'd.

O, learn to read what silent love hath writ:  
To hear with eyes belongs to love's fine wit.

24.

მხატვარმა თვალმა აღმიბეჭდა მახვილ საჭრეთლით  
გულის ფიცარზე შენი სახის ამონატვიფრი,  
ჩემი ტანია ამ სურათის ჩარჩო, საჭვრეტი  
პერსპექტივა კი - რჩეულ მხატვრის ხერხი ნატიფი.

შენი სურათის ხილვა თუ გსურს, ნებისდამრთველი  
დამხატავია, მან დაგმანა გულის სამანით,  
ჩემი გულმკერდის სახელოსნოს ორი სარკმელი  
შემინულია მაგ თვალების მბრწყინავ დამანით.

ჩვენი თვალები მზად არიან სამსახურებლად -  
ჩემი თვალები თუ ხატავენ მშვენიერებას,  
შენი - გულმკერდში დამყოლია სანათურებად,  
სადაც მზეს უყვარს შეჭვრეტა და შენი ფერება.

თუმცა ხატვისას დაუშვებენ თვალნი შეცდომას,  
ნანახს ხატავენ და არ ძალუძთ გულის შეცნობა.

Mine eye hath play'd the painter and hath stell'd  
Thy beauty's form in table of my heart;  
My body is the frame wherein 'tis held,  
And perspective it is the painter's art.

For through the painter must you see his skill,  
To find where your true image pictured lies;  
Which in my bosom's shop is hanging still,  
That hath his windows glazed with thine eyes.

Now see what good turns eyes for eyes have done:  
Mine eyes have drawn thy shape, and thine for me  
Are windows to my breast, where-through the sun  
Delights to peep, to gaze therein on thee;

Yet eyes this cunning want to grace their art;  
They draw but what they see, know not the heart.



25.

ბედის ვარსკვლავმა ვინც აავსო ნასიკეთარით,  
დე, დაიქადნოს ტიტულით და პატივისდებით,  
ამგვარ წყალობით ვერ ვიქნები ვერცროს მკვეხარო,  
სულ სხვანაირი საბოძვართ რადგან ვმდიდრდები.

აღზევდებიან რჩეულები მეფისწულების,  
როგორც მზის გულზე აყვავება იცის ნარგიზმა,  
მაგრამ ერთხელაც მბრძანებლისგან შერისხულები  
წახდებიან და დაკარგავენ პატივს, ქარიზმას.

სპასპეტს გადამხდელს ათას ბრძოლის, დამძლევს მომხდურის  
ბოლოს თუ ელის ერთი მარცხით განადგურება,  
მემატიანე გაიხსენებს მაინც მომდურვით,  
დიდების წიგნში დაუკნინებს დამსახურებას.

მათსავით მე ვერ წამართმევენ ტალანტს საოცარს,  
მიყვარს, ვუყვარვარ - ამ სიყვარულს ვერრა წარხოცავს.

Let those who are in favour with their stars  
Of public honour and proud titles boast,  
Whilst I, whom fortune of such triumph bars,  
Unlooked for joy in that I honour most.

Great princes' favourites their fair leaves spread  
But as the marigold at the sun's eye,  
And in themselves their pride lies buried,  
For at a frown they in their glory die.

The painful warrior famed for fight,  
After a thousand victories once foiled,  
Is from the book of honour rased quite,  
And all the rest forgot for which he toiled:

Then happy I that love and am beloved  
Where I may not remove, nor be removed.

26.

უფალო ჩემი სიყვარულის, რომლის ვასლობა  
ვირჩიე შენი ღირსებების თანაგანმცდელმა,  
ლექსებს მივანდე მიჯნურობის შუამავლობა,  
წარმოსაჩენად განა ჭკუის, - თაყვანსაცემად.

ჯეროვნად ხოტბა ვერ გიძღვენი გონებამწირმა,  
ვალის გადახდა თუმც შეეძლო სიტყვას აწონილს,  
მაგრამ მე მჯერა, შენი გული რომ არ გამწირავს,  
შიშველ აზრს სამოსს უწილადებს კეთილგანწყობის.

ბედის ვარსკვლავი სიბნელეში ჩემი მარები,  
თუკი სიკეთეს მიწყალობებს ალიცლიცებით,  
დამონძილ ტრფობას შემიმოსავს ძვირფას სტავრებით,  
ღირსი გავხდები მაშინ შენი პატივისცემის,

რარიგ მიყვარხარ, ზაგეს მხოლოდ იმ დროს დასცდება,  
ხოლო მანამდე არ გეწვევი გამოსაცდელად.

Lord of my love, to whom in vassalage  
Thy merit hath my duty strongly knit,  
To thee I send this written ambassage  
To witness duty, not to show my wit;

Duty so great, which wit so poor as mine  
May make seem bare, in wanting words to show it,  
But that I hope some good conceit of thine  
In thy soul's thought (all naked) will bestow it,

Till whatsoever star that guides my moving  
Points on me graciously with fair aspect,  
And puts apparel on my tottered loving,  
To show me worthy of thy sweet respect:

Then may I dare to boast how I do love thee,  
Till then, not show my head where thou mayst prove me.

27.

სარეცელისკენ მივიჩქარი, რათა დაწოლით  
შვება მოვგვარო ნაჯაფარ და ნამგზავრ კიდურებს,  
მაგრამ გონება არ ისვენებს, ფიქრებს წამოშლის  
და შენკენ სწრაფვით სურს გამოსცდეს გზებს და ხიდურებს:

რადგან გონს შენგან დაშორებულს კარგა მანძილით  
დაუფლებია მომლოცველის საღმრთო განზრახვა,  
ნებას არ აძლევს აღარც თვალებს ძილში ჩამირვის  
და აიძულებს ბნელში ჭკრეტდნენ ბრმათა სანახავს.

მომელანდება წარმოსახვით ხატი ხალასი,  
თვალის მაგივრად დამანახებს სული სანუკველს,  
კუნაპეტ ღამეს გაანათებ მსგავსად ალმასის  
და ბებერ სახეს სილამაზით გაუჭაბუკებ.

შენით მაშვრალმა მყუდროება ვერ დავიძვედი რე,  
დღე სხეული მღლის, ღამით მირღვევს ფიქრი სიმშვიდეს.

Weary with toil, I haste me to my bed,  
The dear repose for limbs with travel tired;  
But then begins a journey in my head  
To work my mind, when body's work's expired:

For then my thoughts--from far where I abide--  
Intend a zealous pilgrimage to thee,  
And keep my drooping eyelids open wide,  
Looking on darkness which the blind do see:

Save that my soul's imaginary sight  
Presents thy shadow to my sightless view,  
Which, like a jewel hung in ghastly night,  
Makes black night beautiful, and her old face new.

Lo! thus, by day my limbs, by night my mind,  
For thee, and for myself, no quiet find.

28.

როგორღა უნდა დამიბრუნდეს კარგი გუნება,  
თუ მოსვენება წამრთმევეია ჟამის მცდელობით?  
ვერ მიმსუბუქებს ღამე, რაც დღით დაითრგუნება  
და დამტანჯავენ დღე და ღამე მონაცვლეობით.

დასაბამიდან ერთმანეთის სამტროდ დაგეშილთ,  
პირი შეუკრავთ ჩემს საქენჯნად, როგორც მაცილებს,  
დღე ჯაფით მქანცავს, ხოლო ღამე - მწარე კაეშნით,  
ეს სიმძიმელი შენს თავს უფრო ჩამომაცილებს.

დღის საამებლად ვამბობ: შენ ხარ მნათი ლაჟვარდის,  
მოქუფრულ ცის დროს, კამკაშა მზედ აელვარდები,  
უვარსკვლავებო მრუმე ღამეს ვეტყვი ლაქარდით:  
ბინდისფერ ცაში იციაგებ, ვით პლეადები.

თუმც არ მომაკლებს სასტიკი დღე მაინც ვაებას  
და ღამეც ცდილობს სადარდებელს დარდი წაებას.

How can I then return in happy plight,  
That am debarred the benefit of rest?  
When day's oppression is not eas'd by night,  
But day by night and night by day oppressed,

And each, though enemies to either's reign,  
Do in consent shake hands to torture me,  
The one by toil, the other to complain  
How far I toil, still farther off from thee.

I tell the day, to please him thou art bright,  
And dost him grace when clouds do blot the heaven:  
So flatter I the swart-complexion'd night,  
When sparkling stars twire not thou gild'st the even.

But day doth daily draw my sorrows longer,  
And night doth nightly make grief's length seem stronger.

29.

არ ვურიგდები ავბედისგან რგებულ ჯაღადირს,  
აბუებული, გარიყული, მოსაყვედურე,  
სმენადანშულ ცას შევაწუხებ ფუჭი დაღადით,  
თავბედს ვიწყევლი უბედური თავის შემყურე,

შემეხარბება მაშინ ზოგის - შემმართველობა,  
ქმნულკეთილობა, მოხდენილი ამხანაგები,  
დიდოსტატობა, გონებრივი შესაძლებლობა -  
განაწყენებულს ბოძებული ძღვენით განგების;

ამგვარ ფიქრებით თავის მკიცხველს შეუბრალებლად,  
გამახსენდები უცაბედად, ცას თვალს შევმართავ,  
ტოროლას მსგავსად უსწრაფესად სული მალღდება  
პირქუშ მიწიდან, ჰიმნებს გალობს ზეცის ბჭკართან.

ჩემო საუნჯევ, რადგან ფიქრში მზებერ აენთე,  
ჩემს ბედს არ გავცვლი ხელმწიფეთა არცერთ ფაენზე!

When, in disgrace with fortune and men's eyes,  
I all alone bewep my outcast state  
And trouble deaf heaven with my bootless cries  
And look upon myself and curse my fate,

Wishing me like to one more rich in hope,  
Featured like him, like him with friends possess'd,  
Desiring this man's art and that man's scope,  
With what I most enjoy contented least;

Yet in these thoughts myself almost despising,  
Haply I think on thee, and then my state,  
Like to the lark at break of day arising  
From sullen earth, sings hymns at heaven's gate;

For thy sweet love remember'd such wealth brings  
That then I scorn to change my state with kings.

30.

ფიქრთა სამსჯავროს გამართული უტყვი სხდომებით  
როცა ხერხდება გარდასულის განმზოლოება,  
ნანვით აღმავსებს სიყმაწვილის გადაცდომები,  
ხელახლა მიწევს ძვირფას წლების გამოგლოვება.

დამშრალი თვალი მოიგონებს ცრემლის ღვარებით  
უვადო ღამით გადამალულ თანამესუფრეთ,  
კვლავ ამატირებს მინავლული ტანჯვა ყვარების,  
ამაჟვითინებს ვინც გაიხმო სულთა მეუფემ.

ისევ მაგლოვებს გადავლილი სამგლოვიარო  
და სიმძიმით დამძიმებულ გულგვამს გამოხრავს,  
სურს სატანჯველი კიდევ ერთხელ გამოვიარო,  
ძველ პანაშვიდებს არ ჩამითვლის სულთა საოხად;

ამასობაში შენი სახე ფიქრში ნათდება  
და აღარ მნებავს ჩემი ბედის დამუნათება.

When to the sessions of sweet silent thought  
I summon up remembrance of things past,  
I sigh the lack of many a thing I sought,  
And with old woes new wail my dear time's waste:

Then can I drown an eye, unused to flow,  
For precious friends hid in death's dateless night,  
And weep afresh love's long since cancell'd woe,  
And moan the expense of many a vanish'd sight:

Then can I grieve at grievances foregone,  
And heavily from woe to woe tell o'er  
The sad account of fore-bemoaned moan,  
Which I new pay as if not paid before.

But if the while I think on thee, dear friend,  
All losses are restored and sorrows end.

31.

შენი მკერდია იმათ გულთა მყუდრო ხანაგი,  
მოსაკლისებით ვინც მეგონა მიცვალებული,  
ვინც მკვდრად შევრაცხე, შენში ყველა ის ამხანაგი  
გაცოცხლებულა, სიყვარულით მიმადლებული.

მათ შესანდობრად უამრავი ლოცვა აღმოძხდა,  
საღვთო ტრფიალით თვალი ღვრიდა ცრემლთა ნიაღვრებს,  
რომ საკურთხევით შემეწირა სულთა საოხად;  
შენში გაცოცხლდნენ აწ და მკერდში დააბინადრე.

დაკრძალულ ტრფობის ხარ მარადი დასაყუდარი,  
რომელსაც ამკობს ყველა ჩემი მეტრფის ნადავლი,  
ჩემდამი ტრფობა მოგაბარა ყველამ მუდარით  
და ახლა შენ ხარ ერთადერთი მათი ნაცვალი;

რადგან შენშია ყველა სახე ნასათუთარი,  
მხოლოდ შენია ერთ დროს მათი ნასაკუთრალი!

Thy bosom is endeared with all hearts,  
Which I by lacking have supposed dead,  
And there reigns love and all love's loving parts,  
And all those friends which I thought buried.

How many a holy and obsequious tear  
Hath dear religious love stol'n from mine eye  
As interest of the dead, which now appear  
But things removed that hidden in thee lie!

Thou art the grave where buried love doth live,  
Hung with the trophies of my lovers gone,  
Who all their parts of me to thee did give;  
That due of many now is thine alone:

Their images I loved I view in thee,  
And thou, all they, hast all the all of me.

32.

ტლანქი სიკვდილი კურთხეულ დღეს როს მომაკითხავს  
და ღვთის განგებით ამასოფელს განვეშორები,  
განსვენებული შენი მეტრფის ლექსთა წაკითხვას  
კარგა ხნის შემდეგ თუ ინებებ განშეორებით

და შეადარებ მონაპოვართ ახალ ეპოქის,  
დაიჩრდილება თხზულებებით მრავალ კალმოსნის,  
თუმცა დაჯაბნის რჩეულ ლექსებს ყველა მეტოქის  
გაუხუნარი სიყვარულით შემკულ სამოსით.

მაშინ იზრახე: „იქნებოდა თუკი უვნებლად  
ჩემი მეხოტბე ახალ დროშიც, როგორც ზმირინი  
მისი თხზულება მეფრქვეოდა კეთილსურნელად  
და შეამკობდა რჩეულ მგოსნის დაფნის გვირგვინი:

მაგრამ მკვდარია, სხვისი ლექსი რითმით ელვარებს,  
ხოლო მის ლექსში გამოსჭვივის ჩემი შემყვარე“.

If thou survive my well-contented day,  
When that churl Death my bones with dust shall cover,  
And shalt by fortune once more re-survey  
These poor rude lines of thy deceased lover,

Compare them with the bettering of the time,  
And though they be outstripp'd by every pen,  
Reserve them for my love, not for their rhyme,  
Exceeded by the height of happier men.

O, then vouchsafe me but this loving thought:  
'Had my friend's Muse grown with this growing age,  
A dearer birth than this his love had brought,  
To march in ranks of better equipage:

But since he died and poets better prove,  
Theirs for their style I'll read, his for his love'.



33.

ბევრჯერ მინახავს ალიონზე მნათის ალერსით  
ნაამბორალი მწვერვალები - განაბრუები,  
მზიური ბაგით ნაფერები მდელოს ალერდი,  
ცის ჯადოსნობით დაფერილი წმინდა რუები.

ხანდახან ღრუბლებს თანმხლებლებად გამოიძახებს  
ზეცის თავანი, იქუფრება მათი ამალით,  
წამხდარ სამყაროს მოარიდებს ღვთიურ პირსახეს,  
გაიძურწება დასავლეთში თავპირნამალი.

ჩემი მზეც ასე მინათებდა დილასისხამზე,  
ვარაყდებოდა შუბლი ციურ ოქროცურვილით,  
თუმცა ერთ საათს მელამუნა სხივთა სინაზე,  
თვალს მიეფარა მომიჯნავე ღრუბლით ბურვილი.

მაგრამ საყვარელს წავუყენებ განა ბრალდებას,  
რას ვთხოვ მიწის მზეს, ზეცის მზეც თუ დალაქავდება?!

Full many a glorious morning have I seen  
Flatter the mountain-tops with sovereign eye,  
Kissing with golden face the meadows green,  
Gilding pale streams with heavenly alchemy;

Anon permit the basest clouds to ride  
With ugly rack on his celestial face,  
And from the forlorn world his visage hide,  
Stealing unseen to west with this disgrace:

Even so my sun one early morn did shine  
With all triumphant splendor on my brow;  
But out, alack! he was but one hour mine;  
The region cloud hath mask'd him from me now.

Yet him for this my love no whit disdaineth;  
Suns of the world may stain when heaven's sun staineth.

34.

დარიან ამინდს მპირდებოდი დანამდვილებით,  
დაგიჯერე და არ წავიდე გზაში საკუხი,  
მაგრამ გაავდრდა, მიიჩქმალა ჩემგან ნისლებით  
სწორუპოვარი შენი სახე ღვთისგან ნაკურთხი.

წამოწეულმაც ვერ ჩამიქრე მდურვის ბალდამი,  
როცა შემიშრე სახე თავსხმით ნაგვემ-ნაკბენი,  
თუნდ განიკურნოს უმძიმესი წყლული ბალზამით,  
ვერ გამოდგება ნუგეშინისმცემლად ნაწყენის.

შენი დარცხვენაც ვერ უშველის გულის სატკივარს,  
ეგ შენანებაც კურნებისთვის სრულად არ მყოფნის,  
შემცოდის ნანვა სუსტად წამლობს ენით ნატყვიარს,  
ოდნავ ამჩატებს უმძიმეს ჯვარს შეურაცხყოფის.

თუმც მარგალიტის წრფელი ცრემლი, განა ყასიდი,  
არის სიავის შესაფერი გამოსასყიდი.

Why didst thou promise such a beauteous day,  
And make me travel forth without my cloak,  
To let base clouds o'ertake me in my way,  
Hiding thy bravery in their rotten smoke?

'Tis not enough that through the cloud thou break,  
To dry the rain on my storm-beaten face,  
For no man well of such a salve can speak  
That heals the wound and cures not the disgrace:

Nor can thy shame give physic to my grief;  
Though thou repent, yet I have still the loss:  
The offender's sorrow lends but weak relief  
To him that bears the strong offence's cross.

Ah! but those tears are pearl which thy love sheds,  
And they are rich and ransom all ill deeds.

35.

ნამოქმედარი ნუ განადვლებს, ნუ ხარ მგლოვარე:  
ვარდს ეკლები აქვს და წყაროებს მოსდევს ლამგორი,  
ღრუბლები ფარავთ, ბნელდებიან მზე და მთოვარე  
და საძაგელი მატლი ხარობს კოკრის ამბორით.

ყველა შესცოდავს, ხოლო მე ვარ ლექსით შემცოდე,  
შედარებებით რომ გამართლებ და ბრმად გენდობი,  
თავს ვიზიანებ, როდესაც შენს მძიმე შეცდომებს  
ახსნას ვუძებნი, წაგაქეზებ ზედმეტ შენდობით;

ავისმოქმედი როცა მაინც შემებრალება –  
დუშმანს ვქომაგობ, საკუთარი თავის სანაცვლოდ,  
მის სასარგებლოდ წავუყენებ ჩემს თავს ბრალდებას,  
ზიზღს და სიყვარულს სურთ ერთერთი ხანძრით დანაცრონ,

რამეთუ გავხდი უნებური თანამგრძობელი  
დაუნდობელი მძარცველის და ჩემი მგმობელის.

No more be grieved at that which thou hast done:  
Roses have thorns, and silver fountains mud;  
Clouds and eclipses stain both moon and sun,  
And loathsome canker lives in sweetest bud.

All men make faults, and even I in this,  
Authorizing thy trespass with compare,  
Myself corrupting, salving thy amiss,  
Excusing thy sins more than thy sins are;

For to thy sensual fault I bring in sense --  
Thy adverse party is thy advocate --  
And 'gainst myself a lawful plea commence:  
Such civil war is in my love and hate

That I an accessory needs must be  
To that sweet thief which sourly robs from me.

36.

კვლავ ორ ნაწილად უნდა ვიქცეთ შეყრილი მრჩობლად,  
თუმც არ იყოფა სიყვარული გადაგებული:  
ორივეს სირცხვილს კისრად ვიდებ შთენილი ობლად,  
რათა მე ვიყო მარტოოდენ ყბადაღებული.

ჩვენს სიყვარულში საერთოა მოწადინება,  
თუმც გამთიშველი ღვარძლი გვაკვებს მწარე განცდებით;  
ტრფობის დამცრობა აღარ ძალუმს დროთა დინებას,  
მაგრამ საათებს მოგვპარავს და ნაკლებ განვცხრებით.

დღეიდან სალამს აღარ გეტყვი სააშკაროდ -  
თორემ მიჯნურის შეცოდება შენც დაგბრალდება,  
გთხოვ ამერიდო შეხვედრისას, რომ არ დაგძრახონ  
ცილისწამებით გამჭორავმა ყიამყრალეზმა.

რადგან მიყვარხარ, შენს სახელზე ვზრუნავ წუხილით,  
შენი ღირსება ჩემიცაა და გაუფრთხილდი!

Let me confess that we two must be twain,  
Although our undivided loves are one:  
So shall those blots that do with me remain  
Without thy help by me be borne alone.

In our two loves there is but one respect,  
Though in our lives a separable spite,  
Which though it alter not love's sole effect,  
Yet doth it steal sweet hours from love's delight.

I may not evermore acknowledge thee,  
Lest my bewailed guilt should do thee shame,  
Nor thou with public kindness honour me,  
Unless thou take that honour from thy name:

But do not so; I love thee in such sort  
As, thou being mine, mine is thy good report.

37.

ვით მოხუც მამას გაახარებს შვილის ქველობა,  
ახალგაზრდული შემართება, შეხედულება,  
მეც ბედისწერის ბოროტებით ჩაგრულს, მკვლობარს,  
ნუგეშს მგვრის შენი სიძვირფასე და ერთგულება.

გვარიშვილობა, სილამაზე, ჭკუა, სიმდიდრე,  
ნებისმიერი სათნოება განმადიდები,  
მემკვიდრეობით გადმოგეცა, ან დაიმკვიდრე,  
მეც შეგიერთდი სიყვარულის ავლადიდებით.

თავს აღარ ჩავთვლი უკვე კოჭლად, გლახად, საძაგლად,  
ურიცხვ ღირსების მანეტარებს რადგან აჩრდილიც,  
შენი ბარაქით დამშეული გული გამძღარა,  
ტკბება უზომო სიდიადის ძვირფას ხადილით.

არ მოგკლებოდეს წყალობა და სიმშვენიერე  
და მეც ათმაგად ვიხარებ და ვიბედნიერებ!

As a decrepit father takes delight  
To see his active child do deeds of youth,  
So I, made lame by fortune's dearest spite,  
Take all my comfort of thy worth and truth.

For whether beauty, birth, or wealth, or wit,  
Or any of these all, or all, or more,  
Entitled in thy parts do crowned sit,  
I make my love engrafted to this store:

So then I am not lame, poor, nor despised,  
Whilst that this shadow doth such substance give  
That I in thy abundance am sufficed  
And by a part of all thy glory live.

Look, what is best, that best I wish in thee:  
This wish I have; then ten times happy me!

38.

რად შევაწუხო ჩემი მუზა ნაცოდვილართ,  
თუ შენი სუნთქვა გარდიქმნება უკვდავ პწკარებად,  
ლექსის დვრიტა ხარ, კაზმულ სიტყვად გადმომდინარი,  
მდარე ქალაღდიც შენს საქებრად ვით გეკადრება?

მე ნუ შემაქებ, ფასეული არ ვარ უშენოდ,  
ლექსი თუ მოგწონს - ლიბოც შენ ხარ, შემაწევარიც,  
ამეტყველდება რადგან შენი მზეერთი უენოც,  
უბირი გლახაც შეიქნება ენამჭევარი.

იქმენ მეთე მუზა, ათჯერ აღმატებული  
ძველ ცხრა მუზაზე და ვისაც სურს გაუკვდავება  
შემოგლადლებს, მისი ლექსი წარმატებული  
საუკუნეთა დავიწყებას გაუმკლავდება.

თუ ესათნოვა ჩემი მუზა მომთხოვნ დროებას,  
ჯაფა მე მერგოს, შენ - ხოტბა და დამყუდროება!

How can my Muse want subject to invent,  
While thou dost breathe, that pour'st into my verse  
Thine own sweet argument, too excellent  
For every vulgar paper to rehearse?

O, give thyself the thanks, if aught in me  
Worthy perusal stand against thy sight;  
For who's so dumb that cannot write to thee,  
When thou thyself dost give invention light?

Be thou the tenth Muse, ten times more in worth  
Than those old nine which rhymers invoke;  
And he that calls on thee, let him bring forth  
Eternal numbers to outlive long date.

If my slight Muse do please these curious days,  
The pain be mine, but thine shall be the praise.

39.

შენი სიქველის საკადრისი ქების აღვლენა,  
ჩემი ნაწილი რადგანაც ხარ, აწ გაჭირდება,  
ის რაც შენია, სამხელოა გამოსავლენად  
და შენი ხოტბა ჩამეთვლება თვითგანდიდებად.

თუნდ ამის გამო, ღირს ორივეს განაპირება,  
ერთიან ტრფობის სახელი რომ აღარ ახსენონ  
და სათანადოდ განვადიდო ქებით ღირსება  
რაც შენ გეკუთვნის, არჩივია მხოლოდ სამენო.

ო, განშორება ერთიორად დამტანჯველია,  
მონიჭებული მოსაწყენი მოცალეობა  
უერთმანეთო ფიქრებით თუ გასავლელია  
და დროს ვერ მოკლავს ტრფობის აზრთა მონაცვლეობა.

ერთიანობის გაყოფაა ზოგჯერ მეშველი,  
ხოტბა შევასხათ შორს მყოფ სატრფოს, როგორც შეშვენის!

O, how thy worth with manners may I sing,  
When thou art all the better part of me?  
What can mine own praise to mine own self bring?  
And what is 't but mine own when I praise thee?

Even for this let us divided live,  
And our dear love lose name of single one,  
That by this separation I may give  
That due to thee which thou deservest alone.

O absence, what a torment wouldst thou prove,  
Were it not thy sour leisure gave sweet leave  
To entertain the time with thoughts of love,  
Which time and thoughts so sweetly doth deceive,

And that thou teachest how to make one twain,  
By praising him here who doth hence remain!

40.

წაილე ყველა სიყვარული ჩემგან ფადილით!  
ნუთუ იქნება ადრინდელზე ცხოველმყოფელი?  
ნაღდ სიყვარულად გასაღდება არანამდვილი;  
შენ გეკუთვნოდა ადრეც ჩემი ტრფობა ყოველი.

თუ სიყვარულით მოგეძალა გულის ფეთება  
და ტრფობას მტაცებ - არ გაბრალი მუხანათობას,  
ცოდვად გეთვლება თუმც თვითრჯულის სულისკვეთება  
და სიყვარულად შერაცხილი თავის გართობა.

მაინც შეგინდობ ჩემს გამარცვას სათნო ყაჩაღო,  
ავაზაკობით თუმც წამართვი ცოტაოდენიც;  
ტრფობამ ხომ უწყის, ღალატია უფრო სანადვლო  
მიჯნურის, ვიდრე მტრის სიავე მოსალოდნელი.

მრუშო მშვენებავ, კეთილად ჩანს შენში უგვანიც,  
თუნდ წყრომით მომკალ, ნუ გახდები ოღონდ დუშმანი!

Take all my loves, my love, yea, take them all;  
What hast thou then more than thou hadst before?  
No love, my love, that thou mayst true love call;  
All mine was thine before thou hadst this more.

Then if for my love thou my love receivest,  
I cannot blame thee for my love thou usest;  
But yet be blamed, if thou thyself deceivest  
By wilful taste of what thyself refuseth.

I do forgive thy robbery, gentle thief,  
Although thou steal thee all my poverty;  
And yet, love knows, it is a greater grief  
To bear love's wrong than hate's known injury.

Lascivious grace, in whom all ill well shows,  
Kill me with spites; yet we must not be foes.



41.

მიმზიდველ ცოდვებს, წარმოშობილს თავისუფლებით,  
როცა შენს გულში ჩემ მაგივრად სხვა ისადგურებს,  
ესადაგება ეგ მშვენიეზაც, სიყრმეც სრულებით,  
რადგან სადაც ხარ, აიდევენებ მუდამ საცდურებს.

გამარჯვეზა სურთ, როცა გჭვრეტენ კეთილს, უტურფეს,  
ეშურებიან სილამაზის მოსახელთებლად,  
ქალის ნაშობ კაცს ნაკლებ ძალუმს ქალთა ხუმტურებს  
წინაალუდგეს და ნებდება ჟინის კვეთებას.

ვაჰმე! წამგვარე ერთადერთი საზადებელიც,  
ვნების დათრგუნვა არ ინდომე გულში გაკიცხვით,  
გრძნობააშლილმა გამიჩინე სადარდებელი,  
ორჯერ შეზღალე ერთგულების აღთქმა ნავიცო:

ჩემი მიჯნურის – ვინც დახარბდა იერს სანატრელს  
და შენი - რადგან მეგობართან იმუხანათე.

Those pretty wrongs that liberty commits,  
When I am sometime absent from thy heart,  
Thy beauty, and thy years full well befits,  
For still temptation follows where thou art.

Gentle thou art, and therefore to be won,  
Beauteous thou art, therefore to be assailed;  
And when a woman woos, what woman's son  
Will sourly leave her till he have prevailed?

Ay me! but yet thou mightst my seat forbear,  
And chide thy beauty and thy straying youth,  
Who lead thee in their riot even there  
Where thou art forced to break a twofold truth:

Hers by thy beauty tempting her to thee,  
Thine by thy beauty being false to me.

42.

სატრფოს წართმევაც ჯერ არ არის მთელი ვარამი,  
თუმცა მიყვარდა მგზნებარებით და გულს ათბობდა,  
მან რომ ხელთ გიგდო, ეს უფროა ჩემი მზარავი,  
ბევრად დამთრგუნავს ნანდაურის მუხანათობა.

თუმც ჩემი ზრახვა განსასჯელად ნაკლებ მკაცრია:  
იმიტომ ეტრფი, შემიყვარდა რადგან მხურვალედ,  
ხოლო მიჯნურმა ზურგი იმად შემომაქცია,  
შენ რომ მიყვარხარ და შენც აზრი არ შეუცვალე.

შენი დაკარგვით შეყვარებულს შენს თავს ვაჩუქებ,  
მას თუ დაკარგავ, გამდიდრდები ნაალაფევით,  
ერთურთს იპოვის სილამაზე და სიჩაუქე,  
დამეკისრება მძიმე ჯვარი ნაღალატევის.

თავმოტყუებავ! ერთნი თუ ვართ, შემცოდ სატრფოსაც,  
ჩემო რაყიფო, მე ვუყვარვარ მაშინ მარტოკა!

That thou hast her, it is not all my grief,  
And yet it may be said I loved her dearly;  
That she hath thee, is of my wailing chief,  
A loss in love that touches me more nearly.

Loving offenders, thus I will excuse ye:  
Thou dost love her, because thou knowst I love her;  
And for my sake even so doth she abuse me,  
Suffering my friend for my sake to approve her.

If I lose thee, my loss is my love's gain,  
And losing her, my friend hath found that loss;  
Both find each other, and I lose both twain,  
And both for my sake lay on me this cross:

But here's the joy; my friend and I are one;  
Sweet flattery! then she loves but me alone.

43.

მინაბულ თვალებს ჭვრეტა უკეთ მოემადლებათ,  
რადგან მთელი დღე შესცქერიან ნაკლებ ღირებულს,  
ძილში მეწვევი სიზმარეულ ძვირფას თანმხლებად,  
მზერას მოგაპყრობ ყიამეთში წარმოჩინებულს.

შენი აჩრდილით ცისკროვნდება სხვა აჩრდილებიც,  
რა დიდებული იქნებოდა, მონატრებული,  
თუ მომალხენდი დღის ნათელშიც - სინამდვილეში,  
რადგანაც თვალს მჭრი სიბნელეში მოლანდებულცი!

მელირსებოდა განუზომლად დიდი წყალობა  
შენი ხატების ცხადში ხილვით, ნაცვლად ნასიზმრის,  
რამეთუ ძალუმს მოზმანებულ ლანდსაც ნაკლოვანს  
თვალებს შემორჩეს ღამეული გამონაჭვირით!

ღამედ მექცევა უშენობით დღეთა ნათებაც,  
თუ მესიზმრები, ღამეც დღეებრ აქათქათდება.

When most I wink, then do mine eyes best see,  
For all the day they view things unrespected;  
But when I sleep, in dreams they look on thee,  
And darkly bright are bright in dark directed.

Then thou, whose shadow shadows doth make bright,  
How would thy shadow's form form happy show  
To the clear day with thy much clearer light,  
When to unseeing eyes thy shade shines so!

How would, I say, mine eyes be blessed made  
By looking on thee in the living day,  
When in dead night thy fair imperfect shade  
Through heavy sleep on sightless eyes doth stay!

All days are nights to see till I see thee,  
And nights bright days when dreams do show thee me.

44.

რომ შეძლებოდა სხეულს ფიქრის მსგავსად ნავარდი,  
დამაბრკოლებდა შორეული განა მანძილიც!  
ვეება სივრცეს გადავკვეთდი, უმაღლ გნახავდი,  
რადგანაც ზრახვას არ სჭირდება ფრენა ხანგრძლივი.

არ ექნებოდა მნიშვნელობა მანძილს გამთიშველს,  
უშორეს მიჯნებს, თუნდაც რთულად გადასალახავს,  
ზრახვას ხომ ძალუმს გადაევილოს სივრცეს მაშინვე,  
სასურველ ადგილს წარმოდგენით როცა დასახავს.

ფიქრი რომ არ ვარ, საფიქრალი მთრგუნავს მეტწილად,  
რადგან გზასავალს ვერ გავივლი მისებრ კისკასით,  
მეც ვინაიდან წყლით და თიხით გამოვმერწილვარ,  
მომიწევს ოხვრით შეგუება ჟამის სიმკაცრის;

წყლისა და მიწის - შემაფერხებს რადგან ნაერთი,  
ცხარე ცრემლები დამდინდება სასოწარკვეთილს.

If the dull substance of my flesh were thought,  
Injurious distance should not stop my way;  
For then despite of space I would be brought,  
From limits far remote where thou dost stay.

No matter then although my foot did stand  
Upon the farthest earth removed from thee;  
For nimble thought can jump both sea and land  
As soon as think the place where he would be.

But ah! thought kills me that I am not thought,  
To leap large lengths of miles when thou art gone,  
But that so much of earth and water wrought  
I must attend time's leisure with my moan,

Receiving nought by elements so slow  
But heavy tears, badges of either's woe.

45.

ორ საწყისს ვგზავნი, მომიძებნონ შენი სავანი:  
მსუბუქ ჰაერს და გამწმენდ სახმილს - აგებულების,  
ანუ ჩემს ფიქრს და წადილს შენთან მოსვლას ვავალებ,  
რადგან ზესწრაფი ფრენა ძალუძთ განგებულებით.

სწრაფი საწყისნი შენკენ ქრიან, კრავენ კამარას,  
დაუვიწყარი სიყვარულის ამბის მთხრობელნი,  
ოთხი სტიქიის ნაცვლად ვრჩები ორის ამარა,  
გულზე ნალველი მომაწვება დამახრჩობელი.

ასე გრძელდება, სანამ ჩემი ორი შიკრიკი  
დამიბრუნდება, აღმიდგება შემმართებლობა -  
შემომესმება როცა მათი ტკბილი რიკრიკი,  
მომახარებენ შენს კარგ ამბავს და ჯანმრთელობას:

მცირე ხნით ვილხენ, კვლავ გიგზავნი ჩემს ორ აეშავს  
მონატრებული და მოწოლილს ვებრძვი კაემანს.

The other two, slight air and purging fire,  
Are both with thee, wherever I abide;  
The first my thought, the other my desire,  
These present-absent with swift motion slide.

For when these quicker elements are gone  
In tender embassy of love to thee,  
My life, being made of four, with two alone  
Sinks down to death, oppress'd with melancholy;

Until life's composition be recured  
By those swift messengers return'd from thee,  
Who even but now come back again, assured  
Of thy fair health, recounting it to me:

This told, I joy; but then no longer glad,  
I send them back again and straight grow sad.

46.

გულსა და თვალებს შენ გამო აქვთ ომი ფიცხელი,  
როგორ გაიყონ სილამაზის ნაალაფარი,  
თვალი გულს უშლის შენს დანახვას ეჭვით მკიცხველი,  
გულს სურს თვით იყოს ერთადერთი შენი საფარი.

გული აცხადებს, სახემ მასში დაისაბუდრა,  
თვალთა ნამზერი ვერ ჩასწვდება უღრმეს პაღულში,  
თვალი მოდავეს წარმოუდგენს მტკიცე საბუთად -  
პირველმა გნახა და მასში ხარ ამოდაღული.

ფიქრებს მივანდობ მოგვარებას მათი კამათის,  
მართლმსაჯულების მსახურებას და ერთგულებას -  
ეწილხვედრება თუ რა წილი თვალებს სამართლით,  
მოსიყვარულე გულს კი შენი რა ერგუნება.

თვალებს წილად ხვდათ, რომ დაატკბო თვალმშვენიერმა,  
გული შინაგან სიყვარულით გაბედნიერდა.

Mine eye and heart are at a mortal war  
How to divide the conquest of thy sight;  
Mine eye my heart thy picture's sight would bar,  
My heart mine eye the freedom of that right.

My heart doth plead that thou in him dost lie--  
A closet never pierced with crystal eyes--  
But the defendant doth that plea deny  
And says in him thy fair appearance lies.

To 'cide this title is impanneled  
A quest of thoughts, all tenants to the heart,  
And by their verdict is determined  
The clear eye's moiety and the dear heart's part:

As thus; mine eye's due is thy outward part,  
And my heart's right thy inward love of heart.

47.

გულმა და თვალმა გადაწყვიტეს შეკავშირება,  
ხშირად ვუყურებ ერთმანეთთან მოსიარულეთ,  
როცა თვალს შენი სახის ნახვა ძლიერ შივდება  
და იგუდება ოხვრით გული მოსიყვარულე.

შენი სურათის ცქერით იკრებს თვალი საფანელს,  
გულსაც მოუხმობს სასეიროდ და შენს არშიყად,  
შემდეგში გული თვალს აჩვენებს ძვირფას სავანეს,  
გაუზიარებს სიყვარულის უტკბეს ხვამიადს.

შენი სურათის მზერით, ანდა ჩემი ტრფიალით,  
დაშორებულაც იმყოფები მუდამ მახლობლად,  
სად გამექცევი, ვერ შევიძლო იქ ხეტიალი,  
ფიქრით მოგაგნებ ნებისმიერ სამოსახლოსთან.

რულმორეულსაც მელანდება შენი სახება,  
გულს აღვიძებს და თვალთან ერთად ისიც განცხრება.

Betwixt mine eye and heart a league is took,  
And each doth good turns now unto the other:  
When that mine eye is famish'd for a look,  
Or heart in love with sighs himself doth smother,

With my love's picture then my eye doth feast  
And to the painted banquet bids my heart;  
Another time mine eye is my heart's guest  
And in his thoughts of love doth share a part:

So, either by thy picture or my love,  
Thyself away art present still with me;  
For thou not farther than my thoughts canst move,  
And I am still with them and they with thee;  
Or, if they sleep, thy picture in my sight  
Awakes my heart to heart's and eye's delight.

48.

ერთი ჩვევა მაქვს მგზავრობის წინ შეუღეველი,  
ძვირფასეული გადავმალე სკივრში ჩარაზვით,  
დაბრუნებისას რათა დამხვდეს ხელუხლებელი,  
დაუდევრობით არ ვაცდუნო ცრუ და მპარავი.

შენ ვით დაგიცვა, სად მოვნახო სანდო დარღალა,  
თუ ფერმკრთალდება შენი ეშხით ქვეყნის ჯავარიც,  
საზრუნავმა და სადარდელმა გული დაღალა,  
რადგან საკბილო შეიქნები ყოველ ავარის.

შენ ვერ დაგმალავ რომელიმე სკივრში მიღეთის  
გარდა გულმკერდის, სადაცაა შენი სამკვიდრო,  
ნებაყოფლობით შემოდინარ მის ნაზ დილეგში,  
როცა გასურს ტოვებ, თუმც მანდაც არ მოგინადირონ:

ვშიშობ, არ გახდე ჩემს წიაღშიც ვინმეს ნადავლი -  
ძვირფას ჯილდოსთვის ავხელდება ალალ-მართალიც!

How careful was I, when I took my way,  
Each trifle under truest bars to thrust,  
That to my use it might unused stay  
From hands of falsehood, in sure wards of trust!

But thou, to whom my jewels trifles are,  
Most worthy of comfort, now my greatest grief,  
Thou, best of dearest and mine only care,  
Art left the prey of every vulgar thief.

Thee have I not lock'd up in any chest,  
Save where thou art not, though I feel thou art,  
Within the gentle closure of my breast,  
From whence at pleasure thou mayst come and part;

And even thence thou wilt be stol'n, I fear,  
For truth proves thievish for a prize so dear.



49.

იმ ავბედით დროს, თუ დადგება ის დრო ანგარი,  
როცა ამრეზით შემომხედავ, ჩამთვლი მახინჯად  
და მიჯნურობა წარმოადგენს დასკვნით ანგარიშს,  
კეთილგონივრულ მოსაზრებით მას გადასინჯავს,

როცა შემთხვევით შევეყრებით და ვით უცნობი,  
თვალემზიანი მოსალმებას აღარ იკადრებ,  
თანდათანობით განელდება გრძნობა უჭკნობი,  
შეეწირება სიდინჯეს და განსჯის სიმკაცრეს.

ავბედით დღისთვის, მე ახლავე ვიჭერ თადარიგს  
და წარმოვიდგენ უამური ჟამის სურათებს,  
ბრალს შენ არ დაგდებ, რადგან არ ვარ შენი სადარი,  
თუკი დამტოვებ, საკუთარ თავს დავამუნათებ:

რისთვის გიღირდა სიყვარული ნასათუთები,  
ერთ მიზეზსაც კი ვერ გეტყობდი დასაბუთებით.

Against that time, if ever that time come,  
When I shall see thee frown on my defects,  
When as thy love hath cast his utmost sum,  
Call'd to that audit by advised respects;

Against that time when thou shalt strangely pass  
And scarcely greet me with that sun thine eye,  
When love, converted from the thing it was,  
Shall reasons find of settled gravity,--

Against that time do I ensconce me here  
Within the knowledge of mine own desert,  
And this my hand against myself uprear,  
To guard the lawful reasons on thy part:

To leave poor me thou hast the strength of laws,  
Since why to love I can allege no cause.

50.

შორს გამგზავრება ჩემთვის მუდამ მძიმე ხვედრია,  
რამეთუ როცა დასრულდება წასვლა ხანგრძლივი,  
სიმყუდროვე და მოსვენება დამაყვედრიან –  
“დამორებულხარ მეგობართან დიდი მანძილით!”

თითქოს მერანი დაქანცულა ავლით კარწახის,  
ძლივს მიჩანჩალებს, რადგან მხედრის დარდებს მიათრევს,  
ალბათ საბრალლო მიმხედარია ალლოს კარნახით,  
როცა გმორდები, მხედარს არ სურს მისი სიმარდე.

ვერ ააჩქარებს სისხლიანი დეზის ჩასობაც,  
დროგამომვებით როცა მოვცხებ ჟერდში სიბრაზით,  
გულს დამისერავს ცხენის გმინვა, ვაინაჩრობა,  
დეზისცემაზე მტკივნეული მისი სიბასრით.

გმინვით მესობა სადარდელის მწარე ნესტარი:  
წინ ვაეზაა, უკან დარჩა ჟამი ნეტარი.

How heavy do I journey on the way,  
When what I seek, my weary travel's end,  
Doth teach that ease and that repose to say  
“Thus far the miles are measured from thy friend!”

The beast that bears me, tired with my woe,  
Plods dully on, to bear that weight in me,  
As if by some instinct the wretch did know  
His rider loved not speed, being made from thee:

The bloody spur cannot provoke him on  
That sometimes anger thrusts into his hide;  
Which heavily he answers with a groan,  
More sharp to me than spurring to his side;

For that same groan doth put this in my mind;  
My grief lies onward and my joy behind.

51.

სიზნანტის გამო ჩემს ცხენს ნაკლებ დავემდურები,  
რადგან მომელის გამგზავრება გაუსაძლისი,  
თავად მე არ ვარ შენგან სწრაფად წასვლის მსურველი,  
დაბრუნებისას გაჭინდება ნებისით ხალისით.

ველარ აითრევს ფეხს პირუტყვი მომიზეზებით,  
როს შენკენ მომქროლს მეგონება ნელი ავქარიც,  
ქარზეც რომ ვიჯდე, ავაჩქარებ მასაც დეზებით,  
მომეჩვენება უძრაობად ფრთოსნის ნავარდიც.

შორს მოიტოვებს ცხენს სურვილი ამბოხებული,  
ნაშობს სრულყოფილ სიყვარულით ვილა დაიჭერს,  
ცეცხლოვან სრბოლას ვით აჰყვება დუნე სხეული,  
ჯაგლაგის ნაცვლად თუნდაც ვიჯდე ფეხმარდ ტაიჭზე;

რადგან გამიხდა შენგან წასულს თანამზრახველად,  
შენკენ გავუსწრებ ცხენს და აღარც გამათრახდება.

Thus can my love excuse the slow offence  
Of my dull bearer when from thee I speed:  
From where thou art why should I haste me thence?  
Till I return, of posting is no need.

O, what excuse will my poor beast then find,  
When swift extremity can seem but slow?  
Then should I spur, though mounted on the wind;  
In winged speed no motion shall I know:

Then can no horse with my desire keep pace;  
Therefore desire of perfect'st love being made,  
Shall neigh - no dull flesh - in his fiery race;  
But love, for love, thus shall excuse my jade;

Since from thee going he went wilful-slow,  
Towards thee I'll run, and give him leave to go.

52.

მსგავსი ვარ მდიდრის, გასაღებს რომ მოარგებს კლიტეს  
და საგანძურის კარს გააღებს აცახცახებით,  
თუმც იშვიათად ინახულებს თვალ-მარგალიტებს,  
არ დაუბლაგვდეს სანეტარო ბასრი განცდები.

დღესასწაულიც ამად არის ძვირად დათქმული,  
მრავალ სადაგ დღეს ცოტა უქმე ესაბამება,  
ვით მძივებზეა ალმასები ძუნწად ასხმული,  
რომ უკეთესად იკაშკაშონ ყელსაბამებმა.

ჟამიც სკივრივით გამოგვეტავს დასაკუთრებით,  
როგორც კარადა გადამალავს ფარჩის სამოსელს,  
ბედნიერების მომანიჭოს რათა წუთები,  
როცა დამწყვდეულ სიამაყეს ისევ გამოფენს.

შენთან ყოფნისას მაზეიმებ და ხარ ნეტარი,  
უშენობითაც რადგან ვრჩები ნაიმედარი.

So am I as the rich, whose blessed key  
Can bring him to his sweet up-locked treasure,  
The which he will not every hour survey,  
For blunting the fine point of seldom pleasure.

Therefore are feasts so solemn and so rare,  
Since, seldom coming, in the long year set,  
Like stones of worth they thinly placed are,  
Or captain jewels in the carcanet.

So is the time that keeps you as my chest,  
Or as the wardrobe which the robe doth hide,  
To make some special instant special blest,  
By new unfolding his imprison'd pride.

Blessed are you, whose worthiness gives scope,  
Being had, to triumph, being lack'd, to hope.

53.

რისგან ხარ ქმნილი, რაა შენი არსი ნამდვილი,  
თუ მირიადი უცხო ჩრდილი გიდგას მსახურად?  
რადგან დაჰყვება ყოველს მხოლოდ ერთი აჩრდილი,  
შენი ხატი კი ურიცხვ ლანდში გამოსახულა.

თუ დახატავდნენ ადონისის სახეს აღწერით,  
მდარე წაბამვა იქნებოდა შენი იერის,  
ველარც ელენე მოხიზლავდა ბერძნებს ღაწვებით  
შენ თუ გნახავდნენ, დაჩრდილავდი სიმშვენიერით.

გაზაფხული ხარ ფერხასხასა, აყვავებული,  
სთველის ბარაქაც - გულუხვობის გამოისობით,  
მათი მადლია შენში მუდამ დავანებული,  
ყველა კურთხეულ სახებაში გამოიცნობი.

ყოველ გარეგნულ მშვენებაში შენ ხარ შერთული  
და არც ამქვეყნად მეგულება შენებრ ერთგული.

What is your substance, whereof are you made,  
That millions of strange shadows on you tend?  
Since every one hath, every one, one shade,  
And you, but one, can every shadow lend.

Describe Adonis, and the counterfeit  
Is poorly imitated after you;  
On Helen's cheek all art of beauty set,  
And you in Grecian tires are painted new:

Speak of the spring and foison of the year;  
The one doth shadow of your beauty show,  
The other as your bounty doth appear;  
And you in every blessed shape we know.

In all external grace you have some part,  
But you like none, none you, for constant heart.

54.

მომატება სილამაზეს უფრო ლაზათი  
პატიოსნების სამკაულით ხელითუქმნელით,  
ვით ვარდს შეამკობს მშვენების და სუნის ნაზავი,  
მიმზიდველობას უათმაგებს კეთილსურნელი.

ასკილს ვარდისგან განასხვავებს მცირეოდენი,  
ისიც ვარდივით ლაჟღაჟაა, ტურფა, სათუთი,  
მჩხვლეტავიც, მისებრ დაირწევა რტოზე მოხდენით,  
როცა კვირტს გაშლის ცხელ ზაფხულის ამონასუნთქით.

ვარდივით სათნოს, ქანცს გააცლის დროსთან ჭიდილი,  
შეუმჩნეველი, უსურველი ჭკნება ეულად,  
კვდება თავისთვის. სხვაგვარია ვარდის სიკვდილი,  
გარდაიქმნება ის უტკბილეს ინანთეულად.

ყმაწვილკაცობას როცა წაგგვრის ჟამის მკაცრობა,  
ჩემს ლექსს მოუწევს შენი არსის სხვისთვის გაცნობა.

O, how much more doth beauty beauteous seem  
By that sweet ornament which truth doth give!  
The rose looks fair, but fairer we it deem  
For that sweet odour which doth in it live.

The canker-blooms have full as deep a dye  
As the perfumed tincture of the roses,  
Hang on such thorns and play as wantonly  
When summer's breath their masked buds discloses:

But, for their virtue only is their show,  
They live unwoo'd and unrespected fade,  
Die to themselves. Sweet roses do not so;  
Of their sweet deaths are sweetest odours made:

And so of you, beauteous and lovely youth,  
When that shall fade, my verse distills your truth.

55.

მარმარილოს ქვა დიდებულთა უკვდავსაყოფად,  
ჩემს ძალუმ ლექსზე ვერ იქნება უფრო ხანგამძლე,  
ლექსით აგიგებ წარუხოცელ მდიდრულ სარკოფაგს  
და შემორჩება სამუდამოდ ჟამთა ანალებს.

სასტიკი ომით დაემხოზა ნაქანდაკარი,  
ჟამი ქვისმთლელთა ყველა ნაგებს გააჩანაგებს,  
ხოლო ვერც მარსის მახვილი ან ომთა ხანძარი,  
ვერ ამოძირკვავს შენი ხსოვნის ცოცხალ ჩანაწერს.

ყველაფრისმავიწყ შუღლისა და სიკვდილის ჯიბრზე,  
შენი სახელი დავიწყებას გაუწყვეტს ილაჯს,  
განკითხვის დღემდე განგადიდებს ამ ლექსის სიბრძნე,  
სანამ არსობა უწერია ადამის ჯილაგს.

ვიდრე წარდგები სამსჯავროზე კაცთა მაცხოვრის,  
მანამ ლექსში და მიჯნურთ თვალში პოვებ საცხოვრისს.

Not marble, nor the gilded monuments  
Of princes, shall outlive this powerful rhyme;  
But you shall shine more bright in these contents  
Than unswept stone besmear'd with sluttish time.

When wasteful war shall statues overturn,  
And broils root out the work of masonry,  
Nor Mars his sword nor war's quick fire shall burn  
The living record of your memory.

'Gainst death and all-oblivious enmity  
Shall you pace forth; your praise shall still find room  
Even in the eyes of all posterity  
That wear this world out to the ending doom.

So, till the judgment that yourself arise,  
You live in this, and dwell in lover's eyes.

56.

კვლავ განძლიერდი სიყვარულო, რათა დალაზრა  
ასცდეს შენს მახვილს, არ ჩამორჩეს შიმშილს სიბასრით,  
რომელსაც საჭმლით თუ მოიკვლავ, ისევ დაგლახვრავს  
ხელახალ ძალით, რადგან მოგწყლავს იშტის ისარი.

შენც მას ემსგავსე, სიყვარულო, თუმც დღეს სიჭრელით  
მზეერას ინაყრებ და სიმამღრით თვალეზს მილულავ,  
რათა არ გაცვდეს სიყვარულის სული პირმჭრელი,  
ნუ მოდუნდები, აულესე მარადიულად!

დაე, ემსგავსოს ოკეანეს გაყრა მწუხარე,  
რომლის სხვადასხვა ნაპირებზე დღე ცისმარადი,  
მივლენ მიჯნურნი და დიდება კვლავ იმქუხარებს  
აღორძინებულ სიყვარულის ცაში ნავარდის.

ან შეადარე განშორება ზამთრის სატანჯველს,  
ზაფხულს რომ გახდის სამჯერ უფრო მეტად სანატრელს.

Sweet love, renew thy force; be it not said  
Thy edge should blunter be than appetite,  
Which but to-day by feeding is allay'd,  
To-morrow sharpen'd in his former might:

So, love, be thou; although to-day thou fill  
Thy hungry eyes even till they wink with fullness,  
To-morrow see again, and do not kill  
The spirit of love with a perpetual dullness.

Let this sad interim like the ocean be  
Which parts the shore, where two contracted new  
Come daily to the banks, that, when they see  
Return of love, more blest may be the view;

Else call it winter, which being full of care  
Makes summer's welcome thrice more wish'd, more rare.



57.

შენი მონა ვარ და ერთგული იანიჩარი,  
შემსრულებელი შენი ზრახვის, ნების, საღერღლის,  
დროს ჩემთვის ფასი დაუკარგავს, არსად ვიჩქარი,  
ქვეყნად მარტოდენ შენ გმსახურობ თუნდაც აღერდილს.

არ დავიჩივლებ მაშინაც კი, თუკი დამღლელი  
შენი ლოდინი უსასრულოდ გახანგრძლივდება,  
არ დამაღონებს განშორების მწარე ნალველიც,  
სხვაგან თუ მგზავნი ჩემგან თავის ასარიდებლად.

ეჭვები არ მღრღნის და არც ჯავრი შემეჭამს განარიცხ:  
სად ხარ და ვისთან - თავს არ ვძაბავ სამარჩიელოდ,  
მწუხარე მონა მარტოდენ მის ხვედრს დავნატრი  
ვინც შენთან არის, დროს ატარებს სახარბიელოს.

რა ბრმა ყოფილა სიყვარული და რა თავნება,  
შენს ხუმტურშიც რომ ვერ პოულობს ნაკლოვანებას.

Being your slave, what should I do but tend  
Upon the hours and times of your desire?  
I have no precious time at all to spend,  
Nor services to do, till you require.

Nor dare I chide the world-without-end hour  
Whilst I, my sovereign, watch the clock for you,  
Nor think the bitterness of absence sour  
When you have bid your servant once adieu;

Nor dare I question with my jealous thought  
Where you may be, or your affairs suppose,  
But, like a sad slave, stay and think of nought  
Save, where you are how happy you make those.

So true a fool is love that in your will,  
Though you do any thing, he thinks no ill.

58.

ღმერთმა მარიდოს, ვინც გამხადა შენი ქაშაგი,  
ფიქრშიც გავბედო რით ერთობი, იმის თვალთვალი,  
ან ანგარიშის ჩაბარებას გთხოვდე ჭაშმაგი,  
კადნიერებას ვით ვიკადრებ ნებით ვასალო!

დაე, ველოდო შენგან ხმობას განაბეზრები,  
შენი ხუმტურით როცა ბრძანებ ჩემს განყენებას,  
დავითმენ წუხილს, არ აგავსებ მაინც ყვედრებით,  
არ დაგაბრალებ გულისტკივილს, განაწყენებას.

იყავ, სადაც გსურს, ნებას დაგრთავს შენი წოდება,  
განა შინაყმა დაუდგება ბატონს მსაჯულად?  
შენ უფლება გაქვს, რომ შეუნდო თავს შეცოდება,  
არც ნაღალატევ მონას ჩათვლის ვინმე ტანჯულად!

თუმც ჯოჯოხეთურ ტკივილს მომგვრის ეს დალოდება,  
შენი გართობის გასაკიცხად ვერ გამოდგება.

That god forbid that made me first your slave,  
I should in thought control your times of pleasure,  
Or at your hand the account of hours to crave,  
Being your vassal, bound to stay your leisure!

O, let me suffer, being at your beck,  
The imprison'd absence of your liberty;  
And patience, tame to sufferance, bide each check,  
Without accusing you of injury.

Be where you list, your charter is so strong  
That you yourself may privilege your time  
To what you will; to you it doth belong  
Yourself to pardon of self-doing crime.

I am to wait, though waiting so be hell;  
Not blame your pleasure, be it ill or well.

59.

ის რაც ყოფილა, თუ სიახლედ ჩვენგან ფასდება,  
გაბრიყვებულა მაშინ გონი ხიბლით ვნებული,  
რადგან გვსურს ძველის ახალთახლად გამოცხადება,  
ხელახლა შობას ვიწადინებთ დაბადებულის.

ნეტავ შემეძლოს წარმოსახვით დროში გახედვა,  
მაშინ მზის ბრუნვას ხუთასი წლით შევატრიალებ,  
რათა ძველ წიგნში თვალი მოვკრა შენს მსგავს სახეებს,  
ამოვიკითხო რას გვიამბობს მემატთანე.

დავინახავდი ვით გაქებდა დრო უადრესი,  
როგორ აღწერდა შენს საკვირველ აგებულებას,  
გავუმჯობესდით მათზე, ან თუ გავუარესდით,  
თუ არაფერს ცვლის შემოქმედის განგებულება.

თუმცა მტკიცედ მწამს, უწინდელი ჟამის ბრძენებმა,  
ხოტბა შეასხეს გაცილებით ნაკლებ მშვენებას.

If there be nothing new, but that which is  
Hath been before, how are our brains beguiled,  
Which, labouring for invention, bear amiss  
The second burden of a former child!

O, that record could with a backward look,  
Even of five hundred courses of the sun,  
Show me your image in some antique book,  
Since mind at first in character was done!

That I might see what the old world could say  
To this composed wonder of your frame;  
Whether we are mended, or whether better they,  
Or whether revolution be the same.

O, sure I am, the wits of former days  
To subjects worse have given admiring praise.

60.

როგორც ტალღები ესწრაფვიან სანაპიროებს,  
ბოლო საყუდარს ელტვის ჩვენი წუთთა მხედრობაც,  
წინამორბედი მომდევნოს სვლას განაპირობებს,  
მათგან არც ერთი არ დაარღვევს თანმიმდევრობას.

ახალშობილ ყრმას უნანავებს დრო გამუდმებით,  
სიჭაბუკისას მიანიჭებს მშვენ დიადემას,  
თუმც მალე ჩრდილავს დაბნელების უშნო მრუდებით,  
რადგან ხანგრძლივად არ შეარჩენს გადაიდებას.

გაფერმკრთალდება სიჭაბუკის ფერი ბაკმული,  
დაიღარება სილამაზის შუბლი გაკვალვით,  
სიმშვენიერე ბუნებისგან უხვად კაზმული  
მოიცელება ჟამის ცელით, როგორც სამკალო.

არ დავანებებ თუმცა ჟამს შენს გაქიაქებას  
და ეგ მშვენება ლექსით მარად აკიაფდება!

Like as the waves make towards the pebbled shore,  
So do our minutes hasten to their end;  
Each changing place with that which goes before,  
In sequent toil all forwards do contend.

Nativity, once in the main of light,  
Crawls to maturity, wherewith being crown'd,  
Crooked elipses 'gainst his glory fight,  
And Time that gave doth now his gift confound.

Time doth transfix the flourish set on youth  
And delves the parallels in beauty's brow,  
Feeds on the rarities of nature's truth,  
And nothing stands but for his scythe to mow:

And yet to times in hope my verse shall stand,  
Praising thy worth, despite his cruel hand.

61.

დადლილ ქუთუთოს რომ ვერ ვხუჭავ მშვენი სახების  
ღამეულ ჭვრეტით, ასეთია შენი წადილი?  
რადგან უთუოდ ძილს გამიკრთობ, თუ მენახვები  
თვლემამორეულს და მაწამებ მსგავსი აჩრდილით.

შენი სულია მოჩენილი ჩემთვის მოენედ  
და დააკისრე მითვალთვალს თავგამოდებით,  
ექვშეპყრობილი რადგან რწმენით ველარ მომენდე,  
ის წარმოგზავნე, აღმინუსხოს ქვევაც, ცოდვებიც?

არა! გიყვარვარ, მაგრამ განა გარდარეულად!  
ჩემი ტრფობაა მღვიძარების შემაწევი,  
ძილი დაკვარგე სიყვარულზე გადაგებულმა,  
შენი გულისთვის გავხდი მარად ღამის მთევარი.

შენ გყარაულობ, დაძინებაც არ მსიამოვნებს,  
ჩემგან შორსმყოფი, როცა ფხიზლობ სხვის სიახლოვეს.

Is it thy will thy image should keep open  
My heavy eyelids to the weary night?  
Dost thou desire my slumbers should be broken,  
While shadows like to thee do mock my sight?

Is it thy spirit that thou send'st from thee  
So far from home into my deeds to pry,  
To find out shames and idle hours in me,  
The scope and tenor of thy jealousy?

O, no! thy love, though much, is not so great:  
It is my love that keeps mine eye awake;  
Mine own true love that doth my rest defeat,  
To play the watchman ever for thy sake:

For thee watch I whilst thou dost wake elsewhere,  
From me far off, with others all too near.

62.

თვითსიყვარულის ცოდვისაგან გავხდი ძაბუნნი,  
მოწამლული მაქვს თვალი, სული, გონი, სხეული,  
ამ სნეულების არ არსებობს რამე საღბუნნი,  
გულში ფესვგადგმულს, ვერ განვკურნავ ბალახეულით.

მშვენიერი ვარ სუყველაზე ჩემი ნააზრით,  
ზეცამ აღმჭურვა ყოველგვარი კეთილთვისებით  
და საკუთარი სათნოების ცრუ თვითგანსაზღვრით  
ასე მგონია, აღვემატე ყველას ღირსებით.

მაგრამ როდესაც ჩემს ანარეკლს ვხედავ სარკედან,  
მზემოკიდებულს და გადახნულს წელთა სახნისით,  
აღარ მჭირდება თვითტრფობისგან გამოსარკვევად  
მეტი წამალი, ან ნაყენი რამის მაქნისი.

შენ მოგიაზრებ, თავს რომ ვიქებ და ვთვლი ჩაუქად,  
გამიცისკროვნე მხცოვანება რადგან ჭაბუკმა.

Sin of self-love possesseth all mine eye  
And all my soul and all my every part;  
And for this sin there is no remedy,  
It is so grounded inward in my heart.

Methinks no face so gracious is as mine,  
No shape so true, no truth of such account;  
And for myself mine own worth do define,  
As I all other in all worths surmount.

But when my glass shows me myself indeed,  
Beated and chopp'd with tann'd antiquity,  
Mine own self-love quite contrary I read;  
Self so self-loving were iniquity.

'Tis thee, myself, that for myself I praise,  
Painting my age with beauty of thy days.

63.

როცა გახდება სატრფო ჩემებრ ნაჭადარევი,  
დაემუქრება ჟამთასრბოლა დასაკუთრებით,  
დრო სისხლს დაუშრობს, გაუჩნდება შუბლზე ღარები,  
ჭაბუკურ დილას დაუბნელებს ავდრის ქუფრები,

თავქვე ბილიკით ჩაუყვება ღამეს სიბერის,  
თუმც შემკულია სილამაზის მეფის მადლცხებით,  
ჟამი ეცდება მიტაცებას სიმშვენიერის  
და გაზაფხულის საგანძურის აურაცხელის.

ასეთი ჟამის წინააღმდეგ უკვე მომინდა  
ზღუდის აგება, დავუბლაგვო მავნე ნამგალი,  
სატრფოს მშვენება ვერ ამოჭრას რათა ხსოვნიდან,  
არ დაივიწყონ სილამაზე გადანამალი.

მისი მშვენება შემორჩება ამ შავ სტრიქონებს  
და ჩემი ლექსი აყვავილებს და მოიგონებს.

Against my love shall be, as I am now,  
With Time's injurious hand crush'd and o'er-worn;  
When hours have drain'd his blood and fill'd his brow  
With lines and wrinkles; when his youthful morn

Hath travell'd on to age's steepy night,  
And all those beauties whereof now he's king  
Are vanishing or vanish'd out of sight,  
Stealing away the treasure of his spring;

For such a time do I now fortify  
Against confounding age's cruel knife,  
That he shall never cut from memory  
My sweet love's beauty, though my lover's life:

His beauty shall in these black lines be seen,  
And they shall live, and he in them still green.

64.

როდესაც ვხედავ უმოწყალოდ როგორ მიახგრევს  
საუკუნეთა დანატოვარს ჟამი მზაკვარი,  
გააცამტვერებს ცადაზიდულ ციხე-სიმაგრეს,  
შეიმუსრება მტკიცე რვალის ნაქანდაკარი;

ვხედავ, მშვიერი ზღვა ნეპტუნის სამადლიეროდ  
აბობოქრდება, წარიტაცებს მიწას დაფარვით,  
მერე ხმელეთი გადაუხდის სამაგიეროს  
და შურისმგებელს უბრუნდება ნაალაფარი;

ვხედავ, სამეფო სიძლიერით თუკი აღზევდა,  
ისევ კნინდება, ელეწება მცველი დარაკა,  
ჩამაფიქრებენ ნანგრევები ნადარბაზევთა,  
ჩემს შეყვარებულს ხომ არ ირჩევს ჟამი ზვარაკად?!

ეს მაიძულებს მაკვდინებელ ფიქრის დათმენას  
და იმას ვგლოვობ, მეშინია ვისი წართმევაც.

When I have seen by Time's fell hand defaced  
The rich proud cost of outworn buried age;  
When sometime lofty towers I see down-razed  
And brass eternal slave to mortal rage;

When I have seen the hungry ocean gain  
Advantage on the kingdom of the shore,  
And the firm soil win of the watery main,  
Increasing store with loss and loss with store;

When I have seen such interchange of state,  
Or state itself confounded to decay;  
Ruin hath taught me thus to ruminate,  
That Time will come and take my love away.

This thought is as a death, which cannot choose  
But weep to have that which it fears to lose.



65.

თუკი ვრცელი ზღვა, სანაპირო, რვალი, მარმარი,  
განადგურდება ჟამთასრბოლის მხრწნელი მახვილით,  
მის მძვინვარებას ვით გაუძლებს სუსტი, ნარნარი  
მშვენიერება, აღჭურვილი ძალით ყვავილის?

ვით აღუდგება თაფლნარევი სუნთქვა ზაფხულის,  
შემძუსვრელ დღეთა იერიშებს, კლდეთა დამნაყავს,  
როცა ჟამთასვლის აკინაკი წვერწამახული,  
ანჯამებიდან ჩამოანგრევს რკინის ალაყავს?

მზარავო ფიქრო! განა სადმე გაიხიზნება  
დროის განძი და ჟამის სკივრში აღარ ჩარჩება?  
ვის შეუძლია შეაყოვნოს დროთა დინება,  
შემდლებს კი ვინმე სილამაზის გამოსარჩლებას?

არავის ძალუძს! თუმც მოვახდენ ერთ საოცრებას  
და შავი მელნით ჩემი სატრფო ემახსოვრებათ!

Since brass, nor stone, nor earth, nor boundless sea,  
But sad mortality o'er-sways their power,  
How with this rage shall beauty hold a plea,  
Whose action is no stronger than a flower?

O, how shall summer's honey breath hold out  
Against the wreckful siege of battering days,  
When rocks impregnable are not so stout,  
Nor gates of steel so strong, but Time decays?

O fearful meditation! where, alack,  
Shall Time's best jewel from Time's chest lie hid?  
Or what strong hand can hold his swift foot back?  
Or who his spoil of beauty can forbid?

O, none, unless this miracle have might,  
That in black ink my love may still shine bright.

66.

დავიღალე ყველაფრით, თავს მშვიდ სიკვდილს ვაკვდრი:  
რადგან ვხედავ ღირსეულს, დაბადებულს მათხოვრად,  
ხოლო უღირსს - შემოსილს ზეზითა და ხავერდით,  
წმინდა სარწმუნოებას - უარყოფილს, ნაოხრალს,

სათანადო დიდებას შეცვლილსა და გათელილს,  
ნამუსახდილ ქალწულებს, დამცირებულ ღირსეულთ,  
სრულქმნილებას - ჭორებით შებღალული სახელით,  
ძლიერებას - მერყევი მართვით დახეიბრებულს,

დადუმებულ ხელოვანთ, შიშით გათითობულთ,  
ცრუმეცნიერს, დანიშნულს განათლების გამგებლად,  
შერყვნილ ჭეშმარიტებას, ცილით გარიოშებულს  
და სიკეთის ბოროტის მარწუხებში ჩაგდებას...

დავიღალე ყველაფრით, მსურს ამისგან გაქცევა,  
მაგრამ ახლა სიკვდილი, არის სატრფოს გაცემა.

Tired with all these, for restful death I cry,  
As, to behold desert a beggar born,  
And needy nothing trimm'd in jollity,  
And purest faith unhappily forsworn,

And gilded honour shamefully misplaced,  
And maiden virtue rudely strumpeted,  
And right perfection wrongfully disgraced,  
And strength by limping sway disabled,

And art made tongue-tied by authority,  
And folly doctor-like controlling skill,  
And simple truth miscall'd simplicity,  
And captive good attending captain ill:

Tired with all these, from these would I be gone,  
Save that, to die, I leave my love alone.

67.

დაუცხრომელი ავხორცობით რად იბილწება,  
მიმზიდველობას რად ანიჭებს მანკიერებას?  
თავს მოიწონებს რადგან მისით სიმკვა-ლირწება  
და წააქეზებს შემცოდველთა კადნიერებას.

გაიმეორებს ნასესხები შეფერადებით  
მის ლაწვთა ელფერს ხელოვნების ფერი მიმცხრალი?  
მშვენიერებას რად სჭირდება ჩრდილი ვარდების,  
ცოცხალი ვარდი თუკი ამკობს ჯერაც ცინცხალი?

რად ცხოვრობს იმ დროს, როს ბუნება განადარცვავი  
გალატაკდა და სისხლძარღვებში სისხლი დაუშრა?  
დამამშვენებლად ისლა შერჩა განძთასაცავის,  
მისით საზრდოობს და დატკბება ხამუმ-ხამუმად.

იცავს ბუნება, ეფერება, ელაციცება,  
როგორც უწინდელ ბარაქიან ჟამის მტკიცებას.

Ah! wherefore with infection should he live,  
And with his presence grace impiety,  
That sin by him advantage should achieve  
And lace itself with his society?

Why should false painting imitate his cheek  
And steal dead seeing of his living hue?  
Why should poor beauty indirectly seek  
Roses of shadow, since his rose is true?

Why should he live, now Nature bankrupt is,  
Beggard of blood to blush through lively veins?  
For she hath no exchequer now but his,  
And, proud of many, lives upon his gains.

O, him she stores, to show what wealth she had  
In days long since, before these last so bad.

68.

მისი იერი ხატებაა აღორძინების:  
როცა ბუნებრივ ყვავილს ჰგავდა ყველას სახება,  
სანამ სიტურფის იშვებოდა ყალბი ნიშნები  
და გაბედავდა ცოცხალ შუბლზე გადასახლებას;

სანამ მიცვლილებს სამარცხვინოდ არ გაქურდავდნენ  
და არ ართმევდნენ სამარხების ავლადიდებას,  
არ იხურავდნენ მკვდრის კულულთა თავსაბურავებს  
გამოგონილი სილამაზის განსადიდებლად.

მასში გამოჩნდა ანტიკური დრო დამარხული,  
ჭეშმარიტია ეს ლაზათი, სამაგალითო,  
სხვისი სიმწვანით არ შექმნილა მისი ზაფხული,  
ბრწყინავს, თუმცა განა ძველის ძარცვით თვალმარგალიტობს.

შემოუნახავს ბუნების ძალს მისი არსება  
ცრუ ხელოვნების და მშვენების შესადარებლად.

Thus is his cheek the map of days outworn,  
When beauty lived and died as flowers do now,  
Before the bastard signs of fair were born,  
Or durst inhabit on a living brow;

Before the golden tresses of the dead,  
The right of sepulchres, were shorn away,  
To live a second life on second head;  
Ere beauty's dead fleece made another gay:

In him those holy antique hours are seen,  
Without all ornament, itself and true,  
Making no summer of another's green,  
Robbing no old to dress his beauty new;

And him as for a map doth Nature store,  
To show false Art what beauty was of yore.

69.

შენს იერსახეს ღვთივბოდებულს და ჰაეროვანს,  
აღარ სჭირდება გულის ნატვრით მეტი მადლცხება,  
ყოველი ენა, სულების ხმა გამკობს ჯეროვნად  
და არც მტერ-მოყვრის ნახოტბარი აღარ დაცხრება.

არ იშურებენ დითირამბებს შენდა საქებრად,  
მაგრამ ისინი, ვინც მოხიბლეს შენი სილადით,  
იწყებენ უგვან საქციელის გაქიაქებას,  
თუკი განჭვრეტა შეუძლიათ სულის წიაღის.

მოინდომებენ შეფასებას ზნის და გონების,  
ნამოქმედარით გიმოწმებენ ზრახვის სიმართლეს,  
ფიქრით გკიცხავენ, თუმც თვალებით მოეწონები,  
შენს ლამაზ ყვავილს შეურეკენ ღვარძლის სიმყრალეს.

არ იმსახურებს ეგ მშვენება სურნელს უმდარესს,  
თუმც იქ ყვავილობ, სადაც ნარებს თავს გაუყადრებ.

Those parts of thee that the world's eye doth view  
Want nothing that the thought of hearts can mend;  
All tongues, the voice of souls, give thee that due,  
Uttering bare truth, even so as foes commend.

Thy outward thus with outward praise is crown'd;  
But those same tongues that give thee so thine own  
In other accents do this praise confound  
By seeing farther than the eye hath shown.

They look into the beauty of thy mind,  
And that, in guess, they measure by thy deeds;  
Then, churls, their thoughts, although their eyes were kind,  
To thy fair flower add the rank smell of weeds:

But why thy odour matcheth not thy show,  
The solve is this, that thou dost common grow.

70.

შენი გაკიცხვა შენს სიგლახეს სულაც არ ნიშნავს,  
მშვენიერება სამიზნეა მუდამ სიავის;  
თან დაპყობია სილამაზეს ეჭვი ზარნიშად,  
ბლალავს, ვით ყვავი ალაქავეს ლაჟვარდს სიშავით.

მოთმენით შეხვედი განსაცდელს და გულის საოხრავს,  
შენი ღირსება განდიდდება მტრების ნაცილით,  
მატლსაც სწადია უტურფესი კოკრის გამოხვრა,  
შენ კი ვარდი ხარ, მშვენიებისგან ჯერ არ გაცლილი!

სინორჩის საფრთხეს გაუმკლავდა შენი სიკარგე  
და საცდურები აირიდე ვნების ჭაბუკმა,  
საქებარია, წარმატება თუმც ვერ ივარგებს  
მუდმივად მზარდ შურს სამუდამოდ პირი აუკრას.

რომ არ ჩრდილავდეს შენს მშვენიებას ეჭვი მწყრომელი,  
შენ უნდა იყო ერთადერთი გულთამწყრობელი.

That thou art blamed shall not be thy defect,  
For slander's mark was ever yet the fair;  
The ornament of beauty is suspect,  
A crow that flies in heaven's sweetest air.

So thou be good, slander doth but approve  
Thy worth the greater, being woo'd of time;  
For canker vice the sweetest buds doth love,  
And thou present'st a pure unstained prime.

Thou hast pass'd by the ambush of young days,  
Either not assail'd or victor being charged;  
Yet this thy praise cannot be so thy praise,  
To tie up envy evermore enlarged:

If some suspect of ill mask'd not thy show,  
Then thou alone kingdoms of hearts shouldst owe.

71.

იმ დროს მიგლოვე, როცა მნათე ამქუხარებს  
გლოვის ზარებს და მათი ჟღერა სანამ მიწყდება,  
ქვეყანას ამცნობს, წარმოტაცა ჟამმა მწუხარემ,  
მატლთა სამკვიდრომ მიმიბარა დასამიწებლად.

თუკი როდისმე წაიკითხავ ბწკარებს გალექსილს,  
მისი დამწერი ხელი ნულარ მოგაგონდება,  
რადგან არ მინდა მწუხარება უსაყვარლესის,  
ჩემზე ნაფიქრით ცხარე ცრემლის მოგვრა, გოდება.

ხოლო თუ ლექსი მოგაგონებს საწყალ ტრუბადურს,  
გააცამტვერებს როცა ჩემს გვამს მიწა ტიალი,  
ნულარ ახსენებ, გევედრები, სახელს უბადრუკს,  
დაე, განქარდეს ჩემთან ერთად შენი ტრფიალიც,

თორემ შეგატყობს შენს სიმძიმილს ქვეყნიერება  
და დაცინვისგან ვერ დაგიცავს მშვენიერებაც!

No longer mourn for me when I am dead  
Then you shall hear the surly sullen bell  
Give warning to the world that I am fled  
From this vile world, with vilest worms to dwell:

Nay, if you read this line, remember not  
The hand that writ it; for I love you so  
That I in your sweet thoughts would be forgot  
If thinking on me then should make you woe.

O, if, I say, you look upon this verse  
When I perhaps compounded am with clay,  
Do not so much as my poor name rehearse.  
But let your love even with my life decay,

Lest the wise world should look into your moan  
And mock you with me after I am gone.

72.

ქვეყანამ რომ არ გაიძულოს დასახელება  
იმ მიზეზების, რად მიგაჩნდა სატრფო სანუკვრად,  
ნუ მოინებებ გარდაცვლილის სადმე ხსენებას,  
რადგან ვერ შეძლებ ჩემს მძრახველებს პირი აუკრა;

თორემ მოგიწევს მცდარი აზრის დასაბუთება,  
ქველი სიცრუით განდიდება შესაბრალისის,  
იმ ღირსებების წარმოჩენა, ჩემთვის კუთვნიება,  
ძუნწი სიმართლე არ იტყოდა რასაც ხალისით.

რომ არ დასწამონ ნაღდ სიყვარულს ყალთაბანდობა  
და არ გარცხვინოს სიყვარულით თხზულმა ნაცილმა,  
ჩემი სახელის ნუ ინდომებ სხვისთვის განდობას  
და ვერ აგვიგდებს ცრუ საწუთრო ვერც ერთს საცინლად,

თორემ პირშავად გამოვჩნდები შემონაქმედით  
და შენც ტრფიალი უმაქნისის გარცხვენს წარმწყმედი.

O, lest the world should task you to recite  
What merit lived in me, that you should love  
After my death, dear love, forget me quite,  
For you in me can nothing worthy prove;

Unless you would devise some virtuous lie,  
To do more for me than mine own desert,  
And hang more praise upon deceased I  
Than niggard truth would willingly impart:

O, lest your true love may seem false in this,  
That you for love speak well of me untrue,  
My name be buried where my body is,  
And live no more to shame nor me nor you.

For I am shamed by that which I bring forth,  
And so should you, to love things nothing worth.



73.

ჩემში შენ ხედავ, წელიწადის დრო მოახლოვდა,  
როცა მჭკნარ ფოთლებს ჩამოაცვენს სწრაფად თოვლბუქი  
და მგალობელთა გაშიშვლებულ სამოსახლოდან  
აღარ გაისმის ჟრიამული ჩიტთა ბოლუქის.

ჩემში შენ ხედავ, დღე თავდება, საღამოვდება,  
ჩამავალი მზე დასალიერს ხატავს სალუქად,  
მიმწუხრს ჩაყლაპავს ბნელი ღამის ამაოება  
და ყოველივეს მამშვიდებელ ბეჭდით დალუქავს.

ჩემში შენ ხედავ, ოდნავადაც ვეღარ ელვარებს  
სინორჩის ალი, მინავლული ნაცარტუტარით,  
იმ სარეცელზე ეგებება სიკვდილს მღელვარედ,  
რომლისთვის ადრე თავად იყო ნასათუთარი.

ხვდები, ვერ მნახავ მალე ჩემო მოსხივცისკარე,  
ეს გიძლიერებს ჩემს სიყვარულს ყოველ ცისმარე.

That time of year thou mayst in me behold  
When yellow leaves, or none, or few, do hang  
Upon those boughs which shake against the cold,  
Bare ruin'd choirs, where late the sweet birds sang.

In me thou seest the twilight of such day  
As after sunset fadeth in the west,  
Which by and by black night doth take away,  
Death's second self, that seals up all in rest.

In me thou see'st the glowing of such fire  
That on the ashes of his youth doth lie,  
As the death-bed whereon it must expire  
Consumed with that which it was nourish'd by.

This thou perceivest, which makes thy love more strong,  
To love that well which thou must leave ere long.

74.

ნუ დაიდარდებ, თუ სიკვდილით დავიგესლები,  
გულს ვერ მოულობობს მკვლელ ქონდაქარს ჩემზე გოდება,  
მე კვლავ მაცოცხლებს ტაეპები ჩემი ლექსების,  
მათი წაკითხვით მეგობარი მოგაგონდება.

როცა ხელახლა გაეცნობი შუბლშეჭმუნხილი,  
ცხადლივ მიხვდები მნიშვნელობას ჩემი საჩუქრის,  
დაუბრუნდება მიწას გვამი მისი კუთვნილი,  
გესახსოვრება სამუდამოდ სული ჩაუქი.

შენ მოგაკლდება ამ ცხოვრების ლექის შემცველი,  
მატლების კერძი და როდესაც ნათავხედარი,  
დაუნდობელი არამზადა მომწყლავს ხელცელით,  
აღარ იქნება გახსენების ღირსი ცხედარი.

სხეულის ფასზე სული ახდენს ზემოქმედებას  
და შენ გიტოვებ შიგთავსის ღვაწლს - შემოქმედებას.

But be contented: when that fell arrest  
Without all bail shall carry me away,  
My life hath in this line some interest,  
Which for memorial still with thee shall stay.

When thou reviewest this, thou dost review  
The very part was consecrate to thee:  
The earth can have but earth, which is his due;  
My spirit is thine, the better part of me:

So then thou hast but lost the dregs of life,  
The prey of worms, my body being dead,  
The coward conquest of a wretch's knife,  
Too base of thee to be remembered.

The worth of that is that which it contains,  
And that is this, and this with thee remains.

75.

ფიქრთა საზრდო ხარ, სასურველი როგორც ჭოროვთა  
გამშრალ მიწისთვის და მომტანი მისთვის ხეირის,  
თავთან ბრძოლა მაქვს და ვიქცევი ისე ორჭოვად,  
ვით მის საგანძურს მოეპყრობა ხარბი ხელძვირი;

განძით ვნეტარებ, ან საზარი ფიქრი მაშინებს  
- ურიცხვ საუნჯეს წარიტაცებს ჟამი მპარავი,  
ხან შენთან ყოფნა მარტოს მსურს და ხან ვთვლი მაშინვე,  
უპრიანია სიქადული დაუფარავი.

მზერას თუ ზოგჯერ დაანაყრებს შენი ყურება,  
დაიმშვეიან უშენობით უმაღ თვალები,  
სხვა ნეტარება არასოდეს მოეწყურებათ  
გარდა იმისა, რასაც უძღვნი გულმოწყალებით.

ხან ჩამოვხმები, ხან მანაყრებს ჭარბი ბარაქა,  
შენით გამაძღარს, უშენობა მაცლის არაქათს.

So are you to my thoughts as food to life,  
Or as sweet-season'd showers are to the ground;  
And for the peace of you I hold such strife  
As 'twixt a miser and his wealth is found;

Now proud as an enjoyer and anon  
Doubting the filching age will steal his treasure,  
Now counting best to be with you alone,  
Then better'd that the world may see my pleasure;

Sometime all full with feasting on your sight  
And by and by clean starved for a look;  
Possessing or pursuing no delight,  
Save what is had or must from you be took.

Thus do I pine and surfeit day by day,  
Or gluttoning on all, or all away.

76.

რად დაუკარგავთ ჩემს ახლანდელ ლექსებს ქარიზმა,  
ნაირგვარობა და ჟამთა ცვლა რომ არ ეტყობათ,  
თანამედროვე რად არ არის მათი გართიმვა,  
ახალ მეთოდებს რად ჩამორჩა ჩემი ლექსწყობა?

რად არის მუდამ ერთნაირი ჩემი ყასიდა,  
რისად ჩავაცმევ დღენიადაგ ჩვეულ სამოსელს?  
ისე, რომ დამწერს გაამჟღავნებს პწკართა ყაიდა,  
გამოიცნობენ წყობილსიტყვით ქების წარმომთქმელს.

ჩემი ლექსები, საყვარელო, შენი აზმაა  
და სიყვარული დასდებია ყველას სარჩულად;  
ძველ სიტყვებს ვხმარობ სტრიქონების შესაკაზმავად,  
ხელახლა ვხარჯავ იმას, ადრე რაც გახარჯულა.

ვით მზეა ძველიც და ახალიც მუდამ ცის მყარზე,  
გაგიმეორებს სიყვარული ნათქვამს ცისმარე!

Why is my verse so barren of new pride,  
So far from variation or quick change?  
Why with the time do I not glance aside  
To new-found methods and to compounds strange?

Why write I still all one, ever the same,  
And keep invention in a noted weed,  
That every word doth almost tell my name,  
Showing their birth and where they did proceed?

O, know, sweet love, I always write of you,  
And you and love are still my argument;  
So all my best is dressing old words new,  
Spending again what is already spent:

For as the sun is daily new and old,  
So is my love still telling what is told.

77.

მშვენიერების წარმავლობას სარკე განახებს,  
საათი - ძვირფას წუთთა ხარჯვის შეძლებს განდობას,  
გონის ანაბეჭდს თუ დაამჩნევ სუფთა თაბახებს,  
ჩასწვდები სიბრძნეს - წუთისოფლის ცვალებადობას.

როცა გაჩვენებს სახის ღარებს სარკე ნამდვილი,  
მათ მიამსგავსებ პირდაბრენილ საზარ თაბუთებს,  
ხოლო გნომონის უხმაუროდ მსრბოლი აჩრდილი,  
მარადისისკენ ქურდულად მსწრაფ დროს გისაბუთებს.

ქალაღდს მიანდე ნაფიქრალი გასახსენებლად,  
სუფთა ფურცლები გადაავსე შენი ნააზრით,  
გონების წულთა ხსოვნა აღარ გადაშენდება,  
ისევ გაგაცნობს თავს შვილების გუნდი ნაზარდი.

ჭკუის სასწავლად გნომონის და სარკის ყურება,  
შენი წიგნაკის გამდიდრებას ემსახურება.

Thy glass will show thee how thy beauties wear,  
Thy dial how thy precious minutes waste;  
The vacant leaves thy mind's imprint will bear,  
And of this book this learning mayst thou taste.

The wrinkles which thy glass will truly show  
Of mouthed graves will give thee memory;  
Thou by thy dial's shady stealth mayst know  
Time's thievish progress to eternity.

Look, what thy memory can not contain  
Commit to these waste blanks, and thou shalt find  
Those children nursed, deliver'd from thy brain,  
To take a new acquaintance of thy mind.

These offices, so oft as thou wilt look,  
Shall profit thee and much enrich thy book.

78.

როგორც კი მუზად მოგიხმობდა ჩემი გონება,  
გამოჩნდებოდი მაშინათვე სათნო მშველელად,  
გაიმეორეს დითირამში უცხო მგოსნებმაც,  
შენი ეგიდით თხზულებების გასავრცელებლად.

მჭევრმეტყველება მიანიჭე ენაჩავარდნილს  
და უმეცარსაც ჩაუნერგე ფრენის აზარტი,  
მწიგნობრის გონი აღამაღლე ცაში ნავარდით,  
გააღაღდადე სინარნარის შნო და ლაზათი.

თუმც უფრო მეტად იამაყე ჩემი ნაწერით,  
შენით რაც იშვა, სადაც მოჩანს შენი გავლენა,  
სხვებმა მოგიხმეს დასახვეწად წერის მანერის,  
გამოიყენეს ეგ ხატება ლექსის სამშვენად.

შენ ხარ მიზეზი ჩემი ლექსის - ლაღად მდინარის  
და განმასწავლე პოეზიის უცოდინარიც.

So oft have I invoked thee for my Muse  
And found such fair assistance in my verse  
As every alien pen hath got my use  
And under thee their poesie disperse.

Thine eyes that taught the dumb on high to sing  
And heavy ignorance aloft to fly  
Have added feathers to the learned's wing  
And given grace a double majesty.

Yet be most proud of that which I compile,  
Whose influence is thine and born of thee:  
In others' works thou dost but mend the style,  
And arts with thy sweet graces graced be;

But thou art all my art and dost advance  
As high as learning my rude ignorance.

79.

როცა შენ გამო არ მიწევდა სხვებთან ცილობა,  
სხვის ლექსს ჩრდილავდა ჩემი ლექსის რითმა ნატიფი,  
ახლა სტრიქონებს წართმევიათ მოხდენილობა,  
სნეულმა მუზამ აირჩია სულ სხვა რაყიფი.

დაგეთანხმები, მაგ მშვენებას სიტყვის სამოსით  
უკეთ შეამკობს უმჯობესი მგოსნის აზმანი,  
თუმც გამოსჭვივის შექებაში ნაცად კალმოსნის,  
შენვე გაგპარცვა და გიწონებს ნაპარცვ არზანიკს.

თუკი პოეტი გიხსენიებს სათნომყოფელად,  
შენი სიქველის გამო მისი ხოტბა არ ცხრება,  
ვერ ჩაითვლება ის სიახლის გამომგონებლად,  
რადგან მას აღწერს, რაც გიბოძა ზენას მადლცხებამ.

მისგვარ მაქებრის მადლობისთვის ნუ ისარჯები,  
ისედაც სრულად გაუსტუმრე ეშხით ხარჯები!

Whilst I alone did call upon thy aid,  
My verse alone had all thy gentle grace,  
But now my gracious numbers are decay'd  
And my sick Muse doth give another place.

I grant, sweet love, thy lovely argument  
Deserves the travail of a worthier pen,  
Yet what of thee thy poet doth invent  
He robs thee of and pays it thee again.

He lends thee virtue and he stole that word  
From thy behavior; beauty doth he give  
And found it in thy cheek; he can afford  
No praise to thee but what in thee doth live.

Then thank him not for that which he doth say,  
Since what he owes thee thou thyself dost pay.

80.

როცა შენზე ვწერ, მეშინია და შემაღონებს,  
რადგან შეგაქებს ჩემზე უფრო სულით ძლიერი,  
ბოლომდე ხარჯავს ყველა თავის უნარს, მალ-ღონეს,  
ენადაბმულმა ვერ მოგხიბლავ ამაღ სიმღერით.

შენი ღირსება ოკეანის ვრცელი არეა,  
თანაბრად ზიდავს ამაყ კორვეტს, კარჭავს - პატარას  
და თუმც რაყიფის დიდ ხომალდზე ბევრად მდარეა,  
დაუკითხავად ტალღებს აპობს ჩემი კატარაღ.

მე მატევეტეებს ზედაპირზე მცირე შეწევნაღ,  
ის შენს უძირო სიღრმეებსაღ არ ეპუება;  
თუ ჩემს ნაღს ზვირთი გადაღეწავს, ან თავშეწყენა,  
მის გემს დაიცავს მედიღური აგებულეება.

თუ აყვავებ ჩემს მეტოქეს, მე კი - დამამსხვრეღ,  
ბედკრულს დამღუპავ და სიყვარულს მიქცეღ სამარეღ.

O, how I faint when I of you do write,  
Knowing a better spirit doth use your name,  
And in the praise thereof spends all his might,  
To make me tongue-tied, speaking of your fame!

But since your worth, wide as the ocean is,  
The humble as the proudest sail doth bear,  
My saucy bark inferior far to his  
On your broad main doth wilfully appear.

Your shallowest help will hold me up afloat,  
Whilst he upon your soundless deep doth ride;  
Or being wreck'd, I am a worthless boat,  
He of tall building and of goodly pride:

Then if he thrive and I be cast away,  
The worst was this: my love was my decay.



81.

ან მე ამოვკვეთ შენს საფლავზე ხსოვნის მურდახილს,  
ანდა გავაძღობ შენზე ადრე ხარბ მატლს დაყმედილს,  
შენს მოგონებას ველარ წაშლის კვდომა მურდალი,  
მაშინ როდესაც, დავიწყებას მიმცემს წარმწყმედი.

შენი სახელი აირიდებს წკვარამს უკუღმართს,  
მე მიმიბარებს დავიწყების სამაროვანი,  
წილად მარგუნებს დედამიწა სადა ლუსკუმას,  
შენ ხალხის თვალი დაგამკვიდრებს აღმაფრთოვანი.

ლექსი გახდება შენი ხსოვნის ნაქანდაკარი,  
რომ წაიკითხონ შეუქმნელმა ჯერაც თვალებმა,  
შენს სახელს წართქვამს მაშინაც კი, ენა დამტკბარი,  
ახლა ვინც სუნთქავს, როცა ყველა მიიცვალება.

მარად იცოცხლებ კალმის ძალით - გაძღვე პირობას, -  
კაცთა ბაგეში, სადაც სულთქმა ცხოვლად იგრძნობა.

Or I shall live your epitaph to make,  
Or you survive when I in earth am rotten;  
From hence your memory death cannot take,  
Although in me each part will be forgotten.

Your name from hence immortal life shall have,  
Though I, once gone, to all the world must die:  
The earth can yield me but a common grave,  
When you entombed in men's eyes shall lie.

Your monument shall be my gentle verse,  
Which eyes not yet created shall o'er-read,  
And tongues to be your being shall rehearse  
When all the breathers of this world are dead;

You still shall live — such virtue hath my pen —  
Where breath most breathes, even in the mouths of men.

82.

ჯვარდაწერილი ჩემს მუზასთან არ ხარ, ცხადია,  
ვერც მოღალატედ ვერ შეგრაცხავ, მოალერსებით  
თუკი იმ წიგნთა გადაკითხვა გულით გწადია,  
სადაც პოეტნი გადიდებენ მიძღვნის ლექსებით.

მშვენიერც ხარ, გონიერც, წარმოსადეგც,  
ღირსება რადგან ვერ შეგიქე გულმოდგინებით,  
ამიტომ პოვე ლექსი უფრო გამოსადეგი,  
თანამედროვე, შესაფერი დროის დინების.

დე, ასე იყოს, საყვარელო, თუმც ის რიტორნი,  
ხელოვნურ ხერხებს იგონებდნენ შენს შესამკობად,  
მე ვამჯობინე საქებარი ხერხი ლიტონი,  
ალალ-მართალი ნაღდ მეგობრის უეშმაკობა.

თუკი ღაწვები სისხლნაკლულად შეირაცხება  
საცხი წაუსვან, შენ არ გშვენის მისი წაცხება.

I grant thou wert not married to my Muse  
And therefore mayst without attaint o'erlook  
The dedicated words which writers use  
Of their fair subject, blessing every book

Thou art as fair in knowledge as in hue,  
Finding thy worth a limit past my praise,  
And therefore art enforced to seek anew  
Some fresher stamp of the time-bettering days

And do so, love; yet when they have devised  
What strained touches rhetoric can lend,  
Thou truly fair wert truly sympathized  
In true plain words by thy true-telling friend;

And their gross painting might be better used  
Where cheeks need blood; in thee it is abused.

83.

არ სჭირდებოდა შენს სიტურფეს შეფერადება  
ფერუმარილით, არც ზედმეტი ენალაქარდი,  
მაგ სილამაზეს რადგან ნაკლებ შეეფარდება  
ჭარბსიტყვაობა, მეც ამიტომ აღარ ავჩქარდი;

ვდუმარებდი და შეგაქებდა ზოგი მედროვე,  
ვერა შეგმატეს მაქებართა ახირებებმა,  
თავს ვერ ართმევდა ლექსმთხზველობა თანამედროვე,  
რომ აღეწერა სრულყოფილი სახიერება.

დამდუმარება თურმე შენგან ცოდვად მბრალდება,  
ფუჭსიტყვაობით შენს მშვენებას თუმც არ ვლენავდი,  
ვერას დააკლებს სილამაზეს იდუმალება,  
მაგრამ წაბილწავს მამკობელი დაუხვეწავი.

შენს ერთ თვალშიც კი მეტი მოჩანს გასხივოსნება,  
სიცოცხლის ჩქეფა, ვიდრე გიქეს შენმა მგოსნებმა.

I never saw that you did painting need  
And therefore to your fair no painting set;  
I found, or thought I found, you did exceed  
The barren tender of a poet's debt;

And therefore have I slept in your report,  
That you yourself being extant well might show  
How far a modern quill doth come too short,  
Speaking of worth, what worth in you doth grow.

This silence for my sin you did impute,  
Which shall be most my glory, being dumb;  
For I impair not beauty being mute,  
When others would give life and bring a tomb.

There lives more life in one of your fair eyes  
Than both your poets can in praise devise.

84.

ყველაზე უკეთ განგადიდებს ხოტბა უკვდავი:  
„შენა ხარ მხოლოდ შენი მსგავსი და მაგალითი“,  
რადგან ბუნებამ მოგანიჭა განძი ურდავი,  
შენი ბადალი არ არსებობს თვალ-მარგალიტი.

თუ ვერ გადიდა აზმამ აბრუგაუტეხელი,  
ვერა შეგმატა, ნაკალმევი კარგავს გავლენას,  
თუკი გადმოსცემს მაღლიანი ხოტბის შემსხმელი:  
„ერთადერთი ხარ“! - იციაგებს ქების აღვლენა.

მოეთხოვება შენს მაქებარს აუცილებლად  
ზუსტად აღნუსხოს ბუნებისგან ნაწყალობევი  
და სრულყოფილად დაგვიხატოს შენი ქმნილება,  
გაუკვდავდება სამუდამოდ ნაგალობევით.

ღვთივმშვენიერი არ ეპყრობი თავს საკადრისად,  
ქებისმოყვარეს მოგიძღვნიან მდარე მადრიგალს.

Who is it that says most? which can say more  
Than this rich praise, that you alone are you?  
In whose confine immured is the store  
Which should example where your equal grew.

Lean penury within that pen doth dwell  
That to his subject lends not some small glory;  
But he that writes of you, if he can tell  
That you are you, so dignifies his story,

Let him but copy what in you is writ,  
Not making worse what nature made so clear,  
And such a counterpart shall fame his wit,  
Making his style admired every where.

You to your beauteous blessings add a curse,  
Being fond on praise, which makes your praises worse.

85.

დუმს ჩემი მუზა ენაბრგვნილი, ჟამით ნაშუღლი,  
ამასობაში გადიდებენ სხვათა აზმები  
და ოქროს კალმით აღბეჭდავენ აზრებს აშულნი,  
ცხრავე მუზისგან მოკაზმული ძვირფას ფრაზებით.

მე კარგს ვიზრახავ, სხვას თუ დაჰყვა წერის სარისტა,  
დავმგვანებვიარ უცოდინარ და ტლუ დიაკონს -  
სხვათა ჰიმნებს რომ ადასტურებს: „კი, ჭეშმარიტად!“  
და შეადარებს მელექსეებს ხმატკბილ იადონთ.

მიამიტურად კვერს დავუკრავ შენზე გალობას,  
ფიქრით უმჯობეს ნახობარსაც ვმატებ დადებითს,  
დასჩემებიათ თუმც ჩემს სიტყვებს მაჩანჩალობა,  
მეწინავეა სიყვარულით გულისნადები.

გადაუხადე სხვებს ლექსისთვის ამად მადლობა,  
მე დამიფასე მდუმარ ფიქრთა ალაღმართლობა.

My tongue-tied Muse in manners holds her still,  
While comments of your praise, richly compiled,  
Reserve their character with golden quill  
And precious phrase by all the Muses filed.

I think good thoughts whilst other write good words,  
And like unletter'd clerk still cry 'Amen'  
To every hymn that able spirit affords  
In polish'd form of well-refined pen.

Hearing you praised, I say 'Tis so, 'tis true,'  
And to the most of praise add something more;  
But that is in my thought, whose love to you,  
Though words come hindmost, holds his rank before.

Then others for the breath of words respect,  
Me for my dumb thoughts, speaking in effect.

86.

შენი მოსურნის აფრაასხმულ ლექსის რაზრაზმა  
გამოიწვია ჩემი მუზის დამდუმარება,  
მომწიფებული გულისზრახვა ფსკერში ჩარაზა,  
დაასამარა ნაფიქრალი აუარება?

ეგებ რაყიფი შეუერთდა უკვდავ დიადებს,  
როცა განაბრძნეს ცეცხლოვანი არსის მგოსნებმა?  
არა, ვერც ის და ვერც იმისი მეხვაშიადაე  
ლამის ამქარი, ვერ შეძლებდა ჩემს გაოგნებას.

ვერც მეტოქე და ვერც ნაცნობი მგოსნის აჩრდილი,  
ვინც უძლიერებს ნატიფ ლექსებს რითმის სიზუსტით,  
ვერ გაბედავენ გამარჯვების ზეიმს ქადილით,  
რადგან ვდუმარებ განა შიშით, ანდა სისუსტით!

მაგრამ იერთო როს გაავსე ლექსი მავანთა,  
საქები საგნის უკმარობამ გამასავათა.

Was it the proud full sail of his great verse,  
Bound for the prize of all too precious you,  
That did my ripe thoughts in my brain in hearse,  
Making their tomb the womb wherein they grew?

Was it his spirit, by spirits taught to write  
Above a mortal pitch, that struck me dead?  
No, neither he, nor his compeers by night  
Giving him aid, my verse astonished.

He, nor that affable familiar ghost  
Which nightly gulls him with intelligence  
As victors of my silence cannot boast;  
I was not sick of any fear from thence:

But when your countenance fill'd up his line,  
Then lack'd I matter; that enfeebled mine.

87.

მშვიდობით! არ ღირს გაყრის გამო გაგულისება,  
ალბათ შეიგნე, არ ვიყავი შენი ყადარი,  
თავისუფლება გიწყალობა ბევრმა ღირსებამ,  
ხოლო უღირსს კი დამატება ბედმა ავდარი.

დაუნანებლად მომიძღვნიდი ძვირფას იადგარს,  
თუმც არ ძალმედევა საგანძურის დამსახურება,  
ბედნიერებას ამიტომაც ჩრდილი მიადგა  
და ვერ შევძელი შენი მარად დასაკუთრება.

მონუსხულივით მზად იყავი გასაჩუქებლად,  
არ იშურებდი მიჯნურისთვის ურიცხვ საფასეს,  
თუმც თილისმასაც ჯადოსნური ძალა უქრება,  
თვალახილული მერე შენს თავს უკეთ აფასებ.

როს მეკუთვნოდი, ძილში ვიყავ გვირგვინოსანი,  
გამოვფხიზლდი და დავგლახავდი ცხადში მგოსანი.

Farewell! thou art too dear for my possessing,  
And like enough thou know'st thy estimate:  
The charter of thy worth gives thee releasing;  
My bonds in thee are all determinate.

For how do I hold thee but by thy granting?  
And for that riches where is my deserving?  
The cause of this fair gift in me is wanting,  
And so my patent back again is swerving.

Thyself thou gavest, thy own worth then not knowing,  
Or me, to whom thou gavest it, else mistaking;  
So thy great gift, upon misprision growing,  
Comes home again, on better judgment making.

Thus have I had thee, as a dream doth flatter,  
In sleep a king, but waking no such matter.

88.

კეთილგანწყობა თუ ჩემდამი როსმე მიცხრება  
და ჩემში მხოლოდ დაინახავ მწიკვლს და საცინელს,  
მეც მხარს დაგიჭერ ჩემი თავის დასამცირებლად,  
აღთქმის დამრღვეველს მოგიწონებ უგვან საქციელს.

საკუთარ თავის უკეთ ვიცი ბრალიც, ლაჩრობაც,  
თვითშეფასებას ამიტომაც მიჯობს დავეყრდნო  
და ვაღიარო ჩემი ცოდვაც, ვაინაჩრობაც,  
რათა ღალატი მოგიწონოს ყველამ საქვეყნოდ.

გამხელილ ცოდვის გამო თუკი შემძაგებენ,  
შენკენ მოვმართავ მაინც ტრფობით ფიქრებს მორჩილად,  
ჩემი აუგი თუ მოგიტანს რამე სარგებელს,  
მაშ, ეს ძაგება მახეირებს მევე ორწილად.

ისე მიყვარხარ, ჩემი სული ისე გეკუთვნის,  
არ მეშინია აყვიათა ლანძღვა-შეკურობის.

When thou shalt be disposed to set me light,  
And place my merit in the eye of scorn,  
Upon thy side against myself I'll fight,  
And prove thee virtuous, though thou art forsworn.

With mine own weakness being best acquainted,  
Upon thy part I can set down a story  
Of faults conceal'd, wherein I am attainted,  
That thou in losing me shalt win much glory:

And I by this will be a gainer too;  
For bending all my loving thoughts on thee,  
The injuries that to myself I do,  
Doing thee vantage, double-vantage me.

Such is my love, to thee I so belong,  
That for thy right myself will bear all wrong.



89.

თუ უარყოფა მოგინდება გულის საყვარლის,  
თავისმართლებას არ დავიწყებ, არც - მართლმზილებას;  
კოჭლი იყო, თქვი და ვივლი, როგორც საწყარი,  
არ დავაპირებ ბრალდებების გაბათილებას.

ვერც გაკიცხვისას გამოიჩენ ისეთ მკაცრობას,  
რათა განკითხვა აირიდო პირუმტკიცობის,  
როგორც მე შევძლებ საკუთარი თავის დამცრობას  
და განვაცხადებ, ერთმანეთსაც კი არ ვიცნობდით.

არ დავადგები აღარც შენკენ სავალ ბილიკებს  
და არც სახელი წამომცდება ძვირფას სახეების,  
მიჯნურის გამოც ველარავინ გაგაქილიკებს,  
ვერვინ შეგარცხვენს სათაკილო წამომახებით.

დადემტერები საკუთარ თავს მოსაყიენებლად,  
ვერ შევიყვარებ რადგან მას, ვინც გპულს და გწყინდება.

Say that thou didst forsake me for some fault,  
And I will comment upon that offence;  
Speak of my lameness, and I straight will halt,  
Against thy reasons making no defence.

Thou canst not, love, disgrace me half so ill,  
To set a form upon desired change,  
As I'll myself disgrace: knowing thy will,  
I will acquaintance strangle and look strange,

Be absent from thy walks, and in my tongue  
Thy sweet beloved name no more shall dwell,  
Lest I, too much profane, should do it wrong  
And haply of our old acquaintance tell.

For thee against myself I'll vow debate,  
For I must ne'er love him whom thou dost hate.

90.

თუ შემიძაგებ, ნუ აყოვნებ ათვალწუნებას,  
რადგან საწუთრო დამემტერა ცილისმწამები,  
მხარი აუბი ავბედს, არ ვცდი გადარწმუნებას,  
ოღონდ არ მექცე სასიკვდილო შხამად წამების!

მაშინ ნუ მოხვალ, გაქარვდება როცა სადარდი,  
არ მსურს წუხილი განმიახლონ ტანჯვის ხანჯლებმა,  
რათა არ მოჰყვეს ღამის გრიგალს დილის ავდარი,  
თორემ კუთვნილი დაღუპვის დღე გამიჯანჯლდება.

ნუღარ გადადებ, თუ გწადია განცალკევება,  
ვიდრე მომწყლავდეს საჯავრელის მწარე ბასრობა,  
ფეხი აუწყე ავბედითი ჟამის კვეთებას,  
რათა ერთბაშად თავს დამატყდეს მისი მზაკვრობა

და ის, რაც ახლა მეჩვენება სილის გაცხებად,  
შენი დაკარგვით უმნიშვნელოდ შეირაცხება.

Then hate me when thou wilt; if ever, now;  
Now, while the world is bent my deeds to cross,  
Join with the spite of fortune, make me bow,  
And do not drop in for an after-loss:

Ah, do not, when my heart hath 'scoped this sorrow,  
Come in the rearward of a conquer'd woe;  
Give not a windy night a rainy morrow,  
To linger out a purposed overthrow.

If thou wilt leave me, do not leave me last,  
When other petty griefs have done their spite  
But in the onset come; so shall I taste  
At first the very worst of fortune's might,

And other strains of woe, which now seem woe,  
Compared with loss of thee will not seem so.

91.

ზოგს თავი მოაქვს დიდგვაროვან წარმომავლობით,  
ან ტანის სიბრვე მიაჩნია ღირსად თავაზის,  
ზოგიერთი კი თავს იწონებს ოქროს მრავლობით,  
ემაყება ზოგს - მწევარი, ცხენი, გავაზი.

ყოველ ხასიათს ის გართობა ესათნობა,  
ყველაზე უკეთ რაც ანიჭებს სიამოვნებას,  
თუმც წვრილმანებზე არ ვამყარებ ჩემს სასოებას,  
მოეფონება რადგან სხვა რამ გულს, გვამოვნებას.

გვარიშვილობას მირჩევნია შენი ყვარება,  
არ მაქვს საუნჯის საამქვეყნო გულისწადილი,  
ჩემი განცხრომა შენს სიყვარულს დაემყარება  
და შენ რომ მყავხარ, ამას ვრაცხავ საგნად ქადილის:

ისღა მალონებს, თუმც არ ვილტვი გასამდიდრებლად,  
ვაითუ წამგვრი ამ ერთადერთ ავლადიდებას.

Some glory in their birth, some in their skill,  
Some in their wealth, some in their bodies' force,  
Some in their garments, though new-fangled ill,  
Some in their hawks and hounds, some in their horse;

And every humour hath his adjunct pleasure,  
Wherein it finds a joy above the rest:  
But these particulars are not my measure;  
All these I better in one general best.

Thy love is better than high birth to me,  
Richer than wealth, prouder than garments' cost,  
Of more delight than hawks or horses be;  
And having thee, of all men's pride I boast:

Wretched in this alone, that thou mayst take  
All this away and me most wretched make.

92.

თუ გინდა ფიცი გამიტეხე, ნუ დაიმორცხვებ,  
ვიდრემდის ვცოცხლობ, სულერთია ჩემი იქნები,  
რადგან ვერ გასტანს სიყვარულზე მეტხანს სიცოცხლე,  
ყავლგასულ ტრფიალს გადაჰყვება დაუფიქრებლივ.

ველარ დამზაფრავს უმდაბლესი ყალთაბანდობაც,  
მცირე სიავით თუ სიცოცხლე დაითრგუნება,  
უკეთესია გაცილებით ბედზე დანდობა,  
ვიდრელა ვენდო შენს ბობოქარ მერყევ გუნებას.

თუკი განდრეკა უცილობელ ელდად მომელის,  
დიდხანს არ ძალუძს გაწამება ნიშატს ცვალებადს,  
ვით მანეტარებს სიყვარული დაუცხრომელი,  
მაზედნიერებს მიჯნურისთვის გარდაცვალებაც!

ცხოვრებას ცოტა გადურჩება შეუბღალავი...  
ეგებ მღალატობ და არ ვუწყი ქცევა მღალავის?!

But do thy worst to steal thyself away,  
For term of life thou art assured mine,  
And life no longer than thy love will stay,  
For it depends upon that love of thine.

Then need I not to fear the worst of wrongs,  
When in the least of them my life hath end.  
I see a better state to me belongs  
Than that which on thy humour doth depend;

Thou canst not vex me with inconstant mind,  
Since that my life on thy revolt doth lie.  
O, what a happy title do I find,  
Happy to have thy love, happy to die!

But what's so blessed-fair that fears no blot?  
Thou mayst be false, and yet I know it not.

93.

ვიცხოვრებ, თითქოს ვერ შეგატყვე მუხანათობა,  
ნალალატევი არ შევიძინე ქცევას ნამარდის,  
ვითომც სიყვარულს კვლავ დაჰნათი ციურ მნათობად;  
მე შემომცქერი, თუმც სხვაგან ხარ გულის ნავარდით.

უზიზლო თვალი მიაჩნიათ რადგან სანდობად,  
შენს სიმუხთლეში ამიტომაც ძნელად დავეჭვი,  
ამოიცინობა ვინაიდან ყალთაბანდობა,  
თუ ვინმე გვიმზერს ამრეზით, ან სახის დაღმეჭით.

როცა გბადებდა, რადგან ზენამ მოისურვილა,  
დაებინადრა ტკბილ სიყვარულს მზიურ იერში,  
შეგირაცხავენ ხვაშიადებს მუდამ სრულქმნილად  
და გულარძნილიც წარმოჩნდები გულისხმიერი.

შენი მშვენება აყვავდება ევას ვაშლივით,  
გინდაც სიმრუდეს სჩადიოდე ვნებააშლილი.

So shall I live, supposing thou art true,  
Like a deceived husband; so love's face  
May still seem love to me, though alter'd new;  
Thy looks with me, thy heart in other place:

For there can live no hatred in thine eye,  
Therefore in that I cannot know thy change.  
In many's looks the false heart's history  
Is writ in moods and frowns and wrinkles strange,

But heaven in thy creation did decree  
That in thy face sweet love should ever dwell;  
Whate'er thy thoughts or thy heart's workings be,  
Thy looks should nothing thence but sweetness tell.

How like Eve's apple doth thy beauty grow,  
If thy sweet virtue answer not thy show!

94.

ვისაც ძალა აქვს, თუმც ძალ-ღონით არვის დაკოდავს,  
ავკაცობისთვის არ იყენებს ძალმოსილებას,  
ვინც სხვებს აღძრავს და აღმართულა უძრავ ქვალოდად  
და შეუძლია მაცდურ ვნების დამორჩილება,

მიემადლება ნიჭი საღვთო განგებულებით,  
ბუნების განძის გაფრთხილება ხელეწიფება,  
მბრძანებელია მისი ნების, აგებულების,  
ხოლო სხვები კი უხდებიან ხელქვეითებად.

ზაფხულის ყვავილს სურნელება ასდის საამო,  
თუმც უმთავრდება ყვავილობის ჟამი სანდომი,  
უცილობელი სნეულება როცა გაახმობს,  
აღემატება ღირსებებით ღვარძლიც დავრდომილს,

აუფასურებს ღვაწლსაც ავის თავგამოდება,  
მჭკნარი შრომანი ეკალბარდზე მეტად შმორდება.

They that have power to hurt and will do none,  
That do not do the thing they most do show,  
Who, moving others, are themselves as stone,  
Unmoved, cold, and to temptation slow,

They rightly do inherit heaven's graces  
And husband nature's riches from expense;  
They are the lords and owners of their faces,  
Others but stewards of their excellence.

The summer's flower is to the summer sweet,  
Though to itself it only live and die,  
But if that flower with base infection meet,  
The basest weed outbraves his dignity:

For sweetest things turn sourest by their deeds;  
Lilies that fester smell far worse than weeds.

95.

გალამაზდება საქციელი შენგან ნამრახიც,  
მატლივით დახრავ, ტურფა ვარდზე როცა ცოცდება,  
საკუთარ სახელს და ჩირქს მოსცხებ უგვან განზრახვით,  
სანდომიანად წარმოაჩენ ავხორც ცოდვებსაც.

ენაჭარტალა თუკი ლამობს გაქიაქებას,  
აღვირახსნილად სურს შეგრაცხოს ქცევის განხილვით,  
შენი სახელის ხსენებისას ხდება მაქებრად  
და განქარდება ყველა ავი გამოძახილი.

ხელში ჩაიგდო მწიკვლმა შენი ახოვანება,  
სწორუპოვარი საცხოვრისი გადაილოცა,  
შენ შეგიძლია გადაფარო ნაკლოვანება  
და თვალწარმტაცად მოაჩვენებ სათაკილოსაც.

მაგრამ ერიდე უთავბოლო დროისტარებას,  
პირბასრ ხანჯალსაც დააჩლუნგებს ხშირი ხმარება.

How sweet and lovely dost thou make the shame  
Which, like a canker in the fragrant rose,  
Doth spot the beauty of thy budding name!  
O, in what sweets dost thou thy sins enclose!

That tongue that tells the story of thy days,  
Making lascivious comments on thy sport,  
Cannot dispraise but in a kind of praise;  
Naming thy name blesses an ill report.

O, what a mansion have those vices got  
Which for their habitation chose out thee,  
Where beauty's veil doth cover every blot,  
And all things turn to fair that eyes can see!

Take heed, dear heart, of this large privilege;  
The hardest knife ill-used doth lose his edge.

96.

ნაკლად გითვლიან სიჭაბუკეს, ანდა ანცობას,  
მშვენიერების ხილვით ზოგიც დაიბღვირება,  
ყველას სწადია შენთან ყოფნა, შენი გაცნობა,  
ხელგეწიფება მოაჩვენო ნაკლი ღირსებად.

დედოფლის თითზე ძვირფასად ჩანს კენჭის ნათალიც,  
მის საფასურში დაეჭვება ემარცხვინებათ,  
ასევე ჩანხარ ბევრის თვალში ალალ-მართალი,  
შენი ცოდვები გასაღდება ჭემმარიტებად.

შეეძლებოდა მგელს უამრავ ბატკნის გაწყვეტა,  
თუ წარდგებოდა მათ წინაშე კრავის სამოსით,  
რამდენ შენს მზირალს ემუქრება სულის წაწყმედა,  
შენი მშვენების ძალას თუკი სრულად გამოცდი.

რადგან ჩემად გთვლი, ნუ იკადრებ ავის ჩადენას,  
შენი სახელის მენანება ზადით წახდენა!

Some say thy fault is youth, some wantonness;  
Some say thy grace is youth and gentle sport;  
Both grace and faults are loved of more and less;  
Thou makest faults graces that to thee resort.

As on the finger of a throned queen  
The basest jewel will be well esteem'd,  
So are those errors that in thee are seen  
To truths translated and for true things deem'd.

How many lambs might the stern wolf betray,  
If like a lamb he could his looks translate!  
How many gazers mightst thou lead away,  
If thou wouldst use the strength of all thy state!

But do not so; I love thee in such sort  
As, thou being mine, mine is thy good report.



97.

მოსაკლისება შენი იყო მკაცრი ზამთრობა,  
წარმავალი წლის განცხრომავ და წმინდა თავწყაროვ!  
ო, რა სიბნელე გამოვცადე და რა დაზრობა,  
დეკემბრის სუსხით შიშვლდებოდა ირგვლივ სამყარო.

ზაფხულში ერთურთს დავშორდით და მწარედ ვიოხრე,  
ვერც შემოდგომამ მანუგეშა ანაკვნესარი,  
ჰგავდა მკვდარი ქმრის ჩანასახის მზიდავ ქვრივობხერს,  
დახუნძლულიყო გაზაფხულის დანათესართ.

უშენოდ ჩანდა მოწყული ეს ჭირნახული  
უშამო ხილად, სასოებად საწყალ ობლებს,  
შენ ერთს გამსახურებს სიამენი რადგან ზაფხულის,  
თუ წახვალ, ჩიტთა აღარ ისმის საგალობლებიც;

ან თუ ჟივიან, საბრალოა ისე გალობა,  
კრთიან ფოთლები, რადგან თვლიან ზამთარს მახლობლად.

How like a winter hath my absence been  
From thee, the pleasure of the fleeting year!  
What freezings have I felt, what dark days seen!  
What old December's bareness every where!

And yet this time removed was summer's time,  
The teeming autumn, big with rich increase,  
Bearing the wanton burden of the prime,  
Like widow'd wombs after their lords' decease:

Yet this abundant issue seem'd to me  
But hope of orphans and unfather'd fruit;  
For summer and his pleasures wait on thee,  
And, thou away, the very birds are mute;

Or, if they sing, 'tis with so dull a cheer  
That leaves look pale, dreading the winter's near.

98.

ამ გაზაფხულზე უფრო მეტად მოგისაკლისე,  
როცა აჭრელდა აპრილის თვე ანდამატური,  
გაუჭაბუკდა ყოველს სული და სიხალისემ  
ააცმუკა და გააცინა ქუში სატურნიც.

ყურს ვერ მიტკობდა ვერც მგალობელ ჩიტთა რაკრაკი,  
ვერც ყვავილების სურნელი, ან ფერი მშველოდა,  
რომ მომეყოლა საამური ჟამის არაკი,  
ან თაიგული შემეკონა წარმტაც მდელოდან.

ვერ განმაცვიფრა სისპეტაკით თეთრმა შროშანმა,  
არ შემიქია მოღაღანე ვარდთა სინგურიც,  
ეს ყველაფერი სილამაზის ჩრდილად მოჩანდა,  
რადგან ნიმუში მარტოოდენ შენ ხარ სიტურფის.

უშენოდ ჩემთვის ჯერაც სუსხი იდგა ნამდვილი  
და გაზაფხულიც იყო მხოლოდ შენი აჩრდილი.

From you have I been absent in the spring,  
When proud-pied April dress'd in all his trim  
Hath put a spirit of youth in every thing,  
That heavy Saturn laugh'd and leap'd with him.

Yet nor the lays of birds nor the sweet smell  
Of different flowers in odour and in hue  
Could make me any summer's story tell,  
Or from their proud lap pluck them where they grew;

Nor did I wonder at the lily's white,  
Nor praise the deep vermilion in the rose;  
They were but sweet, but figures of delight,  
Drawn after you, you pattern of all those.

Yet seem'd it winter still, and, you away,  
As with your shadow I with these did play.

99.

სათუთი ია სურნელისთვის დავამუნათე:  
რადგან გამხდარა ჩემი სატრფოს სუნთქვის მძარცველი,  
ღრმა მეწამული, წარმტაც ღაწვებს რაც გაუნათებს,  
ამოუხაპავს მოთარეშე ყვავილს ძარღვებში.

სატრფოს მკლავები გაუძარცვავს შრომანს კრძალული,  
ხოლო თავშავას ზილფ-დალალთა პარვას ვაბრალი,  
ერთი ვარდია სირცხვილისგან ღაწვშეფაკლული,  
ხოლო მეორე ფერგამკრთალი, იმედგამწყვრალი;

მესამე ვარდმა მიითვისა თეთრიც, წითელიც,  
სართად დაურთო შენი სუნთქვის ანდამატებიც,  
ვერ გაიხარებს ამის გამო დიდხანს სიმრთელით  
და ჩამოჰკნება ამოხრული მავნე მატლებით.

სხვა ყვავილებსაც შუქი ადგა შენი სინათლის,  
ზოგმა მშვენება წარგტაცა და ზოგმა ინანთი.

The forward violet thus did I chide:  
Sweet thief, whence didst thou steal thy sweet that smells,  
If not from my love's breath? The purple pride  
Which on thy soft cheek for complexion dwells  
In my love's veins thou hast too grossly dyed.

The lily I condemned for thy hand,  
And buds of marjoram had stol'n thy hair:  
The roses fearfully on thorns did stand,  
One blushing shame, another white despair;

A third, nor red nor white, had stol'n of both  
And to his robbery had annex'd thy breath;  
But, for his theft, in pride of all his growth  
A vengeful canker eat him up to death.

More flowers I noted, yet I none could see  
But sweet or colour it had stol'n from thee.

100.

სად მკვიდრობ, მუზავ, ვის ანიჭებ სიამოვნებას,  
რად არ გაისმის შენი ჰიმნი ძლევამოსილი?  
ეგებ ახარჯავ მდარე ნამღერს შენს შთაგონებას,  
დაგამაბუნა ამიტომაც მისი მორჩილი?!

დაბრუნდი, მუზავ, მომიტანე კვლავ სარგებელი,  
გამოისყიდე წყობილსიტყვით დროის გაფლანგვა,  
შესაფერისი ვინც მოგაგო მისაგებელი  
იმას უმღერე, ნუ შეაქებ უვიც ბალანგარს!

შეხედე, მუზავ, ჩემი სატრფო დროის პატიმრად  
ხომ არ ქცეულა - ჟამის გუთნის მასზე გადავლით?  
თუკი ასეა, მიუძღვენი ღპობას სატირა,  
ისე, რომ ყველამ შეიზიზღოს მისი ნადავლი!

გაადიადე სატრფო მომსრავ დროზე ფრთამალად,  
რათა ვერ ავნოს შემართულმა ჟამის ნამგალმა!

Where art thou, Muse, that thou forget'st so long  
To speak of that which gives thee all thy might?  
Spend'st thou thy fury on some worthless song,  
Darkening thy power to lend base subjects light?

Return, forgetful Muse, and straight redeem  
In gentle numbers time so idly spent;  
Sing to the ear that doth thy lays esteem  
And gives thy pen both skill and argument.

Rise, resty Muse, my love's sweet face survey,  
If Time have any wrinkle graven there;  
If any, be a satire to decay,  
And make Time's spoils despised every where.

Give my love fame faster than Time wastes life;  
So thou prevent'st his scythe and crooked knife.

101.

უქნარა მუზავ, შემცოდველო, რატომ აზავთდი,  
ჭეშმარიტებას რად არ აქებ შემკულს მშვენებით?  
რადგან ორივეს ასაზრდოებს სატრფოს ლაზათი,  
მისი აზმანით სათნობით აღეშენები.

მდუმარე მუზავ, მიპასუხებ ასე უდავოდ:  
„ჭეშმარიტებას არ სჭირდება შეფერადება;  
ნაღდ სილამაზეს ერთი ფერი აქვს სამუდამოდ  
და სრულქმნილებას ხოტბა აღარ შეეფარდება“.

არ საჭიროებს თუმც მიჯნური სიტყვის ანდამატს,  
აჟღერე ქნარი ცხრავე მუზის ნიჭის მომცველი,  
მოოქროვილი რომც დაინგრეს მისი აკლდამა,  
ჟამთასვლას შერჩეს სილამაზე წარუხოცელი.

ხმა ამოიღე, გევედრები, მუზავ, მთხოვარი,  
დაამახსოვრდეთ სილამაზე ღირსსახსოვარი.

O truant Muse, what shall be thy amends  
For thy neglect of truth in beauty dyed?  
Both truth and beauty on my love depends;  
So dost thou too, and therein dignified.

Make answer, Muse: wilt thou not haply say  
‘Truth needs no colour, with his colour fix’d;  
Beauty no pencil, beauty’s truth to lay;  
But best is best, if never intermix’d?’

Because he needs no praise, wilt thou be dumb?  
Excuse not silence so; for’t lies in thee  
To make him much outlive a gilded tomb,  
And to be praised of ages yet to be.

Then do thy office, Muse; I teach thee how  
To make him seem long hence as he shows now.

102.

გამიძლიერდა სიყვარული, თუმც ჰგავს დამცრობილს,  
ნაკლებ არ მიყვარს, მაგრამ არ მსურს რამის მტკიცება,  
ჩემს გულისნადებს ვერ გავუნდობ ყოველ გაცნობილს,  
თორემ გახდება მიჯნურობა აღებ-მიცემა.

თავდაპირველად მოგიძღვნიდი პანეგირიკებს,  
როცა ტრფიალის გაზაფხული გვგვრიდა მთვრალობას,  
იმ ბულბულივით, მაისში რომ სტვენს და რიკრიკებს,  
ხოლო ზაფხულის მიწურულს კი შეწყვეტს გალობას.

თუმც შერჩენია ზაფხულს ხიბლი სულისწამლები,  
ღამეთა მსგავსად, როცა ჟღერდა ჰანგი მწუხარე,  
გადაძახილით მძიმდებიან რადგან ბალები,  
საგალობელი ბულბულების აღარ მქუხარებს.

იადონივით, მეც დროდადრო გავიყურსები,  
რომ არ ჩაგესმას მოსაწყენად მღერა ყურებში.

My love is strengthen'd, though more weak in seeming;  
I love not less, though less the show appear:  
That love is merchandized whose rich esteeming  
The owner's tongue doth publish every where.

Our love was new and then but in the spring  
When I was wont to greet it with my lays,  
As Philomel in summer's front doth sing  
And stops her pipe in growth of riper days:

Not that the summer is less pleasant now  
Than when her mournful hymns did hush the night,  
But that wild music burthens every bough  
And sweets grown common lose their dear delight.

Therefore like her I sometime hold my tongue,  
Because I would not dull you with my song.

103.

დამიბეჩავდა მუზა ერთ დროს ბუმბერაზული,  
სახელის განთქმის ფართო ჰქონდა თუმც ასპარეზი,  
შენს ხატებასთან უძლურია ქება კაზმული,  
უთანადოა, განგადიდებ რადგან ხარვეზით!

თუ ლექსს ვერ გიძღვნი, არ დამძრახო, გვედრი უდები,  
შეხედე სარკეს, გამოჩნდება სახე ნატიფი,  
ზეშთაგონებას ბორკავს ეშხი ფასდაუდები  
და გავწილდები მეხოტბეთა უფხო რაყიფი.

რამეთუ არ მსურს დავაკნინო შენი ბრწყინება,  
დავაზიანო სილამაზის დვრიტა, სადედი,  
ერთადერთია ჩემი ლექსის მოწადინება,  
მშვენიერება შეგიმოსოს შარავანდედით.

შეხედე სარკეს, ვიდრე გეტყვის ლექსთა პწკარები,  
იქ გაცილებით მეტს იხილავ შეუდარებლივ!

Alack, what poverty my Muse brings forth,  
That having such a scope to show her pride,  
The argument all bare is of more worth  
Than when it hath my added praise beside!

O, blame me not, if I no more can write!  
Look in your glass, and there appears a face  
That over-goes my blunt invention quite,  
Dulling my lines and doing me disgrace.

Were it not sinful then, striving to mend,  
To mar the subject that before was well?  
For to no other pass my verses tend  
Than of your graces and your gifts to tell;

And more, much more, than in my verse can sit  
Your own glass shows you when you look in it.

104.

ძვირფასო, ჩემთვის არ გახდები როსმე ხნიერი,  
ისეთივე ხარ, ვით პირველად გნახე, უცვლელი,  
შემოეძარცვა სამი ზამთრით დიდმშვენიერი  
საფარი მერე სამ ცხელ ზაფხულს ტყეთა ფურცლების.

სამ ცელქ გაზაფხულს შეენაცვლა შემდეგ რიგ-რიგად  
სამი სთველი და მეც ჭალარა ვერ ავიცილე,  
სამმა თიბათვემ გადახრუკა სამი იგრიკა,  
შენ არც მშვენება დაგიკარგავს და არც - სიციცხლე.

ვაგლახ, გაცვდება სილამაზე ისე მდუმრიად,  
ვით ციფერბლატზე მოძრაობენ ჩუმად ისრები  
და რომ მგონია ჟამს ეგ ეშხი არ შეუძვრია,  
იგებ ვტყუვდები და სიბერის ხინჯით ივსები:

ვეტყვი არდამდგარ საუკუნეს შენაშინები,  
მშვენიერების ზაფხულს მოკლავ, ვიდრე იშვები!

To me, fair friend, you never can be old,  
For as you were when first your eye I eyed,  
Such seems your beauty still. Three winters cold  
Have from the forests shook three summers' pride,

Three beauteous springs to yellow autumn turn'd  
In process of the seasons have I seen,  
Three April perfumes in three hot Junes burn'd,  
Since first I saw you fresh, which yet are green.

Ah! yet doth beauty, like a dial-hand,  
Steal from his figure and no pace perceived;  
So your sweet hue, which methinks still doth stand,  
Hath motion and mine eye may be deceived:

For fear of which, hear this, thou age unbred;  
Ere you were born was beauty's summer dead.



105.

ნუ დაარქმევენ ჩემს სიყვარულს კერპთმსახურებას,  
არც ჩემი სატრფო შემირაცხავს სალოც ღვთაებად,  
თუმც ჩემი ლექსი ერთის ქებას ეხმაურება,  
ერთს ეძღვნება და უნდა მისი გაუკვდავება.

მის სიკეთეზე შემოძლია მუდამ დანდობა,  
არ ეპუება წუთისოფლის ბრუნვას მდგარი;  
ჩემი სიმღერაც არ განიცდის ცვალებადობას,  
ერთს გამოხატავს და ამიტომ რჩება ერთგვარი.

“ლამაზი, სათნო, საიმედო” – ძვირფას ზარნიშად  
განმეორდება ეს სიტყვები არსით ღმერთული  
და შენს ღირსებებს შენაცვლებით მათით აღვნიშნავ,  
ერთში თავმოყრილ სამ თვისების ვრჩები ერთგული.

“ლამაზი, სათნო, საიმედო” – სამი ღირსება  
მხოლოდ ჩემს სატრფოს მიენიჭა შესათვისებლად.

Let not my love be call'd idolatry,  
Nor my beloved as an idol show,  
Since all alike my songs and praises be  
To one, of one, still such, and ever so.

Kind is my love to-day, to-morrow kind,  
Still constant in a wondrous excellence;  
Therefore my verse to constancy confined,  
One thing expressing, leaves out difference.

'Fair, kind and true' is all my argument,  
'Fair, kind, and true' varying to other words;  
And in this change is my invention spent,  
Three themes in one, which wondrous scope affords.

'Fair, kind, and true,' have often lived alone,  
Which three till now never kept seat in one.

106.

შემოგვინახა ეტრატებზე მჭევრმეტყველებამ,  
ძველი ყაიდის გართმებით თუ ერთსულოვნად,  
ვით განადიდეს სილამაზე მენესტრელებმა  
და გავცნობით გარდაცვლილ ქალთ, ვაჟკაცთ გულოვანთ.

როცა ასხამდნენ ხოტბას ვინმეს ქმნულკეთილობას,  
მოსწონდათ ხელი, ფეხი, სახე გამონაკვთული,  
ძველი კალამი ზუსტად იმის ხატვას ცდილობდა,  
რა მშვენიებითაც შენ ხარ ახლა ქვეყნად განთქმული.

წინასწარჭვრეტით შეაქებდნენ თვალთა საფირონს  
და აღგვიწერდნენ სილამაზის სახეს წინარეს,  
წინმხედი მზერა თუმც გხედავდა არამკაფიოდ  
და სათანადოდ ვერ შეგამკეს შუქმომგინარე.

ჩვენ კი, რომ გვწუსხავს გამოხედვა ციურ ლაჟვარდის,  
თვალთ ვკვირობთ და საკმარისი არ გვაქვს ლაქარდი.

When in the chronicle of wasted time  
I see descriptions of the fairest wights,  
And beauty making beautiful old rhyme  
In praise of ladies dead and lovely knights,

Then, in the blazon of sweet beauty's best,  
Of hand, of foot, of lip, of eye, of brow,  
I see their antique pen would have express'd  
Even such a beauty as you master now.

So all their praises are but prophecies  
Of this our time, all you prefiguring;  
And, for they look'd but with divining eyes,  
They had not skill enough your worth to sing:

For we, which now behold these present days,  
Had eyes to wonder, but lack tongues to praise.

107.

ვერც ჩემი შიში, ვერც მსოფლიოს სული მისნური,  
რომელსაც ძალუმს წინასწარი ჭკვრეტა მერმისის,  
ვერ დამიშლიან უსასრულო ტრფიალს მიჯნურის,  
განადგურებას რომ უქადდა ჟამი შერისხვით.

მთვარის დაჩრდილვა გათავდა და შეწყდა ყბედობაც,  
მასხრად იგდებენ ავგურები ნათილისმარებს,  
გაურკვევლობა ჩაანაცვლა საიმედობამ,  
მშვიდობას გვამცნობს ზეთისხილი ყოველ ცისმარე.

ახლა, როდესაც მაკურნებელ დროის ნაღვენით  
განახლდა ტრფობა, ვეღარ მიყრის კვდომა ბორკილებს,  
გამაუკვდავებს ჩემი ლექსი ქების აღვლენით,  
ხოლო სიკვდილი ყეყეჩ თაბუნს დაიმორჩილებს.

დრო ვერას უზამს ლექსს ქანდაკად შენთვის ანაგებს,  
როცა ტირანთა სამარეებს მოაშანდაკებს.

Not mine own fears, nor the prophetic soul  
Of the wide world dreaming on things to come,  
Can yet the lease of my true love control,  
Supposed as forfeit to a confined doom.

The mortal moon hath her eclipse endured  
And the sad augurs mock their own presage;  
Incertainties now crown themselves assured  
And peace proclaims olives of endless age.

Now with the drops of this most balmy time  
My love looks fresh, and death to me subscribes,  
Since, spite of him, I'll live in this poor rhyme,  
While he insults o'er dull and speechless tribes:

And thou in this shalt find thy monument,  
When tyrants' crests and tombs of brass are spent.

108.

განა გონებას შერჩა რამე დამაფიქრველი,  
რაც ვერ აღბეჭდა კალმით სულმა სანდომ, საღმერთომ?  
რალა შევმატო განდიდებას შენი სიქველის,  
ჩემი ტრფიალი ახლებურად როგორ აღვწერო?

ახალს ვერ გეტყვი, თუმც ნათქვამი ისევ ვარდისობს,  
განმეორდება, როგორც საღვთო ლოცვა-ვედრება,  
რომ ჩემი ხარ და მე შენი ვარ სამარადისოდ  
და ვით პირველ დღეს, ღაღადისი არა მბეზრდება.

მსგავსად მარადი ტრფობა იცვამს ახალ გარსაცმელს,  
არ ეპუება კორიანტელს ჟამის მინაყარს,  
არ მიიკარებს ნაოჭებს და ებრძვის განსაცდელს  
და მხცოვანებას დაიყენებს მორჩილ შინაყმად.

აბრიალდება სიყვარულის ისევ ღადარი  
იქ, სადაც ჩანდა ავბედობით ღიმილჩამკვდარი.

What's in the brain that ink may character  
Which hath not figured to thee my true spirit?  
What's new to speak, what new to register,  
That may express my love or thy dear merit?

Nothing, sweet boy; but yet, like prayers divine,  
I must, each day say o'er the very same,  
Counting no old thing old, thou mine, I thine,  
Even as when first I hallow'd thy fair name.

So that eternal love in love's fresh case  
Weighs not the dust and injury of age,  
Nor gives to necessary wrinkles place,  
But makes antiquity for aye his page,

Finding the first conceit of love there bred  
Where time and outward form would show it dead.

109.

ნუ დამაბრალებ ღალატს, თუმცა სხვაგან ცხოვრებამ  
გზნება დამიცხრო და ნუ მკადრებ ამაღ სამდურავს,  
ჩემთვის იოლი იყო თავთან გამოთხოვება,  
ვიდრე ჩემს სულთან, შენს მკერდში რომ დაისადგურა.

იქ სახლობს ტრფობა და თუ სადმე წავეხეტიალდი,  
შინ დავბრუნდები ყარიბივით, გზას რომ დაკეცავს,  
დათქმულ დროს მოვალ, შეუცვლელი - ბედის ტრიალით,  
წყალს წამოვიღებ შეცოდების ჩამოსარეცხად.

ნუ დაიჯერებ, თუმც ცოდვებით მეც შევილახე,  
ვით ამქვეყნიურ ცოდვას მონებს თითქმის ყოველი,  
ისე დავეცი, მომერია ისე სიგლახე,  
შენი საუნჯე გამეცვალოს ცხოველმყოფელი.

უშენოდ ზეცაც არად მიღირს უვრცეს სამანის,  
შენ ხარ ყოველი ჩემთვის, ვარდო, სუნთქვაც, ამანიც.

O, never say that I was false of heart,  
Though absence seem'd my flame to qualify.  
As easy might I from myself depart  
As from my soul, which in thy breast doth lie:

That is my home of love: if I have ranged,  
Like him that travels I return again,  
Just to the time, not with the time exchanged,  
So that myself bring water for my stain.

Never believe, though in my nature reign'd  
All frailties that besiege all kinds of blood,  
That it could so preposterously be stain'd,  
To leave for nothing all thy sum of good;

For nothing this wide universe I call,  
Save thou, my rose; in it thou art my all.

110.

სიღარბაისლე ახირებამ აღარ მადირსა,  
გულისწადილით რაოდენჯერ წავხეტიალდი,  
იაფად ვყიდდი შერყვნილ ფიქრით ძვირად საღირაღს,  
დავამცირებდი ძველ სიყვარულს ახალ ტრფიალით.

ჭემმარიტ გრძნობას სიაუგე რარიგ აზრობდა,  
ალმაცერი და ეჭვიანი მზერის ნაგესლით,  
ავისგანმცდეღ გულს დაუბრუნდა ახალგაზრდობა  
და ვცანი - შენ ხარ ჩემი ტრფობა უზენაესი.

რაც იყო, იყო! დასრულდა და ვითხოვ შენდობას,  
ამიერიდან არ წავმახავ პირს მგზნებარების,  
აღარ დავატებ ძველ მეგობარს თავს ძნელბედობას,  
მას - ტრფიალის ღმერთს სამუდამოდ მივებარები.

ცის მისადარო, მაშ, სიცოცხლეს სულს ნუ განუკვეთ  
და ჩამახუტე კვლავ შენს გულმკერდს ცისებრ სანუკველს.

Alas, 'tis true I have gone here and there  
And made myself a motley to the view,  
Gored mine own thoughts, sold cheap what is most dear,  
Made old offences of affections new;

Most true it is that I have look'd on truth  
Askance and strangely: but, by all above,  
These blenches gave my heart another youth,  
And worse essays proved thee my best of love.

Now all is done, have what shall have no end:  
Mine appetite I never more will grind  
On newer proof, to try an older friend,  
A god in love, to whom I am confined.

Then give me welcome, next my heaven the best,  
Even to thy pure and most most loving breast.

111.

გთხოვ ბედისწერა შენც გაკიცხო ჩემი ცხოვრების,  
მისი ბრალთა სათნოება თუკი ფერხდება,  
რადგან საჯაროდ დამამცირებს გამათხოვრებით  
და საჯაყ ქცევას არ მივიჩნევ შეუფერებლად.

საქმიანობით რადგან ყველა დაიდამლება,  
ხელობას ჩემი საქციელიც მიესადაგა,  
როგორც მღებავი წაითითხნის ხელზე საღებავს;  
მაშ, შემიბრალე, ამარიდე სჯას და სადაგავს!

გაჯანსაღებას მოვისურვებ სენით ძაბუნი,  
გინდ დამინიშნო სამკურნალოდ მძაფრი სავლები,  
თუნდ მიექიმო მწარე წამლით, ანდა სალბუნით,  
ორმაგ სასჯელსაც უდრტვინველად მივესალმები.

გთხოვ, შემიბრალე, გევედრები ძვირვას ამხანაგს,  
შენგან შენდობაც მიექიმებს რადგან ამხანად.

O, for my sake do you with Fortune chide,  
The guilty goddess of my harmful deeds,  
That did not better for my life provide  
Than public means which public manners breeds.

Thence comes it that my name receives a brand,  
And almost thence my nature is subdued  
To what it works in, like the dyer's hand:  
Pity me then and wish I were renew'd;

Whilst, like a willing patient, I will drink  
Potions of eisel 'gainst my strong infection  
No bitterness that I will bitter think,  
Nor double penance, to correct correction.

Pity me then, dear friend, and I assure ye  
Even that your pity is enough to cure me.

112.

შენი ტრფობით და სიბრალულით გამიქარწყლდება  
დამლა შუბლიდან, ავი ენით ამონატვიფრო,  
არაფრად მიჩანს სხვისგან ქება, ანდა ბრალდება,  
თუ ნაკლს მპატობ და მამართლებ გულის ნაფიქრით.

შენ დაგრთე ნება განიკითხო ჩემი ბუნება,  
შენით ვგებულობ ჩემს ქცევაში კეთილს, სასირცხოს,  
შენ გარდა ვერვინ მოახერხებს გადარწმუნებას  
კარგად რასაც ვთვლი უარვეო, ან ცუდი - გაკვიცხო.

ულრმეს უფსკრულში ჩავუძახე სხვათა ლაპარაკს,  
სმენა დავიხშე და გავხევედი, როგორც პითონი,  
მარტოდენ შენ ხარ ანთებული ჩემთვის ლამპარად,  
გულგრილად ვხვდები ავმეტყველს, თუ ხოტბას პირმოთნის.

რადგან მხოლოდ შენ დაივანე გულის ნაკრძალში,  
მთელი სამყარო გარეშემო მოჩანს ჩამღრმვალნი.

Your love and pity doth the impression fill  
Which vulgar scandal stamp'd upon my brow;  
For what care I who calls me well or ill,  
So you o'er-green my bad, my good allow?

You are my all the world, and I must strive  
To know my shames and praises from your tongue:  
None else to me, nor I to none alive,  
That my steel'd sense or changes right or wrong.

In so profound abysm I throw all care  
Of others' voices, that my adder's sense  
To critic and to flatterer stopped are.  
Mark how with my neglect I do dispense:

You are so strongly in my purpose bred  
That all the world besides methinks are dead.



113.

რაც შენ დაგცილდი, ამ სამზევოს გონით ვუცქერი,  
რადგან ჩემი სვლის წამმართველი და გზის გამკვლევი  
თვალები თითქოს დანისლულან მწუხრის ბუერით,  
ლიბრგადაკრულნი ძლივს ხედავენ ჩინის დაკლებით.

თითქოს ნამზერი გულისათვის თვალს არ ეთმობა,  
ვეღარ აღბეჭდავს გული უკვე თანაცხოვრებას,  
გაუწყვეტია რადგან თვალთან ურთიერთობა,  
გონს აღარ ძალუმს შემჩნეულს დამახსოვრება.

რამეთუ რასაც თვალი უცქერს - ნახს, თუ სიჯღანეს,  
ყველაზე უფრო დახვეწილ, თუ მახინჯ ქმნილებას,  
ზღვასა თუ ხმელეთს, მტრედს თუ ყორანს, დღეს, ან - სიღამეს,  
იმ ყველაფერში შენი სახე მოიხილვება.

შენით აღვსილი, ვერვის იტევს გონი ერთგული  
და გამრუდდება აღქმისათვის თვალით შერთული.

Since I left you, mine eye is in my mind;  
And that which governs me to go about  
Doth part his function and is partly blind,  
Seems seeing, but effectually is out;

For it no form delivers to the heart  
Of bird or flower, or shape, which it doth latch:  
Of his quick objects hath the mind no part,  
Nor his own vision holds what it doth catch:

For if it see the rudest or gentlest sight,  
The most sweet favour or deformed'st creature,  
The mountain or the sea, the day or night,  
The crow or dove, it shapes them to your feature:

Incapable of more, replete with you,  
My most true mind thus makes mine eye untrue.

114.

ეგებ მატყუებს გონი შენგან ნავვირგვინები,  
მონარქთა ჭირით – პირფერობის შესმით ძლეულა?  
ან შეიძლება მართალს მამცნობს თვალი თვითნებით,  
შენმა ტრფიალმა გამოძერწა იმგვარ გრძნეულად,

შენს მსგავს ქერუბიმს დაამგვანოს ყველა უკლებლად,  
მძვინვარე მხეცი, თუ სათუთი ამარილისი  
და თვით მიხრწნილსაც მიაწიჭოს გაჭაბუკება,  
მშვენიერ არსად მომაჩვენოს ნასიც თილისმით.

მაამებლურ თვალს მიეცემა გულთქმის დასტური,  
მეფურ გონებას ეგონება შხამი სანდობი,  
თავს მოუქონავს თვალი ლიქნით სავსე სასმურით,  
რადგანაც იცის, ვით აამოს ყალთაბანდობით.

გონი არაა მომწამლავი ცოდვის განმსჯელი,  
რადგან პირველი გამოთვრება თვალი სასმელით.

Or whether doth my mind, being crown'd with you,  
Drink up the monarch's plague, this flattery?  
Or whether shall I say, mine eye saith true,  
And that your love taught it this alchemy,

To make of monsters and things indigest  
Such cherubins as your sweet self resemble,  
Creating every bad a perfect best,  
As fast as objects to his beams assemble?

O,'tis the first; 'tis flattery in my seeing,  
And my great mind most kingly drinks it up:  
Mine eye well knows what with his gust is 'greeing,  
And to his palate doth prepare the cup:

If it be poison'd, 'tis the lesser sin  
That mine eye loves it and doth first begin.

115.

გამოხატავდა ჩემი ლექსი თურმე ბეცობას -  
ვერ ვიქნებოდი თითქოს უფრო ძლიერ შემყვარე,  
რადგან ჯერ კიდევ არ შემეძლო მამინ შეცნობა,  
იციაგებდა სიყვარული ბევრად ელვარედ.

მაგრამ უშქარი ვითარებით დრო მესაფლავე,  
რადგან დაარღვევს დადებულ ფიცს, მეფის პირობებს,  
წაბილწავს წმინდა სილამაზეს, ზრახვებს აფლავებს  
და უტეხ სულთა მერყეობას განაპირობებს;

მეც, ვინაიდან მეშინოდა ჟამის შერისხვის,  
„ყველაზე ძლიერ დღეს მიყვარხარ!“ - გითხარ პწკარებით,  
აწმყო მატკობდა და მაკრთობდა გვიმსი მერმისი,  
აღარ მეგონა, მეტად თუკი შეგიყვარებდი.

მაგრამ ყოფილა სიყვარული ბალღი პაწია  
და ნაადრევად მივიჩნიე ზრდასრულ ყმაწვილად.

Those lines that I before have writ do lie,  
Even those that said I could not love you dearer:  
Yet then my judgment knew no reason why  
My most full flame should afterwards burn clearer.

But reckoning time, whose million'd accidents  
Creep in 'twixt vows and change decrees of kings,  
Tan sacred beauty, blunt the sharp'st intents,  
Divert strong minds to the course of altering things;

Alas, why, fearing of time's tyranny,  
Might I not then say 'Now I love you best,'  
When I was certain o'er incertainty,  
Crowning the present, doubting of the rest?

Love is a babe; then might I not say so,  
To give full growth to that which still doth grow?

116.

ერთვულ მიჯნურთა ქორწინებას მე არ დავთრგუნავ,  
თუმც სიყვარული ნაღდ სიყვარულს ძლიერ სცილდება,  
თუ ვერ გაუძლებს ძნელბედობის მრავალ საზრუნავს  
და წარმავლობას შეუძლია მისი ცვლილება.

ტრფიალი მარად შეუძვრელი ნიშანსვეტია  
და არასოდეს ეპუება მძვინვარ ქარიშხლებს,  
ის ვარსკვლავია, რაც წარმართავს გემთა ხეტიალს  
და მოგზაურებს ნავთსაყუდლის გზა-კვალს ანიშნებს.

არ დაუდგება სიყვარული დრო-ჟამს ხუმარად,  
ღაწვებს და ტუჩებს თუმც დაუჭკნობს მისი ხელცული,  
არ უშინდება ჟამთასრბოლის არცერთ მუქარას,  
აღსასრულამდე სატანჯველიც აზრს ვერ შეუცვლის.

თუ ჩამითვლიან შეფასებას ტრაზახ-ქადილად,  
არც ლექსი მითქვამს, არც უყვარდათ როსმე ნამდვილად.

Let me not to the marriage of true minds  
Admit impediments. Love is not love  
Which alters when it alteration finds,  
Or bends with the remover to remove:

O no! it is an ever-fixed mark  
That looks on tempests and is never shaken;  
It is the star to every wandering bark,  
Whose worth's unknown, although his height be taken.

Love's not Time's fool, though rosy lips and cheeks  
Within his bending sickle's compass come:  
Love alters not with his brief hours and weeks,  
But bears it out even to the edge of doom.

If this be error and upon me proved,  
I never writ, nor no man ever loved.

117.

ძუნწად შემრაცხე, ჩამითვალე მძიმე შეცდომად,  
რომ საზღაური ვერ მოგაგე ტრფობის ყადარი  
და შენს სიყვარულს არ მივანდე თავის შევრდომა,  
თუმცა დღითი დღე ღვივდებოდა გრძნობის ღადარი.

დროისტარებამ არაერთხელ გამასილაქა,  
არიფიონი მავიწყებდა ფიცს, დანაპირებს,  
ყველა ქარისთვის აღვმართავდი ბეცი იალქანს  
და უგზო-უკვლოდ ვაწყდებოდი უცხო ნაპირებს.

გინდ დამაბრალე ავხორცობა და თავნებობა,  
ვარაუდებმაც გაგიმყარონ თუნდაც სამხილი,  
თუ გსურს წამგვარე შუბლშეჭმუნით სულის მხნეობა,  
ოღონდ არ დამჭრა გესლიანი მზერის მახვილით!

თავისმართლების თუმც ფუჭია ყველა მცდელობა,  
განვცადე შენი სიყვარულის შეუდრეკლობა.

Accuse me thus: that I have scanted all  
Wherein I should your great deserts repay,  
Forgot upon your dearest love to call,  
Whereto all bonds do tie me day by day;

That I have frequent been with unknown minds  
And given to time your own dear-purchased right  
That I have hoisted sail to all the winds  
Which should transport me farthest from your sight.

Book both my wilfulness and errors down  
And on just proof surmise accumulate;  
Bring me within the level of your frown,  
But shoot not at me in your waken'd hate;

Since my appeal says I did strive to prove  
The constancy and virtue of your love.

118.

ისევე, როგორც მადის აღძვრა როცა გვინდება,  
სასას აღვიგზნებთ სანელებლით, ანდა სალათით,  
ჯერაც ფარული სნეულების ასარიდებლად  
თავს ვიავადებთ ნებით, შევსვამთ აბუსალათინს,

მეც ბედნიერი შენი მადლით, დანაპირებით,  
ტრფობის საკმაზად მრავალნაცად ხერხებს ვსახავდი  
და თვითკურნებას ვესწრაფოდი დროის წინსწრებით,  
სნების შეყრამდე მომიხადა რათა სახადი.

ამგვარმა ქცევამ სიყვარულის, - წინასწარჭკრეტით  
შეეტყო სენი, გადამყარა შავბედს, სალმობას,  
დამამაბუნა მაცოცხლებელ ძალთა დაშრეტით,  
რადგან უგუნურს მომესურვა ავით წამლობა.

თუმც განსაცდელით მივხვდი მიზეზს უგუნურების -  
წამალიც შხამავს შენით სნეულს, ნაცვლად კურნების!

Like as, to make our appetites more keen,  
With eager compounds we our palate urge,  
As, to prevent our maladies unseen,  
We sicken to shun sickness when we purge,

Even so, being full of your ne'er-cloying sweetness,  
To bitter sauces did I frame my feeding  
And, sick of welfare, found a kind of meetness  
To be diseased ere that there was true needing.

Thus policy in love, to anticipate  
The ills that were not, grew to faults assured  
And brought to medicine a healthful state  
Which, rank of goodness, would by ill be cured:

But thence I learn, and find the lesson true,  
Drugs poison him that so fell sick of you.

119.

სირინოზების ცრემლთა შხამი ბედმა მაგემა,  
მტანჯა ამ ბილწი ჯოჯოხეთით - გაარჯლებულმა,  
სასოს შიშით და შიშს - იმედით ცვლიდა საგვემად,  
იქ ვმარცხდებოდი, თავს რომ ვთვლიდი გამარჯვებულად!

შემცოდე გული დაისაჯა წარმწყმედ კრულებით,  
უმადლეს ნიშატს შეადარა ცოდვა ბნელეთის,  
თვალბემა ლამის მიატოვეს მათი ღრმულები,  
ციებ-ცხელებამ როცა მქენჯნა ელეთმელეთით.

ახლა კი ვუწყვი, გვახეირებს ჟამის ძვინებაც,  
უმჯობესდება სათნოება ხშირად წყმედლით;  
თუ მოვახერხებთ ძველი ტრფობის აღორძინებას,  
უფრო მშვენიდება ძნელბედობით გამობრძმედლი.

თავს ვემდური და ვეშურები ძვირფას ამაგდარს,  
უკეთურებით რაც წავაგე, მიზღავს სამმაგად!

What potions have I drunk of Siren tears,  
Distill'd from limbecks foul as hell within,  
Applying fears to hopes and hopes to fears,  
Still losing when I saw myself to win!

What wretched errors hath my heart committed,  
Whilst it hath thought itself so blessed never!  
How have mine eyes out of their spheres been fitted  
In the distraction of this madding fever!

O benefit of ill! now I find true  
That better is by evil still made better;  
And ruin'd love, when it is built anew,  
Grows fairer than at first, more strong, far greater.

So I return rebuked to my content  
And gain by ill thrice more than I have spent.

120.

დამეხმარება უწინდელი შენი მკაცრობა,  
დაუნდობლობა, სასიკვდილოდ რითიც მომწყლავდი,  
რადგან ამჯერად მე მომიწევს თავის დამცრობა,  
შემცოდეს ერთი ნერვიც აღარ შემრჩა ფოლადის.

თუ შეგაშფოთე, გამცემმა და სხვასთან მავალმა,  
ვით შენ დამზაფრე, - მაშ, ჯოჯოხეთს გამოივლიდი,  
მხედველობაში არ მივიღე გულქვა მტარვალმა,  
რარიგ მტანჯავდა გულგატეხილს შხამი სიფლიდის.

მახსოვს მწუხარე ღამე აღთქმის გამამრუდები,  
მაშინდებური გულისტკენა მოუშუმარი,  
მსურს შენებურად მეც შევძლო და გადაუდებლივ  
გულის მალამოდ შეგთავაზო ცრემლთა მუშკამბრი.

შენი ღალატი აწ ქცეულა გამოსასყიდად  
და გამოდგება ჩემი ცოდვის გამოსაქვითად.

That you were once unkind befriends me now,  
And for that sorrow which I then did feel  
Needs must I under my transgression bow,  
Unless my nerves were brass or hammer'd steel.

For if you were by my unkindness shaken  
As I by yours, you've pass'd a hell of time,  
And I, a tyrant, have no leisure taken  
To weigh how once I suffered in your crime.

O, that our night of woe might have remember'd  
My deepest sense, how hard true sorrow hits,  
And soon to you, as you to me, then tender'd  
The humble salve which wounded bosoms fits!

But that your trespass now becomes a fee;  
Mine ransoms yours, and yours must ransom me.



121.

სჯობს ლირწი იყო, მიგიჩნევდნენ ვიდრე სამძრახად,  
როცა გავსებენ უსაფუძვლო საყვედურებით  
და სიყვარულის სიამეებს გულში დამარხავ  
ასარიდებლად გამჭორავი წამხედურების.

რად უნდა იყოს სხვისი მზერა ქვეგამხედვარი,  
მგზნებარე სისხლის მინიშნებით მამაგებელი?  
ანდა ჯაშუში, ცოდვით თავის შემაქცევარი,  
განმკიცხველი და შეგონების მქადაგებელი?

მე ის ვარ – ვინც ვარ, არ დავუწყებ შემუდარებას  
უგნურ მცოდველებს, ცოდვა რომ არ ეთაკილებათ,  
ჭემმარიტების მამრუდებელ ქვებუდანებსაც  
უფლება არ აქვთ შეეცადონ ჩემს მართლმხილებას.

თუმცა დანდობა მსგავს ავხორცებს არ აქვთ ოდნავი,  
შეირაცხება მათგან ბილწად ყველა მოკვდავი.

‘Tis better to be vile than vile esteem’d,  
When not to be receives reproach of being,  
And the just pleasure lost which is so deem’d  
Not by our feeling but by others’ seeing:

For why should others false adulterate eyes  
Give salutation to my sportive blood?  
Or on my frailties why are frailer spies,  
Which in their wills count bad what I think good?

No, I am that I am, and they that level  
At my abuses reckon up their own:  
I may be straight, though they themselves be bevel;  
By their rank thoughts my deeds must not be shown;

Unless this general evil they maintain,  
All men are bad, and in their badness reign.

122.

ბსოვნას შემორჩა ნაჩუქარი შენგან წიგნაკი,  
გულისნადები გამხელილი, როგორც შელოცვა,  
თუ დაივიწყეს უმაქნისი ლექსი სინაკლით,  
მას უკვდავება სამუდამოდ გადაელოცა.

იცოცხლებს შენი ხატება და დანატოვარი,  
სანამ გულს და გონს აარსებებს ქვეყნად ბუნება  
და მხოლოდ მაშინ განქარდება ნასახსოვარი,  
როცა ორივე ჟამთასრბოლით დაითრგუნება.

ტრფობის აღნუსხვას არ სჭირდება რამე ქვითარი,  
ვერც გამოდგება სიყვარულის დასამტკიცებლად,  
გავასაჩუქრე არმადანი ესევეითარი,  
რადგანაც გულზე ამომწვარი აღარ იცვლება.

გვედრი, წიგნაკის გაცემისთვის ნუ გამიწყრები,  
მოკარნახეა ვინაიდან გულმავიწყების.

Thy gift, thy tables, are within my brain  
Full character'd with lasting memory,  
Which shall above that idle rank remain  
Beyond all date, even to eternity;

Or at the least, so long as brain and heart  
Have faculty by nature to subsist;  
Till each to razed oblivion yield his part  
Of thee, thy record never can be miss'd.

That poor retention could not so much hold,  
Nor need I tallies thy dear love to score;  
Therefore to give them from me was I bold,  
To trust those tables that receive thee more:

To keep an adjunct to remember thee  
Were to import forgetfulness in me.

123.

ვერ იამაყებ, რომ შემცვალე ჟამო კირთებით,  
პირამიდები თუმც აღმართე მძლავრი, წარმტაცი,  
უცნაურობით და სიახლით ვერ გავკვირდები,  
უკვე ნანახის შემოსვაა ახალ გარსაცმლით.

ძველს ახალთახლად შეგვასაღებს ყოფის შარბათი,  
რადგან წუთივით ხანმოკლეა ჩვენი ცხოვრება,  
ხშირად გვგონია პირველქმნილი, ახლადნაბადი,  
წინაპრებისგან რაც ოდითგან გვესახსოვრება.

შენს მატთანეს და შენც ჟამო გეტყვით სამდურავს,  
ვერ გამაოცებ ვერც აწმყოთი და ვერც წარსულით,  
ღირებულს ამცრობ, თუ გწადია - ჩვენდა საცდურად  
და უმნიშვნელოს ამვირფასებ ზესწრაფ მარულით.

დროვ, საუკუნო ერთგულების ფიცს და აღნათქვამს,  
თუნდაც მომცელოს შენმა ცელმა - აღარ გადავთქვამ!

No, Time, thou shalt not boast that I do change:  
Thy pyramids built up with newer might  
To me are nothing novel, nothing strange;  
They are but dressings of a former sight.

Our dates are brief, and therefore we admire  
What thou dost foist upon us that is old,  
And rather make them born to our desire  
Than think that we before have heard them told.

Thy registers and thee I both defy,  
Not wondering at the present nor the past,  
For thy records and what we see doth lie,  
Made more or less by thy continual haste.

This I do vow and this shall ever be;  
I will be true, despite thy scythe and thee.

124.

თუ წარმოშობდა ჩემს სიყვარულს გარემოება,  
ჩაითვლებოდა უცილობლად იღბლის ნაბუშრად,  
ემონებოდა ბედისწერის ცვლად გემოვნებას,  
ემგვანებოდა ყვავილს, ანდა ბალახს ხამუშად.

შემთხვევითობას ეს ტრფიალი როდი ეყრდნობა,  
არც მედიდური გაღიმებით მოიყვინება,  
ვერ დაიურვებს გაჭირვება, ალაღბედობა  
და ფიანდაზად არ ეგება ჟამთა დინებას;

არ უშინდება პოლიტიკას, ქცეულს მწვალებლად,  
პამპულას როლსაც ითაკილებს არასაკადრისს,  
ხელეწიფება საკუთარი თავის სწავლება,  
ხვატი არ ზრდის და ვერ დაახრჩობს თავსხმის ნაკადიც;

ყველა მედროვე იყოს ამის კვერის დამკვერელი,  
ვინც სცოდავდა და მონანული წარდგა სამკვედრეთში.

If my dear love were but the child of state,  
It might for Fortune's bastard be unfather'd  
As subject to Time's love or to Time's hate,  
Weeds among weeds, or flowers with flowers gather'd.

No, it was builded far from accident;  
It suffers not in smiling pomp, nor falls  
Under the blow of thrall'd discontent,  
Whereto the inviting time our fashion calls:

It fears not policy, that heretic,  
Which works on leases of short-number'd hours,  
But all alone stands hugely politic,  
That it nor grows with heat nor drowns with showers.

To this I witness call the fools of time,  
Which die for goodness, who have lived for crime.

125.

რას შემმატებდა დაფასება ნაძალადევი,  
ან საპატო ტვირთის ზიდვა - მეფის ჩარდახის,  
ლიბო ჩამედგა უკვდავების, რომლის თანმდევი,  
მარადისობის ნაცვლადაა ნგრევა-პარტახი?

სილატაკეა კუდაბზიკას ბოლო ულუფა,  
მაზანდა დიდი დააწესა კეთილდღეობამ  
და თუ მედროვე ბედისწერამ გააზულუქა,  
ამოაშხამებს ქარაფშუტას მაინც ღრეობას.

მხოლოდ შენდამი თაყვანცემა მესურვილება,  
თავისთავადი და მცირეა ჩემი ტარიგი,  
მას ვერ შებღალავს წარმავალი ჟამის რყვნილება,  
ნაცვლად სწადია შენი გული შემონარიგი.

განვედ, დამსმენო! მაბეზღარი ენის სხმარტალით  
ვერ მოექცევა გავლენის ქვეშ მეტრფე მართალი!

Were 't aught to me I bore the canopy,  
With my extern the outward honouring,  
Or laid great bases for eternity,  
Which prove more short than waste or ruining?

Have I not seen dwellers on form and favour  
Lose all, and more, by paying too much rent,  
For compound sweet forgoing simple savour,  
Pitiful thrivers, in their gazing spent?

No, let me be obsequious in thy heart,  
And take thou my oblation, poor but free,  
Which is not mix'd with seconds, knows no art,  
But mutual render, only me for thee.

Hence, thou suborn'd informer! a true soul  
When most impeach'd stands least in thy control.

126.

კობტა ბიჭუნავ, ჟამმა ჯერ ვერ გაგასავათა,  
ჯერ კვლავ მბრძანებლობ მის ცვლად სარკეს, ნამგალს, საათსაც,  
წლების მატებამ ვერ დაამცრო შენი სიტუორფე,  
შენს მიჯნურებს კი დასტყობიათ დროის სიქუფრე.

გეტრფის ბუნებაც, არ ანებებს ჟამს შენს წახდენას,  
წლებს უკან გაძლევს და მშვენებაც გაგიახლდება,  
მისთვის შენა ხარ საგოგმანო, ნასათუთები,  
დროს შენთვის ებრძვის, ცდილობს მოსპოს მისი წუთები.

თუმცა უფროთხილდი, დიდხანს მასთან ვერ დაიმკვიდრებ,  
მარადიულად არ ინახავს თავის სიმდიდრეს;  
ვალის გადახდას როცა მოსთხოვს ჟამი ანგარი,  
დროს გადაგცემს და გაისტუმრებს ამით ანგარიშს.

O thou, my lovely boy, who in thy power  
Dost hold Time's fickle glass, his sickle, hour;  
Who hast by waning grown, and therein show'st  
Thy lovers withering as thy sweet self grow'st;

If Nature, sovereign mistress over wrack,  
As thou goest onwards, still will pluck thee back,  
She keeps thee to this purpose, that her skill  
May time disgrace and wretched minutes kill.

Yet fear her, O thou minion of her pleasure!  
She may detain, but not still keep, her treasure:  
Her audit, though delay'd, answer'd must be,  
And her quietus is to render thee.

127.

ძველად მწყაზარად არ მიაჩნდათ მუქი იერის,  
მას ლამაზმანად არ ელოდა აღიარება,  
ახლა შავთანა მემკვიდრეა სიმშვენიერის  
და სილამაზეც შებღალული დაიარება:

შეთითხნეს ფერი ბუნებრივი ღაწვის ყადარი,  
უსახურობა შეუნიღბათ საცხის წაცხებამ,  
მშვენიერებამ მიატოვა წმინდა საყდარი,  
რადგან სიგონჯეც სილამაზედ შეირაცხება.

ყორნისფერი აქვთ ამიტომაც სატრფოს წარბებსაც,  
გიშერთვალება დამჭმუნვარდა უბედურებით,  
თუმც ხელოვნური სილამაზის არ ეხარბება,  
სიყალბის მქებელთ აცქერდება კიცხვით, მდურებით.

ისე იხდენენ მრუმე თვალნი მგლოვიარებას,  
მშვენიერება ამდაგვარად მოიაზრება.

In the old age black was not counted fair,  
Or if it were, it bore not beauty's name;  
But now is black beauty's successive heir,  
And beauty slander'd with a bastard shame:

For since each hand hath put on nature's power,  
Fairing the foul with art's false borrow'd face,  
Sweet beauty hath no name, no holy bower,  
But is profaned, if not lives in disgrace.

Therefore my mistress' brows are raven black,  
Her eyes so suited, and they mourners seem  
At such who, not born fair, no beauty lack,  
Slandering creation with a false esteem:

Yet so they mourn, becoming of their woe,  
That every tongue says beauty should look so.

128.

ალბათ მოგვებმა დაგასწავლეს ჰანგთა დამისუნა,  
სულში მუსიკა ჩაგისახლდა, განსახიერდა,  
უკრავ და თითთა მოძრაობის შესაბამისად  
ისმის უკვდავი მელოდია თანახმიერად.

მშურს კლავიშების, რადგან შენი ხელისგულები  
დაიკოცნება აღტყინებულ წადიერებით,  
ბაგე, ნატრული ამდაგვარი ხელისუფლების,  
გადაწითლდება ხის ნაფოტთა კადნიერებით;

რარიგ სწადია შეიცვალოს მისი არჩივი  
და კლავიშების ნაცვლად მხოლოდ მასზე ცოცავდნენ  
ბროლის თითები, რომ დაქრიან ნიაჟქარივით  
და ხმელ ნაფოტებს მორცხვ ბაგეზე მეტად ლოცავენ.

თავხედ კლავიშებს ანეტარებს რადგან საოცრად,  
ხელი მათ ერგოს, მე კი ბაგე მომეც საკოცნად.

How oft, when thou, my music, music play'st,  
Upon that blessed wood whose motion sounds  
With thy sweet fingers, when thou gently sway'st  
The wiry concord that mine ear confounds,

Do I envy those jacks that nimble leap  
To kiss the tender inward of thy hand,  
Whilst my poor lips, which should that harvest reap,  
At the wood's boldness by thee blushing stand!

To be so tickled, they would change their state  
And situation with those dancing chips,  
O'er whom thy fingers walk with gentle gait,  
Making dead wood more blest than living lips.

Since saucy jacks so happy are in this,  
Give them thy fingers, me thy lips to kiss.



129.

ვნება სულს ფლანგავს და ძნელია თავის დაღწევა  
მისგან, როცა ჟინს ისრულებენ, ხოლო მანამდე  
მოთარეშეა აღტყინება და მისაღწევად  
ველურ მიზნების არ თაკილობს ცოდვას თანამდევს.

მძულვარება ცვლის მონიჭებულ სიამოვნებას,  
როცა საწადელს აისრულებს ჟინის განმცადი,  
სატყუარად თვლის მგზნებარებას, რომლის მონება  
განუკურნელი სახადია შეურაცხადის.

ჭკუაშემოლილი მსხვერპლი თუკი ეთაყვანება,  
მზადყოფნაშია განუხრელად ურცხვი ზორვისთვის,  
ნეტარება განცდისას და შემდეგ - ვაება,  
სიხარულია ჯერ და მერე - ძილისშორისი.

თუმც ყველამ უწყის განსაცდელი სულის შემცდენი -  
ბევრს სურს სამოთხე, ჯოჯოხეთში კაცთა შემცდენი.

The expense of spirit in a waste of shame  
Is lust in action; and till action, lust  
Is perjured, murderous, bloody, full of blame,  
Savage, extreme, rude, cruel, not to trust,

Enjoy'd no sooner but despised straight,  
Past reason hunted, and no sooner had  
Past reason hated, as a swallow'd bait  
On purpose laid to make the taker mad;

Mad in pursuit and in possession so;  
Had, having, and in quest to have, extreme;  
A bliss in proof, and proved, a very woe;  
Before, a joy proposed; behind, a dream.

All this the world well knows; yet none knows well  
To shun the heaven that leads men to this hell.

130.

ჩემს შეყვარებულს თვალი მზიებერ არ უელვარებს,  
თანაც მის ტუჩზე წითელია ბევრად ბადახში;  
წაბლისფერია თეთრის ნაცვლად მკერდი მღელვარე,  
თმის ღეროები შავ მავთულებს უგავს თმადაშლილს.

დამასკოს ვარდი მომიხილავს თეთრიც, ყირმიზიც,  
სატრფოს ღაწვებზე ეს ელფერი არ დანთებულა,  
სიტურფით დიდად ჩამორჩება ყვავილს პირიმზის,  
ხოლო სურნელით - აურაცხელ ინანთეულსაც.

ვტკბები ხმის ტემბრით, მის ლაპარაკს როცა მოვისმენ,  
უმჯობესია თუმც მუსიკა გულსასეიროდ,  
არ შევსწრებივარ ქალღმერთების რონინს როდისმე,  
სატრფო კი მიწას შეეხება, ოდეს სეირნობს.

ტოლს არ დაუდებს ვინმეს სატრფო, მე ვარ თავდები,  
მათში, ვინც ტურფად შეურაცხავთ გაზვიადებით.

My mistress' eyes are nothing like the sun;  
Coral is far more red than her lips' red;  
If snow be white, why then her breasts are dun;  
If hairs be wires, black wires grow on her head.

I have seen roses damask'd, red and white,  
But no such roses see I in her cheeks;  
And in some perfumes is there more delight  
Than in the breath that from my mistress reeks.

I love to hear her speak, yet well I know  
That music hath a far more pleasing sound;  
I grant I never saw a goddess go;  
My mistress, when she walks, treads on the ground:

And yet, by heaven, I think my love as rare  
As any she belied with false compare.

131.

ლამაზმანების სიამაყით ნუ გამიწყრები,  
მზვობართაგან ნუ აიღებ უგვან მაგალითს,  
რამეთუ უწყი, შეგიყვარე თავდავიწყებით,  
გეფოფინება გული, როგორც ობოლ მარგალიტს.

ვიეთნის აზრით, არ ხარ ტურფა ესერაბამი,  
ემუქრებოდეს შენს მომზირალ მიჯნურს დაბნედა,  
მე კი საბუთებს ვერ მოვუყვან მათ შესაბამისს,  
შეპასუხებას გულში ფიცით თულა გავბედავ.

სანამ ვრწმუნდები სიმართლეში ჩემი დასკვნების,  
შენზე ვფიქრობ და სიმძიმელი ლახვრად მესობა,  
დამიდასტურებს უამრავი ამონაკვნესი,  
ჩემი შავთანას სხვებზე მეტად უაღრესობას.

საქმით აშავებ, განა გარცხვენს შენი სითალხე  
და აყვიებიც დაგწამებენ ათას სიგლახეს.

Thou art as tyrannous, so as thou art,  
As those whose beauties proudly make them cruel;  
For well thou know'st to my dear dotting heart  
Thou art the fairest and most precious jewel.

Yet, in good faith, some say that thee behold  
Thy face hath not the power to make love groan:  
To say they err I dare not be so bold,  
Although I swear it to myself alone.

And, to be sure that is not false I swear,  
A thousand groans, but thinking on thy face,  
One on another's neck, do witness bear  
Thy black is fairest in my judgment's place.

In nothing art thou black save in thy deeds,  
And thence this slander, as I think, proceeds.

132.

მიყვარს თვალები ზეცასავით შეუფასები,  
გულქვამ რადგანაც მაჭირვე და ხვედრიც დამძიმდა,  
სამგლოვიაროდ შემოსილან შავი ფლასებით  
და მიცხადებენ მკაცრი გულის ნაცვლად სამძიმარს.

გარიჟრაჟისას, დილაბინდში ისე მკაფიოდ  
აღმოსავლეთს არ ეფაკლება მკრთალი სახეება,  
დასალიერში ვერ ანათებს მსგავსად დაფიონს  
მწუხრის ვარსკვლავი, დასაბუდში მზე რომ ჩახდება,

ვით დაგამშვენა მგლოვიარე შავმა თვალებმა;  
მსურს მენი გულიც გახდეს მათი თანამოაზრე,  
ძაძით მოსილმა დამიტეოს, რადგან ვაება  
გამშვენიერებს სიბრალულით ჩემზე მოზარეს.

მაშინ შავთანას ტურფად ჩავთვლი დანაფიცებით,  
არ მეჯერება სილამაზის სხვაგვარ მტკიცების.

Thine eyes I love, and they, as pitying me,  
Knowing thy heart torments me with disdain,  
Have put on black and loving mourners be,  
Looking with pretty ruth upon my pain.

And truly not the morning sun of heaven  
Better becomes the grey cheeks of the east,  
Nor that full star that ushers in the even  
Doth half that glory to the sober west,

As those two mourning eyes become thy face:  
O, let it then as well beseem thy heart  
To mourn for me, since mourning doth thee grace,  
And suit thy pity like in every part.

Then will I swear beauty herself is black  
And all they foul that thy complexion lack.

133.

წყეულიმც იყოს, ვინც მზაკვრულად დამაღალატა  
და მეგობარი შემიცდინა ვნების ზვირთებით,  
ვინაც გადიქვა არა მხოლოდ სატრფოს ჯალათად,  
არამედ მოძმეც დამითრგუნა მძიმე კირთებით.

მომაჯადოვა გრძნეულებით გულქვა მწყრომარემ,  
გამიბათილა მეგობრობა მრავალნაცადი,  
დავკარგე სატრფოც, საკუთარი თავიც, მოყვარეც  
და სატანჯველი მომისაჯა სამგზის განსაცდლით.

ჩასვი ეს გული შენს ფოლადის მკერდში, ქვეშიდან  
შემოგღალადოს თავდებობა მოძმის მუქაფად,  
რათა სიმკაცრე დაგიოკო მისმა ქეშიკმა  
და ვერ შეაკრთოს სატუსაღოს მონა მუქარამ.

ამოდ ვცდილობ, თუმც მოგილობო გული წყეული,  
მეც შენი ვარ და ჩემს საკანში გამომწყვდეულიც.

Beshrew that heart that makes my heart to groan  
For that deep wound it gives my friend and me!  
Is't not enough to torture me alone,  
But slave to slavery my sweet'st friend must be?

Me from myself thy cruel eye hath taken,  
And my next self thou harder hast engross'd:  
Of him, myself, and thee, I am forsaken;  
A torment thrice threefold thus to be cross'd.

Prison my heart in thy steel bosom's ward,  
But then my friend's heart let my poor heart bail;  
Whoe'er keeps me, let my heart be his guard;  
Thou canst not then use rigor in my gaol:

And yet thou wilt; for I, being pent in thee,  
Perforce am thine, and all that is in me.

134.

ნაღდად შენია, ვაღიარებ განა ყასიდად,  
მძევლად ვიქეცი ამის გამო შენი წადილის,  
ჩემს თავს დაგიტომობ მეორე "მეს" გამოსასყიდად,  
ნუგეშისმცემლად ოლონდ მყავდეს მოძმე ნამდვილი.

არ დაეხსნები ჩემს მოკეთეს, არც ის გაგწირავს,  
რადგან ხარბი ხარ, მეგობარი კია კეთილი;  
თავი გადადო უანგაროდ ვალის საწინდრად,  
ვალდებულების ციხეშია გამოკეტილი.

სარგებელს ეძებ სილამაზით, ვარდო სალუქო,  
მევახშესავით ვალდებულთან გათამამდები,  
ის რაც გერგება ჩემგან შენი ვახშის სანუქფოდ,  
გსურს მეგობარმა დამიფაროს თანანადები.

თამასუქები გამისტუმრა თუმც დანახანი,  
კვლავ შენი ტყვეა და არც მე ვარ შენგან თარხანი!

So, now I have confess'd that he is thine,  
And I myself am mortgaged to thy will,  
Myself I'll forfeit, so that other mine  
Thou wilt restore, to be my comfort still:

But thou wilt not, nor he will not be free,  
For thou art covetous and he is kind;  
He learn'd but surety-like to write for me  
Under that bond that him as fast doth bind.

The statute of thy beauty thou wilt take,  
Thou usurer, that put'st forth all to use,  
And sue a friend came debtor for my sake;  
So him I lose through my unkind abuse.

Him have I lost; thou hast both him and me:  
He pays the whole, and yet am I not free.

135.

ყველას თავისი სურვილი აქვს, შენ გყავს ნამდვილი  
‘ვილი’ და სართად გაქვს მგზნებარე გულისნადები,  
თავს მოგაბეზრებ დაუმცხრალი ვნების წადილით,  
შენი ურიცხვი ხვაშიადით ვგულიანდები.

ვინც აუწყავი გულისთქმების არის მზიდველი,  
არ შეიხიზნავს ჩემს სურვილსაც დასაყუდარში?  
სხვისი წადილი რატომაა მამ მიმზიდველი,  
თუ ჩემი ჟინი მწყალობლობას ელის მუდარით?

წვიმის წვეთებსაც შეიმატებს ზღვა მოლიცლიცე,  
პირთამდე სავსე კიდეც უფრო ივსებს მარაგებს,  
შენც ერთი ‘ვილი’ ჩემებური შემოიმტკიცე  
და საწადელი სურვილები გაიასმაგე.

მოწყალებას გთხოვ ერთადერთო ჩემო წადილო,  
ჩემი სურვილიც შეიფარე, არ გამაწბილო!

Whoever hath her wish, thou hast thy ‘Will,’  
And ‘Will’ to boot, and ‘Will’ in overplus;  
More than enough am I that vex thee still,  
To thy sweet will making addition thus.

Wilt thou, whose will is large and spacious,  
Not once vouchsafe to hide my will in thine?  
Shall will in others seem right gracious,  
And in my will no fair acceptance shine?

The sea all water, yet receives rain still  
And in abundance addeth to his store;  
So thou, being rich in ‘Will,’ add to thy ‘Will’  
One will of mine, to make thy large ‘Will’ more.

Let no unkind, no fair beseechers kill;  
Think all but one, and me in that one ‘Will’.

136.

შენთან კავშირი ბრძობილ სულით თუკი გართულდა,  
დაამუნათე - შენი „ნდომა“ ვიყავ ნაცადი,  
რადგანაც უწყის, შენში ჟინი ნებადართულა  
და ამისრულე საყვარელო გულის ნაწადი.

გეარშიყება სხვებთან ერთად ძველი მუშტარიც,  
„ნდომა“ აგივსებს საწადელო ტრფობის სალაროს,  
რადგან სურვილი თავმოყრილა შენში უშქარი,  
ნულარ ეცდები ერთი ნატვრა დამისამარო.

ურიცხვ თაბუნში, დაე, დავრჩე აღუნუსხავად,  
თუმც მნიშვნელოვნად უნდა თვლიდნენ ერთგულ არსებას;  
არარაობად გინდ შემრაცხოს მზერამ მსუსხავმა,  
ოღონდაც მამცნოს, არარაც რომ ეძვირფასება.

თუკი გწადია საყვარელო ტრფობა ნამდვილი,  
შეგიყვარდები, რადგან მქვია „ვილი“ – „წადილი“.

If thy soul check thee that I come so near,  
Swear to thy blind soul that I was thy 'Will,'  
And will, thy soul knows, is admitted there;  
Thus far for love my love-suit, sweet, fulfil.

'Will' will fulfil the treasure of thy love,  
Ay, fill it full with wills, and my will one.  
In things of great receipt with ease we prove  
Among a number one is reckon'd none:

Then in the number let me pass untold,  
Though in thy stores' account I one must be;  
For nothing hold me, so it please thee hold  
That nothing me, a something sweet to thee:

Make but my name thy love, and love that still,  
And then thou lovest me, for my name is 'Will.'



137.

უმტარო ტრფობავ, რა დამმართე ტაკიმასხარავ,  
ვინ დაგადგინა მიჯნურების მზერის მსახრავად?  
მითხარი უგვანს თვალის ჩინი რატომ დახარბდა?  
მაგრამ მახინჯსაც შეგვაჩეჩებ მზეთუნახავად.

გრძნებით შეკრული იმ ნავსადგურს ჩავებლაუჭე,  
მრავალ მამაკაცს ჩაუშვია სადაც ანკვირა,  
ორგულ თვალეზით გამოკვერილ მტკიცე კაუჭზე  
გრძნობა დამიბი და წამგვარე გონი საკვირვლად.

ნაკრძალად რად თვლის გული ალაგს ვარაუდებით,  
თუკი ეუწყა, საკუთრება გახდა საერთო?  
თვალი რადაა სინამდვილის გამამრუდები,  
სიგონჯის ცქერით ასე დიდხანს რატომ გაერთო?

გულმა და თვალმა აირჩიეს ტკბობა სიყალბით  
და დავსნეულდი სიმართლისგან განარეყალი.

Thou blind fool, Love, what dost thou to mine eyes,  
That they behold, and see not what they see?  
They know what beauty is, see where it lies,  
Yet what the best is take the worst to be.

If eyes corrupt by over-partial looks  
Be anchor'd in the bay where all men ride,  
Why of eyes' falsehood hast thou forged hooks,  
Whereto the judgment of my heart is tied?

Why should my heart think that a several plot  
Which my heart knows the wide world's common place?  
Or mine eyes seeing this, say this is not,  
To put fair truth upon so foul a face?

In things right true my heart and eyes have erred,  
And to this false plague are they now transferr'd.

138.

ერთგულებას რომ შემომფიცავს სატრფო უეცრად,  
ვიცი თვალთმაქცობს, თუმცა აღარ ვღიზიანდები,  
ალბათ მიმიჩნევს გამოუცდელ ყრმად და უმეცრად,  
ვინც ვერ იწვინა წუთისოფლის მავნე ფანდები.

ვიფერებ, როცა ამბობს მისთვის ჯერ ვარ ჯეილი,  
კარგა ხანია სიჭაბუკე თუმცა განქარდა,  
არ ვუსმენ მიჯნურს ბრაზით, ყელში გულმობჯენილი,  
გულს სიამოვნებს მოუტანოს შვება ლაქარდმა.

რად არ გამიმხელს, სათანადოდ ვერ მიერთგულა?  
რად არ ვუტყდები, რომ მისთვის ვარ უკვე ხნიერი?  
თვალთმაქცობასთან სიყვარული რადგან შერთულა,  
ასაკის გათქმას ვერიდები გულისხმიერი.

ერთნაირია ამიტომაც ჩვენი მცდელობა,  
ორივეს ნაკლი გადაფაროს მამებლობამ.

When my love swears that she is made of truth  
I do believe her, though I know she lies,  
That she might think me some untutor'd youth,  
Unlearned in the world's false subtleties.

Thus vainly thinking that she thinks me young,  
Although she knows my days are past the best,  
Simply I credit her false speaking tongue:  
On both sides thus is simple truth suppress'd.

But wherefore says she not she is unjust?  
And wherefore say not I that I am old?  
O, love's best habit is in seeming trust,  
And age in love loves not to have years told:

Therefore I lie with her and she with me,  
And in our faults by lies we flatter'd be.

139.

უგვანი ქცევით იმსახურებ მხოლოდ მდურებას,  
სასტიკი გული დაგყოლია რადგან მზვავობრის,  
მზერით ნუ მომწყლავ, თუ გსურს ჩემი განადგურება,  
ენით დამკოდე, არ დამლუპო ოლონდ მზაკვრობით.

გულს თუ გტაცებენ ჩემზე მეტად დალოცვილები,  
როცა ჩემთან ხარ, მზერით მათზე ნულარ გადამცვლი,  
რაში გჭირდება სივერაგე, ძალმოსილებით  
თუ შეგიძლია ზღუდის მოშლა ჩემი თავდაცვის!

მსურს შეყვარებულს გავუწიო მეოხეობა:  
შეფოფინება დამემტერა რაკი კეკლუცი,  
თვალეზს მარიდებს, რადგან არ სურს მეტოქეობა,  
გამგმირავ მზერას სხვებს მიაპყრობს, ალაგს შეუცვლის.

ნუ იზამ ამას, თორემ ცოცხლად დამსაფლავებ,  
ნულარ დამტანჯავ და შემზერით მომსპე ახლავე!

O, call not me to justify the wrong  
That thy unkindness lays upon my heart;  
Wound me not with thine eye but with thy tongue;  
Use power with power and slay me not by art.

Tell me thou lovest elsewhere, but in my sight,  
Dear heart, forbear to glance thine eye aside:  
What need'st thou wound with cunning when thy might  
Is more than my o'er-press'd defense can bide?

Let me excuse thee: ah! my love well knows  
Her pretty looks have been mine enemies,  
And therefore from my face she turns my foes,  
That they elsewhere might dart their injuries:

Yet do not so; but since I am near slain,  
Kill me outright with looks and rid my pain.

140.

იყავ ისეთი გონიერი, ვით ხარ მტანჯველი,  
ზედმეტი ზიზღით ჩემს მოთმენას ნუღარ გამოცდი;  
შემომაწვება თორემ სევდა აუტანელი  
და წამომცდება გულგასენილს ლანძღვა საოცი.

თქვი, კვლავ გიყვარვარ, ამარიდე გაუხეშებას,  
უსასოსათვის პირფერობა მართლად საღდება,  
როგორც ექიმი დაპირდება სანუგეშებლად  
მომაკვდავ მოხუცს უსათუო გაჯანსაღებას.

გადავიქცევი თორემ შლეგად სასომიხდილი  
და დამთხვეულმა შესაძლოა გიწყო კიცხება,  
ბოროტ საწუთროს დაუკარგავს რადგან სირცხვილი,  
ცილისწამება სინამდვილედ ჩაირიცხება.

რომ არ შემშალო, შენ კი აგცდეს ცილისწამება,  
მე დამაცქერდი, თუმც გულით გსურს სხვათა ამება.

Be wise as thou art cruel; do not press  
My tongue-tied patience with too much disdain;  
Lest sorrow lend me words and words express  
The manner of my pity-wanting pain.

If I might teach thee wit, better it were,  
Though not to love, yet, love, to tell me so;  
As testy sick men, when their deaths be near,  
No news but health from their physicians know;

For if I should despair, I should grow mad,  
And in my madness might speak ill of thee:  
Now this ill-wresting world is grown so bad,  
Mad slanderers by mad ears believed be,

That I may not be so, nor thou belied,  
Bear thine eyes straight, though thy proud heart go wide.

141.

აღარ გყვარობენ ძველებურად თვალი თავენებას,  
მანკიერების შეუნიშნავთ ბევრი მტკიცება,  
მარტოდენ გული გაღმერთებს და გეთაყვანება,  
თავდავიწყებით განუხრელად გელაციცება.

ვერ აჯადოებ ჩემს სასმენელს ტკბილმოუბრობით,  
ტლანქ ჩაკონებას უნაზესი გრძნობა ხამუშობს,  
არც სურვილი აქვთ გემოსა და ყნოსვას სტუმრობის,  
როცა პატიჟებ აღტყინების ლხინში სამრუშოდ.

ვერც ხუთი გრძნობით, ვერც გონების ხუთი უნარით,  
ვერ მოვახერხე სულელ გულის გადარწმუნება,  
თავისუფლებას ვამჯობინე ხვედრი ხუმარის,  
ფეხქვეშ გავეგე ქედმაღლურ გულს, მზაკვრულ ბუნებას.

ჭკუის სწავლება შეუძლია თუმცა მაცდურსაც,  
რადგანაც ვცოდავ, მომეპყრობა ძალლუმადურად.

In faith, I do not love thee with mine eyes,  
For they in thee a thousand errors note;  
But 'tis my heart that loves what they despise,  
Who in despite of view is pleased to dote;

Nor are mine ears with thy tongue's tune delighted,  
Nor tender feeling, to base touches prone,  
Nor taste, nor smell, desire to be invited  
To any sensual feast with thee alone:

But my five wits nor my five senses can  
Dissuade one foolish heart from serving thee,  
Who leaves unsway'd the likeness of a man,  
Thy proud hearts slave and vassal wretch to be:

Only my plague thus far I count my gain,  
That she that makes me sin awards me pain.

142.

ცოდვად მეთვლება სიყვარული მასაზრდოები,  
ოდენ ჩემს ტრფიალს რადგან რაცხავ გაუმართლებლად;  
თუმც შეადარე ჩემსას შენი გადაცდომები,  
შენგან მაინც არ ვიმსახურებ დამუნათებას!

არ მსურს იმგვარი ბაგით ვიყო გასაკიცხარი,  
რომლის მარჯანიც ადნებოდა პირველ შეხვედრილს;  
ხშირად გამტყდარა ორივესგან დანაფიცარი  
და გაგვიძარცვავს სარეცელი მრავალ მეცხედრის.

მაშ, ნუ მიბღვერი, როცა თვალი გეფოფინება,  
თუ ჩემს რაყიფებს შესციცინებ თავად ხალისით,  
გულში წყალობა ჩაინერგე და მოთმინება,  
რათა შემდეგში შენც დაგინდონ შესაბრალისი.

თორემ მარტოდენ თუ ჩემს ტრფობას რაცხავ სარცხვინოდ,  
შენც ზურგს გაქცევენ, შესაძლოა მწარედ დაგცინონ.

Love is my sin and thy dear virtue hate,  
Hate of my sin, grounded on sinful loving:  
O, but with mine compare thou thine own state,  
And thou shalt find it merits not reproving;

Or, if it do, not from those lips of thine,  
That have profaned their scarlet ornaments  
And seal'd false bonds of love as oft as mine,  
Robb'd others' beds' revenues of their rents.

Be it lawful I love thee, as thou lovest those  
Whom thine eyes woo as mine importune thee:  
Root pity in thy heart, that when it grows  
Thy pity may deserve to pitied be.

If thou dost seek to have what thou dost hide,  
By self-example mayst thou be denied!

143.

მეხედე ქცევას გულმოდგინე დიასახლისის!  
როდესაც ბოინს მოსცილდება ანცი ქათამი,  
ბაღს მიატოვებს, ედევნება ფრინველს ხალისით  
და დანაკლისის შესავსებად მირბის თამთამით.

ბავშვს ეუფლება მარტოობის განცდა მზარავი,  
გაგულისდება, ეშურება დედას ღრიალით,  
ფრინველის გარდა თუმც არ ახსოვს მშობელს არავინ,  
არ ესმის ბაღლის აკვივლებაც ორომტრიალში.

ასევე მისდევ, თუ გაგირბის მიჯნურთაგანი,  
სხვისი მადევრის მეც ბავშვივით დევნას ვუნდები,  
თუ მოიხელთე იმ ქალივით ნატვრის საგანი,  
მომიბრუნდი და მანუგემე მილამუნებით.

ვლოცულობ, რათა მალე ახდეს შენი სურვილი,  
დამიყვავო და აღადგინო სასო ურვილის.

Lo! as a careful housewife runs to catch  
One of her feather'd creatures broke away,  
Sets down her babe and makes an swift dispatch  
In pursuit of the thing she would have stay,

Whilst her neglected child holds her in chase,  
Cries to catch her whose busy care is bent  
To follow that which flies before her face,  
Not prizing her poor infant's discontent;

So runn'st thou after that which flies from thee,  
Whilst I thy babe chase thee afar behind;  
But if thou catch thy hope, turn back to me,  
And play the mother's part, kiss me, be kind:

So will I pray that thou mayst have thy 'Will,'  
If thou turn back, and my loud crying still.

144.

ორი ტროფობა მაქვს - სანუგეშოც, სასოწარმკვეთიც,  
ერთი მამხნევეს და მეორე ხშირად დამტუქსავს,  
უკეთესია ანგელოზი კაცის ნაკვეთებით,  
უარესი კი - დედაკაცი, ანჩხლი, შავტუხა.

ჯოჯოხეთში რომ ჩამიძახოს მდედრმა გონებით,  
ცდილობს წარწყმიდოს ანგელოზი გადაბირებით  
და წმინდანობა შეუცვალოს გადემონებით,  
უმანკობა წაუბილწოს შემრყვენელ ლირწებით.

ნუთუ აქცია ანგელოზიც მის მსგავს მაცილად?  
გულდაჯერებით ვერას ვიტყვი ხვედრზე მეგობრის;  
დაუმეგობრდა იმ ქალბატონს, მე კი - დამცილდა,  
გუმანით ვხვდები, ჯოჯოხეთში არის მეორის.

დანამდვილებით ვერ გავარკვევ ამას ალქატი,  
ვიდრე ანგელოზს არ განდევნის ანჩხლი ალქაჯი.

Two loves I have of comfort and despair,  
Which like two spirits do suggest me still:  
The better angel is a man right fair,  
The worser spirit a woman colour'd ill.

To win me soon to hell, my female evil  
Tempteth my better angel from my side,  
And would corrupt my saint to be a devil,  
Woing his purity with her foul pride.

And whether that my angel be turn'd fiend  
Suspect I may, but not directly tell;  
But being both from me, both to each friend,  
I guess one angel in another's hell:

Yet this shall I ne'er know, but live in doubt,  
Till my bad angel fire my good one out.



145.

სიყვარულისგან ქმნილი ზაგენით -  
„მძულს!“ - თქვა მიჯნურმა მის უნებურად  
და სატრფოსაგან ტკივილნაგემი  
გული იმწამსვე გაუბედურდა.

როცა შემატყო ელდა მზარავი,  
ენა დატუქსა მეტრფემ საფერმა,  
რადგან არ იყო გულთა მზარავი  
და თქმულის აზრი გადასხვაფერდა.

„მძულს“ - თქვა შეცვლილი მან დასასრულით  
და გაანათა ღამე ცისკარმა,  
თითქოს წკვარამი, როგორც ავსული,  
ციდან ქვესკნელში გადაიკარგა;

ამიყვავილდა ისევ სულისხე,  
როცა დასძინა - „სხვა ვიგულისხმე“.

Those lips that Love's own hand did make  
Breathed forth the sound that said 'I hate'  
To me that languish'd for her sake;  
But when she saw my woeful state,

Straight in her heart did mercy come,  
Chiding that tongue that ever sweet  
Was used in giving gentle doom,  
And taught it thus anew to greet:

'I hate' she alter'd with an end,  
That follow'd it as gentle day  
Doth follow night, who like a fiend  
From heaven to hell is flown away;

'I hate' from hate away she threw,  
And saved my life, saying 'not you'.

146.

საბრალო სულო, შუაგულო ცოდვილ სხეულის,  
გარემოცულო მეამბოხე, ავხორც განცდებით,  
მაშინ, როდესაც განილევი მადლით ცხებულთ,  
გარე კედლების მორთულობით რისთვის გაცდები?

ხანმოკლე ვადით გადმოცემულ ბინა-საყუდარს  
ულოლიავებ, თუმც ხრწნადია შენი სავანე,  
მატლთა სამკვიდროდ გამწესებულ სხეულს საკუთარს,  
რად განადიდებ და ახარჯავ მთელ შენს საფანელს?

აღზევდი სულო! დაანახე მსახურს მედგრობა  
და გარეგნობას გამოსტაცე ჭარბი ზინათი;  
არად ჩააგდე წუთისოფლის დაუდეგრობა,  
ღვთიური მადლი მოიხვეჭე შენი პირმნათი.

ეუფლე სიკვდილს, ვისაც კაცით კვებავს განგება  
და მარცხნაჭამი საბოლოოდ გაითანგება.

Poor soul, the centre of my sinful earth,  
[Why feed'st] these rebel powers that thee array;  
Why dost thou pine within and suffer dearth,  
Painting thy outward walls so costly gay?

Why so large cost, having so short a lease,  
Dost thou upon thy fading mansion spend?  
Shall worms, inheritors of this excess,  
Eat up thy charge? is this thy body's end?

Then soul, live thou upon thy servant's loss,  
And let that pine to aggravate thy store;  
Buy terms divine in selling hours of dross;  
Within be fed, without be rich no more:

So shalt thou feed on Death, that feeds on men,  
And Death once dead, there's no more dying then.

147.

ჩემი ტრფიალი დაემსგავსა მუდმივ ხურვებას,  
მოწადინეა დაუცხრომელ სისხლის დუღების,  
მწედედ და ხაბაზად საწადელი ემსახურება  
და არასოდეს დარწყულდება იშტა უძღებო.

გონება ხშირად მიტარებდა განსჯის გაკვეთილს,  
რჩევას მაძლევდა ავადობის განსაკურნებლად,  
ბოლოს დამტოვა და შევიცან სასოწარკვეთით,  
ჟინის აყოლა მიქადოდა განადგურებას.

განმშორდა გონი უკურნებელს დიდხანს მომინარი,  
შლევისკენ ტანჯვა ოთხივ კუთხივ გამოემართა,  
დავეხეტები ბორგნეული, შეუსმინარი  
და ამრევია სინამდვილე ნაოცნებართან.

რადგან მეგონე დღის ნათელი უდიადესი,  
შენ კი ყოფილხარ უბნელესი ღამე ჰადესის!

My love is as a fever, longing still  
For that which longer nurseth the disease,  
Feeding on that which doth preserve the ill,  
The uncertain sickly appetite to please.

My reason, the physician to my love,  
Angry that his prescriptions are not kept,  
Hath left me, and I desperate now approve  
Desire is death, which physic did except.

Past cure I am, now reason is past care,  
And frantic-mad with evermore unrest;  
My thoughts and my discourse as madmen's are,  
At random from the truth vainly express'd;

For I have sworn thee fair and thought thee bright,  
Who art as black as hell, as dark as night.

148.

გამომიცვალა სიყვარულმა თვალთა სისადე,  
უმახინჯდება ამიტომ გონს აღქმა ნანახის,  
გამჭირიახობა მოკლებულა აზრის სილაღეს,  
უარუყვია განმსჯელობას მზერის კარნახი.

მოსიყვარულე თვალებისთვის თუა მწყაზარი,  
მისი მშვენება სხვას რატომ არ ეჭეშმარიტა,  
თუ სხვაგვარად თვლის ჯამათი უზარმაზარი,  
უეჭველია, სინამდვილე ტრფობამ დაშრიტა.

ვით შეიძლება დაინახოს თვალმა მკაფიოდ  
გადაბინდულმა მღვიპარებით, ცრემლის ბრკიალით,  
მზეც ხომ ვერ შეძლებს მიწას შუქი მიმოაფრქვიოს,  
ვიდრე ცრიატს არ ჩაანაცვლებს იალკიალი.

თვალეებს მიცრემლებ, სიყვარულო, მუდამ მზაკვრულად,  
შენი ნაკლი რომ ვერ შეგატყო ლიბრგადაკრულმა!

O me, what eyes hath Love put in my head,  
Which have no correspondence with true sight!  
Or, if they have, where is my judgment fled,  
That censures falsely what they see aright?

If that be fair whereon my false eyes dote,  
What means the world to say it is not so?  
If it be not, then love doth well denote  
Love's eye is not so true as all men's 'No.'

How can it? O, how can Love's eye be true,  
That is so vex'd with watching and with tears?  
No marvel then, though I mistake my view;  
The sun itself sees not till heaven clears.

O cunning Love! with tears thou keep'st me blind,  
Lest eyes well-seeing thy foul faults should find.

149.

უყვარულობას, უღმობელო, რისად მამბრალი,  
შენი გულისთვის საკუთარი თავის მათხარს?  
თავს არ ვზოგავდი, ვეპყრობოდი მას ვით მტარვალნი,  
მსხვერპლად გავილე რამდენი რამ ტრფობის საოხად!

განა მეგობრად შემირაცხავს შენი მოშურნე?  
ვისაც უწყრები, ვეპირები პირმოთნეობას?  
ვერ გაგიხდები შერისხულიც ავის მოსურნე,  
მე დავიბრალე ჩამორთმეულ სულის მხნეობას.

სასიქადულო გამაჩნია ან რა ღირსება,  
რომ მეთაკილოს სიყვარულით შებორკილება?!  
თაყვანსაცემლად მიქცევია შენი ღირწებაც,  
გული შენს თვალთა მითითებებს ემორჩილება.

ახლა კი მივხვდი, რანაირი მოგწონს მუშტარი,  
თვალხილულთ ყვარობ, არ გინდივარ ტრფობით უშტარი!

Canst thou, O cruel! say I love thee not,  
When I against myself with thee partake?  
Do I not think on thee, when I forgot  
Am of myself, all tyrant, for thy sake?

Who hateth thee that I do call my friend?  
On whom frown'st thou that I do fawn upon?  
Nay, if thou lour'st on me, do I not spend  
Revenge upon myself with present moan?

What merit do I in myself respect,  
That is so proud thy service to despise,  
When all my best doth worship thy defect,  
Commanded by the motion of thine eyes?

But, love, hate on, for now I know thy mind;  
Those that can see thou lovest, and I am blind.

150.

ნეტავ რა ძალა გამოსტაცე ქვეყნიერებას,  
დამიმორჩილო უამრავი ნაკლით განთქმულმა,  
წარმომიდგინო მანკიერი მშვენიერებად  
და ვამტკიცებდე - დღის სინათლე ბნელში დანთქმულა.

მიმზიდველობას ვით ანიჭებ უკეთურებას,  
რა თილისმა გაქვს, ან რა მსახვრალ ჯადოს მიკეთებ,  
რომ დავყოლივარ მაცდუნებელ უბედურებას,  
შენი სიგლახე მირჩევნია სხვათა სიკეთეს?

ვინ შეგასწავლა, ჩამინერგო მწველი ლიზღება,  
თავდავიწყებით გიწონებდე ლირწს სათაკილოს?  
და თუმც ის მიყვარს, დანარჩენებს ვინც ეზიზღებათ,  
არ გეკადრება, მათთან ერთად შენც რომ გამკილო!

თუკი უღირსმა გზნების ცეცხლი ამიბრიალა,  
მაშინ არ უნდა მამადლიდეს მიჯნურს ტრფიალსაც.

O, from what power hast thou this powerful might  
With insufficiency my heart to sway?  
To make me give the lie to my true sight,  
And swear that brightness doth not grace the day?

Whence hast thou this becoming of things ill,  
That in the very refuse of thy deeds  
There is such strength and warrantize of skill  
That, in my mind, thy worst all best exceeds?

Who taught thee how to make me love thee more  
The more I hear and see just cause of hate?  
O, though I love what others do abhor,  
With others thou shouldst not abhor my state:

If thy unworthiness raised love in me,  
More worthy I to be beloved of thee.

151.

სინდისს არ იმჩნევს სიყვარული, რადგან ნორჩია,  
თუმცა სინდისი სიყვარულმა შობა სულმნათი,  
ნაზო თაღლითო, ჩემს შეცდომას შეხვდი მორჩილად,  
ბრალი შენც გიძღვის, არ გამკიცხო მეტრფე მუნათით.

როცა მღალატობ, მეც ჩავდივარ მუხანათობას,  
ტლანქ გვამს ნებდება ზნემაღალი სული ცხებული,  
აღარ უკრძალავს აღზნებულ ხორცს ურცხვად გართობას,  
ვნების მორევში გალაღებას ლამობს სხეულიც.

ამღელვარებ, სანუკვარი შენ ხარ ზმანება,  
ძვირფას ჯილდოსთვის არ აშინებს მწიკვლის წაცხებაც,  
ბედნიერია, თუ ყმასავით გეთაყვანება,  
შენთვის აღდგება, ანდა მიწას დაენარცხება.

ნუ თვლი მის ტრფიალს გაცხადებად უსინდისობის,  
ვინც აღმადგინებს, ან ძირს დამცემს - უიმისობით!

Love is too young to know what conscience is;  
Yet who knows not conscience is born of love?  
Then, gentle cheater, urge not my amiss,  
Lest guilty of my faults thy sweet self prove:

For, thou betraying me, I do betray  
My nobler part to my gross body's treason;  
My soul doth tell my body that he may  
Triumph in love; flesh stays no farther reason;

But, rising at thy name, doth point out thee  
As his triumphant prize. Proud of this pride,  
He is contented thy poor drudge to be,  
To stand in thy affairs, fall by thy side.

No want of conscience hold it that I call  
Her love for whose dear love I rise and fall.

152.

გამატეხინა ფიცი ტრფობამ გასაკვირველად,  
ორჯერ შენც აღთქმა დაარღვიე ცრუმ და თვითრჯულმა, -  
თანამეცხედრეს უღალატე თავდაპირველად,  
მუხანათობის შხამი შესვა მერე მიჯნურმაც.

გამიძნელდება დაბრალება თუმცა განდგომის,  
მეც ვარ გამტეხი ოციოდე დანაფიცების,  
რადგან ვფიცავდი, რომ იყავი მეტრფე სანდობი  
და მოღალატეს ვადიდებდი ფუჭი მტკიცებით.

მეგონე სათნო, შეურყევი და მზის სადარი,  
მგზნებარე მიჯნურს დიდსულოვნად ვინაც იწყალებს  
და გაცხადებდი ნათლის ხატად თვალეზამდგარი,  
თვალს ვუკრძალავდი შეენიშნა შენი სიყალბე.

სიმართლეს ვგმობდი... თუმცა გონი კარგად გიცნობდა,  
მაინც გიქებდი, მუხანათო, პირუმტკიცობას!

In loving thee thou know'st I am forsworn,  
But thou art twice forsworn, to me love swearing,  
In act thy bed-vow broke and new faith torn,  
In vowing new hate after new love bearing.

But why of two oaths' breach do I accuse thee,  
When I break twenty? I am perjured most;  
For all my vows are oaths but to misuse thee  
And all my honest faith in thee is lost,

For I have sworn deep oaths of thy deep kindness,  
Oaths of thy love, thy truth, thy constancy,  
And, to enlighten thee, gave eyes to blindness,  
Or made them swear against the thing they see;

For I have sworn thee fair; more perjured eye,  
To swear against the truth so foul a lie!



153.

ემინა ეროსს, ჩირაღდანი ეგდო მახლობლად,  
დიანას ნიძვამ აიტაცა ნივთი ნაწადი,  
ღელის ბინულში მოინება მისი შთაფლობა,  
დამრეტილიყო რათა ცეცხლი წყალთა ნაკადით.

ტრფობის აღმგზნები ცეცხლი ჩაქრა, ღვთიურ მამხალის  
ძალმოსილება შეითვისა წყაროს ბუნებამ,  
თუ განიბანა სნებიანი, ანდა მამზვრალი  
ცხელ ნაკადულში, უცილობლად განიკურნება.

მიჯნურის თვალით კვლავ დაენტო ტრფობის სახმილი,  
ჩირაღდნის ძალის მოისურვა ღმერთმა გამოცდა,  
დავსნეულდი და გავეშურე გულის ძახილით  
მკურნალ წყაროსკენ, სიყვარულის გამოსალოცად.

თუმც ჯანმრთელობა არ შემეტყო ნამკურნალებსაც...  
ვინძლო მიწამლონ სიყვარულის მშობმა თვალეებმა!

Cupid laid by his brand, and fell asleep:  
A maid of Dian's this advantage found,  
And his love-kindling fire did quickly steep  
In a cold valley-fountain of that ground;

Which borrow'd from this holy fire of Love  
A dateless lively heat, still to endure,  
And grew a seething bath, which yet men prove  
Against strange maladies a sovereign cure.

But at my mistress' eye Love's brand new-fired,  
The boy for trial needs would touch my breast;  
I, sick withal, the help of bath desired,  
And thither hied, a sad distemper'd guest,

But found no cure: the bath for my help lies  
Where Cupid got new fire - my mistress' eyes.

154.

ჩასძინებოდა სიყვარულის ციციქნა ღვთაებას,  
კორდზე მიეგდო ჩირაღდანი გულთა აღმგზნები,  
დიანას ნიძვებს დაუნახავთ მტერი თავნება,  
დამარღვეველი სიქალწულის დაცვის აღთქმების.

ერთი ქურუმი წაეტანა ბედის არმაღანს,  
წყლისკენ გაიქცა ურიცხვ გულთა მშანთავ ნადავლით,  
ქალწული ნიძვის მიერ მყისვე განიარაღდა  
მხურვალე გზნების წარმომშობი მთავარსარდალი.

ნიძვამ ჩააქრო ჩირაღდანი ცივი ბინულით -  
ტრფობის ხანძარმა, ნაკადულში განაზავებმა,  
წყალს მიანიჭა მხურვალემა მარადიული,  
ბევრი განკურნა უებარმა აბაზანებმა.

მეც საკურნებლად წაველ, თუმცა ტრფობის სახმილით  
გამთბარ ნაკადით, სიყვარული ველარ გამივლის.

The little Love-god lying once asleep  
Laid by his side his heart-inflaming brand,  
Whilst many nymphs that vow'd chaste life to keep  
Came tripping by; but in her maiden hand

The fairest votary took up that fire  
Which many legions of true hearts had warm'd;  
And so the general of hot desire  
Was sleeping by a virgin hand disarm'd.

This brand she quenched in a cool well by,  
Which from Love's fire took heat perpetual,  
Growing a bath and healthful remedy  
For men diseased; but I, my mistress' thrall,

Came there for cure, and this by that I prove,  
Love's fire heats water, water cools not love.

რომეო და ჯულიეტა (წინათქმა)

ვერონის ორმა სახლეულმა ძირძველ თავადთა,  
გამოავლინა საქციელი გულდრძო მტაცებლის,  
ძველი მტრობიდან ხელახალი ქიშპი დაბადა  
და დაიღვარა სისხლი მათი სახლიკაცების.

მტრადმოკიდებულ ოჯახების შთამომავლებთან  
გადაიკვეთა ბედისწერის ორი ვარსკვლავი,  
შეყვარებულთა სიცოცხლესთან გამოსალმებამ,  
დავიდარაბა დაასრულა გულშემზარავი.

სიკვდილის ნიშნით აღბეჭდილი ტრფობის ჭირვებას,  
წაკიდებული ოჯახების მტრობას საძრახველს,  
რაც მხოლოდ შვილთა მიცვალებით აღმოიფხვრება,  
ორი საათის მონაკვეთში დადგმით განახებთ.

თუ სრულყოფილად ვერ აღვწერე ტრფობა სპეტაკი,  
უკეთ აგიხსნით მოქმედება ჩვენი სპექტაკლის.

Romeo and Juliet: Prologue

Two households, both alike in dignity,  
In fair Verona, where we lay our scene,  
From ancient grudge break to new mutiny,  
Where civil blood makes civil hands unclean.

From forth the fatal loins of these two foes  
A pair of star-cross'd lovers take their life;  
Whose misadventured piteous overthrows  
Do with their death bury their parents' strife.

The fearful passage of their death-mark'd love,  
And the continuance of their parents' rage,  
Which, but their children's end, nought could remove,  
Is now the two hours' traffic of our stage;

The which if you with patient ears attend,  
What here shall miss, our toil shall strive to mend.



უილიამ ბლეიკი

(1757-1827)

*ლექსები*

William Blake

(1757-1827)

*Poems*



1.

### **ქვიშის მარცვალში...**

ნახო სამყარო ქვიშის მარცვალში,  
ველის ყვავილში - ზეცა უკვდავი,  
მუჭში ჩატო ვრცელი ცარგვალი  
და ერთ საათში - მთელი მუდამი.

### **To see the world in a grain of sand**

To see the world in a grain of sand,  
and to see heaven in a wild flower,  
hold infinity in the palm of your hands,  
and eternity in an hour.

2.

### **ო, პრანწიავ!...**

ვერან მინდორზე რად დაფრინავ, ჩემო პრანწიავ?  
ქვეშ ხაფანგია, აირიდე გაწამაწია!  
იფრინე, სადაც მარცვლეულთა მოჩანს ნათესი,  
სამკალ ყანებზე არ შეგხვდება კაკანათები.

### **O lapwing! thou fliest around the heath**

O lapwing! thou fliest around the heath,  
Nor seest the net that is spread beneath.  
Why dost thou not fly among the corn fields?  
They cannot spread nets where a harvest yields.

3.

### **მზესუმზირა**

აჰ, მზესუმზირავ, დროით მაშვრალიც  
იჩენ მზის ბიჯთა დათვლის მზაობას,  
რომ ოქროვანი ძებნო ცარგვალი,  
სადაც ყარიბის წყდება მგზავრობა.

სადაც ჭაბუკი, ნდომით დამჰკნარი,  
ქალწული, თოვლის ზეწრით ბურვილი,  
ემურებიან მკვდრეთით აღმდგარნი  
და მზესუმზირავ, წახვალ სურვილით!

### **Ah Sunflower**

Ah Sunflower, weary of time,  
Who countest the steps of the sun;  
Seeking after that sweet golden clime  
Where the traveller's journey is done;

Where the Youth pined away with desire,  
And the pale virgin shrouded in snow,  
Arise from their graves, and aspire  
Where my Sunflower wishes to go!



4.

### სნეული ვარდი

ვარდი ხარ სნეული!  
მომტერე საშიში,  
მწერი ღამეული,  
ღრიალში ქარიშხლის

დაქროდა, მონახა  
განცხრომა ბადახშის,  
ტრფიალის მონა-ყმა  
დაგაჰკნობს გადამლიღს.

### The Sick Rose

O Rose, thou art sick!  
The invisible worm  
That flies in the night,  
In the howling storm,

Has found out thy bed  
Of crimson joy,  
And his dark secret love  
Does thy life destroy.

5.

### მწყემსი

რა საამოა მწყემსის წილხვედრი,  
ცხვარს წინამძღოლობს მთაში, მინდვრებში,  
იგია მისი ფარის იმედი,  
აღმომეტყველი ქება-დიდების.

ესმის უმანკო ბატონის ბლავილი,  
ნერბის პასუხიც, ღვთიურ წყალობად,  
არეს ედება ჰანგი ავილის,  
სამწყსოც მშვიდად ძოვს მწყემსის მახლობლად.

### The Shepherd

How sweet is the Shepherd's sweet lot!  
From the morn to the evening he strays;  
He shall follow his sheep all the day,  
And his tongue shall be filled with praise.

For he hears the lamb's innocent call,  
And he hears the ewe's tender reply;  
He is watchful while they are in peace,  
For they know when their Shepherd is nigh.

6.

## იგალობა ზესთა გუნდმა

იგალობა ზესთა გუნდმა  
დილით მზე რომ აგურგურდა:  
„მოწყალება, თანალომობა,  
სიმშვიდეა - ღვთის წყალობა“.

გაისმოდა მძლავრი კრინი  
მალლა ახლადდადგმულ ზვინის,  
სანამ მნათის დაბლა დასვლით,  
ბჯას მიეცა ფერი წაბლის.

კურდღლისცოცხას ბუჩქთან წყევლით  
შეესიტყვა სათაელი:  
„მოწყალება ვის რად უნდა,  
არ იცხოვრებს თუკი ცუდად,

ბედნიერის შებრალებაც,  
აღარავის ევალება“.  
მზე დაეშვა მისი კრულვით,  
ცა დაბნელდა მოქუფრული.

წამოსული ხოშკაკალით  
წახდა ყანა მოსამკალი...  
თანალომობას, მოწყალებას  
და სიმშვიდეს ზრდის წვალება...

## **I Heard an Angel**

I heard an Angel singing  
When the day was springing,  
'Mercy, Pity, Peace  
Is the world's release.'

Thus he sung all day  
Over the new mown hay,  
Till the sun went down  
And haycocks looked brown.

I heard a Devil curse  
Over the heath and the furze,  
'Mercy could be no more,  
If there was nobody poor,

And pity no more could be,  
If all were as happy as we.'  
At his curse the sun went down,  
And the heavens gave a frown.

Down pour'd the heavy rain  
Over the new reap'd grain ...  
And Miseries' increase  
Is Mercy, Pity, Peace.

7.

## ვეფხვი

ვეფხვო! ვეფხვო! თვალბრიალა,  
ბნელში ჩანხარ ტყეში ალად,  
ვისმა თვალმა, ვისმა ხელმა  
გამოგძერწა შიშისმგვრელად?

ცაში შექმნა, თუ ზღვის ქვევით  
შენი გუგა ცეცხლისმფრქვევი?  
რაგვარ ფრთებით ფრენდა, როცა  
ცეცხლი იპყრო გასაოცრად?

რა ხერხით და რა სიმძლავრით  
დაწნა გულის ყველა მარღვი?  
როცა გულმა გიწყო ძგერა,  
გულისძგერამ ვით არ შეძრა?

რომელ ბრძმედში, რომელ რკინით  
გამოჭედა შენი ტვინი?  
ვინ აიღო ხელში გრდემლი,  
ვინ ითავა საფრთხე მჭედლის?

ვარსკვლავებმა როცა ცარგვლის  
სივრცე მორწყეს ცრემლთ ნაცვარით,  
შეგცქეროდა მომღიმარი?  
მან დაგბადა, ვინც ქმნა ცხვარი?

ვეფხვო! ვეფხვო! თვალბრიალა,  
ბნელში ჩანხარ ტყეში ალად,  
ვისმა თვალმა, ვისმა ხელმა  
გამოგძერწა შიშისმგვრელად?

## The Tyger

Tyger! Tyger! burning bright  
In the forests of the night,  
What immortal hand or eye  
Could frame thy fearful symmetry?

In what distant deeps or skies  
Burnt the fire of thine eyes?  
On what wings dare he aspire?  
What the hand dare seize the fire?

And what shoulder, and what art,  
Could twist the sinews of thy heart?  
And when thy heart began to beat,  
What dread hand? and what dread feet?

What the hammer? what the chain?  
In what furnace was thy brain?  
What the anvil? what dread grasp  
Dare its deadly terrors clasp?

When the stars threw down their spears,  
And water'd heaven with their tears,  
Did he smile his work to see?  
Did he who made the Lamb make thee?

Tyger! Tyger! burning bright  
In the forests of the night,  
What immortal hand or eye,  
Dare frame thy fearful symmetry?

8.

### **მარადისობა**

ქვეყნად განცხრომას ვინც არ შორდება,  
გაინადგურებს ფრთოსან ცხოვრებას;  
შემძლეს მიმქროლი ღხენის ალერსის,  
მარადისობის დილა დასცქერის.

### **Eternity**

He who binds to himself a joy  
Does the winged life destroy;  
But he who kisses the joy as it flies  
Lives in eternity's sun rise.

9.

### **ეპიტაფია**

სამარე მიტომ გამითხარეს არხთან ნაღვარის,  
გული იჯერონ მეგობრებმა ცრემლის ღვარღვართ.

### **An Epitaph**

I was buried near this dyke,  
That my friends may weep as much as they like.

10.

### ტრფობის ბაღნარი

მოვინახულე ტრფობის ბაღნარი  
და დავინახე ჯერ არნახული,  
ეკვდერი იდგა, სადაც ნარნარი  
ბალი მართობდა უწინ ზაფხულში.

დახშული იყო საყდრის ჭიშკარი,  
„შენთვის არაა“ - ამოეტვიფრათ,  
ყვავილნარისკენ ნაბილიკარით  
წავედი, სატრფოს ბედზე მეფიქრა.

გადავსილიყო ირგვლივ გარემო  
ყვავილთა ნაცვლად მკვდართა ძეგლებით,  
ლიტანიობდნენ მღვდლები გარშემო  
და ჩემს სურვილებს კრავდნენ ეკლებით.

### The Garden of Love

I went to the Garden of Love,  
And saw what I never had seen:  
A Chapel was built in the midst,  
Where I used to play on the green.

And the gates of this Chapel were shut,  
And Thou shalt not' writ over the door;  
So I turn'd to the Garden of Love,  
That so many sweet flowers bore,

And I saw it was filled with graves,  
And tomb-stones where flowers should be:  
And Priests in black gowns were walking their rounds,  
And binding with briars my joys and desires.



11.

### უმანკობის სიმღერები: შესავალი

ველად მავალი ვუკრავდი ავილს,  
თავს გავირთობდი მხიარულ ჰანგით,  
თვალი მოვკარი ღრუბელში ყმაწვილს  
და ჩამომძახა მცინარი ზაგით:

„კრავის შესახებ მიაბზე გაკვრით“;  
ავახმინანე ხალისით სტვირი,  
„ისევ დამატკბე მესტვირევ დაკვრით“;  
დაკვრისას ბალლი მორთავდა ტირილს.

„სვიანი ნესტვი დააგდე დაბლა  
და წაიმღერე დაკრული უცებ“;  
მეც წავუმღერე სიმღერა კვალად,  
ის სიხარულის დაღვრიდა კურცხლებს.

“წიგნად აკინძე ნამღერი ჩქარა,  
რათა შეეძლოთ წაკითხვა მისი”;  
თვალთახედვიდან ანაზდად გაქრა,  
მე ამოვგლიჯე მახლობლად ისლი,

წავუმახვილე კალმისტარს წვერი  
და ავამღვრიე ანკარა წყალი...  
სიამისმომგვრელ სიმღერებს ვწერდი,  
რათა ხარობდეს ყოველი ბალლი.

## Songs Of Innocence: Introduction

Piping down the valleys wild  
Piping songs of pleasant glee  
On a cloud I saw a child.  
And he laughing said to me.

Pipe a song about a Lamb:  
So I piped with merry cheer,  
Piper, pipe that song again--  
So I piped, he wept to hear.

Drop thy pipe thy happy pipe  
Sing thy songs of happy cheer,  
So I sung the same again  
While he wept with joy to hear

Piper sit thee down and write  
In a book that all may read--  
So he vanished from my sight  
And I pluck'd a hollow reed.

And I made a rural pen,  
And I stained the water clear,  
And I wrote my happy songs,  
Every child may joy to hear.

12.

### მხიარული სიმღერა

სიცოცხლის ჩქეფით მწვანე ტევრი როდესაც ხარობს  
და მირაკრაკებს პირმცინარი ანკარა წყარო,  
როცა სავსეა არემარე მოლხენის ხმებით,  
ხალისიანად ესიტყვება ჟრიამულს მთები;

როდესაც თვალი დამტკბარია სიმწვანის მზერით,  
დაუზარებლად კუტკალია მთელი დღე მღერის,  
მოლზე ხმიანობს მოუსვენარ წინველთა ჯგუფი  
და სალალბოდ ყოველს სურს, რომ მონახოს ჯუფთი;

როცა ჩიტები ჟღურტულევენ ჩეროში რცხილის  
და იქვე სუფრა დახუნძოლულა ალუბლით, თხილით,  
თუ ეშურები, მეგობარო, გართობას ნამდვილს,  
შემოუერთდი ჩვენს ქოროს და მხიარულ ნადიმს!

### Laughing Song

When the green woods laugh with the voice of joy,  
And the dimpling stream runs laughing by;  
When the air does laugh with our merry wit,  
And the green hill laughs with the noise of it;

when the meadows laugh with lively green,  
And the grasshopper laughs in the merry scene,  
When Mary and Susan and Emily  
With their sweet round mouths sing “Ha, ha he!”

When the painted birds laugh in the shade,  
Where our table with cherries and nuts is spread:  
Come live, and be merry, and join with me,  
To sing the sweet chorus of “Ha, ha, he!”

13.

### **გაზაფხულს**

შენ, ვისაც სიო გიფრიალებს დაცვარულ კულულთ,  
დილის კრიალა სარკმლის მიღმა გადანახულო,  
მოაპყარ თვალნი ანგელოზის დასავლეთ კუნძულს,  
რომელიც ერთხმად გელოდება, ო, გაზაფხულო!

მთა მთას ეძახის, გადაძახილს ყურს უგდებს ბარი  
და მოუთმენლად მოგელიან ჩვენი თვალები,  
გთხოვ, საბრძანისი მიატოვო ელვარე კარვის  
და გაგვახარო შენი წმინდა ნატერფალებით.

აღმოსავლეთის მთებს გადმოცდი, შემოდი უთქმლად,  
უფლება მიეც ტკბილ სამოსლის ამბორის ქარებს,  
დავაჭაშნიკოთ შენი დილა-სალამოს სუნთქვა,  
თვალ-მარგალიტად მოეფინე მწუხარე მხარეს.

თლილი თითებით მოეფერე, აავსე ხვავით  
და დაუკოცნე უნაზესი ამბორით მკერდი,  
ოქროს გვირგვინით დაუმშვენე დამჭკნარი თავი,  
კდემით აკრული ნაწნავები კი - ოქრომკედით.

## To Spring

O thou with dewy locks, who lookest down  
Thro' the clear windows of the morning, turn  
Thine angel eyes upon our western isle,  
Which in full choir hails thy approach, O Spring!

The hills tell each other, and the list'ning  
Valleys hear; all our longing eyes are turned  
Up to thy bright pavilions: issue forth,  
And let thy holy feet visit our clime.

Come o'er the eastern hills, and let our winds  
Kiss thy perfumed garments; let us taste  
Thy morn and evening breath; scatter thy pearls  
Upon our love-sick land that mourns for thee.

O deck her forth with thy fair fingers; pour  
Thy soft kisses on her bosom; and put  
Thy golden crown upon her languish'd head,  
Whose modest tresses were bound up for thee.

14.

## ანგელოზი

ვერ ვხსნი ნასიზმრალს, როცა ღიოფა  
სიზმრად ვიქეცი ქალწულ დიოფლად;  
თუმც ანგელოზი მედგა დარაჯად,  
გულს დამიღრღნიდა სევდის ხარაჯა!

დღელამ ვტიროდი გულამოსკვნილი,  
ცრემლებს მომწმენდდა ნათლით მოსილი;  
ჯავრით ვხვდებოდი მწუხრს, თუ განთიადს  
და ვუმალავდი გულის ხვაშიადს.

ცაში აიჭრა ბოლოს ნავარდით,  
გავარდისფერდა დილის ლაჟვარდი.  
ცრემლი შევიშრე, შიშის ალაგმვა  
შემადლებინა სულის ალმაგმა<sup>1</sup>.

კვლავ დამიბრუნდა ციდან ებგური,  
თუმც რად მინდოდა ჯავშნით შეჭურვილს;  
რადგან მიწყნარდა სიყრმის ნაღარა  
და შემვივრცხლა თავი ჭალარამ.

---

<sup>1</sup> ალმაგ-ი (ალმაგისა) - ჯავშანი

## **The Angel**

I dreamt a dream! What can it mean?  
And that I was a maiden Queen  
Guarded by an Angel mild:  
Witless woe was ne'er beguiled!

And I wept both night and day,  
And he wiped my tears away;  
And I wept both day and night,  
And hid from him my heart's delight.

So he took his wings, and fled;  
Then the morn blushed rosy red.  
I dried my tears, and armed my fears  
With ten thousand shields and spears.

Soon my Angel came again;  
I was armed, he came in vain;  
For the time of youth was fled,  
And grey hairs were on my head.

15.

### შროშანი

კრძალული ვარდი უჩხვლეტს ეკლებით,  
რქებია შუბი მორჩილ ერკემლის,  
თუმც სიყვარულით დამთვრალ თიომებს<sup>2</sup>,  
რქა, ან ეკალი ვერ არიოშებს.

### Lily

The modest Rose puts forth a thorn,  
The humble sheep a threat'ning horn:  
While the Lily white shall in love delight,  
Nor a thorn nor a threat stain her beauty bright.

16.

### გენიოსობა ჩემი...

გენიოსობა ჩემი ცხადყო მრავალმა ლექსმა  
და თან ჰეილი რომ არ მაქებს და ვძულვარ ფლექსმანს.

### My title as a Genius...

My title as a Genius thus is prov'd:  
Not Prais'd by Hayley nor by Flaxman lov'd.

---

<sup>2</sup> თიომი - შროშანი



17.

## სიმღერა

რა უზრუნველად დავფრინავდი მინდორ და მინდორ,  
ყველა სიამე გამოვცადე ცხელი ზაფხულის,  
მაგრამ ტრფიალის უფლისწულმა როდი დამინდო,  
როცა გამოჩნდა მზის სხივებში ფრთების ფართხუნით.

თმაში ჩამიწნა ზამბახები, ტრფობით გამთბარი  
შუბლი შემიმკო მოღალანე ვარდის სინგურით,  
შემომატარა წალკოტები უცხო მთა-ბარის,  
სადაც ოქროვან სიამეებს გავუმიჯნურდი.

ტანი და ფრთები დამინამა ტკბილი ნაცვარით,  
სამოთხის ბაღი მომიბოძა მღერალს ქვეშაგად,  
მახე დამიგო აბრეშუმის ძაფის გაწარით,  
მოოქროვილი გალიაკი მიძღვნა ფეშქაშად.

უყვარს, როდესაც ვახალისებ აგალობებით,  
ხუმრობით ავლენს მბრძანებელი ჩემზე სუფევას,  
როცა მოკვილ ფრთებს გამიშლის ხანგამოშვებით  
და მასხრად იგდებს ჩემს დაკარგულ თავისუფლებას.

## Song

How sweet I roam'd from field to field  
And tasted all the summer's pride,  
Till I the Prince of Love beheld  
Who in the sunny beams did glide!

He show'd me lilies for my hair,  
And blushing roses for my brow;  
He led me through his gardens fair  
Where all his golden pleasures grow.

With sweet May dews my wings were wet,  
And Phoebus fir'd my vocal rage;  
He caught me in his silken net,  
And shut me in his golden cage.

He loves to sit and hear me sing,  
Then, laughing, sports and plays with me -  
Then stretches out my golden wing,  
And mocks my loss of liberty.

18.

### ბელტი და ხვინჭა

„სიყვარული თვითტკობას არ ლამობს,  
არ ითვლება თავის მოამაგედ,  
თვის უფლებებს დათმობს სხვის საამოდ  
და სამოთხეს ჯოჯოხეთშიც აგებს“.

წაიმღერა თიხის ბელტმა ყინჩად  
და ფლოქვებით გადაქელა ჯელგამ,  
ხოლო წმინდა ნაკადულის ხვინჭამ,  
უპასუხა ნიშნისგებით მსჯელმა:

„სიყვარული თვითგანცხრომას ელტვის,  
თავგზას უბნევს ყალბი გამოხედვით,  
ილხენს სხვისი ნების ფეხქვეშ თელვით  
და ჯოჯოხეთს აგებს სამოთხეშიც“.

### The Clod and the Pebble

“Love seeketh not itself to please,  
Nor for itself hath any care,  
But for another gives its ease,  
And builds a Heaven in Hell’s despair.”

So sung a little Clod of Clay  
Trodden with the cattle’s feet,  
But a Pebble of the brook  
Warbled out these metres meet:

“Love seeketh only self to please,  
To bind another to its delight,  
Joys in another’s loss of ease,  
And builds a Hell in Heaven’s despite.”

19.

## ოქროს ბადე

რიჭრაჭზე შემხვდა ქალწული სამი: -  
„საით მიდიხარ, ყმაწვილო, საით?  
გადაეყრები საბრალოვ ვარამს!“  
ქვითინებენ და ცრემლი სდით ღვარად.

პირველი იყო მოსილი ალით,  
მეორეს ეცვა ბექთარი რვალის,  
ხოლო მესამეს - ცრემლი, ვაება  
და ციაგებდა დამაბრმავეზლად.

ოქროთი წნული მიჰქონდათ ბადე,  
რომ გაეფინათ ხის ვარჯზე სადმე.  
ავტირდი, რადგან დრო-ჟამის მიღმა  
ტრფობის და ეშხის განვჭვრეტდი იღბალს,

შთაინთქმებოდნენ მწველი სახმილით,  
დაუცხრომელი გულისწადილის.  
ჩამომდიოდა უწყვეტად ცრემლი  
და არვინ იყო ნუგეშისმცემი.

შემნიშნეს ცრემლი და სიმძიმელი,  
ზეცის შემცდენი მაცდურ ღიმილით  
ზევით ატყორცნეს ოქროს გაწარი,  
დასრულდა მათი ნამოღვაწარიც.

დილაბინდისას ვიდექ ეული,  
წყეულ ბადის ქვეშ გამომწყვდეული,  
ვეკითხებოდი შემოსილს ალით,  
შეჭურვილს ჯაჭვის პერანგით რვალის,  
ცრემლით და ოხვრით დაფარულს, ზრდილად -  
გათენდებოდა ჩემთვის ეს დილა?

## The Golden Net

Three Virgins at the break of day:—  
‘Whither, young man, whither away?  
Alas for woe! alas for woe!  
They cry, and tears for ever flow.

The one was cloth’d in flames of fire,  
The other cloth’d in iron wire,  
The other cloth’d in tears and sighs  
Dazzling bright before my eyes.

They bore a Net of golden twine  
To hang upon the branches fine.  
Pitying I wept to see the woe  
That Love and Beauty undergo,

To be consum’d in burning fires  
And in ungratified desires,  
And in tears cloth’d night and day  
Melted all my soul away.

When they saw my tears, a smile  
That did Heaven itself beguile,  
Bore the Golden Net aloft,  
As on downy pinions soft,

Over the Morning of my day.  
Underneath the net I stray,  
Now entreating Burning Fire  
Now entreating Iron Wire,  
Now entreating Tears and Sighs—  
O! when will the morning rise?

20.

### **წყნარო, წყნარო ღამევ**

წყნარო, წყნარო ღამევ,  
შუქი მოკამკამე,  
გთხოვ, გაუქრო ღამპრებს.

დღისგან ქანცგამწყდარი,  
რადგან ბევრი დამრწის,  
ლხენის მგმობი, მცდარი.

ვიცი, ლხენა ურცხვი  
ტყუილებით უხვი,  
შეეყრება წუხილს.

ლხენა სათნო, ამო,  
თავის მოკვლას ღამობს  
მორცხვი კახპის გამო.

### **Silent, Silent Night**

Silent, Silent Night  
Quench the holy light  
Of thy torches bright

For possessed of Day  
Thousand spirits stray  
That sweet joys betray

Why should joys be sweet  
Used with deceit  
Nor with sorrows meet?

But an honest joy  
Does itself destroy  
For a harlot coy.

21.

### გაზაფხული

ჰანგი სალამურის  
მიწყდა საამური,  
ჭიკჭიკი გაისმის  
დილით, თუ დაისში;  
ხმატკბილი ჟღურტულით  
მღერალი ბუღბული  
და ცაში აჭრილი  
ტოროლა ძახილით,  
ხალისით, ხალისით ხვდებიან გაზაფხულს.

ეზოში ბალღები  
დახტიან ლაღები,  
ცელქობენ სირბილით  
და ჟივილ-ხივილით,  
გაისმის დილ-დილით  
მამღების ყივილი;  
ბალღები ხმაურით  
და აურზაურით,  
ხალისით, ხალისით ხვდებიან გაზაფხულს.

მოვიდა სალამო  
ტარიგო საამოვ,  
აჰა, შენ სალოკად  
კისერი და ლოყა,  
აშლა მსურს ნატიფი  
ფაფუკი ქათიბის,  
მინდა მოსაფერი  
სახეების ალერსი,  
ხალისით, ხალისით რომ შევხვდეთ გაზაფხულს.

## Spring

Sound the flute!  
Now it's mute.  
Birds delight  
Day and night;  
Nightingale  
In the dale,  
Lark in sky,  
Merrily,  
Merrily, merrily, to welcome in the year.

Little boy,  
Full of joy;  
Little girl,  
Sweet and small;  
Cock does crow,  
So do you;  
Merry voice,  
Infant noise,  
Merrily, merrily, to welcome in the year.

Little lamb,  
Here I am;  
Come and lick  
My white neck;  
Let me pull  
Your soft wool;  
Let me kiss  
Your soft face;  
Merrily, merrily, we welcome in the year.



22.

**აღდექ ინგლისო, დახვდი მღვიძარე...**

აღდექ ინგლისო, დახვდი მღვიძარი  
იერუსალიმს - დობილს ზარებით!  
სტუმრად მოსულა შუქმომფინარი,  
ძველი გალავნის გახსენ კარები!

ადრეც გიგრძნია მკერდით სიტკბონი  
მისი მადლის და ხვავრიელობის,  
შენს ჭიშკრებს ახსოვთ გზები სიონის,  
როცა დრო გედგა ტრფობის, ქველობის.

ის დრო დაბრუნდა და თადარიგით  
გახსენ ლონდონო ბჭენი გოდლების,  
რათა სუფევდეს უფლის ტარიგი  
ინგლისის მწვანე საჩრდილობლებში!

**England! awake! awake! awake!**

England! awake! awake! awake!  
Jerusalem thy Sister calls!  
Why wilt thou sleep the sleep of death  
And close her from thy ancient walls?

Thy hills and valleys felt her feet  
Gently upon their bosoms move:  
Thy gates beheld sweet Zion's ways:  
Then was a time of joy and love.

And now the time returns again:  
Our souls exult, and London's towers  
Receive the Lamb of God to dwell  
In England's green and pleasant bowers.

23.

### სიზმარი

ერთხელ სიზმარმა დამიწნა ჩრდილი,  
ანგელოზი რომ თავს მედგა ფრთხილი,  
ჩემს სარეცელთან ვნახე ჯინჯველი,  
გზააბნეული, სავსე იჭვებით,

შემფოთებული, ბედუკუღმართი,  
ქანცგაწყვეტილი და გულმწუხარი  
და გადახლართულ ბალახბულახში  
ასე მოთქვამდა ბედის უმძრახი:

„ვაჰმე! შვილებო ძრწოლით მომელით,  
გესმით, ვით კვნესის თქვენი მშობელი?  
გარეთ მეძებდით ალბათ წკვარამში,  
შინ დაბრუნდით და ზღვით ვარამით!“

წამომივიდა გულის ნაცრემლი,  
ახლოს დავლანდე ცივინათელი,  
თქვა: „რა ქვითინებს, ან რა მუშაკი,  
რომელმა მიხმო ღამის გუშაგი?“

„მიწას ახლავე მოვფენ სინათლეს,  
ვიდრე მახლობლად ხოჭო ტრიალებს,  
ხმას აედევნე მისი ბზუილის,  
ბუდეც დაგზვდება შენი კუთვნილი!“

## A Dream

Once a dream did weave a shade  
O'er my angel-guarded bed,  
That an Emmet lost its way  
Where on grass methought I lay.

Troubled, wildered, and forlorn,  
Dark, benighted, travel-worn,  
Over many a tangled spray,  
All heart-broke, I heard her say:

'O my children! do they cry,  
Do they hear their father sigh?  
Now they look abroad to see,  
Now return and weep for me.'

Pitying, I dropped a tear:  
But I saw a glow-worm near,  
Who replied, 'What wailing wight  
Calls the watchman of the night?'

'I am set to light the ground,  
While the beetle goes his round:  
Follow now the beetle's hum;  
Little wanderer, hie thee home!'

24.

### ინგლისის ჰიმნი იერუსალიმი

ხომ არ უნახავს მხარე ზარიფი  
და გაუვლია სადმე მთაგორზე?  
ხომ არ სწვევია ღმერთის ტარიგი  
ძველი ინგლისის მწვანე სამოვრებს?

აქაც გაბრწყინდა მთაზე უფალი  
და ღრუბლებიდან ღვთის ხმა მოესმათ?  
ან წამოგმართეს, იერუსალიმ,  
სატანურ ქარხნებს შორის ოდესღაც?

მომართვით მშვილდი, შუქით მოსილი,  
ბასრი ისრები ჩემი წადილის,  
თქვენ კი ღრუბლებო, ცარგვალს მოცილდით!  
მომართვით ეტლი მფრქვევი სახმილის!

მებრძოლი სულის კოცონს დავაგზნებ  
და არ ჩავაგებ ქარქაშში კალდიმს,  
სანამ ინგლისის წარმტაც ალაგზე,  
არ ავაშენებთ იერუსალიმს!

## **English Hymn Jerusalem**

And did those feet in ancient time  
Walk upon England's mountains green?  
And was the holy Lamb of God  
On England's pleasant pastures seen?

And did the Countenance Divine  
Shine forth upon our clouded hills?  
And was Jerusalem builded here  
Among these dark satanic mills?

Bring me my bow of burning gold!  
Bring me my arrows of desire!  
Bring me my spear! O clouds, unfold!  
Bring me my chariot of fire!

I will not cease from mental fight,  
Nor shall my sword sleep in my hand,  
Till we have built Jerusalem  
In England's green and pleasant land.

25.

## დღე

მზე იწვერება აღმოსავლიდან,  
ოქროს და სისხლის საცმლით ნამშვენი,  
ხმლებს, შუბებს, რისხვას უზრდის ახლიდან  
მკერდის გარშემო ნება გამჩენის.  
თავზე ადგია ალავარდნილი  
სამეფო ჯილა შმაგი წადილის.

## Day

The sun arises in the East,  
Cloth`d in robes of blood and gold;  
Swords and spears and wrath increas`d  
All around his bosom roll`d,  
Crown`d with warlike fires and raging desires.

26.

### ვნახე ხალასი ოქროს ეკვდერი

ვნახე ხალასი ოქროს ეკვდერი,  
ვერვინ ზედავდა შესვლას სალოცად,  
ისმოდა ირგვლივ მისი კედლების  
მრევლის ქვითინი, კვნესა, გალობა.

თეთრ სვეტებს შორის შესაზარები  
გველი გამოჩნდა და გაეხიდა,  
მერე მოგლიჯა ეკვდრის კარები  
უნასმა ოქროს ანჯამებიდან.

შემდეგ რგოლებად გადახვეული  
წამოიშართა იატაკიდან,  
გადაიჭიმა ბლანტი სხეული,  
თეთრ საკურთხევლის მისწვდა მაგიდას.

გადაანთხია მთელი სამსალა  
პურს და ზედაშეს ავმა წყმედილმა,  
მე მივაშურე სანდო სამალავს -  
იმელს, ღორებთან რომ წამეთვლიმა.

## **I Saw a Chapel of Gold**

I saw a chapel all of gold  
That none did dare to enter in;  
And many weeping stood without,  
Weeping, mourning, worshipping.

I saw a serpent rise between  
The white pillars of the door,  
And he forc'd & forc'd & forc'd –  
Down the golden hinges tore,

And along the pavement sweet,  
Set with pearls & rubies bright,  
All his slimy length he drew,  
Till upon the altar white

Vomiting his poison out  
On the bread & on the wine.  
So I turn'd into a sty  
And laid me down among the swine.



27.

## კრავი

პატარა კრავო, ნეტა ვინ შეგქმნა,  
ვინ მოგავლინა, თუ იცი, ქვეყნად?  
მოგცა სიცოცხლე, გიბოძა საზრდო  
მინდვრად, ან სადაც გადმოჩქეფს წყარო,  
სვიანი საცმლით შეგამკო მადლით,  
დაგასაჩუქრა ფაფუკი მატყლით,  
გიძღვნა ხმა ეგზომ სიამის მგვრელი,  
რომ სმენით ხარობს ყოველი ველი!  
პატარა კრავო, ნეტა ვინ შეგქმნა,  
ვინ მოგავლინა, თუ იცი, ქვეყნად?

პატარა კრავო, ამას მე გამცნობ,  
პატარა კრავო, ამას მე გამცნობ,  
იხსენიება შენსავით კრავად,  
შენი სახელი დაირქვა თავად,  
თავმდაბალია, წყნარი, გულჩვილი,  
ჩვილად გვესტუმრა მხსნელი უჩინი.  
ბავშვიც და კრავიც არსთა გამრიგის,  
სეხნიები ვართ უფლის ტარიგის.  
პატარა კრავო, მშვენო, სათუთო,  
ღმერთმა დაგიცვას, ღმერთმა გაკურთხოს!

## The Lamb

Little Lamb who made thee?  
Dost thou know who made thee?  
Gave thee life and bid thee feed  
By the stream and o'er the mead;  
Gave thee clothing of delight,  
Softest clothing wooly bright;  
Gave thee such a tender voice,  
Making all the vales rejoice:  
Little Lamb who made thee?  
Dost thou know who made thee?

Little Lamb I'll tell thee,  
Little Lamb I'll tell thee:  
He is called by thy name,  
For he calls himself a Lamb:  
He is meek and he is mild,  
He became a little child:  
I a child and thou a lamb,  
We are called by his name:  
Little Lamb God bless thee.  
Little Lamb God bless thee.

28.

### სიმწვანის ნახმევი

ამოდის მზე შუქმფინარი,  
ცა ეგებება მცინარი,  
მხიარულ წყობილ ზარებით  
გაზაფხულს ვეზიარებით;  
ტოროლები და შამგები,  
ჩიტუნები ჯაგვებში,  
თავდავიწყებით მღერიან  
ხალისის ზართა ჟღერისას;  
ისმის ბავშვების სიცილი,  
ცელქობენ ჟივილ-ხივილით.

მოხუცი ჯონი ჭადარა,  
მოჩანს მახლობელ ბაღნართან,  
ერთად ყოფნა საღბუნნი  
ხანშიშესულთა თაბუნის,  
შემოგვეცქერის და ხმამალა  
იხსენებს ძველ დროს ამაღა:  
„ზუსტად ასეთი ბაღლობა  
ჩვენც გვექონდა - ხტუნვა, ლაღობა,  
დროს ვატარებდით თანხლებით  
სიმწვანის ხმატკბილ ნახმევის“.

წყდება თამაში თავისით,  
დაღლილთ ერთმევათ ხალისი,  
დაბინდებულა საგრძნობლად,  
სრულდება ჩვენი გართობაც.  
მინებდებიან ბავშვები  
დედების კალთებს სავსებით,  
ვით მიაშურებს მრავალი  
ფრთოსანი ბუდეს მაშვრალი.  
როცა სრულიად შებინდდა,  
ვერვის ნახავდით ველ-მინდვრად.

## The Echoing Green

The Sun does arise,  
And make happy the skies;  
The merry bells ring  
To welcome the Spring;  
The skylark and thrush,  
The birds of the bush,  
Sing louder around  
To the bells' cheerful sound,  
While our sports shall be seen  
On the Echoing Green.

Old John, with white hair,  
Does laugh away care,  
Sitting under the oak,  
Among the old folk.  
They laugh at our play,  
And soon they all say:  
'Such, such were the joys  
When we all, girls and boys,  
In our youth time were seen  
On the Echoing Green.'

Till the little ones, weary,  
No more can be merry;  
The sun does descend,  
And our sports have an end.  
Round the laps of their mothers  
Many sisters and brothers,  
Like birds in their nest,  
Are ready for rest,  
And sport no more seen  
On the darkening Green.

29.

### ჩემი ლამაზი ვარდი

შემხვდა ყვავილი ტურფა, ნარნარი,  
ჯერ არ უშვიათ მსგავსი მაისებს,  
მე ვამჯობინე ბუჩქი ვარდნარის,  
რომ ანიჭებდა გულს სიხალისეს.

მოვნახე ვარდი და დაუცვარავს  
ავარიდებდი ზრუნვით წახდენას,  
თუმც ეჭვმა როცა გრძნობა უცვალა,  
ეკლები შემრჩა მხოლოდ სალხენად.

### My Pretty Rose Tree

A flower was offer'd to me,  
Such a flower as May never bore;  
But I said 'I've a pretty Rose-tree,'  
And I passed the sweet flower o'er.

Then I went to my pretty Rose-tree,  
To tend her by day and by night,  
But my Rose turn'd away with jealousy,  
And her thorns were my only delight.

30.

### ყვავილი

ჩიტო ხალისიანო,  
ტევრში, სადაც ჩრდილია,  
იის სამოსახლოა,  
გიცქერს, ვით ფრენ, ხმინოზ,  
შენს ბუდეს რომ მიაგნო,  
ჩემი მკერდის მახლობლად.

მშვენიერო ნიბლიავ,  
ტევრში, სადაც ჩრდილია,  
იის სამოსახლოა,  
დარდობს, როცა გვრინია<sup>3</sup>,  
მშვენიერო ნიბლიავ,  
ჩემი მკერდის მახლობლად.

### The Blossom

Merry Merry Sparrow  
Under leaves so green  
A happy Blossom  
Sees you swift as arrow  
Seek your cradle narrow  
Near my Bosom.

Pretty Pretty Robin  
Under leaves so green  
A happy Blossom  
Hears you sobbing sobbing  
Pretty Pretty Robin  
Near my Bosom.

---

<sup>3</sup> გვრინი - გლოვა

31.

### **შხამიანი ხე**

ერთხელ, მოყვასი როცა გამიწყრა,  
წავეკამათე, წყრომა დამიცხრა.  
როდესაც მტერმა დამიწყო კიცხვა,  
ვდუმდი და გულში ვიზრდიდი რისხვას.

ბრაზმა გამხადა ლამის უცები  
და ვრწყავდი დღელამ რისხვას კურცხლებით,  
ლიმით შევნიღბე გულისნადები,  
აღვჭურვე ურიცხვ მზაკვრულ ფანდებით.

ხედ გადაიქცა რისხვა სამყოფი  
და დაიხუნძლა ვაშლის ნაყოფით,  
შენიშნა მტერმა ხილი კაშკაშა  
და ვისიც იყო, მიხვდა აშკარად,

გადაიპარა ბაღში არამი,  
როცა ჩამოწვა ლამის წვევარამი,  
მესიამოვნა დილით ნახული, -  
უსულო გვამი ხის ქვეშ განროხმული.

## **A Poison Tree**

I was angry with my friend:  
I told my wrath, my wrath did end.  
I was angry with my foe:  
I told it not, my wrath did grow.

And I watered it in fears  
Night and morning with my tears,  
And I sunned it with smiles  
And with soft deceitful wiles.

And it grew both day and night,  
Till it bore an apple bright,  
And my foe beheld it shine,  
And he knew that it was mine,--

And into my garden stole  
When the night had veiled the pole;  
In the morning, glad, I see  
My foe outstretched beneath the tree.



32.

### თირზას

„რა გინდა ჩემგან, დედაკაცო?“ (იოანე 2:4)

სუყველა მოკვდავს წუთისოფელში,  
უცილობელი კვდომა მოელის,  
თუმც ხსნა აღდგომით ჩვენთვის დადგინდა,  
მაშ, დედაკაცო, ჩემგან რა გინდა?

შენ, სირცხვილის და კვეხნის ნაგრამო,  
დილით თუ სუნთქავ, კვდები საღამოს;  
კვდომა ბურანით ცვალა წყალობამ,  
შრომობ, ქვითინებ და გასურს წამლობა.

დედავ, მოკვდავის მერგო პატივი,  
მკერდში ჩამიდგი გული სასტიკი,  
ყალბი ცრემლებით თავმოტყუების,  
დამიხშე ნესტო, თვალნი, ყურები,

დამასაჩუქრე ენაბრგვილობით,  
სიკვდილი მომსპობს ჟამის შვილობილს;  
ქრისტემ დამიხსნა, როცა აღდგინდა,  
მაშ, დედაკაცო, ჩემგან რა გინდა?

## To Tirzah

Woman, what have I to do with thee? (John 2:4)

Whate'er is born of mortal birth  
Must be consumed with the earth,  
To rise from generation free:  
Then what have I to do with thee?

The sexes sprung from shame and pride,  
Blowed in the morn, in evening died;  
But mercy changed death into sleep;  
The sexes rose to work and weep.

Thou, mother of my mortal part,  
With cruelty didst mould my heart,  
And with false self-deceiving tears  
Didst blind my nostrils, eyes, and ears,

Didst close my tongue in senseless clay,  
And me to mortal life betray.  
The death of Jesus set me free:  
Then what have I to do with thee?

33.

### მწუხრის ვარსკვლავს

ოქროსთმიანო ანგელოზო მწუხრის, სხივნართი  
მზე სალამოჟამს მთების იქით რადგანაც ჩახდა,  
ანთე ტრფობის ჩირადდანი; შუქმომფინარი  
ჯილა დაიდგი, გაგვიღიმე მიმწუხრის ტახტთან!

ღიმიტ შეგვიძვე სიყვარულიც, იისფერ ფარდებს  
სანამ დაუშვებ, მოაპკურე ვერცხლისფერ ცრემლად  
მძინარ ყვავილებს დანაცვარი და მონავარდე  
ფრთამსუბუქ ზეფირს ტბათა შორის მოჰგვარე თვლემა.

ვერცხლში განზანე მწუხრი, შენი თვალთა ციალით  
იდუმალეზა მოაფინე გარემოს ახლად,  
როცა გვშორდები, მგელთა ხროვა საზარ ღრიალით  
დუმილს დაარღვევს, ტევრში ლომიც დააღებს ხახას.

ცხვართა საწმისებს ცვარავ წმინდა ნამის წინწყლებით,  
გთხოვ დაიფარო ფარა შენი ძალმოსილებით.

### To the Evening Star

Thou fair-haired angel of the evening,  
Now, whilst the sun rests on the mountains, light  
Thy bright torch of love; thy radiant crown  
Put on, and smile upon our evening bed!

Smile on our loves, and while thou drawest the  
Blue curtains of the sky, scatter thy silver dew  
On every flower that shuts its sweet eyes  
In timely sleep. Let thy west wing sleep on

The lake; speak silence with thy glimmering eyes,  
And wash the dusk with silver. Soon, full soon,  
Dost thou withdraw; then the wolf rages wide,  
And the lion glares through the dun forest.

The fleeces of our flocks are covered with  
Thy sacred dew; protect with them with thine influence.

34.

### ფაფუკი თოვლი

თოვლიან დღისით წაველ ტრამალში,  
ფაფუკ თოვლს ვთხოვე ჩემთან თამაში,  
ხელში ჩამადნა მალე გამთბარი  
და დამნაშავედ მთვლიდა ზამთარი.

### Soft Snow

I walked abroad in a snowy day;  
I asked the soft snow with me to play;  
She played and she melted in all her prime,  
And the winter called it a dreadful crime.

35.

### უილიამ ჰეილის

მაგ მეგობრობით გულისტკენა მახსოვს მრავალი,  
მტრად მომეკიდე, დაგინდვია მეტჯერ მტარვალიც!

### To William Hayley

Thy friendship oft has made my heart to ache:  
do be my enemy for friendship's sake.

36.

### ზამთარს

ზამთარო, დაახშვე ჭიშკრები აღმასის,  
ცივი ჩრდილოეთის პირქუში სავანის,  
არ შეძრა ყინულის სასახლე ხალასი,  
ეტლით ნუ გადახრი მის სვეტებს დამანის!

არ მისმენს; მთქნარებამორეულ უფსკრულებს  
გადუფრენს, აუშვებს მიჯაჭვულ ქარიშხლებს,  
მზერას ვერ ვუსწორებ, რადგანაც უსრულებს  
დანაქადნს სამყაროს და კვერთხით მაშინებს.

საზარი ნადირი კვალს ტოვებს მაშინვე,  
გმინავენ მის ფერთხით უდრევი ტინებიც,  
გაახმობს სიმწვანეს და მიწას აშიშვლებს,  
სუსტ, სათუთ სიცოცხლეს მოაშთობს ყინვებით.

კლდეებზე იბუდებს სასტიკი, მძვინვარი,  
ხომალდებს შტორმებით ჩაძირავს ანაზდად,  
ვიდრე არ განდევნის ცარგვალი მლიმარი  
და ჰეკლას მწვერვალის მღვიმეში ჩარაზავს.

## To Winter

'O Winter! bar thine adamantine doors:  
The north is thine; there hast thou built thy dark  
Deep-founded habitation. Shake not thy roofs,  
Nor bend thy pillars with thine iron car.'

He hears me not, but o'er the yawning deep  
Rides heavy; his storms are unchain'd, sheathed  
In ribbed steel; I dare not lift mine eyes,  
For he hath rear'd his sceptre o'er the world.

Lo! now the direful monster, whose skin clings  
To his strong bones, strides o'er the groaning rocks:  
He withers all in silence, and in his hand  
Unclothes the earth, and freezes up frail life.

He takes his seat upon the cliffs,—the mariner  
Cries in vain. Poor little wretch, that deal'st  
With storms!—till heaven smiles, and the monster  
Is driv'n yelling to his caves beneath mount Hecla.

37.

### სიყვარულის საიდუმლო

მალული ტრფობის აღიარებით  
სატრფო დავკარგე გამოუცდელმა;  
რადგან ხამს ქროდნენ ნაზი ქარები  
უხმაუროდ და თვალმოუკვრელად.

როცა გავანდე ხვაშიადები  
მიჯნურს ტრფიალის პირველ წამიდან,  
შიშით, ცახცახით, გაზვიადებით...  
შეყვარებული ჩემგან წავიდა!

მალე, როდესაც დამალალატა  
და გახდა ჩემი შეუსმენარი,  
ჩამოიარა ვიღაც ალქატმა,  
თან წაიყვანა სატრფო მკვნესარი.

### Love's Secret

Never seek to tell thy love,  
Love that never told can be;  
For the gentle wind doth move  
Silently, invisibly.

I told my love, I told my love,  
I told her all my heart,  
Trembling, cold, in ghastly fears.  
Ah! she did depart!

Soon after she was gone from me,  
A traveller came by,  
Silently, invisibly:  
He took her with a sigh.

38.

### **პასუხი ზუცესს**

რატომ არ გინდა თვინიერი იყო ცხვარსავით?

- იმად, რომ არ მსურს გახდე ჩემი მატყლის მპარსავი.

### **An Answer to the Parson**

Why of the sheep do you not learn peace?

Because I don't want you to shear my fleece.

39.

### **მოუმწიფარი წამის ხელთმგდები**

მოუმწიფარი წამის ხელთმგდები  
მაინც იტირებს ნანვის ცრემლებით,  
მომწიფებული წამის გამშვები,  
ველარ შეიშრობს ცრემლებს ვაების.

### **If You Trap the Moment**

If you trap the moment before its ripe  
The tears of repentance you'll certainly wipe;  
But if once you let the ripe moment go  
You can never wipe off the tears of woe.



40.

### **ვშიშობდი, ძლიერ ავქართა ძვინვით**

ვშიშობდი, ძლიერ ავქართა ძვინვით  
ყვავილთა ჭკნობას დავაჩქარებდი,  
ვეფერებოდი მუდამ მზის ბრწყინვით,  
თავს ვუკრძალავდი ქროლას ქარების.

მაგრამ ნაღდი და ტურფა ყვავილი  
ვერსად ვერ ვნახე - ბაღშიც, ზვარეშიც,  
ხეთა რტოებზე კობტად გამლილიც  
აღმოჩნდა ფუჭი, ცრუ და ავრეხი.

### **I Fear'd the Fury of My Wind**

I fear'd the fury of my wind  
Would blight all blossoms fair and true;  
And my sun it shin'd and shin'd,  
And my wind it never blew.

But a blossom fair or true  
Was not found on any tree;  
For all blossoms grew and grew  
Fruitless, false, tho' fair to see.

41.

### **ნაკლს სიყვარული ვერ ამჩნევს მუდამ**

ნაკლს სიყვარული ვერ ამჩნევს მუდამ,  
მხიარულება ყოველთვის უნდა,  
ლალი, ფრთოსანი არვის მორჩილებს,  
ამსხვრევს სუყველა აზრის ბორკილებს.

ტყუილს სჭირდება იდუმლის ჩრდილი,  
კანონს არ არღვევს ნატიფი, ფრთხილი,  
თუ ვერ ხეირობს, არის ბრძობილი  
და მჭედელია აზრის ბორკილის.

### **Love to Faults is Always Blind**

Love to faults is always blind,  
Always is to joy inclin'd,  
Lawless, wing'd, & unconfin'd,  
And breaks all chains from every mind.

Deceit to secrecy confin'd,  
Lawful, cautious, & refin'd;  
To every thing but interest blind,  
And forges fetters for the mind.

42.

### **ცვრიანი მთიდან მხიარული მოგელავს წელი**

ცვრიანი მთიდან მხიარული მოგელავს წელი,  
მიახლოვდება მომდომარი ცეცხლოვან ეტლით;  
დაფნის გვირგვინმა დამიმშვენა ჭაბუკის შუბლი,  
თავს გარეშემო ნიშბი ერტყმის დიდების ღრუბლის.

ფრთაშესმხულ ფეხით მივიჩქარი, რადგან მსურს ხილვა  
ჩემი მიჯნურის, ვინც ჩამოჰგავს იერით დილას,  
მიედარება ანგელოზებს ყოველი ნაკვითით  
და ღვთიურ სახეს უცისკროვნებს ციური ნათლი.

თითქოს ვხედავდეთ მოლივლივე სერაფიმს წმინდას,  
უმანკობით მადლცხებული სულით რომ ბრწყინავს;  
დუმს მის წინაშე მხიარულად მღერალი მწყემსი,  
საამო ბაგით ანგელოზის ხმა როცა ესმის.

როდესაც ვუსმენ, ჟრუანტელი სხეულში მივლის,  
აგვერიდება ერთად მყოფებს ყოველი მწიკვლი,  
ედემს მოაგავს ყველა ბაღი, სადაც კი მახლავს,  
ხოლო სოფელი გადიქცევა ღვთის წმინდა სახლად.

იმ ტკბილ სოფელში, სადაც ჩემი შავთვალა მელის  
და თვალებს ლულავს, ჩამოწევა როდესაც ბნელი,  
როცა შევდივარ, შთაგონებას მანიჭებს ღმერთი  
უხრწნელი ცეცხლით და უკვდავი ჰანგებით ვმღერი.

## **Fresh from the Dewy Hill, the Merry Year**

Fresh from the dewy hill, the merry year  
Smiles on my head, and mounts his flaming car;  
Round my young brows the laurel wreathes a shade,  
And rising glories beam around my head.

My feet are winged, while over the dewy lawn,  
I meet my maiden, risen like the morn:  
Oh bless those holy feet, like angels' feet;  
Oh bless those limbs, beaming with heavenly light!

Like as an angel glittering in the sky,  
In times of innocence, and holy joy;  
The joyful shepherd stops his grateful song,  
To hear the music of an angel's tongue.

So when she speaks, the voice of Heaven I hear  
So when we walk, nothing impure comes near;  
Each field seems Eden, and each calm retreat;  
Each village seems the haunt of holy feet.

But that sweet village where my black-eyed maid,  
Closes her eyes in sleep beneath night's shade:  
Whenever I enter, more than mortal fire  
Burns in my soul, and does my song inspire.

43.

### ზაფხულოს

ვინაც ჩვენს მთა-ბარს მიანიჭებ დროებას სალხინს,  
ლაგამი მოსდე შენს ტაიჭებს, დააცხრე ალხი, -  
ზაფხულო, მათი ნესტოების მხურვალე ქშენა;  
შენს ოქროს კარავს როს ფარავდა მუხნარის ფენა  
და ჩრდილიანში წაგიღებდა ანაზდად ძილი,  
ყვავილჩაწულ თმის, ყირმიზ ღაწვთა ვტკბებოდით ხილვით.

ხშირად გვსმენია მალნარებში დუდუნი შენი,  
როცა შუადღის ფაეტონი აღწევდა ზენიტს;  
ნაკადულებთან ჩამოჯექი, მოხვიე ხელი,  
ანდა მონახე ხავსიანი ზურმუხტის ველი  
მდინარის პირას, განიძარცვე სამოსი ფარჩის,  
მჭვირვალე წყალთა ნაკადებში საგრილად დარჩი,  
ჩვენს მინდვრებს უყვართ დიდებული ზაფხული ცხელი.

ვერცხლისსიმება ქნარს უკრავენ მგოსნები ჩვენთან,  
არ შეარჩენენ სამხრეთელებს გმირები წყენას,  
ცეკვისას თითქოს გამოსხმიათ ქალწულებს ფრთენი,  
არც სიმღერები, არც საკრავნი გვაკლია ლხენის,  
არც ტკბილი ექო და არც წყლები - ცასავით სუფთა,  
დაფნის გვირგვინთა ჩრდილი გვფარავს სიცხეში ჯუფთად!

## To Summer

O thou who passest thro' our valleys in  
Thy strength, curb thy fierce steeds, allay the heat  
That flames from their large nostrils! thou, O Summer,  
Oft pitched'st here thy golden tent, and oft  
Beneath our oaks hast slept, while we beheld  
With joy thy ruddy limbs and flourishing hair.

Beneath our thickest shades we oft have heard  
Thy voice, when noon upon his fervid car  
Rode o'er the deep of heaven; beside our springs  
Sit down, and in our mossy valleys, on  
Some bank beside a river clear, throw thy  
Silk draperies off, and rush into the stream:  
Our valleys love the Summer in his pride.

Our bards are fam'd who strike the silver wire:  
Our youth are bolder than the southern swains:  
Our maidens fairer in the sprightly dance:  
We lack not songs, nor instruments of joy,  
Nor echoes sweet, nor waters clear as heaven,  
Nor laurel wreaths against the sultry heat.

44.

### ღიმილი

ტრფობას სდევს ღიმი ცხოველმყოფელი,  
სიცრუს ღიმი ნიღბავს მოკიცხარს,  
ღიმილთ-ღიმილიც არის, რომელიც  
ამ ორივე ღიმს მასში მოიცავს.

არსებობს მზერა კოპებშეკრულის  
და მზერა, ზიზღით როცა გიწყრება,  
მზერათა-მზერაც - მწყრომი, წყეული,  
ფუჰად რომ ცდილობ გადავიწყებას,

რადგან გიჩნდება გულისტკივილი,  
გაეხირება ისრად ხერხემალს;  
არსებობს კიდევ ერთი ღიმილიც,  
ერთადერთხელ რომ მოეხერხებათ

დაბადებიდან – სულის განსვლამდე,  
ამ ღიმილს მოაქვს შვება, განცხრომა  
და ერთხელ მაინც თუკი განცადე,  
მთავრდება ყველა ვაინაჩრობა.

## The Smile

There is a smile of love,  
And there is a smile of deceit,  
And there is a smile of smiles  
In which these two smiles meet.

And there is a frown of hate,  
And there is a frown of disdain,  
And there is a frown of frowns  
Which you strive to forget in vain,

For it sticks in the heart's deep core  
And it sticks in the deep backbone—  
And no smile that ever was smil'd,  
But only one smile alone,

That betwixt the cradle and grave  
It only once smil'd can be;  
And, when it once is smil'd,  
There's an end to all misery.



45.

### შემოდგომას

ო, შემოდგომავე, დახუნძლული მრავალგვარ ხილით,  
მტევნების სისხლით დაფერილო, თუ აქ ჩაივლი,  
სახლში შემოდი, გამახარე სიტურფის ხილვით,  
ტკბილად ამლერდი და აგყვება ჰანგი ავილის,  
აგიცეკვდება წელიწადის ყველა ასული,  
მღერით დალოცე ყვავილები და ჭირნახული!

„ქორფა კოკორის სილამაზე მზისებრ ანთია  
და სიყვარული ამჩქეფარდა მთრთოლავ ძარღვებში;  
შემოხვევია ყვავილები შუბლზე განთიადს,  
შეფაკლებია მოკრძალებულ დაისს ლაწვები,  
გვათრობს ზაფხული თაფლნარევი ხმატკბილ ჰანგებით,  
თეთრი ღრუბლები შეუმკობენ თავს გირლანდებით.

ხილის სურნელი ანეტარებს სულებს ჰაერის,  
მხიარულება მსუბუქ ფრთებით დაქრის მახლობლად,  
ანდა ხის რტოზე ჩამომჯდარი არეს დამღერის“ -  
ჩემთან ნასტუმრი შემოდგომა ასე გალობდა;  
შემდეგ წამოდგა, მიაღწია მთათა სამანებს,  
თვალს მიეფარა, თუმც დატოვა ოქროს საპალნე.

## To Autumn

O Autumn, laden with fruit, and stained  
With the blood of the grape, pass not, but sit  
Beneath my shady roof; there thou may'st rest,  
And tune thy jolly voice to my fresh pipe,  
And all the daughters of the year shall dance!  
Sing now the lusty song of fruits and flowers.

'The narrow bud opens her beauties to  
The sun, and love runs in her thrilling veins;  
Blossoms hang round the brows of Morning, and  
Flourish down the bright cheek of modest Eve,  
Till clust'ring Summer breaks forth into singing,  
And feather'd clouds strew flowers round her head.

"The spirits of the air live on the smells  
Of fruit; and Joy, with pinions light, roves round  
The gardens, or sits singing in the trees.'  
Thus sang the jolly Autumn as he sat;  
Then rose, girded himself, and o'er the bleak  
Hills fled from our sight; but left his golden load.

ემილი დიკინსონი

(1830-1886)

*ლექსები*

Emily Dickinson

(1830-1886)

*Poems*



1.

**ზაგეს მომწყდარი სიტყვაა მკვდარი (1212)**

ზაგეს მომწყდარი  
სიტყვაა მკვდარი,  
ამის მოქმელს ესვენ.

მე კი ვდებ ნაძლევს,  
სიცოცხლეს ვაძლევთ  
იმავე დღესვე.

**A Word is Dead (1212)**

A word is dead  
When it is said,  
Some say.

I say it just  
Begins to live  
That day.

2.

**დრო არ მქონია შუღლის და ღვარძლის (478)**

დრო არ მქონია შუღლის და ღვარძლის,  
არც დამაცლიდა განგების მსჯავრი,  
განა სიცოცხლე გრძელდება ხანგრძლივ,  
ამომეყარა ყველაზე ჯავრი.

არც დრო მქონია ყოლისთვის წაწლის,  
თუმც ქვეყნად უნდა დაკავდე შრომით  
და სიყვარულის პატარა ღვაწლი  
ჩემთვის აღმოჩნდა საკმაო ზომის.

**I had no time to hate, because (478)**

I had no time to hate, because  
The grave would hinder me,  
And life was not so ample I  
Could finish enmity.

Nor had I time to love, but since  
Some industry must be,  
The little toil of love, I thought,  
Was large enough for me.

3.

**ხსოვნას აქვს ზურგიც, ფასადიც (1182)**

ხსოვნას აქვს ზურგიც, ფასადიც -  
თითქოს სახლია ნაგები,  
მას გააჩნია მანსარდიც,  
კუთხე ძველმანთა, თავგების.

მოეპოვება სარდაფიც,  
მის უფსკრულს გონით ჩასწვდები,  
ღრმად ნუ გაქექავ გარდახდილს,  
არ აგედევნონ ლანდები!

**Remembrance has a Rear and Front (1182)**

Remembrance has a Rear and Front —  
‘Tis something like a House —  
It has a Garret also  
For Refuse and the Mouse.

Besides the deepest Cellar  
That ever Mason laid —  
Look to it by its Fathoms  
Ourselves be not pursued —

4.

**მე შევიცვლები, თუკი მწვერვალებს (729)**

მე შევიცვლები, თუკი მწვერვალებს  
დრო მოასწორებს რყევის შედეგად,  
შევყოყმანდები, თუ მზე ელვარე,  
თვის სიდიადეს ეჭვით შეხედავს -

და დავრწყულდები, თუ ნარცისები  
დარწყულდებიან ნამის წვეთებით,  
ბატონო, ვიცი დანამდვილებით -  
მე თქვენ მაშინაც არ მომბეზრდებით!

**Alter! When the Hills do (729)**

Alter! When the Hills do—  
Falter! When the Sun  
Question if His Glory  
Be the Perfect One—

Surfeit! When the Daffodil  
Doth of the Dew—  
Even as Herself—Sir—  
I will—of You—



5.

### იმედი (314)

იმ ფრთოსანს მოჰგავს იმედი,  
სულში რომ გადგამს საძირკველს,  
უსიტყვოდ გალობს წინმხედი  
და ვერ მოიცლის საძილედ.

ავდარშიც ჟივის სიმორცხვით,  
ოღონდ მძვინვარე ქარბორბალს -  
ძალუმს მოშთობა ჩიორის,  
ესოდენ ბევრს რომ ათბობდა.

მესმოდა მისი რიკრიკი,  
უძლებდა ყინვას, ქარტეხილს,  
დამშეულს, მცივანს, ჭირშიც კი,  
არ უთხოვია ნატეხიც.

### Hope (314)

Hope is the thing with feathers  
That perches in the soul,  
And sings the tune without the words,  
And never stops at all.

And sweetest in the gale is heard;  
And sore must be the storm  
That could abash the little bird  
That kept so many warm.

I've heard it in the chillest land,  
And on the strangest sea;  
Yet, never, in extremity,  
It asked a crumb of me.

6.

**წიგნის მსგავს ფრეგატს ვერ ნახავთ ვერსად (1263)**

წიგნის მსგავს ფრეგატს ვერ ნახავთ ვერსად -  
მოსახილველად უცხო ქვეყნების,  
ვერც პოეზიის ფრთაშესხმულ მერანს  
წამოეწევა ჰუნე ჭენებით!

არც მგზავრობაა გამწყვეტი წელში -  
ხელეწიფებათ ხარჯი ღატაკებს;  
რარიგ მცირეა საფასი ეტლის,  
ადამიანის სულს რომ ატარებს!

**There is no Frigate Like a Book (1263)**

There is no Frigate like a Book  
To take us Lands away  
Nor any Coursers like a Page  
Of prancing Poetry –

This Traverse may the poorest take  
Without oppress of Toll –  
How frugal is the Chariot  
That bears a human soul.

7.

### სიკვდილი ჩემ წინ თავად გაჩერდა (712)

სიკვდილი ჩემ წინ თავად გაჩერდა -  
არ გავუჩერდი რადგან შემზარავს,  
მერე დაიძრა მისი კარეტა  
და უკვდავებაც ჩვენ დაგვემგზავრა.

ეტლი დაიძრა ნელა, ჭენება  
სიკვდილს არ სურდა მყისვე ჩქარული,  
გადავდე საქმეც და დასვენებაც,  
მომეპყრო ზრდილად და სიყვარულით.

გავცილდით სკოლას და მოსწავლეებს -  
აღარ ისმოდა აყალმაყალი,  
გავცდით მინდვრებს და მწიფე თაველებს,  
ჩამოვიტოვეთ მზეც ჩამავალი.

ან, მგონი, თავად გვიქცია გვერდი,  
შემაჟურიალა ნამის კუურებით,  
ტანთ მეცვა კაბა თხელი ხავერდის,  
მეფარა ტულის მოსახურები.

მიწაში ჩაფლულ სახლთან გავჩერდით,  
ოდნავ უჩანდა მხოლოდ ყავარი  
და საკვამურის ამონაშვერი,  
მიწა წაყროდა ხაზებს ლავგარდნის.

შემდეგ გასრულდნენ საუკუნენი  
ვით დღე სრულდება, ისე მსწრაფლადვე,  
გუმანით ვიგრძნე ეტლის ჰუნენი  
მარადისობის სამძღვარს ლახავდნენ.

**Because I could not Stop for Death** (712)

Because I could not stop for Death –  
He kindly stopped for me –  
The Carriage held but just Ourselves –  
And Immortality

We slowly drove – He knew no haste  
And I had put away  
My labor and my leisure too  
For His Civility –

We passed the School, where Children strove  
At Recess – in the Ring –  
We passed the Fields of Gazing Grain –  
We passed the Setting Sun –

Or rather – He passed us –  
The Dews drew quivering and chill –  
For only Gossamer, my Gown –  
My Tippet – only Tulle –

We paused before a House that seemed  
A Swelling of the Ground –  
The Roof was scarcely visible –  
The Cornice – in the Ground –

Since then – ‘tis Centuries – and yet  
Feels shorter than the Day  
I first surmised the Horses’ Heads  
Were toward Eternity –

8.

**ზოგი შაბათს ტაძრად მიდის (236)**

ზოგი შაბათს ტაძრად მიდის,  
შაბათობით - მე შინ ვარ,  
მგალობლად მყავს ბალის მკვიდრი,  
ჩემს საყდრად ვთვლი ხეხილნარს.

ზოგს სტიქარი მოსავს მრევლში,  
მე კი ფრთებით ვირთვები,  
ნაცვლად საყდრის ზარის რეკვის,  
მნათე გალობს ჩირგვებში.

გვიქადაგებს ღმერთი ბაღში  
მოკლედ, - მღვდელი ცხებული,  
ვუცქერ, ნაცვლად ტაძრის თაღის,  
ზეცას აღტაცებული.

**Some keep the Sabbath going to Church (236)**

Some keep the Sabbath going to Church –  
I keep it, staying at Home –  
With a Bobolink for a Chorister –  
And an Orchard, for a Dome –

Some keep the Sabbath in Surplice –  
I, just wear my Wings –  
And instead of tolling the Bell, for Church,  
Our little Sexton – sings.

God preaches, a noted Clergyman –  
And the sermon is never long,  
So instead of getting to Heaven, at last –  
I'm going, all along.

9.

**თუ ჩემით ვინმე გულს მოიოხებს (919)**

თუ ჩემით ვინმე გულს მოიოხებს,  
არ მიცხოვრია ტყუილუბრალოდ!  
თუ არ დავუშვებ ვინმეს სიოხრეს,  
შევძლებ თუნდაც ერთ ტკივილს ვუწამლო,

ვიხსნი უმწეო ბარტყის სიცოცხლეს,  
კვლავ საბუდარში ჩავსვამ უძალოს,  
არ მიცხოვრია ტყუილუბრალოდ!

**If I can stop one Heart from Breaking (919)**

If I can stop one Heart from breaking  
I shall not live in vain  
If I can ease one Life the Aching  
Or cool one Pain

Or help one fainting Robin  
Unto his Nest again  
I shall not live in Vain.

10.

**სიკვდილი არის მუდმივი დავა (976)**

სიკვდილი არის მუდმივი დავა  
გაჩაღებული სულს და მტვერს შორის;  
„გაქრი“! - სიკვდილი გამოსცრის ავად,  
„სხვაფრივ მწამს“! - სული მიუგებს ბორგვით.

სიკვდილი კამათს აგრძელებს ანჩხლი,  
სულიც ზიზღს იჩენს დაუფარავად,  
დამამტკიცებელ საბუთს მიახლის -  
ჩამოცილებულ თიხის ფარაჯას.

**Death is a Dialogue between (976)**

Death is a Dialogue between  
The Spirit and the Dust.  
“Dissolve” says Death — The Spirit “Sir  
I have another Trust” —

Death doubts it — Argues from the Ground —  
The Spirit turns away  
Just laying off for evidence  
An Overcoat of Clay.

11.

**მე არავინ ვარ! შენ ვინ ხარ, წართქვი! (288)**

მე არავინ ვარ! შენ ვინ ხარ, წართქვი!  
ნუთუ ჩემსავით შენცა ხარ არვინ?  
მაშინ, მე და შენ ვყოფილვართ წყვილი,  
ნუ იტყვი, რომ არ დაგვწამონ ცილი!

რა სანადვლოა, თუკი ხარ ვინმე! -  
ბაყაყის მსგავსად, როცა ყანყრატო  
მთელი ზაფხული სახელს ყიყინებს  
და თავს ახსენებს მოხიბლულ ჭყანტობს!

**I'm Nobody! Who are you? (288)**

I'm Nobody! Who are you?  
Are you - Nobody - too?  
Then there's a pair of us!  
Dont tell! they'd advertise - you know!

How dreary - to be - Somebody!  
How public - like a Frog -  
To tell one's name - the livelong June -  
To an admiring Bog!



12.

**სული ვისაც მიენდობა (303)**

სული ვისაც მიენდობა  
ირჩევს, კეტავს კარებს რაზით,  
შერჩეულთა ოდენობას  
აღარ გაზრდის ხვეწნით, აზმით;

უმზერს გრძნობაგამოცლილი  
კარიბჭესთან მომდგარ ეტლებს,  
მის მოხიზვლას დაჩოქილი  
მეფეთ-მეფეც ვეღარ შეძლებს.

ერთს აირჩევს აურაცხელ  
ჯამაათში - ქმრად, ან ცოლად,  
გულისყურის თავის სარქველთ  
სხვებისთვის კი ამოქოლავს.

**The Soul selects her own Society (303)**

The Soul selects her own Society —  
Then — shuts the Door —  
To her divine Majority —  
Present no more —

Unmoved — she notes the Chariots — pausing —  
At her low Gate —  
Unmoved — an Emperor be kneeling  
Upon her Mat —

I've known her — from an ample nation —  
Choose One —  
Then — close the Valves of her attention —  
Like Stone —

13.

**გადავივიწყებთ გულო მას ამლამ! (47)**

გადავივიწყებთ გულო მას ამლამ!  
ნუ მილალატებ, ისევ მიხატრე!  
შენ დაივიწყებ მის სითბოს, ნაღვაწს,  
მე - გამონაშუქ თვალის სინათლეს!

მისმა ხატებამ რომ არ მომაგნოს,  
დროზე წამალეთ შენ და გონებამ,  
იჩქარე, თორემ ვიდრე ყოყმანობ,  
ის კიდევ ერთხელ მომაგონდება!

**Heart! We will forget him! (47)**

Heart! We will forget him!  
You and I — tonight!  
You may forget the warmth he gave —  
I will forget the light!

When you have done, pray tell me  
That I my thoughts may dim!  
Haste! lest while you're lagging  
I remember him!

14.

**დღეს მხოლოდ ამის მოძღვნა შევძელი (26)**

დღეს მხოლოდ ამის მოძღვნა შევძელი,  
ზედ ჩემი გულიც დავურთე სართად -  
ტაეპი, გული, ვრცელი ტყე-ველი,  
აი ყოველი - რაც კი მემართა,

ეგებ გამომრჩა - თვალე, დარწმუნდი,  
ჩამონათვალი თუ არის სწორი -  
ტაეპი, გული, ფუტკრების გუნდი  
დამკვიდრებული სამყურებს შორის.

**It's all I have to bring today (26)**

It's all I have to bring today –  
This, and my heart beside –  
This, and my heart, and all the fields –  
And all the meadows wide –

Be sure you count – should I forget  
Some one the sum could tell –  
This, and my heart, and all the Bees  
Which in the Clover dwell.

15.

**ლხენას მიელმის პირველად გული (536)**

ლხენას მიელმის პირველად გული,  
მერე დაცხრომას ელის ტკივილის -  
გამაყუჩებლით გადაბანგული  
და გათანგულის წყდება ჩივილი.

მერე კი წათვლემს მრავალტანჯული  
და მილბურანში ცნობამიხდილი -  
თუ იქნა ნება მისი მსაჯულის,  
პრივილეგიას იღებს სიკვდილის.

**The Heart asks Pleasure – first (536)**

The Heart asks Pleasure - first -  
And then - Excuse from Pain -  
And then - those little Anodyness  
That deaden suffering -

And then - to go to sleep -  
And then - if it should be  
The will of its Inquisitor  
The privilege to die –

16.

**ზენარო მამავ! (61)**

ზენარო მამავ! იხსენი თავგი,  
რომელსაც კატა ტანჯავს კირთებით!  
მიწის პირიდან გვედრი ნუ აღგვი,  
უბოძე სახლი მდიდარ ვირთხების!

სერაფიმული მიეცი წალო,  
დღეები განვლოს ციციქნაში ყველის,  
ვიდრე ჩაივლის დრო უმოწყალო  
ზარზიმურად სუსტის მომწყვლელი!

**Papa above! (61)**

Papa above!  
Regard a Mouse  
O'erpowered by the Cat!  
Reserve within thy kingdom  
A "Mansion" for the Rat!

Snug in seraphic Cupboards  
To nibble all the day  
While unsuspecting Cycles  
Wheel solemnly away!

17.

**ორჯერ დავკარგე ყოველი (49)**

ორჯერ დავკარგე ყოველი -  
როს მიწამ უყო პირი,  
ვიყავი ორჯერ მთხოვნელი  
ღვთის კარიბჭესთან მწირი.

ანგელოზებმა ამბარი  
ორჯერ აღმივისეს ახლად,  
მამავ, მმარცველო, სამართით  
ისევ მაქციე გლახად!

**I never lost as much but twice (49)**

I never lost as much but twice,  
And that was in the sod.  
Twice have I stood a beggar  
Before the door of God!

Angels -- twice descending  
Reimbursed my store --  
Burglar! Banker -- Father!  
I am poor once more!

18.

**ვათამაშებდი ძვირფას თვალს ხელში (245)**

ვათამაშებდი ძვირფას თვალს ხელში -  
რულმა წამართვა თავი,  
აბეზრად ქროდა ზაფხულის თელხი -  
„ვერსად წამივა“ - წარვთქვი;

გაფხიზლებულმა შევრისხე თითნი,  
ქვა რომ ვერ ვპოვე ვერსად  
და მიერთგან იმ იაკინთის  
მოგონებაღა შემრჩა.

**I held a Jewel in my fingers (245)**

I held a Jewel in my fingers —  
And went to sleep —  
The day was warm, and winds were prosy —  
I said “Twill keep” —

I woke — and chid my honest fingers,  
The Gem was gone —  
And now, an Amethyst remembrance  
Is all I own —

19.

**ელიზიუმი ისე ახლოა (1760)**

ელიზიუმი ისე ახლოა,  
ვით მომიჯნავე ოთახი სახლის,  
თუ იქ მოყვასი ელის განცხრომას,  
ან მოსალოდნელ სიკვდილის ძახილს.

სულს დასჭირდება რა შემართება,  
შეუპოვრობა, მოთმენის ნიჭი,  
თუ ვიღაც მისკენ გაემართება  
და გაიგონებს კარების ჭრიჭინს.

**Elysium Is As Far As To (1760)**

Elysium is as far as to  
The very nearest Room  
If in that Room a Friend await  
Felicity or Doom--

What fortitude the Soul contains  
That it can so endure  
The accent of a coming Foot--  
The opening of a Door—



20.

**ქვეყნიერებას ამ წერილს მივწერ (441)**

ქვეყნიერებას ამ წერილს მივწერ,  
თუმც არ სმენია ჩემი სახელი,  
გადავცემ ამბებს ბუნების მიერ  
ნაზ სიდიადით ნათქვამს, გამხელილს.

მის დანაბარებს გამოუკლებლად,  
მივანდობ ჩემთვის უხილავ ხელებს,  
თვისტომო, თუკი გიყვარს ბუნება -  
ნაწერზე მკაცრად ნუღარ იმსჯელებ!

**This is my letter to the world (441)**

This is my letter to the world,  
That never wrote to me,  
The simple news that Nature told,  
With tender majesty.

Her message is committed  
To hands I cannot see;  
For love of her, sweet countrymen,  
Judge tenderly of me!

21.

**ყვავილის შიგნით მე ვიმალები (903)**

ყვავილის შიგნით მე ვიმალები,  
მკერდზე მიბნეულს თან რომ ატარებ,  
გუმანიც არ გაქვს, თუ ვარ თანხმლები  
და ანგელოზი გეტყვის დანარჩენს.

ყვავილის შიგნით მე ვიმალები,  
შენთან თასში რომ ელის ფურცლობას,  
შენ არა იცი ამ ტრფიალების  
და ალბათ იგრძნობ მარტოსულობას.

**I hide myself within my flower (903)**

I hide myself within my flower,  
That wearing on your breast,  
You, unsuspecting, wear me too —  
And angels know the rest.

I hide myself within my flower,  
That, fading from your vase,  
You, unsuspecting, feel for me  
Almost a loneliness.

22.

**სამყარო დავკარგე ამასწინ (181)**

სამყარო დავკარგე ამასწინ!  
სამყოფელს ვინმე მეტყვის?  
შეიცნობთ ვარსკვლავთა ამალით -  
შუბლზე წაკრული ლენტის.

ეგებ გამორჩეს მდიდრის მზერას,  
თუმც ჩემს მომჭირნე თვალებს  
ოქროზე ძვირად უღირთ ბევრად,  
სერ, მაპოვნინეთ მალე!

**I Lost A World - The Other Day! (181)**

I lost a World - the other day!  
Has Anybody found?  
You'll know it by the Row of Stars  
Around its forehead bound.

A Rich man—might not notice it—  
Yet—to my frugal Eye,  
Of more Esteem than Ducats—  
Oh find it—Sir—for me!

23.

**ისე ამაყად ხვდებოდა სიკვდილს (1272)**

ისე ამაყად ხვდებოდა სიკვდილს,  
რომ შეგვარცხინა ყველა,  
იმ გამოუცნობს, რაც გვავესებს რიდით,  
რაცხავდა სანუკველად.

იქ მიდიოდა ისე გულსავსე,  
სადაც არსობას ვუფრთხით,  
რომ ყოველ ჩვენგანს ურვა უმაღვე  
ლამის გვეცვალა შურით.

**So Proud She Was To Die (1272)**

So proud she was to die  
It made us all ashamed  
That what we cherished, so unknown  
To her desire seemed —

So satisfied to go  
Where none of us should be  
Immediately — that Anguish stooped  
Almost to Jealousy —

24.

**რატომ დამიხშეს სამოთხის კარი? (248)**

რატომ დამიხშეს სამოთხის კარი?  
ხომ არ ვგალობდი მჭექარედ ძალზე?  
მე შემიდლია ჭიკჭიკი წყნარიც,  
პაწია, მფრთხალი ჩიტუნას ხმაზე!

თუ კვლავ გამომცდის ზეცის მხედრობა,  
დაავიწყდებათ ნაჭიკჭიკარი,  
გავუქარწყლებდი ჩემს აბეზრობას -  
გთხოვთ, არ დამიხშოთ ოღონდ ჭიშკარი!

მათებრ რომ მცმოდა თეთრი სტიქარი  
და მათ მოვეხმე კართან მეშველად,  
მეც ამეკრძალა მათთვის, მითხარით,  
სანუკვარ ბადის შიგნით შეშვება?!

**Why — do they shut Me out of Heaven? (248)**

Why — do they shut Me out of Heaven?  
Did I sing — too loud?  
But — I can say a little “Minor”  
Timid as a Bird!

Wouldn't the Angels try me —  
Just — once — more —  
Just — see — if I troubled them —  
But don't — shut the door!

Oh, if I — were the Gentleman  
In the “White Robe” —  
And they — were the little Hand — that knocked —  
Could — I — forbid?

25.

**ზაფხულს არ მოჰგავს არცერთ ყვავილით! (221)**

ზაფხულს არ მოჰგავს არცერთ ყვავილით!  
გაზაფხულამდეც ძალზე შორია -  
სანამ სითეთრის ქალაქს გავივლით,  
ვიდრე დაიწყებს ჭახჭახს შოშია!

არც კვდომას მოჰგავს ასეთ ალისფრით -  
მკვდრები ხომ ვლენან თეთრი ჯუბებით!  
გამიქარწყლდება ეჭვი დაისის  
ოქროქვით მორთულ სამაჯურებით.

**It can't be "Summer"! (221)**

It can't be "Summer"!  
That—got through!  
It's early—yet—for "Spring"!  
There's that long town of White—to cross—  
Before the Blackbirds sing!

It can't be "Dying"!  
It's too Rouge—  
The Dead shall go in White—  
So Sunset shuts my question down  
With Cuffs of Chrysolite!

26.

**ახირებული რამაა ნამყო (1203)**

ახირებული რამაა ნამყო  
და მისი სახის პირისპირ ნახვით,  
ან მოგონება მოვა საამო,  
ან გულისტკენა თავსლაფის დასხმით.

თუ შეეყარა ვინმე სრულებით  
აღუჭურველი, გაქცევას ვურჩევ,  
რადგან ხანდახან მისი ლულები  
მაინც ისვრიან შელახულ ჭურვებს.

**The Past is such a curious Creature (1203)**

The Past is such a curious Creature  
To look her in the Face  
A Transport may receipt us  
Or a Disgrace —

Unarmed if any meet her  
I charge him fly  
Her faded Ammunition  
Might yet reply.

27.

**ერთი საათიც გადის ზოზინით (781)**

ერთი საათიც გადის ზოზინით,  
თუ სიყვარული შორს ფრენს - გადაღმა,  
რა ხანმოკლეა დიდხანს ლოდინიც -  
თუკი სიყვარულს ვიღებთ არმადნად!

**To wait an Hour — is long**

To wait an Hour — is long —  
If Love be just beyond —  
To wait Eternity — is short —  
If Love reward the end

28.

**ფუტკარს მიემგვანება (1763)**

ფუტკარს მიემგვანება -  
დაბზუილობს დიდება,  
მწარედ ნესტრავს თავნება,  
თანაც გაგიფრინდება.

**Fame is a bee (1763)**

Fame is a bee.  
It has a song—  
It has a sting—  
Ah, too, it has a wing.



29.

**ხომ არ ატარებ ნაკადულს გულით? (136)**

ხომ არ ატარებ ნაკადულს გულით,  
გარშემო ათას ყვაველით სავსეს,  
სადაც ჩიტები იკლავენ წყურვილს  
და ცახცახებენ ჩრდილები ასე?

მიედინება ისეთ დუმილით,  
კაცმა არ უწყის, თუ სადმე რუა,  
სიცოცხლის ყლუპი - შენი კუთვნილი,  
იქ შეისმება ყოველდღიურად.

მარტში საფრთხეს ქმნის მცირე ნაკადიც,  
მდინარეები როცა დიდდება -  
დამდნარი თოვლი თავქვე ნავარდით  
თან გაიყოლებს ხშირად ხიდებსაც.

შემდგომ, აგვისტოს მიაყურადე,  
როს გადახრუკავს მდელოებს ალხი,  
არ ამოგიშროს ცხელმა შუადღემ  
კალაპოტიდან სიცოცხლის წყალი!

**Have You Got a Brook in Your Little Heart? (136)**

Have you got a brook in your little heart,  
Where bashful flowers blow,  
And blushing birds go down to drink,  
And shadows tremble so?

And nobody knows, so still it flows,  
That any brook is there;  
And yet your little draught of life  
Is daily drunken there.

Then look out for the little brook in March,  
When the rivers overflow,  
And the snows come hurrying from the hills,  
And the bridges often go.

And later, in August it may be,  
When the meadows parching lie,  
Beware, lest this little brook of life  
Some burning noon go dry!

30.

**დაჭრილი შველი ღონემიხდილი (165)**

დაჭრილი შველი ღონემიხდილი,  
უფრო მაღლა ხტის, ვიდრე ჯანსაღი,  
რადგან განიცდის ექსტაზს სიკვდილის  
და დადუმდება მერე ქანჩახი.

ჩამოიშლება ვით კლდე მოწყვეტით  
და მოჭიმული სხლტება ზამზარა,  
იქ ლაჟღაჟაა მუდამ ლოყები,  
სადაც ციება ნესტარს ჩამარხავს!

ვარამს საჭურვლად ლხენა სჭირდება -  
ფხიზელი მცველი ფაფარაყრილი,  
თორემ შეგამჩნევს ვიღაც სისხლდენას  
და დაიყვირებს - „თქვენ ხართ დაჭრილი!“

**A Wounded Deer Leaps Highest (165)**

A Wounded Deer – leaps highest –  
I've heard the Hunter tell –  
'Tis but the Ecstasy of death –  
And then the Brake is still!

The Smitten Rock that gushes!  
The trampled Steel that springs!  
A Cheek is always redder  
Just where the Hectic stings!

Mirth is the Mail of Anguish  
In which it Cautious Arm,  
Lest anybody spy the blood  
And “you're hurt” exclaim!

31.

**ჯერ არ გაგონილ ლიქიორს ვიხმევ (214)**

ჯერ არგაგონილ ლიქიორს ვიხმევ  
მარგალიტებით შემკულ სასმურით,  
ამ ალკოჰოლის ბადალი სითხე  
არ დაუწურავთ ჯერაც ფრანკფურტში!

მათრობს ზაფხულის დღეთა ჰაერი  
და უტკბილესი ბანგი ნაცვარის,  
წავბარბაცდები ფეხის არევით  
ლუდხანებიდან მდნარი ლაჟვარდის.

როს „მასპინძლებით“ მინდორ-ველების  
იდევნებიან მთვრალი ფუტკრები,  
უარს ამბობენ „ყლუპზე“ პეპლები,  
ყლურწვას ვუმატებ ნაბახურევიც!

სერაფიმებიც, მადლმოსილებიც,  
მესალმებიან სპეტაკ ქუდებით,  
ციდა მემთვრალე კმაყოფილებით  
როცა მზის სხივებს მივეყუდები.

**I taste a liquor never brewed (214)**

I taste a liquor never brewed –  
From Tankards scooped in Pearl –  
Not all the Frankfort Berries  
Yield such an Alcohol!

Inebriate of air – am I –  
And Debauchee of Dew –  
Reeling – thro' endless summer days –  
From inns of molten Blue –

When “Landlords” turn the drunken Bee  
Out of the Foxglove’s door –  
When Butterflies – renounce their “drams” –  
I shall but drink the more!

Till Seraphs swing their snowy Hats –  
And Saints – to windows run –  
To see the little Tippler  
Leaning against the – Sun!

32.

**ღამეები ველურ განცდის მგვრელი! (249)**

ღამეები ველურ განცდის მგვრელი!  
მახსენდება და გონებას მირევს...  
ნეტავ ვიყოთ ერთმანეთის გვერდით,  
კვლავ ვაქცევდით სიტკბოდ და სიმდიდრედ!

ქარს გულისთვის წართმევია ფასი,  
ნავსადგურში ჩამომდგარა შტილი,  
მიგდებულა რუკა და კომპასი...  
თუმც ატყდება ვნების ქარტეხილი!

ედემისკენ - დროა ხოფის მოსმის,  
რათა ნავი მოვაყენო სამძღვარს,  
დამიამდეს გული შენთან მოსვლით,  
გაილალოს შენთან შერწყმით ამღამ!

**Wild nights - Wild nights! (249)**

Wild Nights – Wild Nights!  
Were I with thee  
Wild Nights should be  
Our luxury!

Futile – the winds –  
To a heart in port –  
Done with the compass –  
Done with the chart!

Rowing in Eden –  
Ah, the sea!  
Might I moor – Tonight –  
In thee!

33.

### შობს გაზაფხული ნათელს (812)

შობს გაზაფხული ნათელს,  
იმგვარს, ზამთართან გაყრით,  
მას წელიწადის სხვა თვეს  
ვერ ნახავთ, გარდა მარტის.

ისეთ ელფერით ვერცხლის  
ქარგავს მარტომყოფ მაღლობთ,  
მეცნიერება ვერ ხსნის,  
თუმც იგრძნობს კაცის ალღო.

ველზე დაიცდის ხოლმე,  
ან ველ-მინდვრების იქით  
მთის თხემზე აჩენს ოლეს,  
გეჩურჩულება თითქმის.

ჰორიზონტს როცა ღამის  
წაეფარება ფრთები,  
მიდის თვინიერ ჩქამის,  
ხოლო ჩვენ მარტო ვრჩებით.

ამ მძიმე დანაკარგის  
გვიჭირს ატანა ქვეყნად,  
თითქოს ვაჭრობამ მარგი  
წმინდათა წმინდა შერყვნა.

**A light exists in spring (812)**

A Light exists in Spring  
Not present on the Year  
At any other period —  
When March is scarcely here

A Color stands abroad  
On Solitary Fields  
That Science cannot overtake  
But Human Nature feels.

It waits upon the Lawn,  
It shows the furthest Tree  
Upon the furthest Slope you know  
It almost speaks to you.

Then as Horizons step  
Or Noons report away  
Without the Formula of sound  
It passes and we stay —

A quality of loss  
Affecting our Content  
As Trade had suddenly encroached  
Upon a Sacrament.



34.

**არ დავიჩივლებ სამარის კართან (1409)**

არ დავიჩივლებ სამარის კართან,  
თუ ჩემიანებს ნებას დართავენ  
იმის მიხვედრის - ვინც კი მიყვარდა,  
რად გავუბოდი - განუმარტავენ.

შვებას მომგვრიდა ეს გაცხადება,  
ხოლო წუხილს და ტკივილს - ახლობლებს,  
ვუფრთხი ღალატის აღაღადებას,  
კეიტ<sup>4</sup>, ჩემს სათქმელს ცრემლი აბრკოლებს.

**I shall not murmur if at last (1409)**

I shall not murmur if at last  
The ones I loved below  
Permission have to understand  
For what I shunned them so –

Divulging it would rest my Heart  
But it would ravage theirs –  
Why, Katie, Treason has a Voice –  
But mine – dispels – in Tears.

---

4 “Katie” (Katherine Mary Scott) - ემილის ბავშვობის მეგობარი

35.

**მოკვდავს შეწევნა სულ ერქარება (623)**

მოკვდავს შეწევნა სულ ერქარება,  
ღვთის განჩინებით - ჯერ არის ადრე,  
კაციშვილი ვერ დაგვეხმარება -  
მარტოდენ ლოცვა გვრჩება დამხმარედ!

რა საკვირველად განგვეცხადება  
ზეცა, მიწისგან შორს მყოფთ, მიღმეთში  
და რა პურადი მოჩანს ხატება  
მაშინ ძველთაძველ მეზობლის - ღმერთის!

**It was too late for Man (623)**

It was too late for Man —  
But early, yet, for God —  
Creation — impotent to help —  
But prayer — remained — Our Side —

How excellent the Heaven —  
When Earth cannot be had —  
How hospitable — then — the face  
Of our Old Neighbor — God —

36.

**თუ ვერ მოვესწარ შაშვების მღერას (182)**

თუ ვერ მოვესწარ შაშვების მღერას  
და ვეღარ დავტკბი სტვენით ჩიორის,  
მიუწილადე ერთ წითელმკერდას  
ჩემს მოსაგონრად პურის ფიორი;

და თუ მადლობის თქმა ვერ შევძელი  
ბაგეშეკრულმა სიკვდილის ბანგით,  
აჩურჩულდება საფლავის ძეგლი  
სამადლობელად გრანიტის ბაგით.

**If I shouldn't be alive (182)**

If I should n't be alive  
When the robins come,  
Give the one in red cravat  
A memorial crumb.

If I could n't thank you,  
Being just asleep,  
You will know I'm trying  
With my granite lip !

37.

**ბზიკი ბზუოდა, როცა გავთავდი (465)**

ბზიკი ბზუოდა, როცა გავთავდი,  
მერე ოთახში შეწყდა რიალი,  
ვით დადუმდება არე მანამდის,  
ამოვარდება ვიდრე გრიგალი.

ამომშრალიყო ცრემლი მდულარი,  
ბოლო ძალ-ღონეს სუნთქვა იკრებდა,  
ესტუმრებოდა მეფე მუქართ  
და ვით შეძლებდა მოგერიებას?!

ვფიქრობდი ვისთვის რა მეანდერძა,  
ვისთვის რა მეძღვნა ჩემი ნაწილის,  
მაგრამ წამიხდა ნირი თავკერძა,  
აბეზარ ბზიკის გაბმულ ხმაწვრილით,

ერთხანს ბზუოდა სულის ამკლები,  
მეფინებოდა მისი აჩრდილი,  
გაუჩინარდნენ მერე სარკმლებიც,  
ვერას ვიგებდი თვალებდავსილი.

**I heard a Fly buzz – when I died** (465)

I heard a Fly buzz — when I died —  
The Stillness in the Room  
Was like the Stillness in the Air —  
Between the Heaves of Storm —

The Eyes around — had wrung them dry —  
And Breaths were gathering firm  
For that last Onset — when the King  
Be witnessed — in the Room —

I willed my Keepsakes — Signed away  
What portion of me be  
Assignable — and then it was  
There interposed a Fly —

With Blue — uncertain stumbling Buzz —  
Between the light — and me —  
And then the Windows failed — and then  
I could not see to see—

38.

**ყოველ ჩიტს უძღვნა ყოვლადღლიერმა (791)**

ყოველ ჩიტს უძღვნა ყოვლადღლიერმა  
პური, მე მცირე ნატეხი შემხვდა,  
ვერ გამიბედავს ძალზე მშიერსაც  
ჩემი მტანჯველი სიმდიდრის ხმევა.

ყოველდღიური შეხებით კვერის,  
მისი დამზოგი გმირობას სჩადის,  
ბედნიერი ვარ ბელურის ხვედრით -  
მონიჭებული დაუმცხრალ მადით.

თუნდ შიმშილობა იყოს მომსრავი,  
არ დამაკლდება ერთი მარცვალიც,  
რადგან მილიმის სუფრის ხორავი -  
მშვენიერია ჩემი საცავი!

მაინტერესებს გრაფს, თუ სოვდაგარს  
რა შეგრძნება აქვს ფულის მატებით...  
თუმც მიმაჩნია, რომ მათ მონაგარს  
პურის ნატეხით აღვემატები.

**God gave a loaf to every Bird (791)**

God gave a loaf to every Bird –  
But just a Crumb – to Me –  
I dare not eat it – though I starve –  
My poignant luxury –

To own it – touch it –  
prove the feat – that made the Pellet mine –  
Too happy – for my Sparrow chance  
For ampler Coveting –

It might be Famine – all around –  
I could not miss an Ear –  
Such Plenty smiles upon my Board –  
My – Garner shows so fair –

I wonder how the Rich – may feel –  
An Indiaman – An Earl –  
I deem that I – with but a Crumb  
Am Sovereign of them all

39.

**არ მინახავს ვულკანები (175)**

არ მინახავს ვულკანები,  
გადმოცემით თუმცა ვიცი,  
მოქმედებენ გულალებით  
დინჯი მთებიც ზოგჯერ სიციხით.

გაისვრიან მიყოლებით  
ცეცხლის ჭურვებს ზარბაზნებით,  
საუზმობენ მიმოფენილ  
სოფლებით და დარბაზებით.

ჩამქრალ ვულკანივით სახე  
ადამიანს თუ აქვს მშვიდი;  
ინიღბება, არ გვანახებს,  
რომც ქენჯნიდეს ტანჯვა დიდი.

სატანჯველი დამმეხავი  
ბოლოს თუკი განადგურდა,  
მოცახცახე ზვარ-ვენახიც  
გადიქცევა ნაცარტუტად?

თუ სიძველის მოყვარული  
თვალს შეავლებს ვულკანს დილით,  
არ იყვირებს მოხარული -  
„პომპეია!“ - მთის კვლავ ხილვით?!



**I Have Never Seen “Volcanoes” (175)**

I have never seen “Volcanoes”—  
But, when Travellers tell  
How those old—phlegmatic mountains  
Usually so still—

Bear within—appalling Ordnance,  
Fire, and smoke, and gun,  
Taking Villages for breakfast,  
And appalling Men—

If the stillness is Volcanic  
In the human face  
When upon a pain Titanic  
Features keep their place—

If at length the smouldering anguish  
Will not overcome—  
And the palpitating Vineyard  
In the dust, be thrown?

If some loving Antiquary,  
On Resumption Morn,  
Will not cry with joy “Pompeii”!  
To the Hills return!

40.

**ჩემს ბაღის მიწას სხვები ქელავენ (99)**

ჩემს ბაღის მიწას სხვები ქელავენ,  
სხვისი თითები არხევენ ბაღასს  
და მაგალობელი მჯდარი თელაზე  
მარტოობისგან ატეხავს ჭახჭახს.

კორდზე თამაშობს სხვა ბავშვთა გროვა,  
სხვა დაღლილთ სძინავთ წიაღში მოლის  
და გაზაფხული კვლავაც შემოვა  
და კვლავაც ზუსტი იქნება თოვლი!

**New feet within my garden go (99)**

New feet within my garden go —  
New fingers stir the sod—  
A Troubadour upon the Elm  
Betrays the solitude.

New children play upon the green—  
New Weary sleep below—  
And still the pensive Spring returns—  
And still the punctual snow!

41.

**დადაბლებულ ცის გაცრეცილ ფთილებს (1075)**

დადაბლებულ ცის გაცრეცილ ფთილებს  
ჩამოცდენილი ყარიბი ფიფქი  
შეჰოჰმანდება, საით გაფრინდეს -  
ნაურმალს მიღმა, თუ ბელის იქით.

მთელი დღე ქრის და ებუზღუნება  
გამჭოლი ქარი გულცივ გარემოს,  
ასეა, კაცთა მსგავსად ბუნებას  
წავასწრებთ ზოგჯერ უდიადემოს.

**The Sky is low — the Clouds are mean (1075)**

The Sky is low — the Clouds are mean.  
A Travelling Flake of Snow  
Across a Barn or through a Rut  
Debates if it will go —

A Narrow Wind complains all Day  
How some one treated him  
Nature, like Us is sometimes caught  
Without her Diadem.

42.

**სამარე ჩემი ქობია ციცქნა (1743)**

სამარე ჩემი ქობია ციცქნა,  
დიასახლისის დავიდგამ უღელს  
და გაგიმზადებ წესრიგში ბინას,  
მარმარილოსფერ ჩაის ვადუღებ.

მოგელოდები, შენც გივსებ ფინჯანს,  
დიდხანს მომიწევს, ალბათ, ლოდინი,  
სამარადისო ცხოვრებით მინამ,  
კვლავ შევერწყმებით გადაქდობილნი.

**The grave my little cottage is (1743)**

The grave my little cottage is,  
Where “Keeping house” for thee  
I make my parlor orderly  
And lay the marble tea.

For two divided, briefly,  
A cycle, it may be,  
Till evelasting life unite  
In strong society.

43.

**სასაფლაოზე შევიდა ჯაგვი (1761)**

სასაფლაოზე შევიდა ჯაგვი,  
ჭირისუფლების შეჰყვა კორტეჟი,  
უცებ გაისმა საამო ჰანგი -  
ათრთოლებული ჩიტუნას ტრელი;

მცირე ხნით ჩიტის სტვენა მიჩუმდა,  
კვლავ აჟღურტულდა შეცვლილ ნოტებით,  
თითქოს მოვალე იყო ჩიტუნა  
ესტვინა - ნიშნად დამშვიდობების.

**A train went through a burial gate (1761)**

A train went through a burial gate,  
A bird broke forth and sang,  
And trilled, and quivered, and shook his throat  
Till all the churchyard rang;

And then adjusted his little notes,  
And bowed and sang again.  
Doubtless, he thought it meet of him  
To say good-by to men.

44.

**სანუკვარია კენჭის იღბალი (1510)**

სანუკვარია კენჭის იღბალი,  
კენტად რომ უწევს გზაზე ყიალი,  
არ ზრუნავს იყოს კარიერისტი,  
ვერც გასაჭირი დასჯის შერისხვით!  
ნაცრისფერია მისი საცმელი,  
შესაქმის დღიდან გარსი დამცველი,  
მზესავით თვითკმარს, შუქი მფინარი  
მარტოკას ათბობს, ანდა რიყნარში  
და ბედისწერის სასტიკ თარეშებს  
დაითმენს მდაბლად, დრტკინვის გარეშე.

**How happy is the little Stone (1510)**

How happy is the little Stone  
That rambles in the Road alone,  
And doesn't care about Careers,  
And Exigencies never fears –  
Whose Coat of elemental Brown  
A passing Universe put on,  
And independent as the Sun  
Associated or glows alone,  
Fulfilling absolute Decree  
In casual simplicity –

45.

### პოეტები შემოდგომის გარდა (131)

პოეტები შემოდგომის გარდა,  
უმღერიან ჩვეულებრივ დღეთაც,  
თოვლჭყაპია, თუ საამო ბარდნა,  
ნისლია, თუ ავდრის ლემადეა;

დილაბნელზე, როცა სუსხავს თრთვილი,  
დღეს საგრძნობლად მოკლებია ნათლი,  
გადამჭკნარა ოქროწყვეპლა<sup>5</sup> წვრილი,  
მინდვრად აღარც მნები მოჩანს ჩალის;

ცქაფად მირბის ჯერაც ნაკადული,  
ყვავილები თუმც გამქრალან ველზე,  
ჰიპნოზური ხელის ხლებით რული  
მორევით სიფრიფანა ელფებს,

ერთადერთი შემრჩენია, მგონი,  
ქვეყნად ციყვი - გულს რომ გადავუხსნი,  
ღმერთო, მომეც, გთხოვ, მზიური გონი -  
ავიტანო შენი ნების სუსხი!

---

5 ბრანტის „ოქროწყვეპლა“, ტომსონის „მნები“ - ამ ავტორების ლექსებია.

**Besides the Autumn poets sing (131)**

Besides the Autumn poets sing,  
A few prosaic days  
A little this side of the snow  
And that side of the Haze -

A few incisive mornings -  
A few Ascetic eyes -  
Gone - Mr Bryant's "Golden Rod" -  
And Mr Thomson's "sheaves."

Still, is the bustle in the brook -  
Sealed are the spicy valves -  
Mesmeric fingers softly touch  
The eyes of many Elves -

Perhaps a squirrel may remain -  
My sentiments to share -  
Grant me, Oh Lord, a sunny mind -  
Thy windy will to bear!



46.

**მე მოვიკრიბე ბოლო ძალები (540)**

მე მოვიკრიბე ბოლო ძალები  
და სამყაროსთან ომში ჩავები,  
ვიყავ დავითზე ღონით ნაკლები,  
მაგრამ მას ვჯობდი გულოვანებით.

გოლიათს ვტყორცნე კენჭი მიზანში,  
გარნა ნასროლმა მე წამაქცია;  
ის იყო ვეებერთელა ტანის,  
თუ მე ვიყავი ზომით პაწია?

**I took my Power in my Hand (540)**

I took my Power in my Hand—  
And went against the World—  
‘Twas not so much as David—had—  
But I—was twice as bold—

I aimed by Pebble—but Myself  
Was all the one that fell—  
Was it Goliath—was too large—  
Or was myself—too small?

47.

**ექვიანია ღმერთი ნამდვილად (1719)**

ექვიანია ღმერთი ნამდვილად,  
ვერ ეგუება კაცობრივ ქცევას -  
როცა მის ნაცვლად ადამის ჯილაგს  
გვიჯობს ერთურთთან თავის შექცევა.

**God is indeed a jealous God (1719)**

God is indeed a jealous God -  
He cannot bear to see  
That we had rather not with Him  
But with each other play.

48.

**ნათლის სამოთხის ვრცელ სანახებში (1145)**

ნათლის სამოთხის ვრცელ სანახებში  
არ მოვინატრებ თუნდ ერთი მეყით  
მოკვდავთა კრებულს, არც დანანებით  
მოვიწადინებ რაიმეს ქვეყნის.

**In thy long Paradise of Light (1145)**

In thy long Paradise of Light  
No moment will there be  
When I shall long for Earthly Play  
And mortal Company—

49.

**ფლობს დედამიწა უამრავ მელოსს (1775)**

ფლობს დედამიწა უამრავ მელოსს,  
რაც ყურთასმენას დაგვიტკობს ჟღერით;  
ვერ გამოძებნით უმისოდ მდელოს,  
სილამაზეა ნაღვაწი ღმერთის;

დაემოწმება მის ზღვებს და ხმელსაც,  
კეთილჟღერადი ნიშნით ჰიმნის,  
მე მაინც ვფიქრობ, უპირატესად  
ჭრიჭინობელა სევდიან კრინით.

**The Earth has many keys (1775)**

The Earth has many keys -  
Where Melody is not  
Is the Unknown Peninsula -  
Beauty - is Nature's Fact -

But Witness for Her Land -  
And Witness for Her Sea -  
The Cricket is Her utmost  
Of Elegy, to Me -

50.

**ქვეყნად ამ გვირგვინს არვინ მიელტვის (1735)**

ქვეყნად ამ გვირგვინს არვინ მიელტვის,  
მაგრამ ზენარსის ცხებულმა თავმა  
მოიწადინა გვირგვინი ეკლის,  
განადმართო მისი სირცხვილის დამლა.

სანამ პილატეს ცრემლების თხევა  
ცოცხალს მოუწევს სკნელში გეჰენის,  
ის ავბედითი მეფედ კურთხევა  
გაახსენდება უმწარეს ქენჯნით.

**One crown that no one seeks (1735)**

One crown that no one seeks  
And yet the highest head  
Its isolation coveted  
Its stigma deified

While Pontius Pilate lives  
In whatsoever hell  
That coronation pierces him  
He recollects it well.

51.

**გაზაფხულობით სატკივარი უფრო მძაფრდება (1530)**

გაზაფხულობით სატკივარი უფრო მძაფრდება,  
თუმც სტვენს ბულბული და გონებაც ილხენს ნამღერით,  
ვერ გვანუგეშებს წუთიერი შუქმფინარება  
და ვერც ქარებით განქარდება შავი ნაღველი.

რასაც უმღერდნენ, მოისპობა როცა წარხდომით,  
ვიღას ანაღველებს ლურჯი ჩიტის ჰანგი შალდამში -  
რადგან მანამდე დაყოვნდება მოსვლა აღდგომის,  
არ დაიძვრება ვიდრე რწმენით ლოდი აკლდამის.

**A Pang is more conspicuous in Spring (1530)**

A Pang is more conspicuous in Spring  
In contrast with the things that sing  
Not Birds entirely - but Minds -  
Minute Effulgencies and Winds –

When what they sung for is undone  
Who cares about a Blue Bird's Tune -  
Why, Resurrection had to wait  
Till they had moved a Stone –

52.

**გპირდები, ვიყო შენი ზაფხული (31)**

გპირდები, ვიყო შენი ზაფხული,  
შენი სიმღერაც არ გასრულდება,  
თუმც დაუდგება ჟამი გალურსვის -  
უფეხურებსაც, მოლალურებსაც!

შენთვის ამოვალ ანემონებად,  
მიმოგიქარგავ საფლავს წადილით,  
შეგთხოვ დამკრიფო, შემკრა კონებად -  
სამარადისო შენი ყვავილი!

**Summer for thee, grant I may be (31)**

Summer for thee, grant I may be  
When Summer days are flown!  
Thy music still, when Whippoorwill  
And Oriole – are done!

For thee to bloom, I'll skip the tomb  
And row my blossoms o'er!  
Pray gather me –  
Anemone –  
Thy flower – forevermore!

53.

**როცა ხუნდება ვარდის ფურცლები (32)**

როცა ხუნდება ვარდის ფურცლები,  
მქრქალდება იის ლაჟვარდისფერი  
და მოზეიმე ფრენით ფუტკრები  
მზეს გასცდებიან დასალიერში,

როცა თავთუხებს ხელს ვერ წავატან  
მიწაში უქმად მკერდზე დაკრეფილს,  
შეგევედრები მოდი საფლავთან<sup>6</sup>  
და გაიყოლე ყვავილთ ნაკრები!

**When roses cease to bloom, Sir (32)**

When Roses cease to bloom, Sir,  
And Violets are done —  
When Bumblebees in solemn flight  
Have passed beyond the Sun —

The hand that paused to gather  
Upon this Summer's day  
Will idle lie — in Auburn —  
Then take my flowers — pray!

---

<sup>6</sup> Auburn - ობერნის მთა - სასაფლაოს სახელწოდება კემბრიჯში, მასაჩუსეტში (აშშ)

54.

**ეს სიცოცხლე მაქვს მხოლოდ (1398)**

ეს სიცოცხლე მაქვს მხოლოდ -  
რასაც განვლევ და ვეჭრფი,  
იავარმქმნელი ბოლოს  
სიკვდილიც არ მაქვს მეტი,

არც სხვა სამყარო მიცდის  
და აღდგინება სადღაც  
ამ ჟამთასრბოლის იქით -  
შენს სამფლობელოს გარდა.

**I have no Life but this (1398)**

I have no Life but this —  
To lead it here —  
Nor any Death — but lest  
Dispelled from there —

Nor tie to Earths to come —  
Nor Action new —  
Except through this extent —  
The Realm of you —



55.

**ობობას, როგორც დიდოსტატს ყალმის (1275)**

ობობას, როგორც დიდოსტატს ყალმის  
ალიარება არ რგუნებია -  
დამსახურება თუმც მისი ღვაწლის  
მრავალჯერ დაუდასტურებიათ

საქრისტიანოს ყველა კერიის  
მოღერებულ ცოცხს, მოახლეს გამრჯეს,  
დაწუნებულო წულო გენიის,  
აღტაცებული, აჰა, ხელს გართმევ!

**The Spider as an Artist (1275)**

The Spider as an Artist  
Has never been employed –  
Though his surpassing Merit  
Is freely certified

By every Broom and Bridget  
Throughout a Cristian Land –  
Neglected Son of Genius  
I take thee by the Hand –

56.

**მდელოზე გრძელ ჩრდილს ჰგავს მოსწავება (764)**

მდელოზე გრძელ ჩრდილს ჰგავს მოსწავება,  
მანიშნებელი, დღე რომ მთავრდება,

მთრთოლ ბალახისთვის ნიშანი ცხადი,  
რომ ჩამოწვება მალე წყვდიადი.

**Presentiment – is that long Shadow – on the Lawn (764)**

Presentiment – is that long Shadow – on the Lawn –  
Indicative that Suns go down –

The Notice to the startled Grass  
That Darkness – is about to pass –

57.

**ჩვენ დავმარცხდებით - რადგან ვიმარჯვებთ (21)**

ჩვენ დავმარცხდებით, რადგან ვიმარჯვებთ -  
ყომარბაზები - მხსომნი მოგების,  
ყომარს ისვრიან განმეორებით!

**We lose — because we win (21)**

We lose — because we win —  
Gamblers — recollecting which  
Toss their dice again!

58.

**განცხრომის ყოველ წამისთვის (125)**

განცხრომის ყოველ წამისთვის,  
უნდა ვზლოთ ტანჯვით, დარდობით,  
ექსტაზის შესაბამისი  
და ზუსტი თანაფარდობით.

სიამით შეზარხოშების  
ერთ საათს შეცვლის ჭირვების  
წლები, ნაშოვნნი გროშებით  
და ცრემლით სავსე სკივრებით.

**For each ecstatic instant (125)**

For each ecstatic instant  
We must an anguish pay  
In keen and quivering ratio  
To the ecstasy.

For each beloved hour  
Sharp pittances of years--  
Bitter contested farthings--  
And Coffers heaped with tears!

59.

**მამაცურია ბრძოლა ხმიერი (126)**

მამაცურია ბრძოლა ხმიერი,  
ვერ შეედრება თუმც მის მედგრობას,  
ვინც გაუმართა ომი ძლიერი  
გულმკერდში სევდის, გლოვის მხედრობას,

ვინც უხილავად მტერი შერისხა,  
ან განიგმირა მისი კვერთხისგან,  
თუმც მომაკვდავიც მშობელ ერისგან  
ცრემლს და სიყვარულს ვეღარ ეღირსა,

ზეარსთა დასი რჩეულთ სიმხნევით,  
წინ წარუძღვება და ეს გმირებიც -  
მწყობრი ნაბიჯით, რანგის მიხედვით,  
მათთან ივლიან სპეტაკ სტიქრებით.

**To fight aloud, is very brave (126)**

To fight aloud, is very brave—  
But gallanter, I know  
Who charge within the bosom  
The Cavalry of Woe—

Who win, and nations do not see—  
Who fall—and none observe—  
Whose dying eyes, no Country  
Regards with patriot love—

We trust, in plumed procession  
For such, the Angels go—  
Rank after Rank, with even feet—  
And Uniforms of Snow.

60.

**შესაძლებლობის სახლის ვარ მკვიდრი (657)**

შესაძლებლობის სახლის ვარ მკვიდრი,  
აღმატება პროზის სასახლეს,  
როგორც კარ-ფანჯრის რიცხვით, სიმდიდრით,  
ისე შენობის ზომით, მრავალჯერ.

სახლის დარბაზებს ანაგებს კედრით,  
ძლივას ასწვდება მოკვდავის თვალი,  
გადაჭიმულა მარადი ჭერი -  
ლაჟვარდოვანი ზეცის ცარგვალი.

ამ სასახლეში შემომსვლელები  
ცდილობენ იმგვარ ნექტრით გამოთვრნენ,  
რომ გაწვართული სუსტი ხელებით  
შემოიფარგლონ ირგვლივ სამოთხე.

**I dwell in Possibility (657)**

I dwell in Possibility —  
A fairer House than Prose —  
More numerous of Windows —  
Superior — for Doors —

Of Chambers as the Cedars —  
Impregnable of Eye —  
And for an Everlasting Roof  
The Gambrels of the Sky —

Of Visitors — the fairest —  
For Occupation — This —  
The spreading wide my narrow Hands  
To gather Paradise —

61.

**ვიცი, მოკლეა ფრიად საწუთრო (301)**

ვიცი, მოკლეა ფრიად საწუთრო  
და ჭირის ოფლში ცდილობს გაგვწუროს,  
ურვამ მრავალი მოწყლა, გასენა...  
და მერე რა რომ, ეს თუ ასეა?

იმქვეყნად ყველას მოგვიწევს წასვლა,  
საუკეთესო სიცოცხლის ძალაც  
ჭკნობას, აღსასრულს ვერსგზით ასცდება...  
და მერე რა რომ, ეს თუ ასეა?

ვიცი, ზეცაში ყველა არსება -  
რადაცნაირად გათანაბრდება,  
მსახური ბატონს დაემსგავსება...  
და მერე რა რომ, ეს თუ ასეა?

**I reason, Earth is short (301)**

I reason, Earth is short—  
And Anguish—absolute—  
And many hurt,  
But, what of that?

I reason, we could die—  
The best Vitality  
Cannot excel Decay,  
But, what of that?

I reason, that in Heaven—  
Somehow, it will be even—  
Some new Equation, given—  
But, what of that?

62.

**ძელიდან-ძელზე ფეხის აკრეფით (875)**

ძელიდან-ძელზე ფეხის აკრეფით  
გადავდიოდი ნარნარად, ნელა,  
ვარსკვლავებს ვგრძნობდი მახლობლად კეფის,  
ხოლო ფერხთით კი - ვრცელი ზღვის დელვას.

აღმოჩნდებოდა ბოლო, თუ არა,  
მე არ ვიცოდი - შემდეგი ადლი,  
მერყევ ნაბიჯით ვიდოდი, რასაც  
გამოცდილებად ზოგ-ზოგი ჩათვლის.

**I stepped from Plank to Plank (875)**

I stepped from Plank to Plank  
A slow and cautious way  
The Stars about my Head I felt  
About my Feet the Sea.

I knew not but the next  
Would be my final inch —  
This gave me that precarious Gait  
Some call Experience.

63.

**ჭირს შევეყრებით განა ანაზღადა (997)**

ჭირს შევეყრებით განა ანაზღადა -  
თავს არ გვატყდება ნაუცბათევად,  
უბედურება მოდის თანდათან,  
ნებავეს მისხლობით დაქუცმაცება.

სულს მოედება ჯერ აბლაბუდა,  
მტვრის კუტიკულით ივსება კანი,  
მერე დაიწყებს ღერძის გაბურღვას  
და საბოლოოდ ამოჭამს ჟანგით.

უბედურებას ეშმაკი შეგვეყრის,  
თანმიმდევრულად ხლართავს საცდურებს,  
კაციშვილს არ სპობს ერთბაშად, მეყში,  
მისხალ-მისხლობით გაგვანადგურებს.

**Crumbling is not an instant's Act (997)**

Crumbling is not an instant's Act  
A fundamental pause  
Dilapidation's processes  
Are organized Decays —

'Tis first a Cobweb on the Soul  
A Cuticle of Dust  
A Borer in the Axis  
An Elemental Rust —

Ruin is formal — Devil's work  
Consecutive and slow —  
Fail in an instant, no man did  
Slipping — is Crashe's law —



64.

**ნათლის ქვემოთ, ქვეშ მიწის და ჭუჭყის (949)**

ნათლის ქვემოთ, ქვეშ მიწის და ჭუჭყის,  
ბალახების და აყალოს ქვევით,  
სადაც სორო მდებარეობს ჭუჭყის  
და სამყურას გადგმული აქვს ფესვი,

იმაზე შორს, გაცილებით მაღლა -  
გასწვდებოდა ვიდრე დევის ტორი,  
მოაფენდა შუქს სინათლის ტალღა,  
დღე რომ იყოს წელიწადის ტოლი,

უფრო ზევით ცის კამარის ქოლგის,  
მაღლა, ვიდრე ნავარდობენ ფრთებით  
და კომეტის საკვამლე ჩანს მხრჩოლი -  
ვერ ავწვდებით რასაც ზედმეტ წყრთებით,

შორს, ვიდრეღა გუმანს ძალუძს სრბოლა  
და შორს, ვიდრე გამოცანა მიქრის -  
ო, ნეტავი გარდაცვლილთ და ცოცხალთ -  
გვაშორებდეს მონაკვეთი სიბრტყის.

**Under the light, yet under (949)**

Under the Light, yet under,  
Under the Grass and the Dirt,  
Under the Beetle's Cellar  
Under the Clover's Root,

Further than Arm could stretch  
Were it Giant long,  
Further than Sunshine could  
Were the Day Year long,

Over the Light, yet over,  
Over the Arc of the Bird—  
Over the Comet's chimney—  
Over the Cubit's Head,

Further than Guess can gallop  
Further than Riddle ride—  
Oh for a Disc to the Distance  
Between Ourselves and the Dead!

65.

**შეფასებაა მცდარი, მაცდური (1684)**

შეფასებაა მცდარი, მაცდური -  
მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა არის შორეთში  
განცალკევებით მყოფი სადღური;  
ის გვერდითაა განუმორებლივ.

თანამგზავრია ველზეც, ჭიუხშიც,  
ნიადაგ ჩემთან უნდა ცხოვრება -  
სხვა მეგობარი მისებრ ჯიუტი  
და უღალატო არ მეპოვება!

**The Blunder is in estimate (1684)**

The Blunder is in estimate.  
Eternity is there  
We say, as of a Station —  
Meanwhile he is so near

He joins me in my Ramble —  
Divides abode with me —  
No Friend have I that so persists  
As this Eternity.

66.

**ამოკიაფდა ვარსკვლავი ქარცი (1672)**

ამოკიაფდა ვარსკვლავი ქარცი -  
გაციცროვნა ნახტომი ირმის,  
ცის კაბადონზე გაბადრულ მთვარის  
თავსაბურავი განქარდა სირმის -

აჩახახებდა ასტრალურ დარბაზს  
მწუხრში ნათელი ურიცხვი ჭადის,  
ვაკვირდებოდი ცის თავანს ხარბად,  
მამაო, შენ ხარ ზუსტი და ნაღდი!

**Lightly stepped a yellow star (1672)**

Lightly stepped a yellow star  
To its lofty place —  
Loosed the Moon her silver hat  
From her lustral Face —

All of Evening softly lit  
As an Astral Hall —  
Father, I observed to Heaven,  
You are punctual.

67.

**სული, რომელიც მასპინძლობს ყონაღს (674)**

სული, რომელიც მასპინძლობს ყონაღს,  
გარეთ არ გადის და იცის ფასი  
სტუმრის, ღებულობს საჭირო ცოდნას  
შინ, სადაც სახლობს ღვთიური დასი;

ზრდილობა უშლის გარეთ ხეტიანს,  
ავალდებულებს გაუმასპინძლდეს  
წვეულს, ვინც ღვთიურ დასზე მეტია -  
კაცთა მეუფეს - სულეზის სიძეს!

**The Soul that hath a Guest (674)**

The Soul that hath a Guest  
Doth seldom go abroad —  
Diviner Crowd at Home —  
Obliterate the need —

And Courtesy forbid  
A Host's departure when  
Upon Himself be visiting  
The Emperor of Men —

68.

**აწ ლეგენდებმა დაისაკუთრეს (397)**

აწ ლეგენდებმა დაისაკუთრეს  
ანდამატები, ოქროს ჯილები;  
ვთესავ გულსაბნევს, ძვირფას საყურეს  
და იმედი მაქვს სარფის მიღების,

თუმც არ განთქმულა ჩემი სახელი,  
ჩემს შეთხზულ ლექსებს ვრაცხავ ზაფხულად -  
დედოფალია ერთხელ მნახველი,  
ერთხელ ჰეპელამ მოინახულა.

**When Diamonds are a Legend (397)**

When Diamonds are a Legend,  
And Diadems – a Tale –  
I Brooch and Earrings for Myself,  
Do sow, and Raise for sale –

And tho' I'm scarce accounted,  
My Art, a Summer Day – had Patrons –  
Once – it was a Queen –  
And once – a Butterfly –

69.

**ცას გადაეკვრა ტყვიის ზეწარი (1649)**

ცას გადაეკვრა ტყვიის ზეწარი,  
დღე წაახდინა გაცრიატებამ,  
თვალს მიეფარა ციდან ზენარის  
ყოვლადმლიერი, მშვენი ხატება -

შეიგრძნობოდა სიგრილე ეხის,  
ჭაში ჩაეშვა მსწრაფლ ნასამხრევი,  
გამოსჭვიოდა ელჭექეში ეშხი  
ჯოჯოხეთის და ზამთრის ნარევის.

**A Cap of Lead across the sky (1649)**

A Cap of Lead across the sky  
Was tight and surly drawn  
We could not find the mighty Face  
The Figure was withdrawn --

A Chill came up as from a shaft  
Our noon became a well  
A Thunder storm combines the charms  
Of Winter and of Hell.

70.

**ეს არის მიწა შემოწერილი (266)**

ეს არის მიწა შემოწერილი  
მოყვითალო ზღვის თვალსაწიერით,  
რომლის საწყისიც, ბოლო წერტილიც -  
საიდუმლოა დასალიერის!

ყოველდამ მოაქვთ სავაჭრო გემებს  
მეწამულ გზებით დასტა ღრუბლების,  
აოქროვებენ ჰორიზონტს, მერმე -  
ქრებიან მსგავსად მოლალურების!

**This—is the land—the Sunset washes (266)**

This—is the land—the Sunset washes—  
These—are the Banks of the Yellow Sea—  
Where it rose—or whither it rushes—  
These—are the Western Mystery!

Night after Night  
Her purple traffic  
Strews the landing with Opal Bales—  
Merchantmen—poise upon Horizons—  
Dip—and vanish like Orioles!



71.

**წყალზე გვითითებს გამშრალი პირი (135)**

წყალზე გვითითებს გამშრალი პირი,  
ხმელეთზე - ნაპირს მიხლილი ზვირთი,  
ნეტარებაზე - ტანჯვა და ოხვრა,  
მშვიდობის ჟამზე - ორომტრიალი,  
ტრფობაზე - დაფა მემორიალის ...  
ჩიტუნებზე - ფანტელთა გროვა.

**Water, is taught by thirst (135)**

Water, is taught by thirst.  
Land — by the Oceans passed.  
Transport — by throe —  
Peace — by its battles told —  
Love, by Memorial Mold —  
Birds, by the Snow.

72.

**განწირულები ბოლო განთიადს (294)**

განწირულები ბოლო განთიადს  
ეგებებიან სხვაგვარი ფრფენით,  
რადგან გუმანით მათთვის ცხადია -  
ვერ გახდებიან ხვალის მომსწრენი.

ვისაც მოელის ხვალე სიკვდილი,  
ყურს უგდებს ველის მგალობლის ჭახჭახს,  
რადგან ჩიტუნას ჟივილ-ხივილი  
აყოვნებს მისკენ მოღერილ ნაჯახს.

ბედნიერი ხარ - თუ მზის ამოსვლით  
გაგითენდება დღე მწყალობელი -  
არ დაგიტირებს გულის ამოსკვნით  
ჩიტუნა გლოვის საგალობელით!

**The Doomed – regard the Sunrise (294)**

The Doomed – regard the Sunrise  
With different Delight –  
Because – when next it burns abroad  
They doubt to witness it –

The Man – to die – tomorrow –  
Harks for the Meadow Bird –  
Because its Music stirs the Axe  
That clamors for his head –

Joyful – to whom the Sunrise  
Precedes Enamored – Day –  
Joyful – for whom the Meadow Bird  
Has ought but Elegy!

73.

**ხიზლია მთელი მისი ქონება (810)**

ხიზლია მთელი მისი ქონება  
და წარმოაჩენს ისე ნაკლებად -  
გამოსაცნობად ხამს ხელოვნება,  
სხვა ხელოვნება - მისდა საქებრად!

**Her Grace is all she has (810)**

Her Grace is all she has –  
And that, so least displays –  
One Art to recognise, must be,  
Another Art, to praise.

74.

**ვერ განსაზღვრავთ სილამაზის არსებას (988)**

ვერ განსაზღვრავთ სილამაზის არსებას,  
განმსაზღვრელი რადგან არაფერია —  
ხოლო ზეცა ზუსტად განისაზღვრება,  
ვინაიდან ზეცა და ის ერთია!

**The Definition of Beauty is (988)**

The Definition of Beauty is  
That Definition is none —  
Of Heaven, easing Analysis,  
Since Heaven and He are one.

75.

**სილამაზეა თავისთავადი (516)**

სილამაზეა თავისთავადი,  
ადევნებისას - ცდილობს გაგექცეს;  
მინებებული მკვიდრობს მარადის,

ვერ გაასწორებ როსმე ნაკეცებს

მინდვრად, როდესაც ქარის თითებით  
ბიბინს იწყებენ მწიფე ყანები,  
ვერასდროს შეძლებ, ღვთის განჩინებით,  
გამეორებას მზეკაბანების!

**Beauty — be not caused — It Is (516)**

Beauty — be not caused — It Is —  
Chase it, and it ceases —  
Chase it not, and it abides —

Overtake the Creases

In the Meadow — when the Wind  
Runs his fingers thro' it —  
Deity will see to it  
That You never do it —

76.

**დღე, როცა მაქე თავდაპირველად (659)**

დღე, როცა მაქე თავდაპირველად  
და თქვი: ვიყავი სულით ძლიერი,  
გავძლიერდები, თუ დამჭირდება...  
დღეთა წყებაში - დღე ბედნიერი

კამკამებს, როგორც სპეკალთა გროვა  
შემოწყობილი ოქროს ზოდებით,  
უკან რომ კრთება - უფრო მომცროა,  
დიდი - სამყაროს განძის ოდენი.

**That first Day, when you praised Me, Sweet (659)**

That first Day, when you praised Me, Sweet,  
And said that I was strong –  
And could be mighty, if I liked –  
That Day – the Days among –

Glows Central – like a Jewel  
Between Diverging Golds –  
The Minor One – that gleamed behind –  
And Vaster – of the World's.

77.

**მკვდართა გამომკითხველო, ჯადოქარო ძირძველო!** (177)

მკვდართა გამომკითხველო,  
ჯადოქარო ძირძველო!  
მეც გამხადე გრძნეული,

რომ ტკივილი მგვემელი  
დაცხრეს, რადგან ვერ შველის  
დასტაქარი, ვერც ხმელის  
მთელი ბალახეული!

**Ah, Necromancy Sweet!** (177)

Ah, Necromancy Sweet!  
Ah, Wizard erudite!  
Teach me the skill,

That I instil the pain  
Surgeons assuage in vain,  
Nor Herb of all the plain  
Can Heal!

78.

**მზენი რა ნაზად იმუსრებიან** (1127)

მზენი რა ნაზად იმუსრებიან  
სადამოს ხმლებით, მიმწუხრებისას!

**Soft as the massacre of Suns** (1127)

Soft as the massacre of Suns  
By Evening's Sabres slain.

79.

**გემრიელია ხილი ნაკრძალი (87)**

გემრიელია ხილი ნაკრძალი,  
ჩანს ნებადართულ ხილზე კეთილი;  
საამურია ბარდის მარცვალი,  
ვალდებულებით გამოკეტილი!

**Forbidden fruit a flavor has (87)**

Forbidden fruit a flavor has  
That lawful orchards mocks;  
How luscious lies the pea within  
The pod that Duty locks!

80.

**თვალს ვეღარ მოკრავთ ზიზილას ახლა (28)**

თვალს ვეღარ მოკრავთ ზიზილას ახლა,  
გახუნდა არე, მინდორი, ტყერი...  
ფეხის აკრეფით ისიც იქ გასხლტა -  
ედემში - სადაც გამსხლტარა ზევრი.

დღის წარმავალმა ნაკადმა ღრუბლებს  
მიმოასხურა ყირმიზი ფერი -  
დაიყვავილეს - წარხდნენ - გაქუსლეს,  
თქვენც დაიმკვიდრეთ სავანე ღმერთის?

**So has a Daisy vanished (28)**

So has a Daisy vanished  
From the fields today —  
So tiptoed many a slipper  
To Paradise away —

Oozed so in crimson bubbles  
Day's departing tide —  
Blooming — tripping — flowing  
Are ye then with God?

81.

**ცოლად მითხოვა ზეცის მეუფემ (817)**

ცოლად მითხოვა ზეცის მეუფემ,  
გამომარჩია უწინ დაწინდვით,  
მამისა და ძის გავხდი მეუღლე,  
პატარძალი ვარ სულისა წმიდის.

დროა სხვა აღთქმის გამწვილებელი,  
ნებსით ცოლქმრობის მშლელი, დამკვნობი,  
ხოლო ამ ბეჭდის გამფრთხილებელი  
შეძლებს დაძლევას მომაკვდავობის.

**Given in Marriage unto Thee (817)**

Given in Marriage unto Thee  
Oh thou Celestial Host –  
Bride of the Father and the Son  
Bride of the Holy Ghost.

Other Betrothal shall dissolve –  
Wedlock of Will, decay –  
Only the Keeper of this Ring  
Conquer Mortality –



82.

**პატარა იყო, როგორც ნალიტა (107)**

პატარა იყო, როგორც ნალიტა  
ნავსაყუდელთან მცურავი ნავი,  
ლიმენს აღზრდილმა ტალღამ წაღლიტა,  
ჩამოაშორა მახლოზელ ნაპირს!

ზვირთს, ნაპირიდან ნავის მომლოკველს,  
გულხარბს, ნადავლად სურდა პატარა -  
არც შეუნიშნავს ზვიად ორჩხომელს,  
თუ როგორ გაქრა ჩემი კატარღა!

**‘Twas such a little – little boat (107)**

‘Twas such a little – little boat  
That toddled down the bay!  
‘Twas such a gallant – gallant sea  
That beckoned it away!

‘Twas such a greedy, greedy wave  
That licked it from the Coast –  
Nor ever guessed the stately sails  
My little craft was lost!

83.

**გამოვაგზავნე მიმწუხრი ორი (308)**

გამოვაგზავნე მიმწუხრი ორი,  
დღესთან შეჯიბრის ნალვაწი ციდა,  
ორ მზის გარდასვლას და ხომლსაც მოვრჩი,  
მან ერთი მწუხრი გაუშვა ციდან.

გამოგიტყდები, მის ბინდს ნამდვილად  
ბევრად ვრცელს ხოტბა უფრო შეშვენის,  
ხოლო ჩემია უფრო ადვილად  
სატარებელი ყველგან პეშვებით.

**I send Two Sunsets (308)**

I send Two Sunsets—  
Day and I—in competition ran—  
I finished Two—and several Stars—  
While He—was making One—

His own was ampler—but as I  
Was saying to a friend—  
Mine—is the more convenient  
To Carry in the Hand—

84.

**ვიცი მავანთა გადმოცემებით (124)**

ვიცი მავანთა გადმოცემებით  
მდებარეობა უკვდავ ალაპების,  
ცარგვალს ასწვდება თეთრი თხემებით  
და ებჯინება ქალაქს სანდლებით.

გადაჭრელდება მთაგრეხილს ქვემოთ  
ზიზილოებით ყველა მდელოში,  
იქ რომელი ხართ, ბატონო ჩემო  
და მე რომელი, ამ დღეს ქველთობის?

**In lands I never saw — they say (124)**

In lands I never saw — they say  
Immortal Alps look down —  
Whose Bonnets touch the firmament —  
Whose Sandals touch the town —

Meek at whose everlasting feet  
A Myriad Daisy play —  
Which, Sir, are you and which am I  
Upon an August day?

85.

**სიყვარულია ყველაფრის დვრიტა (1765)**

სიყვარულია ყველაფრის დვრიტა -  
ჩვენ სიყვარულზე ეს ვიცით მარტო;  
საკმარისია სავსებით, ტვირთმა  
წონის ტოლფარდი კვალი დაატყოს!

**That Love is all there is (1765)**

That Love is all there is,  
Is all we know of Love;  
It is enough, the freight should be  
Proportioned to the groove.

86.

**სიყვარულია ყოფნის მორბედი (917)**

სიყვარულია ყოფნის მორბედი  
და იარსებებს სამარადისოდ,  
არის შესაქმნის თანამოქმედი  
და სამყაროსთვის სამაგალითო.

**Love — is anterior to Life (917)**

Love – is anterior to Life –  
Posterior – to Death –  
Initial of Creation, and  
The Exponent of Earth –

87.

**უფსკრულისაგან ვერ გიხსნის მკედი (1322)**

უფსკრულისაგან ვერ გიხსნის მკედი,  
სამაგიეროდ გიხსნის ბაწარი,  
თუმც სუვენირად, წესის მიხედვით,  
არ გამოდგება ბოლო ნაწარმი.

როცა კიდესთან დგახარ ქარაფის,  
თქვი, რომელია უფრო სანდომი -  
უხეში თოკი, თუ ფარჩის ძაფი,  
თუკი ფასია ხელმისაწვდომი?!

**Floss won't save you from an Abyss (1322)**

Floss won't save you from an Abyss  
But a Rope will —  
Notwithstanding a Rope for a Souvenir  
Is not beautiful —

But I tell you every step is a Trough —  
And every stop a Well —  
Now will you have the Rope or the Floss?  
Prices reasonable —

88.

**წინდახედულად უამბე ღატაკს (119)**

წინდახედულად უამბე ღატაკს -  
რა საუნჯე გაქვს და რა ხვასტაგი,  
კრძალვით უხსენე შიმშილით ნატანჯს,  
შენი საჭმლის და ღვინის მარაგი!

ტყვეს არ აღუძრა სიტყვის გადაკვრით  
თავისუფლების მოწადინება,  
თორემ ჯურღმულში დახსნის არაკი  
ზოგჯერ ტკბილია მომაკვდინებლად!

**Talk with prudence to a Beggar (119)**

Talk with prudence to a Beggar  
Of "Potose,"<sup>7</sup> and the mines!  
Reverently, to the Hungry  
Of your viands, and your wines!

Cautious, hint to any Captive  
You have passed enfranchised feet!  
Anecdotes of air in Dungeons  
Have sometimes proved deadly sweet!

---

<sup>7</sup> Potose - იგივე Potosi - ბოლივიის ძველი დედაქალაქი, ცნობილია ვერცხლის საბადოებით.

89.

**ის არ დამტკბარა შლეგური შვებით (1430)**

ის არ დამტკბარა შლეგური შვებით -  
ვისაც არასდროს სწვევია ჟინი,  
სჭარბობს ნადიმი თავშეკავების  
სიამის მოგვრით - დათრობას ღვინით!

თუმც ვერ ეწევი ასე წადილებს,  
სჯობს ვერ აღწევდე დასახულ მიზანს,  
თორემ მოუტანს სულს სინამდვილე  
იმედის გაცრუებისას ზიანს.

**Who never wanted — maddest Joy (1430)**

Who never wanted — maddest Joy  
Remains to him unknown —  
The Banquet of Abstemiousness  
Defaces that of Wine —

Within its reach, though yet ungrasped  
Desire's perfect Goal —  
No nearer — lest the Actual —  
Should disentrall thy soul —

90.

**სიფრთხილე მართებს მაშინ დასტაქარს (108)**

სიფრთხილე მართებს მაშინ დასტაქარს,  
როდესაც ხელში დაიჭერს სკალპელს,  
თუნდ განაჭერი იყოს პატარა -  
ქვეშ მსჯავრდებული ყოფა ფართხალებს!

**II ვარიანტი**

სიფრთხილე მართებს ყოველთვის ექიმს,  
როდესაც ხელში დაიჭერს სკალპელს,  
რადგან სხეულის განაჭერს ქვევით -  
ბრალდადებული ყოფა ფართხალებს!

**Surgeons must be very careful (108)**

Surgeons must be very careful  
When they take the knife!  
Underneath their fine incisions  
Stirs the Culprit — Life!



91.

**გათენებამდე ებრძოდნენ სიკვდილს (201)**

გათენებამდე ებრძოდნენ სიკვდილს  
გემდამსხვერულნი, ორიოდ მორზე,  
ერთმა მიცურა ნაპირთან ძლივ-ძლივ,  
ვერ მიაღწია, ღმერთო, მეორემ!

მოტივტივე გვამს ხედავდნენ წყალზე  
მგზავრები ჩავლილ ორჩხომელების -  
მუდარა აჩნდა მის ჩამქრალ თვალებს  
და გაეწვდინა ხვეწნით ხელები.

**Two swimmers wrestled on the spar (201)**

Two swimmers wrestled on the spar  
Until the morning sun,  
When one turned smiling to the land.  
O God, the other one !

The stray ships passing spied a face  
Upon the waters borne,  
With eyes in death still begging raised,  
And hands beseeching thrown.

92.

**დაეცნენ, როგორც თოვლის ქულები<sup>8</sup> (409)**

დაეცნენ, როგორც თოვლის ქულები,  
ვით მოსწყდებიან ზეცას მთიები,  
როგორც დასცვივათ ვარდებს ფურცლები  
ივნისის ქარის მწველი თითებით.

ხასხასა მოღზე დაცემულების  
ალაგის ნახვას ვერ შეძლებს ვერვინ  
და თავს მოუყრის ყველას უკლებლივ  
მის ამოუშლელ ნუსხაში ღმერთი.

**They dropped like Flakes (409)**

They dropped like Flakes —  
They dropped like Stars —  
Like Petals from a Rose —  
When suddenly across the June  
A wind with fingers — goes —

They perished in the Seamless Grass —  
No eye could find the place —  
But God can summon every face  
Of his Repealless — List.

---

<sup>8</sup> ეს ლექსი ემილიმ მიუძღვნა ამერიკის სამოქალაქო ომში (1861-1865) დაღუპულებს.

93.

**სასოწარკვეთას და თავზარს შორის (305)**

სასოწარკვეთას და თავზარს შორის  
განსხვავებაა ზუსტად იმგვარი,  
ინტერვალია როგორც დროის -  
წინმსწრებ და მომყოლ წამს შუა მარცხის.

ტანი არ იძვრის, გონია წყნარი -  
კმაყოფილია, ვით თვალი ძეგლის  
რომელმაც უწყის, შექმნეს უშტარი -  
ვერ მიანიჭეს მზერა საჭრეთლით!

**The difference between Despair (305)**

The difference between Despair  
And Fear — is like the One  
Between the instant of a Wreck  
And when the Wreck has been —

The Mind is smooth — no Motion —  
Contented as the Eye  
Upon the Forehead of a Bust —  
That knows — it cannot see —

94.

**შემოდგომა მისი სახელი (656)**

შემოდგომა მისი სახელი  
და ალაგ-ალაგ წითლად გაღებულს,  
კისერი უჩანს ზევით მთა-ველის,  
შარაგზის გასწვრივ კი - სისხლძარღვები!

მსხვილი წვეთები ხშირ თალარებში  
მოგროვდებიან ფერად-ფერადნი,  
ტევრებს არხევენ როცა ქარები -  
მეწამულია ცაიერადი.

ქუდებს დაალტობს შხეფებით ისხრის,  
ალისფერდება ტბორთა კრებული,  
ქარწაღებული ვარდივით მიქრის  
ყირმიზ ბორბლებზე ამხედრებული.

**The name – of it – is «Autumn» (656)**

The name – of it – is «Autumn» –  
The hue – of it – is Blood –  
An Artery – upon the Hill –  
A Vein – along the Road –

Great Globules – in the Alleys –  
And Oh, the Shower of Stain –  
When Winds – upset the Basin –  
And spill the Scarlet Rain –

It sprinkles Bonnets – far below –  
It gathers ruddy Pools –  
Then – eddies like a Rose – away –  
Upon Vermilion Wheels –

95.

**ხორცი იზრდება და მყოფობს გარეთ (578)**

ხორცი იზრდება და მყოფობს გარეთ,  
მოხერხებული არის საბრძანო  
სულისთვის, რადგან თუ იგრძნობს საფრთხეს,  
მუდამ დახვდება მისი ტაძარი

ღია, უსაფრთხო, სტუმართმოყვარე  
და უღალატო ბასტიონებით,  
თუ თავშესაფარს ითხოვს მთხოვარე  
შეუბღალავი პატიოსნებით!

**The Body grows without (578)**

The Body grows without —  
The more convenient way —  
That if the Spirit — like to hide  
Its Temple stands, alway,

Ajar — secure — inviting —  
It never did betray  
The Soul that asked its shelter  
In solemn honesty

96.

**მიდი სიკვდილო, გახსენ ლაზახა (1065)**

მიდი სიკვდილო, გახსენ ლაზახა,  
ბაკში შელალე ფარა დაღლილი,  
რომელმაც უკვე მოიზალახა  
და არც ილაჯი შერჩა ბლავილის,

შენთან პოვებენ ღამის გარინდვას,  
უსაფრთხოებაც შენს ბინაზეა,  
ისე ახლოს ხარ, ძებნა არ გინდა,  
ენა ვერ აღწერს მეტ სინაზესაც!

**Let down the Bars, Oh Death (1065)**

Let down the Bars, Oh Death —  
The tired Flocks come in  
Whose bleating ceases to repeat  
Whose wandering is done —

Thine is the stillest night  
Thine the securest Fold  
Too near Thou art for seeking Thee  
Too tender, to be told.

97.

**ნათლის სხივს ძალუმს გომბეშოს მოკვლა (583)**

ნათლის სხივს ძალუმს გომბეშოს მოკვლა,  
სიკვდილი ყველას თანაბრად მოწყლავს!  
გომბეშოც, კაციც - მიილევიან,  
მის წინ ერთია გრაფიც და ქინქლაც,  
კვდომაა მოკვდავთ პრივილეგია!  
რატომ გიჭირავს, მაშ, თავი ყინჩად,  
თუ კოლოს მსგავსი ხვედრი გრგებია?!

სულ სხვა რამეა ოღონდ ცხოვრება,  
განიზომება, როგორც ბადაგი,  
კასრს და ზოთლს როცა განემორება -  
რეინვეინის სითხის ბადალი  
და რომელია ჩემი ბადახში?

**A Toad, can die of Light (583)**

A Toad, can die of Light —  
Death is the Common Right  
Of Toads and Men —  
Of Earl and Midge  
The privilege —  
Why swagger, then?  
The Gnat's supremacy is large as Thine —

Life — is a different Thing —  
So measure Wine —  
Naked of Flask — Naked of Cask —  
Bare Rhine —  
Which Ruby's mine?

98.

**ქარაგმულად ეს სკა მცირე (1607)**

ქარაგმულად ეს სკა მცირე,  
თაფლს გვპირდება ისეთს ბლომად -  
რაც რეალურს ნატვრად გვიქცევს,  
ოცნებებს კი - რეალობად!

**Within that little Hive (1607)**

Within that little Hive  
Such Hints of Honey lay  
As made Reality a Dream  
And Dreams, Reality —

99.

**შეხედე წარსულს მოწყალე მზერით (1478)**

შეხედე წარსულს მოწყალე მზერით -  
საუკეთესოდ აღსრულდა ქმნადი! -  
კაცთა ბუნების დასალიერში  
მთრთოლვარე მზე რა ფაქიზად ჩადის!

**Look back on Time, with kindly eyes (1478)**

Look back on Time, with kindly eyes --  
He doubtless did his best --  
How softly sinks that trembling sun  
In Human Nature's West --



100.

**შენ გიყვარს ღმერთი - თვალმოუკვრელი (487)**

შენ გიყვარს ღმერთი - თვალმოუკვრელი,  
ბარათებს მისწერ ყოველ ცისმარე,  
დილით ორიოდ სიტყვით უყვები  
ნაგრძნობს, დღეც აზრებს გაუზიარებ

ვრცელი წერილით - „რარიგ გაკლია,  
განეტარებდა სახე მზეებრი“...  
თუმც ერთ ნაბიჯში მისი სახლია,  
ჩემი კი ცაში - შენ რომ შესცქერი.

**You love the Lord – you cannot see (487)**

You love the Lord – you cannot see –  
You write Him – every day –  
A little note – when you awake –  
And further in the Day.

An Ample Letter – How you miss –  
And would delight to see –  
But then His House – is but a Step –  
And Mine’s – in Heaven – You see.

101.

**კვლავინდებურად დარია გარეთ (620)**

კვლავინდებურად დარია გარეთ -  
წლის ამ სეზონის შესაბამისი,  
იალონების ცეცხლოვან პარკებს  
შუადღე ისევ გახლეჩს ხალისით;

ტყე ააჭრელა ყვავილთ მრავლობამ,  
მირაკრაკებენ რუები ამოდ,  
არ მიდუმდება შაშვის გალობა  
მოახლოებულ გოლგოთის გამო,

აუტოდაფე, ან დღე განკითხვის,  
არ წარმოადგენს სადარდელს ფუტკრის,  
მას მხოლოდ ვარდთან გაყრის საკითხი  
აფორიაქებს მარადღე, ფუტკნის.

**It makes no difference abroad (620)**

It makes no difference abroad —  
The Seasons — fit — the same —  
The Mornings blossom into Noons —  
And split their Pods of Flame —

Wild flowers — kindle in the Woods —  
The Brooks slam — all the Day —  
No Black bird bates his Banjo —  
For passing Calvary —

Auto da Fe — and Judgment —  
Are nothing to the Bee —  
His separation from His Rose —  
To Him — sums Misery —

102.

**გაუფასურდა, როგორც საღორე (747)**

გაუფასურდა, როგორც საღორე,  
მიწას დაასკდა თვალწინ საშინლად,  
ჩემი გონების ფსკერის ქვალორღზე  
მიმოებნია მრავალ ნაწილად.

არ დამცდენია აუგი ბედის,  
ლანძღვით თავი კი აღარ დავზოგე -  
ლიტონი ნივთი ბარძიმის გვერდით  
რომ დავაბრძანე ვერცხლის თაროზე.

**It dropped so low — in my Regard (747)**

It dropped so low — in my Regard —  
I heard it hit the Ground —  
And go to pieces on the Stones  
At bottom of my Mind —

Yet blamed the Fate that flung it — less  
Than I denounced Myself,  
For entertaining Plated Wares  
Upon my Silver Shelf —

103.

**ბოლოს და ბოლოს მოვიდა, მალი (1230)**

ბოლოს და ბოლოს მოვიდა, მალი  
ოღონდ სიკვდილი აღმოჩნდა უფრო,  
გადაშავა ავეჯი თალხით,  
სახლი გახადა ცივი და მყუდრო.

ერთგულო ყინვავ, არ გვიანდები!  
სიყვარული რომ გგავდეს სიზუსტით -  
ჭიშკარს დახშავდა აღფრთოვანებით,  
ვერ დაგვაზრობდა თოში და სუსხი!

**It came at last but prompter Death (1230)**

It came at last but prompter Death  
Had occupied the House —  
His pallid Furniture arranged  
And his metallic Peace —

Oh faithful Frost that kept the Date  
Had Love as punctual been  
Delight had aggrandized the Gate  
And blocked the coming in.

104.

**წელიწადი რომ გაივლის ასი (1147)**

წელიწადი რომ გაივლის ასი,  
მერე ვერავინ ცნობს ძვალთშესალაგს -  
საფლავის ქვებზე ამოვა ხავსი  
და მდუმარება მოიცავს ალაგს.

თუ სარეველამოდებულ ძეგლებს  
ჩაამტერდება უცხო მნახველი,  
მკვდრის ვინაობის შეტყობას შეძლებს -  
საცნაურდება ზოგის სახელი.

გზების გამგნები ამ სანახების  
ზაფხულის ველზე მქროლი ქარია,  
აღლომ ხელთ იპყრო ის გასაღები -  
მეხსიერებას რაც დავარდნია.

**After a hundred years (1147)**

After a hundred years  
Nobody knows the Place  
Agony that enacted there  
Motionless as Peace

Weeds triumphant ranged  
Strangers strolled and spelled  
At the lone Orthography  
Of the Elder Dead

Winds of Summer Fields  
Recollect the way —  
Instinct picking up the Key  
Dropped by memory —

105.

**გული, ტანჯვას რომ დიდხანს ითმენდა (145)**

გული, ტანჯვას რომ დიდხანს ითმენდა,  
ჩაუმუხლავი ფეხები მიწყვი,  
ვარსკვლავის ფუჰად შემყურე რწმენა,  
დაიკრძალება წიაღში მიწის -

ვერ დაეწევა სადაც მწევარი,  
აქომინებულ, უმწეო კურდღელს  
და ვერ ჩამოშლის ვერც ონავარი  
უფაქიზესად ნაშენებ ბუდეს.

**This heart that broke so long (145)**

This heart that broke so long —  
These feet that never flagged —  
This faith that watched for star in vain,  
Give gently to the dead —

Hound cannot overtake the Hare  
That fluttered panting, here —  
Nor any schoolboy rob the nest  
Tenderness builded there.

106.

**გამოცვლა ჩვენთვის ცნობილ ადგილის (1603)**

გამოცვლა ჩვენთვის ცნობილ ადგილის,  
შეუცნობელით, რომ ჰგავს სიზმარეთს,  
მსგავსია ბალღურ ცნობისწადილის -  
რას მალავს მთების გადაღმა მხარე.

ცნობისწადილი გვსურს დავირწყულოთ  
იქ, სადაც ყოვლი მოცულა ხიზლით,  
თუმც იმად გვღირს ის საიდუმლო,  
მარტო შევეუდგეთ აღმავალ ბილიკს?

**The going from a world we know (1603)**

The going from a world we know  
To one a wonder still  
Is like the child's adversity  
Whose vista is a hill,

Behind the hill is sorcery  
And everything unknown,  
But will the secret compensate  
For climbing it alone?

107.

**ტყეში წაიღე ეს დღეები ალიაქოთის (1441)**

ტყეში წაიღე ეს დღეები ალიაქოთის,  
სადაც ხავსების გარშემო რბის ბინულთა წყება,  
მხოლოდ ჩრდილები თუ არღვევენ დუმილს წალკოტის  
და ყველაფერი ზოგჯერ როგორ დაგავიწყდება.

**These Fevered Days — to take them to the Forest (1441)**

These Fevered Days — to take them to the Forest  
Where Waters cool around the mosses crawl —  
And shade is all that devastates the stillness  
Seems it sometimes this would be all —

108.

**ჩქარა ინდომე ნათელთან მისვლა<sup>9</sup> (1564)**

ჩქარა ინდომე ნათელთან მისვლა,  
განგვაცდევინე ტანჯვა რაზომი...  
ჩვენ გვსურს იდუმლის ნელ-ნელა ხილვა,  
შენ ეზიარე უცებ - ნახტომით!

**Pass to they Rendezvous of Light (1564)**

Pass to thy Rendezvous of Light,  
Pangless except for us —  
Who slowly for the Mystery  
Which thou hast leaped across!

---

<sup>9</sup> ემილიმ ეს ლექსი მიუძღვნა თავის გარდაცვლილ ძმისწულს თომას ჯილბერტ დიკინსონს, რომელიც 8 წლის ასაკში აღესრულა.



109.

**სიკვდილი ცვლას არ ემორჩილება (749)**

სიკვდილი ცვლას არ ემორჩილება,  
ზეობს - იმცრობა სამეფო გვარი,  
ბუდეს შეიცვლის წესწყობილება,  
ციტადელებიც ემხოზა მყარი.

გაზაფხულის პირს შემოსილება  
უფერადდება ტყე-ველს ახლიდან,  
არ შეეხება სიკვდილს ცვლილება -  
შერაცხულია გამონაკლისად!

**All but Death, can be Adjusted (749)**

All but Death, can be Adjusted —  
Dynasties repaired —  
Systems — settled in their Sockets —  
Citadels — dissolved —

Wastes of Lives — resown with Colors  
By Succeeding Springs —  
Death — unto itself — Exception —  
Is exempt from Change —

110.

**ვერ მიედრება ჩემი ნაწერი<sup>10</sup> (334)**

ვერ მიედრება ჩემი ნაწერი  
ქმნულკეთილობით, სილამაზეთი,  
მისი მარცვლები არის ხავერდის,  
დიბა-ატლასის მსგავსი - ფრაზები.

ბადახშის ფერი რომ დაჰყოლია,  
შენი ტუჩების ამბოროს შენატრის,  
წარმოიდგინე თავი კოლიბრად,  
დააგემოვნე ჩემი ნექტარი!

**All the letters I can write (334)**

All the letters I can write  
Are not fair as this –  
Syllables of Velvet –  
Sentences of Plush,

Depths of Ruby, undrained,  
Hid, Lip, for Thee –  
Play it were a Humming Bird –  
And just sipped – me –

---

10 ემილი დიკინსონი ამჟერსტში 1862 წლის ივლისში მოინახულა ნათესავმა ევდოსია ფლინტმა; სახლში დაბრუნებულ ევდოსიას, ემილიმ 1862 წლის 21 ივლისს ამ ლექსთან ერთად ვარდი გაუგზავნა.

111.

**მიწის წიაღის ბნელში განსწავლილ (392)**

მიწის წიაღის ბნელში განსწავლილ  
და ამოწვერილ თეთრ შრომანს ღელის,  
აღარ სჩვევია მერე კანკალი  
რწმენით აღსავსეს - შიშით ან ღელვით.

ზანზალაკებით დახუნძლულ სხეულს  
შეარხევს, როცა აყვავილდება,  
ნეტარებისგან თავბრუდახვეულს,  
დაავიწყდება თვისი ხრწნილება.

**Through the Dark Sod — as Education (392)**

Through the Dark Sod — as Education —  
The Lily passes sure —  
Feels her white foot — no trepidation —  
Her faith — no fear —

Afterward — in the Meadow —  
Swinging her Beryl Bell —  
The Mold-life — all forgotten — now —  
In Ecstasy — and Dell —

112.

**მნათევ, აქ სადღაც ჩემს მოძღვარს სძინავს (96)**

მნათევ, აქ სადღაც ჩემს მოძღვარს სძინავს,  
მომამებნინე, შეგთხოვ, სამარე!  
მსურს საბუდარი ავუგო სკვინჩას,  
იქვე ჩავეთესავ თესლებს ნაადრევს,

რადგან როდესაც დადნება ლილო,  
ზეწარს მოიხსნის არე საკრძალის,  
გზა მიმითითონ ნაზმა ზიზილომ  
და ტრუბადურმა მისკენ მავალი.

**Sexton! My Master's sleeping here (96)**

Sexton! My Master's sleeping here.  
Pray lead me to his bed!  
I came to build the Bird's nest,  
And sow the Early seed –

That when the snow creeps slowly  
From off his chamber door –  
Daisies point the way there –  
And the Troubadour.

113.

**არ მიუძღვება ღმერთი ალერსით (1021)**

არ მიუძღვება ღმერთი ალერსით  
სასუფევლისკენ მის რჩეულ ყმაწვილთ,  
არიდებს მდელოს ყვავილნარების  
და შეუყენებს ეკლიან გზაწვრილს.

უჯობს დრაკონის ბასრი ჭანგებით  
გაწვრთნას, ვიდრეღა მარჯვენით თნევის  
და შუნდობილებს საღვთო განგებით,  
გააუკვდავებს სიკვდილის ძღვევით.

**Far from Love the Heavenly Father (1021)**

Far from Love the Heavenly Father  
Leads the Chosen Child,  
Oftener through Realm of Briar  
Than the Meadow mild.

Oftener by the Claw of Dragon  
Than the Hand of Friend  
Guides the Little One predestined  
To the Native Land.

114.

**ქუჩაში უცებ კარი განიხვნა (953)**

ქუჩაში უცებ კარი განიხვნა,  
როს ვყიალოზდი უმისამართოდ,  
სიამტკბილობა გულს მიანიშნა,  
მდიდრული ლხინის ეშხმა გამართო.

კარის დახშობაც იყო ანაზდი  
და ამ კონტრასტით, ჩემ უნებურად,  
დავსევდიანდი ისევ სადარდით,  
თავი ვიგრძენი კვლავ უბედურად.

**A Door just opened on a street (953)**

A Door just opened on a street –  
I – lost – was passing by –  
An instant's Width of Warmth disclosed –  
And Wealth – and Company.

The Door as instant shut – And I –  
I – lost – was passing by –  
Lost doubly – but by contrast – most –  
Informing – misery –

115.

**ორიოდე დღის ნაავადარი (17)**

ორიოდე დღის ნაავადარი,  
მედგარი, ოღონდ ნერვებაშლილი,  
წინ შევეჩეხე ეზოს ბაღნარში  
ხეტიალისას უცხო ქალიშვილს.

მის ნიშნებაზე ხეთა ვარჯები  
დაიხრებოდნენ დაბლა მორჩილად,  
უეჭველია, ასეთ მხარეში,  
ოდესმე ცხადში მე არ ვყოფილვარ!

**Baffled for just a day or two (17)**

Baffled for just a day or two –  
Embarrassed – not afraid –  
Encounter in my garden  
An unexpected Maid.

She beckons, and the woods start –  
She nods, and all begin –  
Surely, such a country  
I was never in!

116.

**ხმა მესმის ფოთოლთ გაფაჩუნების (891)**

ხმა მესმის ფოთოლთ გაფაჩუნების,  
რეკენ ჩირგვების ზანზალაკები,  
ვერ დავემალე გუშაგთ ბუნების,  
მათთვის იდუმალ სამალავებში.

გინდ კლდეში ვპოვო თავმესაფარი,  
მაინც გამთქვამენ ეხის კედლები,  
თითქოს სამყარო იყოს ნაბზარი -  
რათა მოვჩანდე მიწის ხვრელებშიც.

**To my quick ear the Leaves — conferred (891)**

To my quick ear the Leaves — conferred —  
The Bushes — they were Bells —  
I could not find a Privacy  
From Nature's sentinels —

In Cave if I presumed to hide  
The Walls — begun to tell —  
Creation seemed a mighty Crack —  
To make me visible —



117.

**არა მხოლოდ ფრთებით (1348)**

არა მხოლოდ ფრთებით  
მივისწრაფვით ზევით!  
და შორს გავცურდებით  
განა ოდენ ზღვებით!

შეაჩვიონ ლაჟვარდს  
ძირს მზირალთა თვალნი,  
ზეცის ბინადართა  
არის წმინდა ვალი.

**Lift it, with the feathers (1348)**

Lift it — with the Feathers  
Not alone we fly —  
Launch it — the aquatic  
Not the only sea —

Advocate the Azure  
To the lower Eyes —  
He has obligation  
Who has Paradise —

118.

**გადავეყარეთ შემთხვევით (1548)**

გადავეყარეთ შემთხვევით,  
მერე კი განგებ გავჩერდით -  
ას წელში ერთხელ შევხვდებით  
შეცდომას, ესდენ ღვთაებრივს,

ბედისწერით რომ გვერგება;  
ისე არიგებს მდიდარი  
იღბალი ბედნიერებას,  
ვით ოქროს ძუნწი მიდასი.

**Meeting by accident (1548)**

Meeting by Accident,  
We hovered by design —  
As often as a Century  
An error so divine

Is ratified by Destiny,  
But Destiny is old  
And economical of Bliss  
As Midas is of Gold —

119.

**წიგნებს შემორჩა ჩემი ომები (1549)**

წიგნებს შემორჩა ჩემი ომები,  
დამრჩა ერთილა, უკანასკნელი,  
არ ჩანდა მტერი დასახსომები,  
თუმც ხშირად იყო ჩემი მნახველი.

მუდამ ირჩევდა ძვირფას საკბილოდ  
უკეთესს ჩემს და მეგობრებს შორის,  
ხვედრი მარგუნა ზიზღით საწბილო,  
არ შემარჩინა ერთი ტოლ-სწორიც.

კარგია, თუკი ისევ ვახსოვარ,  
კვლავ სურთ წასულთა ლანდებს ლაციცი,  
რადგან ამქვეყნად დიდხანს ნაცხოვარს  
აღარ დარჩება ძმადშენაფიცი.

**My Wars are laid away in Books (1549)**

My Wars are laid away in Books —  
I have one Battle more —  
A Foe whom I have never seen  
But oft has scanned me o'er —

And hesitated me between  
And others at my side,  
But chose the best — Neglecting me — till  
All the rest, have died —

How sweet if I am not forgot  
By Chums that passed away —  
Since Playmates at threescore and ten  
Are such a scarcity —

120.

**ზაფხულის ტყეზე ნუ მომიყვები (1634)**

ზაფხულის ტყეზე ნუ მომიყვები,  
ჩემი გონების ფოთოლნარები  
ტალავერია ჩიტთა, ციყვების -  
უსხეულო და ხელუკარები.

შუადღით იქით გეზი აქვთ ქარებს,  
მიაკითხავენ ეთერულ შუკებს,  
ცად მიგვიხმოზენ უმცირეს მგზავრებს,  
როს ჩაჰბერავენ ჯადოსნურ ბუკებს.

**Talk not to me of Summer Trees (1634)**

Talk not to me of Summer Trees  
The foliage of the mind  
A Tabernacle is for Birds  
Of no corporeal kind

And winds do go that way at noon  
To their Ethereal Homes  
Whose Bugles call the least of us  
To undepicted Realms

121.

**ოდეს იყენებს ფერთა პალიტრებს (1045)**

ოდეს იყენებს ფერთა პალიტრებს,  
ბუნება ყვითელს იმეტებს მწელად,  
გადაუნახავს მზის დასალიერს,  
ცისფერს მოიხმარს დაუნანებლად.

წითლის ფლანგვაში წააგავს დიაცს,  
ყვითელს შეურევს მისი მარჯვენა  
ისეთ სიძუნწით, შერჩევით, ვითარც  
მიჯნურს სიტყვები დაეხარჯება.

**Nature rarer uses yellow (1045)**

Nature rarer uses yellow  
Than another hue;  
Saves she all of that for sunsets, -  
Prodigal of blue,

Spending scarlet like a woman,  
Yellow she affords  
Only scantily and selectly  
Like a lover's words.

122.

**მომაკვდავს უნდა ნამდვილად (1026)**

მომაკვდავს უნდა ნამდვილად  
ცოტა რამ: - ჭიქა წყალი,  
ხედავდეს ახლოს ყვავილსაც,  
რომ გაუმტეროს თვალი,

ნიავი, სულის მხნეობა,  
იმის ურყევი მრწამსი -  
გაუფერმკრთალებს მეგობარს  
ცისარტყლის ფერებს წასვლით.

**The Dying needs but little, Dear (1026)**

The Dying needs but little, Dear,  
A Glass of Water's all,  
A Flower's unobtrusive Face  
To punctuate the Wall,

A Fan, perhaps, a Friend's Regret  
And Certainty that one  
No color in the Rainbow  
Perceive, when you are gone.

123.

**კამათი ატყდა მზეს და ნისლს შორის (1190)**

კამათი ატყდა მზეს და ნისლს შორის -  
დღის წინამძღვრობის ვინ იყო ღირსი,  
მზემ მოიქნია ყვითელი შოლტი  
და გაიფანტა უკვალოდ ნისლი.

**The Sun and Fog contested (1190)**

The Sun and Fog contested  
The Government of Day –  
The Sun took down his Yellow Whip  
And drove the Fog away –

124.

**მეფოკუსის ქვეყანა მისი ქუდი (330)**

მეფოკუსის ქვეყანა მისი ქუდი,  
ხოლო ფუტკრის - კურდღლისცოცხას სანდო ბურდი!

**The Juggler's Hat her Country is (330)**

The Juggler's Hat her Country is —  
The Mountain Gorse — the Bee's!

125.

**დახეთ მცირე შხამს, ყოველთა (1438)**

დახეთ მცირე შხამს, ყოველთა  
არსთა ჯილდოს და შესაქცევს,  
მარტივსაც, შეუცნობელსაც -  
სიყვარული რომ შეარქევს!

მისი არქონით დარდობენ,  
აქვთ და - სჭირდებათ წამალი,  
სასუფეველში მარტოდენ  
თუ ეპოვება ბადალი!

**Behold this little Bane (1438)**

Behold this little Bane -  
The Boon of all alive -  
As common as it is unknown  
The name of it is Love –

To lack of it is Woe -  
To own of it is Wound -  
Not elsewhere - if in Paradise  
Its Tantamount be found –



126.

**გაზაფხული დადგა ქვეყნად (1042)**

გაზაფხული დადგა ქვეყნად,  
ვუცქერ აპრილის სიმდიდრეს -  
მაგრამ ჩავთვლი მოსაწყენად  
უმენობით ფერმკრთალ მინდვრებს...  
უფუტკრებოდ ვით ყვავილებს,  
ვერაფერი ახალისებთ,  
მოსმენენ ბზუკუნს ვიდრე.

**Spring comes on the World (1042)**

Spring comes on the World –  
I sight the Aprils –  
Hueless to me until thou come  
As, till the Bee  
Blossoms stand negative,  
Touched to Conditions  
By a Hum.

127.

**ლოცვა დამრჩა ჭირს გავუძლო (502)**

ლოცვა დამრჩა ჭირს გავუძლო,  
ვერ მოვაგნე როცა აზრით,  
ო, იესო, შენს საუფლოს,  
ვსინჯე თითქმის ყველა კარი.

თუ მიწისძვრამ საზარელმა  
დაგვცა, რასაც შენ ქმნი მძლავრი...  
წოდებულო ნაზარეველად,  
ქრისტევ, მიხსნი შენი მკლავით?

**At least — to pray — is left — is left (502)**

At least — to pray — is left — is left —  
Oh Jesus — in the Air —  
I know not which thy chamber is —  
I'm knocking — everywhere —

Thou settest Earthquake in the South —  
And Maelstrom, in the Sea —  
Say, Jesus Christ of Nazareth —  
Hast thou no Arm for Me?

128.

**წარუვალობა ნუთუ შხამია (1728)**

წარუვალობა ნუთუ შხამია,  
ასე რომ თრგუნავს ზევრ ადამიანს?

**Is Immortality a bane (1728)**

Is Immortality a bane  
That men are so oppressed?

129.

**გატეხილ გულთან მისვლის პატივი (1704)**

გატეხილ გულთან მისვლის პატივი  
არვის ერგება წილად ნამდვილი,  
გარეშე მაღალ პრეროგატივის -  
თავადაც იყოს ტანჯვაგანცდილი.

**Unto a broken heart (1704)**

Unto a broken heart  
No other one may go  
Without the high prerogative  
Itself hath suffered too.

130.

**საცოდავმა გულმა, გაგლეჯილმა გულმა (78)**

საცოდავმა გულმა, გაგლეჯილმა გულმა -  
მისავათებულმა, შეანელა ძგერა,  
ველარ შეამჩნია, რომ დღემ მიწურულმა  
დასავლეთი ვერცხლით როგორ შეაფერა.  
ვერც ის შეამჩნია, ვით ჩამოწვა ღამე,  
როგორ აკაშკაშდა ვარსკვლავების ხომლი,  
რადგან მიაშტერდა ამოუცნობ განედს  
და აღივსო გული უცნაური თრთოლვით.

ანგელოზთა გუნდმა - ჩაფრენილმა იქით  
დამტვერილი გული შეამჩნია ბედად  
და მოსწყვიტა ჯაფას, აღამაღლა ციმციმ,  
ზეცად აღიტაცა ღმერთთან შესახვედრად -  
სადაც ხამლს იშოვის მუდამ ფეხშიშველიც,  
სადაც ვერ შეიგრძნობთ მოთარეშე ქარებს,  
ცისფერ სავანისკენ - საითკენაც ხელი  
წარუძღვება ზღვაში გზააზნეულ აფრებს.

**A poor – torn heart – a tattered heart (78)**

A poor – torn heart – a tattered heart –  
That sat it down to rest –  
Nor noticed that the Ebbing Day  
Flowed silver to the West –  
Nor noticed Night did soft descend –  
Nor Constellation burn –  
Intent upon the vision  
Of latitudes unknown.

The angels – happening that way  
This dusty heart espied –  
Tenderly took it up from toil  
And carried it to God –  
There – sandals for the Barefoot –  
There – gathered from the gales –  
Do the blue havens by the hand  
Lead the wandering Sails.

131.

**ჩამოტარებულ კერძს ჰგავს დიდება (1659)**

ჩამოტარებულ კერძს ჰგავს დიდება -  
რომ მოგართმევენ სუფრაზე სტუმარს,  
მეორედ ველარ გაისინჯება,  
გადაღებაზე თუ იტყვი უარს.

ექვით შესცქერენ ამ კერძს ყვავები  
და დაგვჩხავიან დამცინავ ხმებით,  
უჯობთ ხორბალი მინდვრის ყანების -  
რათა კაცთაებრ არ მოკვდნენ ხმევით.

**Fame is a fickle food (1659)**

Fame is a fickle food  
Upon a shifting plate  
Whose table once a  
Guest but not  
The second time is set.

Whose crumbs the crows inspect  
And with ironic caw  
Flap past it to the  
Farmer's Corn —  
Men eat of it and die.

132.

**ექსპერიმენტი ბოლოს თან გვახლავს (1770)**

ექსპერიმენტი ბოლოს თან გვახლავს -  
ავანჩავანი ჩვენი მახვილი  
და დავრწმუნდებით ცდების თანახმად  
აქსიომები თუა ნამდვილი.

**Experiment escorts us last (1770)**

Experiment escorts us last —  
His pungent company  
Will not allow an Axiom  
An Opportunity.

133.

**ასეთები რომ წავიდნენ ჩვენგან (1030)**

ასეთები რომ წავიდნენ ჩვენგან,  
გარდაცვალება გვიადვილდება,  
ასეთები რომ ცხოვრობდნენ ქვეყნად,  
მოწმობს - მარადი სინამდვილეა!

**That Such have died enable Us (1030)**

That Such have died enable Us  
The tranquiller to die —  
That Such have lived,  
Certificate for Immortality.

134.

**იდუმალეზის ფართო ქუჩები (1159)**

იდუმალეზის ფართო ქუჩები  
უერთდებოდა პაუზის კვარტლებს,  
წარხოცილიყო განაყოფები  
სამყარო, დავა, სჯული, სიახლე.

საათი იყო მაცნე თენების,  
მწუხრს გვაუწყებდა დარეკვა ზარის,  
გამქრალი დროის მონაკვეთების  
გამო სხვა ათვლამ დაკარგა აზრი.

**Great Streets of silence led away (1159)**

Great Streets of silence led away  
To Neighborhoods of Pause —  
Here was no Notice — no Dissent  
No Universe — no laws —

By Clocks, 'twas Morning, and for Night  
The Bells at Distance called —  
But Epoch had no basis here  
For Period exhaled.



135.

**შუადღის ალხში ორმა პეპელამ<sup>11</sup> (533)**

შუადღის ალხში ორმა პეპელამ  
გომურის ზემოთ იცეკვა ვალსი  
და შეეშველა შესასვენებლად  
ცაში მზის სხივი არაქათგაცლილთ;

შემდეგ ცდილობდნენ ნანდაურები  
ზღვის გადალახვით ახდენას ნატვრის,  
თუმც არ სმენიათ ნავსადგურებში,  
თუ მიაღწიეს მეორე ნაპირს;

ხომ არ წააწყდნენ შორეულ ფრინველს,  
სავაჭრო გემს, ან მედიდურ ფრეგატს,  
არ შევხვედრივარ ჯერაც თვითმხილველს  
თუ ვით დასრულდა პეპლების ფრენა.

**Two butterflies went out at Noon (533)**

Two butterflies went out at Noon –  
And waltzed upon a Farm –  
Then stepped straight through the Firmament  
And rested, on a Beam –

And then – together bore away  
Upon a shining Sea –  
Though never yet, in any Port –  
Their coming, mentioned – be –

If spoken by the distant Bird –  
If met in Ether Sea  
By Frigate, or by Merchantman –  
No notice – was – to me –

---

11 კრიტიკოსების აზრით ეს ლექსი კავშირშია უილიამ შექსპირის ჰამლეტის მონოლოგის ფრაზასთან: "Undiscovered country from whose bourn No traveler returns". „იქ იმ ბნელსა და უცნობ მხარეს, სადით არც ერთი მგზავრი უკან აღარ ბრუნდება“ (ჰამლეტის მონოლოგი, მთარგმნელი ივანე მაჩაბელი).

136.

**ვიკითხე, თუ რად რეკავდნენ ზარებს (947)**

ვიკითხე, თუ რად რეკავდნენ ზარებს,  
„სასუფეველში წავიდა სული“, -  
გამეპასუხა ვიღაც მწუხარედ -  
ნუთუ ზეცაა ციხის ჯურღმული?

თუ მოიხილა სულმა სამშობლო,  
თუკი სილადით აიჭრა ცაში,  
უპრიანია სამახარობლო  
ზარებს რეკავდნენ ნუგეშად მაშინ!

**Of Tolling Bell I ask the cause (947)**

Of Tolling Bell I ask the cause?  
“A Soul has gone to Heaven”  
I’m answered in a lonesome tone —  
Is Heaven then a Prison?

That Bells should ring till all should know  
A Soul had gone to Heaven  
Would seem to me the more the way  
A Good News should be given.

137.

**მარგალიტები ნაკლებ მადარდებს (466)**

მარგალიტები ნაკლებ მადარდებს,  
რადგან ვარ ვრცელი ზღვების პატრონი,  
ან გულქანდები - ციურ ბადახშებს  
გულუხვად მიძღვნის იმპერატორი;

არც ოქროს ველტვი - მადარდების  
პრინცად წოდებულს, არც მათ ჯავარებს,  
უარმყოფელი ამაოების  
გვირგვინად მარად ცის თაღს ვატარებ.

**‘Tis little I — could care for Pearls (466)**

‘Tis little I — could care for Pearls —  
Who own the ample sea —  
Or Brooches — when the Emperor —  
With Rubies — pelteth me —

Or Gold — who am the Prince of Mines —  
Or Diamonds — when have I  
A Diadem to fit a Dome —  
Continual upon me —

138.

**ვიყავი მხოლოდ პაწია გრატა (1009)**

ვიყავი მხოლოდ პაწია გრატა,  
მესმოდა ჩიტთა გადაძახილი,  
პატარა ნოტებს, გაგონილ რატრატს,  
მე მივუჩინე მათი ადგილი.

არვინ მეღტვოდა სულ დაბლა მცხოვრებს,  
მეტისმეტად მორცხვს არც მამაგებდნენ,  
ოდნავ შესამჩნევ ანაბეჭდს ტოვებს  
გრატა დიდების ფიცარნაგებზე.

**I was a Phoebe — nothing more (1009)**

I was a Phoebe — nothing more —  
A Phoebe — nothing less —  
The little note that others dropt  
I fitted into place —

I dwelt too low that any seek —  
Too shy, that any blame —  
A Phoebe makes a little print  
Upon the Floors of Fame —

139.

**ზეაიჭრება ვით ჰაერბურთი (1630)**

ზეაიჭრება ვით ჰაერბურთი -  
ისწრაფვის მთები გადაიაროს,  
გასცილდეს არეს ღრუბლით შებურვილს  
და მიატანოს მის საირაოს.

ასევე სულიც - გაყრილი ცხედარს,  
უწინდელ საკანს დასცქერს იმ იშტით,  
ათვალწუნებით როგორც შეხედავს  
მისი სიმღერის ამკრძალავს ჩიტი.

**As from the earth the light Balloon (1630)**

As from the earth the light Balloon  
Asks nothing but release —  
Ascension that for which it was,  
Its soaring Residence.

The spirit looks upon the Dust  
That fastened it so long  
With indignation, as a Bird  
Defrauded of its song.

140.

**გამოერევა დღე მოსაფონიც (1157)**

გამოერევა დღე მოსაფონიც  
და სამწუხაროც - დღეების ნაკრებს,  
დღე, როცა შენთან მოვა ამფსონი,  
ან - როცა სულეთს შეუღებს კარებს.

**Some Days retired from the rest (1157)**

Some Days retired from the rest  
In soft distinction lie  
The Day that a Companion came  
Or was obliged to die

141.

**სადაც ფრინველი უსაფრთხოდ დაქრის (1758)**

სადაც ფრინველი უსაფრთხოდ დაქრის,  
უზრუნვლად ბზუის ფუტკარი ცელქი,  
განხვნა თუ გინდა იქაურ კარის -  
გარმიანელო, შეიშრე ცრემლი!

**Where every bird is bold to go (1758)**

Where every bird is bold to go  
And bees abashless play,  
The foreigner before he knocks  
Must thrust the tears away.

142.

**აჩახახებდა გზასა და მალნარს (1450)**

აჩახახებდა გზასა და მალნარს  
ვარსკვლავის კრთომა, არილი მთვარის,  
შორი კიაფით შევნიშნე აღმართს  
რომ შესდგომოდა მწვერვალზე მგზავრი.

აუყვებოდა ჯადოსნურ ზღაპრის  
ფრიალო კლდეთა ბილიკებს ციმციმ,  
არ ჩანდა წვერის კამკამა ზღვარი,  
თუმც განაგრძობდა აჩრდილი ციმციმს.

**The road was lit with Moon and star (1450)**

The Road was lit with Moon and star —  
The Trees were bright and still —  
Descried I — by the distant Light  
A Traveller on a Hill —

To magic Perpendiculars  
Ascending, though Terrene —  
Unknown his shimmering ultimate —  
But he indorsed the sheen —

143.

**ყვავილის ყიდვა გნებავდათ ეხლავ? (134)**

ყვავილის ყიდვა გნებავდათ ეხლავ?  
ვერ შეველევი თვით მამასისხლად!  
თუმცა შეგემლოთ წაგელოთ სესხად,  
ვიდრე გადაშლის ნარცისი სისხამს

ყვითელ ყვავილედს, მისი მუმტარი  
სანამ ბაღში არ შეისეირნებს -  
გაბრუებული ნექტრით ფუტკარი  
და არ დაწურავს ხერესს, რეინვერნს;

მხოლოდ იმ დრომდე გასესხებთ, მაგრამ,  
უფრო მეტ ხანს კი - არამც და არამც!

**Perhaps you'd like to buy a flower (134)**

Perhaps you'd like to buy a flower ?  
But I could never sell.  
If you would like to borrow  
Until the daffodil

Unties her yellow bonnet  
Beneath the village door,  
Until the bees, from clover rows  
Their hock and sherry draw,

Why, I will lend until just then,  
But not an hour more!



144.

**ვიცი, რომ ზეცას, ვითარცა კარავს (243)**

ვიცი, რომ ზეცას, ვითარცა კარავს  
აუკეცავენ მის მზრწყინავ კალთებს,  
ამოუძრობენ საყრდენებს წყნარად,  
ციმციმ შეხსნიან დამჭიმავ ხლართებს,  
გარეშე ლურსმნის ღრჭიალის, ანდა,  
გარჯილი დურგლის, შედებენ დროგზე,  
ჩამოსცილდება ელვარე ქანდა,  
სანახაობა შეწყდება დროზე,

ისე, რომ აღარ დარჩება კვალი  
ზეიმის, რაიც თვალს გვჭრიდა გუშინ,  
აღარც არენის შეგვრჩება რკალი,  
კაცის ჯილაგიც გაქრება წუთში  
უნატამალოდ, ვით ჩიტი ცაში  
გადაფრენისას არ ტოვებს ნასახს,  
მხიარულებაც წარხდება მამინ  
ნიჩბით წარმოქმნილ შეხეების მსგავსად.

**I've known a Heaven, like a Tent (243)**

I've known a Heaven, like a Tent —  
To wrap its shining Yards —  
Pluck up its stakes, and disappear —  
Without the sound of Boards  
Or Rip of Nail — Or Carpenter —  
But just the miles of Stare —  
That signalize a Show's Retreat —  
In North America —

No Trace — no Figment of the Thing  
That dazzled, Yesterday,  
No Ring — no Marvel —  
Men, and Feats —  
Dissolved as utterly —  
As Bird's far Navigation  
Discloses just a Hue —  
A plash of Oars, a Gaiety —  
Then swallowed up, of View.

145.

**სანამ ყინული დაფარავს ტბორებს (37)**

სანამ ყინული დაფარავს ტბორებს  
და ისრიალებს მოციგურავე,  
თოვლი ფერწასულ დაწვს უამბორებს,  
ველნი თეთრ ზეწრებს მოიხურავენ,

გაშიშვლდებიან სანამ მინდვრები,  
შობის ნაძვის ხეს ვიდრე მორთავენ,  
საკვირველება დანამდვილებით  
ბევრჯერ გახდება ჩემი მოთავე!

რასაც ვეხებით კაბის კალთებით,  
როდესაც დღეა ცხელი ზაფხულის  
და თუკი მისკენ მივემართებით  
უნდა გადავჭრათ ხიდი გაბმული,

სადაც ის მღერის, ასე ხმიანობს  
მარტოდმარტო და ქების ღირსია -  
შევძლებ, იმ კაბით ისევ ვიარო,  
რომლით შემოსილს ცრემლი მიღვრია?

**Before the ice is in the pools (37)**

Before the ice is in the pools—  
Before the skaters go,  
Or any check at nightfall  
Is tarnished by the snow—

Before the fields have finished,  
Before the Christmas tree,  
Wonder upon wonder  
Will arrive to me!

What we touch the hems of  
On a summer's day—  
What is only walking  
Just a bridge away—

That which sings so—speaks so—  
When there's no one here—  
Will the frock I wept in  
Answer me to wear?

146.

**ნაკლებ აღელვებს ფუტკარს (1627)**

ნაკლებ აღელვებს ფუტკარს  
წარმომავლობა თაფლის,  
როცა სამყურას სრუტავს -  
არისტოკრატად ჩათვლის.

**The pedigree of Honey (1627)**

The pedigree of Honey  
Does not concern the bee ;  
A clover, any time, to him  
Is aristocracy.

147.

**რომ არ გვეგონოს ზეცა ნამდვილი (1043)**

რომ არ გვეგონოს ზეცა ნამდვილი  
აქ - დაბრკოლება მცველად მოგვეცა,  
შემხსენებელი, თუ რა მანძილით  
დავცილებივართ ჭემმარიტ ზეცას.

**Lest this be Heaven indeed (1043)**

Lest this be Heaven indeed  
An Obstacle is given  
That always gauges a Degree  
Between Ourselves and Heaven.

148.

**ციცქნა გზას, შექმნილს ღვთიური ხელით (647)**

ციცქნა გზას, შექმნილს ღვთიური ხელით,  
რომელიც ძლივს ჩანს უბრალო თვალით,  
ფუტკარი გადის ყოველდღე ხელნით,  
პეპელა - ჭაპნის მზიდი ორთვალით.

სცდება თუ არა ქალაქის საზღვრებს,  
დანამდვილებით ამას ვერ გეტყვით,  
ვწუხვარ, ვერასდროს ვერ გამამგზავრებს  
ამ პატარა გზით რაიმე ეტლი.

**A little Road — not made of Man (647)**

A little Road — not made of Man  
Enabled of the eye,  
Accessible to thill of bee,  
Or cart of butterfly.

If town it have, beyond itself,  
‘T is that I cannot say ;  
I only sigh,—no vehicle  
Bears me along that way.

149.

**და თუ არ შემრჩა ძალ-ღონე მოცდის! (277)**

და თუ არ შემრჩა ძალ-ღონე მოცდის!  
თუკი შევხსენი კარიბჭე ხორცის  
და გამოქცევა შევძელი შენთან!  
თუ მოკვდავებას, მხოლოდ და მხოლოდ  
ტკივილის მომგვრელს - მოვუღე ბოლო  
და მოვახერხე, თავი რომ მეხსნა!

ვერ დამაბრკოლებს ვერვინ მუდართით,  
ლულის მოშვერით, ციხის მუქართით,  
არაფერს ნიშნავს რადგანაც გულში  
აწი - წარსული ღიბინი სავსებით,  
მოხეტიალე ცირკი, თასმები,  
ან შეწყვეტილი სიცოცხლე გუშინ!

**What if I say I shall not wait! (277)**

What if I say I shall not wait!  
What if I burst the fleshly Gate —  
And pass escaped — to thee!  
What if I file this Mortal — off —  
See where it hurt me — That's enough —  
And wade in Liberty!

They cannot take me — any more!  
Dungeons can call — and Guns implore  
Unmeaning — now — to me —  
As laughter — was — an hour ago —  
Or Laces — or a Travelling Show —  
Or who died — yesterday!

150.

**ნუთუ ზეცაა თაბიბი (1270)**

ნუთუ ზეცაა თაბიბი,  
მკურნალი ყველა არსისა? -  
სიკვდილშემდგომი აბები  
ვერ ჩაითვლება ვარგისად!

და თუ ზეცაა ხაზინა,  
ხარკის ამკრეფი სალარო? -  
მისი ზინათის სამზირლად  
არ დავუჯდები სავაჭროდ!

**Is Heaven a Physician? (1270)**

Is Heaven a Physician?  
They say that He can heal —  
But Medicine Posthumous  
Is unavailable —

Is Heaven an Exchequer?  
They speak of what we owe —  
But that negotiation  
I'm not a Party to —

151.

**სექტემბრის ბაკალავრიატს (1271)**

სექტემბრის ბაკალავრიატს  
ქმნის ყვანჩალების ყრანტალი,  
ჭრიჭინობელთა არმია,  
რეტროსპექტივა, ჭარტალი

ავქარის - სიტყვის გადაკვრით,  
მინიშნებების ლოგოსით,  
გული ხალისის დაკარგვით  
გახდება ფილოსოფოსი.

**September's Bacculaureate (1271)**

September's Bacculaureate  
A combination is  
Of Crickets — Crows — and Retrospects  
And a dissembling Breeze

That hints without assuming —  
An Innuendo sear  
That makes the Heart put up its Fun  
And turn Philosopher.



152.

**პირველად საქმე მიმართავს ზრახვას (1216)**

პირველად საქმე მიმართავს ზრახვას,  
შემდეგ მოუხმობს ნებას მეგობრად,  
ისიც საქმისთვის ბევრ რამეს ჩარხავს,  
სიამოვნებით როცა ენდობა -

ქმედებად აქცევს; ხან უარს უთვლის,  
ჩანასახშივე აშთობს - შექმნამდის  
ისე უჩუმრად, რომ მხოლოდ უფლის  
ყურისთვის არის კვდომა სმენადი.

**A Deed knocks first at Thought (1216)**

A Deed knocks first at Thought  
And then — it knocks at Will —  
That is the manufacturing spot  
And Will at Home and well

It then goes out an Act  
Or is entombed so still  
That only to the ear of God  
Its Doom is audible —

153.

**თანმიმდევრობით ასე ჩამოვთვლი (569)**

თანმიმდევრობით ასე ჩამოვთვლი:  
პოეტი, მზე და ზაფხული, ღმერთის  
სასუფეველი - არე სამოთხის,  
ამ სიას ამით დავუსვამ წერტილს.

ხელეწიფება ჩასწვდეს რაობას  
პირველს იმ სამის, ხოლო სამთავე,  
არის მარტოდენ სანახაობა,  
პოეტით ვიწყებ და დავამთავრებ!

მთელ წელს გრძელდება მისი ზაფხული,  
ცაა ნათლისგან განუღვეველი,  
აღმოსავლეთი - მუდამ ზღაპრული  
და თუ აღთქმული სასუფეველი

ტკბობას უქადის სუყველა მათგანს,  
ვინც სამოთხისთვის იღწვის მგზნებარი,  
ძნელად მიიღებ ღვთიურ მადლს, რათა  
ახდეს მვირფასი ნაოცნებარი.

**I reckon – when I count at all (569)**

I reckon — when I count at all —  
First — Poets — Then the Sun —  
Then Summer — Then the Heaven of God —  
And then — the List is done —

But, looking back — the First so seems  
To Comprehend the Whole —  
The Others look a needless Show —  
So I write — Poets — All —

Their Summer — lasts a Solid Year —  
They can afford a Sun  
The East — would deem extravagant —  
And if the Further Heaven —

Be Beautiful as they prepare  
For Those who worship Them —  
It is too difficult a Grace —  
To justify the Dream —

154.

**ჩემი ყველა იმედიდან მარტო (913)**

ჩემი ყველა იმედიდან მარტო  
შენ განქარდი დუმილით და წყნარად  
ათასფერა, ტურფა დილის ვარდო,  
გამიხში და ვერ ვერევი ვარამს.

არვის ახსოვს მსგავსი სიხარულით  
მოსწყვეტოდეს თავის ღეროს კვირტი,  
არც დაუხრავს ასეთ სიქადულით  
მატლს ესოდენ გულმამაცი ძირი!

**And this of all my Hopes (913)**

And this of all my Hopes  
This, is the silent end  
Bountiful colored, my Morning rose  
Early and sere, its end

Never Bud from a Stem  
Stepped with so gay a Foot  
Never a Worm so confident  
Bored at so brave a Root

155.

**ერთი სიცოცხლე ფასობს იმდენად! (270)**

ერთი სიცოცხლე ფასობს იმდენად,  
მისთვის წამითაც არ დავფიქრდები,  
გავიღო სულის ავლადიდება  
შეუწყვეტელი ჯამაგირებით!

ისე ბევრს ნიშნავს ერთი ჯავარი,  
ზღვაში ჩავყვინთავ დაუხანებლად,  
თუნდაც ითხოვდეს ნაამაგარი  
ჩემგან სიცოცხლეს დაუნანებლად!

განმით სავსეა ზღვის საწყაული,  
თუმც ჩემი მანგი შეუბღალავი,  
არ გამკრთალდება თავსამკაულში  
ამით, იბრწყინებს როგორც ვარსკვლავი!

უმრავლებია კაცი ჭეშმარიტს;  
თუმც სიმრავლეში მისი მონასპის,  
გამოირჩევა მტვრიან თემშარის  
ბოლოში ბრბოსგან მაინც მონარქი!

**One Life of so much Consequence! (270)**

One Life of so much Consequence!  
Yet I – for it – would pay –  
My Soul's entire income –  
In ceaseless – salary –

One Pearl – to me – so signal –  
That I would instant dive –  
Although – I knew – to take it –  
Would cost me – just a life!

The Sea is full – I know it!  
That – does not blur my Gem!  
It burns – distinct from all the row –  
Intact – in Diadem!

The life is thick – I know it!  
Yet – not so dense a crowd –  
But Monarchs – are perceptible –  
Far down the dustiest Road!

156.

**გინდ მოვკვდე, ჩემთვის აწ სულერთია (1632)**

გინდ მოვკვდე, ჩემთვის აწ სულერთია,  
მხოლოდ იმიტომ ვუფრთხოდი სიკვდილს,  
შენი თავი რომ არ წაერთმია;  
რა ოხრად მინდა სიცოცხლემიხდილს

კუთვნილ სამარხში ხროტინით სულთქმა  
და მისი სივრცის გაზომვა თვალით,  
მთელ ჯოჯოხეთს რომ დაიტევს სრულად  
და მას, რაც ერთ დროს იყო ცარგვალი.

**So give me back to Death (1632)**

So give me back to Death —  
The Death I never feared  
Except that it deprived of thee —  
And now, by Life deprived,

In my own Grave I breathe  
And estimate its size —  
Its size is all that Hell can guess —  
And all that Heaven was —

157.

**ცას დამჩნეული ცისარტყლის რკალი (97)**

ცას დამჩნეული ცისარტყლის რკალი,  
არ მოასწავებს შტორმსა და სეტყვას,  
აქვს დარწმუნების თუმცაღა ძალი  
ფილოსოფიურ კამათზე მეტად.

არ გამოდიან ფორუმზე სიტყვით,  
მაგრამ ყვავილებს კატონზე უკეთ,  
ძალუძთ მიმტკიცონ გაქუცულ მიტრით,  
რომ ფრინველები გაფრინდნენ უკვე!

**The rainbow never tells me (97)**

The rainbow never tells me  
That gust and storm are by,  
Yet is she more convincing  
Than Philosophy.

My flowers turn from Forums —  
Yet eloquent declare  
What Cato couldn't prove me  
Except the birds were here!



158.

**თუ დაიღუპა, უეჭველად ფეხზეა მდგომი<sup>12</sup> (358)**

თუ დაიღუპა, უეჭველად ფეხზეა მდგომი,  
თქვენებრ დაეცა და შეიცნო, რომ აღდგა ახლად,  
ნამდვილად აღდგა, განა მხოლოდ გონების წვდომით,  
არაქათგაცლილს შეემატა ხელახლა ძალა.

შეამსუბუქებს სულ ერთ წამში სატანჯველს შვება,  
ტყვიის ზუზუნნი მოხვედრამდე თუა მზარავი,  
მოხვედრის მერე მდუმარება ჩამოეშვება,  
კვდომით წაართმევ მოკვლის ძალას სიკვდილს მარადის.

**If any sink, assure that this, now standing (358)**

If any sink, assure that this, now standing –  
Failed like Themselves – and conscious that it rose –  
Grew by the Fact, and not the Understanding  
How Weakness passed – or Force – arose –

Tell that the Worst, is easy in a Moment –  
Dread, but the Whizzing, before the Ball –  
When the Ball enters, enters Silence –  
Dying – annuls the power to kill.

---

<sup>12</sup> ლექსი ეძღვნება ამერიკის სამოქალაქო ომში დაღუპულებს.

159.

**ჩემთან მოლხენამ ვერ იხეირა (1057)**

ჩემთან მოლხენამ ვერ იხეირა,  
არ შევხაროდი არასდიდებით,  
ვიდრე არ ვიგრძნე, უცებ შეირხა  
და იზრდებოდა, როცა მივდეკდი,

სანამ არ მისწვდა ცის დასალიერს  
და მიიმალა მიღმა სერების,  
როდესაც გასცდა ჩემს თვალსაწიერს,  
ფასი გავიგე ბედნიერების.

**I had a daily Bliss (1057)**

I had a daily Bliss  
I half indifferent viewed  
Till sudden I perceived it stir –  
It grew as I pursued

Till when around a Height  
It wasted from my sight  
Increased beyond my utmost scope  
I learned to estimate.

160.

**სირცხვილია ვარდისფერი შალი (1412)**

სირცხვილია ვარდისფერი შალი,  
რომელშიაც სულს გავახვევთ, ვიდრე  
შემჩნევდეს უკეთური თვალი -  
სიმორცხვეა ბუნებრივი რიდე,

რასაც გვიგდებს უმწეო ბუნება,  
საწუთროს იმ სცენას განარიდი,  
მის სიწმინდეს რომ ვერ ეგუება -  
ღვთაებრივი ელფერია რიდი.

**Shame is the shawl of Pink (1412)**

Shame is the shawl of Pink  
In which we wrap the Soul  
To keep it from infesting Eyes —  
The elemental Veil

Which helpless Nature drops  
When pushed upon a scene  
Repugnant to her probity —  
Shame is the tint divine.

161.

**სხვა სიმარტოვის არსებობს გრძნობა (1116)**

სხვა სიმარტოვის არსებობს გრძნობა,  
მის განუცდელად მოკვდება ბევრი  
და არ წარმოშობს უმეგობრობა,  
არც ვითარება ბედით წილხვედრი,

ბუნება ზოგჯერ ფიქრობს და ზვერავს  
და ვისაც კალთას აბერტყავს ფიცხი,  
წარმატება სიმდიდრით ბევრად  
განძს, გამოსახულს ქვეყნიურ რიცხვით.

**There is another Loneliness (1116)**

There is another Loneliness  
That many die without —  
Not want of friend occasions it  
Or circumstances of Lot

But nature, sometimes, sometimes thought  
And whoso it befall  
Is richer than could be revealed  
By mortal numeral —

162.

**შარბათია მათრობელა (1470)**

შარბათია მათრობელა  
ნაპარავი ოდენ ქურდის,  
თანაუგრძნობს სათნოებას  
ღვთაებრივი გლოვით მუდმივ.

**The Sweets of Pillage, can be known (1470)**

The Sweets of Pillage, can be known  
To no one but the Thief —  
Compassion for Integrity  
Is his divinest Grief —

163.

**ყვავის და ჭკნება მშვენიერება (1578)**

ყვავის და ჭკნება მშვენიერება,  
ერთი დღე მეფობს მხოლოდ ნამცხვარი,  
თუმც ჰანგის მსგავსად - მესხიერებას  
ვერ გაახუნებს ჟამის ლახვარი.

**Blossoms will run away (1578)**

Blossoms will run away,  
Cakes reign but a Day,  
But Memory like Melody  
Is pink Eternally.

164.

**ო, მომავალო, უცნობ წილისყრით (1631)**

ო, მომავალო, უცნობ წილისყრით  
სიმშვიდე გველის, ან მწარე ხვედრი,  
არ მეგულება მადლის ბილიკი,  
რომ აგიქციოს ვიღაცამ გვერდი!

ქვეყნად არც ბრძენი და არც აფრაკი  
არ ფლობს იმგვარი გზის ჭვრეტის უნარს -  
წაგართვას შენი წმინდა ზვარაკი  
და აარიდოს საზოროველ ბუნაგს.

**Oh Future! thou secreted peace (1631)**

Oh Future! thou secreted peace  
Or subterranean woe —  
Is there no wandering route of grace  
That leads away from thee —

No circuit sage of all the course  
Descried by cunning Men  
To balk thee of thy sacred Prey —  
Advancing to thy Den —

165.

**გამიადვილებს სიმღერა ლოდინს (850)**

გამიადვილებს სიმღერა ლოდინს,  
ჩემ უნებურად ქუდს ვიკრავ თასმით,  
მერე კარებსაც ჩავრახავ ოდის  
და თადარიგიც მთავრდება ამით,

მკაფიოდ მოდის ნაბიჯთა ჩქამი  
და მომდევნო დღეს ვსეირნობთ მწუხრში,  
ერთურთს ვუყვებით, დღისით თუ ღამით,  
ვით ვიქარვებდით სიმღერით წუხილს.

**I sing to use the Waiting (850)**

I sing to use the Waiting  
My Bonnet but to tie  
And shut the Door unto my House  
No more to do have I

Till His best step approaching  
We journey to the Day  
And tell each other how We sung  
To Keep the Dark away.

166.

**გამოუტანე სიყვარულს მსჯავრი (394)**

გამოუტანე სიყვარულს მსჯავრი,  
გემუდარები, დასაჯე მკაცრად,  
ის შენ გამოა, იცოდე, მკვდარი,  
თავი გაწირა შენთვის ჩემ ნაცვლად,

ყველაზე მეტად რადგან უყვარდი!  
უნდა განსაჯო, შეხედო ცერად,  
თუმც პატიების შეგრჩეს უნარი,  
იესოსავით ისიც ჯვარს ეცვა!

არ შეაცდინო მართლმსაჯულება,  
ორივე ვგავდით და თუ გაქვს ხათრი,  
გამოიტანე განკარგულება  
და სიყვარული განგმირე ლახვრით!

**‘Twas Love – not me (394)**

‘Twas Love – not me –  
Oh punish – pray –  
The Real one died for Thee –  
Just Him – not me –

Such Guilt – to love Thee – most!  
Doom it beyond the Rest –  
Forgive it – last –  
‘Twas base as Jesus – most!

Let Justice not mistake –  
We Two – looked so alike –  
Which was the Guilty Sake –  
‘Twas Love’s – Now Strike!



167.

**არსებობს დასრულებული გრძნობის (856)**

არსებობს დასრულებული გრძნობის  
განცდის ადგილი, სამაროვნები -  
მოცალობას მომავალ დროის  
შევეთვისებით განმარტოებით.

სიკვდილის გამოფენაზე წარმდგართ  
ჩამოგვართმევენ თავისუფლებას,  
ვინ ვართ გავიგებთ, მივხვდებით ნაღდად  
მარადისობის დანიშნულებას.

**There is a finished feeling (856)**

There is a finished feeling  
Experienced at Graves —  
A leisure of the Future —  
A Wilderness of Size.

By Death's bold Exhibition  
Preciser what we are  
And the Eternal function  
Enabled to infer.

168.

**არაფერია შენთვის სიკვდილი (1013)**

არაფერია შენთვის სიკვდილი -  
მოახერხებდა სადა ბერძენიც.  
ბევრად ძნელია უფრო ჭიდილი  
აწ სიცოცხლესთან, თუმც ვარ შემძლები.

სიკვდილი არის თავსგადამხდარი  
უმნიშვნელო რამ, ხოლო სიცოცხლე -  
ბევრგზის სიკვდილი, ოღონდ წამხდარი  
მაინც ცოცხლობ და გულს ვერ იოხებ.

**Too scanty 'twas to die for you (1013)**

Too scanty 'twas to die for you,  
The merest Greek could that.  
The living, Sweet, is costlier —  
I offer even that —

The Dying, is a trifle, past,  
But living, this include  
The dying multifold — without  
The Respite to be dead.

169.

**სინანულია ახლად ამტყდარი... (744)**

სინანულია ახლად ამტყდარი,  
მიძინებული შეგრძნება ცოდვის,  
როცა ყოველი შენი ნაქნარი  
ხსოვნის კართან და სარკმელთან მოდის,

სულის პირისპირ წარდგება ნამყო,  
განათებული ასანთის ღვრით -  
ხელახლა განჩხრეკს ნაღვაწის ნაყოფს,  
რწმენას განივრცობს ცრემლების მღვრელი;

სინანულია უწამლო სენი,  
ღმერთიც ვერ კურნავს, დანაბადია  
ღმრთისგან - ის არის მისი დამდგენი  
და ჯოჯოხეთის თანაფარდია.

**Remorse — is Memory — awake (744)**

Remorse — is Memory — awake —  
Her Parties all astir —  
A Presence of Departed Acts —  
At window — and at Door —

It's Past — set down before the Soul  
And lighted with a Match —  
Perusal — to facilitate —  
And help Belief to stretch —

Remorse is cureless — the Disease  
Not even God — can heal —  
For 'tis His institution — and  
The Adequate of Hell —

170.

**ვითომ ნამდვილად იქნება „დილა“? (101)**

ვითომ ნამდვილად იქნება „დილა“?  
ან „დღის“ მაგვარი არის ცამრგვალში?  
შემეძლებოდა მთებიდან ხილვა,  
რომ ვყოფილიყავ მათებრ მაღალი?

ხომ არ ექნება ღერო ღუმფარის?  
შეიმოსება ჩიტის ნაკრტენით?  
განთქმულ ქვეყნიდან მოვა სტუმარი,  
მე რომ არა მაქვს ნახულ-ნასმენი?

მავან მეცნიერს, მავან მეზღვაურს,  
ცათა ბრძენთაბრძენთ შეგთხოვთ მიაგზოთ  
ცნობისმოყვარე ციციქნა მოგზაურს,  
სად მდებარეობს „დილის“ მიდამო!

**Will there really be a “Morning”? (101)**

Will there really be a “Morning”?  
Is there such a thing as “Day”?  
Could I see it from the mountains  
If I were as tall as they?

Has it feet like Water lilies?  
Has it feathers like a Bird?  
Is it brought from famous countries  
Of which I have never heard?

Oh some Scholar! Oh some Sailor!  
Oh some Wise Men from the skies!  
Please to tell a little Pilgrim  
Where the place called “Morning” lies!

171.

**გულადმა გაწვა ღრუბლების გროვა (1172)**

გულადმა გაწვა ღრუბლების გროვა  
და ჩრდილოეთმა მიილაღა ხელკვრით,  
აიძულებდა ქარი ტყეს როკვას,  
თაგვივით ხტოდა კლაკნილი ელვის;

მეხის გრუხუნი სდევდა სინათლეს,  
ო, რა კარგია სამარხში წოლა,  
სადაც ვერ გწვდება ავდრის სიანჩხლე  
და ვერც ჭურვები მოგგვრიან ძრწოლას.

[მეხის გრუხუნი სდევდა სინათლეს,<sup>13</sup>  
ო, რა კარგია სამარხში წოლა,  
სადაც ვერ გწვდება ავდრის სიანჩხლე  
და შურისგებაც ვერ მოგგვრის ძრწოლას.]

**The Clouds their Backs together laid (1172)**

The Clouds their Backs together laid  
The North begun to push  
The Forests galloped till they fell  
The Lightning played like mice.

The Thunder crumbled like a stuff  
How good to be in Tombs  
Where Nature's Temper cannot reach  
Nor missile ever comes.

---

13 შენიშვნა: ემილი დიკინსონის მანუსკრიპტში 2 ვარიანტია: missile და vengeance.  
მე-2 სტროფის მე-2 ვარიანტი vengeance-ის შემთხვევაში.

172.

**გაზაფხულის წყალდიდობა (1425)**

გაზაფხულის წყალდიდობა  
სულეებს ზრდის და მხრებში გაშლის,  
წალეკს სახლს უამინდობა,  
გარშემო ჩანს მხოლოდ წყალი,

სული შფოთავს, ეძებს ნაცნობ  
სანაპიროს გულისხეთქვით,  
ბოლოს მის ხვედრს აღარ ნანობს,  
აღარ ელტვის კუთვნილ ხერთვისს.

**The inundation of the Spring (1425)**

The inundation of the Spring  
Enlarges every soul —  
It sweeps the tenement away  
But leaves the Water whole —

In which the soul at first estranged —  
Seeks faintly for its shore  
But acclimated — pines no more  
For that Peninsula —

173.

**მხოლოდ ეს მნებავს, ამოვიოხრე (621)**

მხოლოდ ეს მნებავს, ამოვიოხრე,  
ყოველთვის მსურდა მისთვის მემზირა  
და შევთავაზე ნაცვლად სიცოცხლე,  
ჩაეეირქილა მორჭმულ ბეზირგანს.

ლილს აწვალეზდა, მკითხა - ედემი<sup>14</sup>?  
და მანუგეშა მოსაჩვენებლად -  
„მადამ, ხომ არ გსურთ სულ სხვა ხედები,  
ამჟამად ძალგვიძს რისი ჩვენებაც?“

**I asked no other thing (621)**

I asked no other thing –  
No other – was denied –  
I offered Being – for it –  
The Mighty Merchant sneered –

Brazil? He twirled a Button –  
Without a glance my way –  
“But – Madam – is there nothing else –  
That We can show – Today?”

---

14 ბრაზილიაში ნაგულისხმევი „ჰაი-ბრაზილი“, „კურთხეულთა კუნძული“, ანუ ედემი.

174.

**ოქროს ნიკაპს ჰგავდა მთვარე (737)**

ოქროს ნიკაპს ჰგავდა მთვარე  
ორიოდე ღამით ადრე,  
ახლა ბადრი, პირმცინარე,  
არემარეს სხივებს აფრქვევს,

შენის შუბლი სავსე ნათლით,  
ბივრილისგან თლილი ღაწვი,  
ზაფხულის ცვარს უგავს თვალი,  
მარგალიტად ციდან ნაწვიმს.

არ ხსნის როსმე ქარვის ბაგეს,  
თუმც ღიმილისმაგვარს მუდამ,  
მიუძღვნიდა ამხანაგებს,  
თუ მის ვერცხლის ნებას სურდა.

დიდი პატივია ზევით  
შორ ვარსკვლავად სიელვარეც,  
რადგან დაუწესდა გეზი,  
შენი ტახტის მიმდებარედ.

ცის მყარია მთვარის ქუდი,  
სამყაროა წულამესტი,  
ქამარია ვარსკვლავთ გუნდი,  
ფარდა ამკობს უღამესი.



**The Moon was but a Chin of Gold (737)**

The Moon was but a Chin of Gold  
A Night or two ago—  
And now she turns Her perfect Face  
Upon the World below—

Her Forehead is of Amplest Blonde—  
Her Cheek—a Beryl hewn—  
Her Eye unto the Summer Dew  
The likest I have known—

Her Lips of Amber never part—  
But what must be the smile  
Upon Her Friend she could confer  
Were such Her Silver Will—

And what a privilege to be  
But the remotest Star—  
For Certainty She take Her Way  
Beside Your Palace Door—

Her Bonnet is the Firmament—  
The Universe—Her Shoe—  
The Stars—the Trinkets at Her Belt—  
Her Dimities—of Blue—

175.

**მოკამკამე მთვარე, ზღვიდან შორი (429)**

მოკამკამე მთვარე, ზღვიდან შორი,  
ზღვას წაავლებს თავის ქარვის ხელებს,  
წარუძღვება მას, ვით ნინველს მორჩილს,  
მიაახლებს ტალღებს საზღვრულ ხმელეთს,

ვერ ასრულებს ზღვა მის დანაქადნებს  
მთვარის მკაცრი მზერით ზარგანხდილი,  
რა ზომითაც მოდის ქალაქამდე,  
დასცილდება ზუსტად იმ მანძილით.

ოჰ, ბატონო, ხელი გერგოთ ქარვის,  
და ზღვასავით გმონებ გასაკვირველს,  
ველოდები იმ ბრძანებებს კრძალვით,  
თქვენი მზერით რასაც დამაკისრებთ.

The Moon is distant from the Sea (429)

The Moon is distant from the Sea –  
And yet, with Amber Hands –  
She leads Him – docile as a Boy –  
Along appointed Sands –

He never misses a Degree –  
Obedient to Her eye –  
He comes just so far – toward the Town –  
Just so far – goes away –

Oh, Signor, Thine, the Amber Hand –  
And mine – the distant Sea –  
Obedient to the least command  
Thine eye impose on me –

176.

### შემოდგომისას თუ მოხვალ (511)

შემოდგომისას თუ მოხვალ,  
ზაფხულს მოვუქნევ ბუზსაკლავს,  
ლიმს ზიზღს გავურევ და ოხვრას,  
როგორც ქალი კლავს ბუზანკალს.

თუ მოხვალ ერთი წლის შემდეგ,  
თვეებს მორგვებად დავართავ,  
ცალ-ცალკე უჯრებში შევდებ -  
აღარ ავირევ სათვალავს.

ათასწლობითაც კი შევძლებ  
შენს ლოდინს, ვერ შეგელევი,  
ვიდრე დამარხავს ჩემს მტევნებს  
შორს ვან-დიმენის<sup>15</sup> ხმელეთი.

თუ განგმირულნი მოისრით  
ერთად ვიქნებით შემდეგშიც,  
სიცოცხლეს, ვით ქერქს მოვისვრი -  
მარადისობას შევხვდები!

როდემდე უნდა გაგრძელდეს  
ეს უშენობა, ოჰ, ნეტავ,  
ავსულ ბზიკივით მახელებს -  
თვალუხილავად რომ ნესტრავს.

---

15 ვან-დიმენი - კუნძულ ტასმანიის ძველი სახელი.

**If you were coming in the fall** (511)

If you were coming in the Fall,  
I'd brush the Summer by  
With half a smile, and half a spurn,  
As Housewives do, a Fly.

If I could see you in a year,  
I'd wind the months in balls —  
And put them each in separate Drawers,  
For fear the numbers fuse —

If only Centuries, delayed,  
I'd count them on my Hand,  
Subtracting, til my fingers dropped  
Into Van Dieman's Land,

If certain, when this life was out —  
That yours and mine, should be  
I'd toss it yonder, like a Rind,  
And take Eternity —

But, now, uncertain of the length  
Of this, that is between,  
It goads me, like the Goblin Bee —  
That will not state — its sting.

177.

### მწუხრის ირიბი სხივი (228)

მწუხრის ირიბი სხივი  
ზამთარში გვავსებს სევდით,  
თითქოს წუხილით ხივის  
გლოვის ჰანგები ეკვდრის.

მოგვწყლავს ზეციურ წყლულით,  
გვადებს უხილავ ნაჭდევს -  
სულში ღრმად მიჩქმალული  
გვიძღვნის სადარდელს თანმდევს.

არავის ძალუმს ახსნას  
სასოწარკვეთის ლუქი,  
უზეშთაესი ტანჯვა -  
შობილი ციურ შუქით.

როს მოდის აღმაცერად,  
სუნთქვას შეიკრავს ლანდიც;  
სიკვდილის გულგრილ მზერას  
მიაგავს, როცა გადის.

**There's a certain slant of light** (258)

There's a certain Slant of light,  
Winter Afternoons —  
That oppresses, like the Heft  
Of Cathedral Tunes —

Heavenly Hurt, it gives us —  
We can find no scar,  
But internal difference —  
Where the Meanings, are —

None may teach it — Any —  
'Tis the Seal Despair —  
An imperial affliction  
Sent us of the Air —

When it comes, the Landscape listens —  
Shadows — hold their breath —  
When it goes, 'tis like the Distance  
On the look of Death —

178.

**შემოდგომა ჩემს ნაქსოვებს უმზერდა (748)**

შემოდგომა ჩემს ნაქსოვებს უმზერდა,  
მიტხრა - ფერთა პალიტრა მაქვს იმგვარი,  
ფლამინგოს ფერს მოგაჩვენებს უშვერად  
- მაშ, მანახე ფერთა გამა მდიდარი!

შენტვის ფერად ავირჩიე ბუჟენდი -  
შენ გამსგავსებ, ყოველს აღემატება,  
ციცქნა ქობას - მწუხრის ფერს ავუღებდი,  
გაგახსენოს რათა ჩემი ხატება!

**Autumn – overlooked my Knitting (748)**

Autumn – overlooked my Knitting –  
Dyes – said He – have I –  
Could disparage a Flamingo –  
Show Me them – said I –

Cochineal – I chose – for deeming  
It resemble Thee –  
And the little Border – Dusker –  
For resembling Me –

179.

**ჩიტი დახტოდა ჟღალი (359)**

ჩიტი დახტოდა ჟღალი,  
ვუთვალთვალეზდი ჩუმად,  
თანაბრად გაჭრა მატლი  
და გადასანსლა უმად.

მოწყურებულმა ჩრდილში  
შესვა ალერდის ცვარი,  
კედლისკენ გახტა ფრთხილი,  
ხოჭოს უქცია მხარი.

დააცეცებდა თვალეზს,  
ზვერავდა სივრცეს ბაღჩის,  
ვჭვრეტდი მფრთხალ მძივის მარცვლებს,  
ბრუნავდა თავი ფარჩის.

ნიბლიას ციმციმ პეშვით  
მე შევთავაზე ჩელხი,  
მაგრამ აღვსილი ეჭვით  
გაფრინდა, როგორც თელხი.

მის მოსმულ ხოფეზს მალლა  
არ აჩნდა ნაწიბურიც,  
ვით ვერ მოაფრქვევს ტალღას  
მხეფეზს პეპელა ცურვით.



**A Bird came down the Walk (359)**

A Bird came down the Walk —  
He did not know I saw —  
He bit an Anglemoth in halves  
And ate the fellow, raw,

And then he drank a Dew  
From a convenient Grass —  
And then hopped sidewise to the Wall  
To let a Beetle pass —

He glanced with rapid eyes  
That hurried all around —  
They looked like frightened Beads, I thought —  
He stirred his Velvet Head

Like one in danger, Cautious,  
I offered him a Crumb  
And he unrolled his feathers  
And rowed him softer home —

Than Oars divide the Ocean,  
Too silver for a seam —  
Or Butterflies, off Banks of Noon  
Leap, plashless as they swim.

180.

**თქვეს, დრო გვიშუშებს იარებს (686)**

თქვეს, დრო გვიშუშებს იარებს,  
არ ვარგა თუმც დრო დასტაქრად,  
ნამდვილი ტანჯვა იმძლავრებს,  
წლები ვით გვაცლის არაქათს.

დროა წუხილის გამოცდა,  
არ შეუძლია წამლობა  
და თუ მკურნავი აღმოჩნდა,  
არ არსებულა საღმობა.

**They say that Time assuages (686)**

They say that 'Time assuages'  
Time never did assuage –  
An actual suffering strengthens  
As Sinews do, with age –

Time is a Test of Trouble –  
But not a Remedy –  
If such it prove, it prove too  
There was no Malady –

181.

**არის სხვა ზეცაც იაჯავარი (2)**

არის სხვა ზეცაც იაჯავარი,  
მარადიულად გადასარკული,  
ჯერ არნახული ფერის ლაჟვარდით,  
სხვაგვარად ნათობს იქ მზე ბაკმული.

ოსტინ<sup>16</sup>, თუ ნახე ტევერი დამჰკნარი,  
მდუმარე კორდი, ნუ შეშფოთდები,  
გზად შემოგხვდება მცირე მალნარი,  
მარადმწვანეა მისი ფოთლები,

იქვე, დაუმზრალ ტურფა ველობში  
ყვავის ბაღნარი გაუხუნარი  
და სავანეში უზრუნველობის  
ყვავილთა შორის ბზუის ფუტკარი.

არ გამაწბილო, ძმაო, უარით,  
ჩემი წალკოტის გახდი სტუმარი!

**There is Another Sky (2)**

There is another sky  
ever serene and fair,  
and there is another sunshine,  
though it be darkness there –

never mind faded forests, Austin,  
never mind silent fields -  
here is a little forest  
whose leaf is ever green –

here is a brighter garden -  
where not a frost has been,  
in its unfading flowers  
I hear the bright bee hum,

prithee, my Brother,  
into my garden come!

16 ოსტინი - ემილის უფროსი ძმა

182.

**სილამაზისთვის გარდავიცვალე (449)**

სილამაზისთვის გარდავიცვალე,  
დამკრძალეს, მცირე ხნით რომ იჯავრეს,  
მსხვერპლშეწირული ღმერთის სიმართლეს  
დაასაფლავეს ჩემს მომიჯნავედ.

„რის გამო მოკვდი?“ - ის ჩამეძია,  
„სილამაზისთვის“ - ვთქვი დანდობილად,  
„მე სიმართლისთვის - ორივე ერთია,  
მამასადამე, ჩაგთვლი დობილად“!

შეხვდით იმ ღამეს, როგორც მოყვასნი,  
ვმუსაიფობდით მშვიდად საოცრად,  
ვიდრე ტუჩებზე მოგვედო ხავსი  
და სახელები ჩვენი წარხოცა.

**I died for beauty, but was scarce (449)**

I died for beauty, but was scarce  
Adjusted in the tomb,  
When one who died for truth was lain  
In an adjoining room.

He questioned softly why I failed ?  
“For beauty,” I replied.  
“And I for truth, — the two are one ;  
We brethren are,” he said.

And so, as kinsmen met a night,  
We talked between the rooms,  
Until the moss had reached our lips,  
And covered up our names.

